



IV. JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ARN. CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ
ИНСТИТУТ ЯЗЫКОЗНАНИЯ ИМ. АРН. ЧИКОБАВА

IBERO-CAUCASIAN LINGUISTICS

XLIX

Иберийско-кавказское языкознание

XLIX

Tbilisi 2021 Тбилиси

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

XLIX

თბილისი
2021

მთავარი რედაქტორი

ვაჟა შენგელია

Editor-in-chief

Vazha Shengelia

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ არაბული
მარინე ბერიძე
გიორგი გოგოლაშვილი
თამარ ვაშაკიძე
ნანა მაჭავარიანი
სალომე ომიადე
მურმან სუხიშვილი
ლია ქაროსანიძე
მედეა ღლონტი
იზა ჩანტლაძე
მერაბ ჩუხუა

Editorial Board

Avtandil Arabuli
Marine Beridze
Giorgi Gogolashvili
Tamar Vashakidze
Nana Machavariani
Salome Omiadze
Murman Sukhishvili
Lia Karosanidze
Medea Glonti
Iza Chantladze
Merab Chukhua

მ ი ს ა მ ა რ თ ი:

0108 თბილისი, ინგოროყვას ქ. 8
არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

A d d r e s s:

0108 Tbilisi, Ingorokva str. 8
Arn. Chikobava Institute
of Linguistics

E-mail: contact@ice.ge

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ISSN

შინაარსი – Contents

I

| | |
|--|----|
| ლ. ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი, კომპოზიტიური სახელდების თავისებურებათა შესახებ ხუნძურ ენაში (ზოონიმების შემცველ კომპოზიტთა მაგალითზე) | 9 |
| L. A z m a i p a r a s h v i l i, On the Peculiarities of Denominating Objects with Compounds in the Avar Language (Based on the Compounds Containing Zoonyms) | 18 |
| ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, მახვილი დიდოურ ენაში | 20 |
| N. A r d o t e l i, Stress in Dido | 24 |
| ნ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, დ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ერთი გეოგრაფიული სახელწოდების განმარტებისათვის ბათუმის შემოგარენში | 25 |
| N. A k h v l e d i a n i, D. A k h v l e d i a n i, On the Definition of One Geographical Name in the Locality of Batumi | 29 |
| ა. ბ ა ს ი ლ ა შ ვ ი ლ ი, პირის ნიშანთა გამოყენების თავისებურებისათვის უდიური ენის ზინობიანურ მეტყველებაში | 30 |
| A. B a s i l a s h v i l i, The Peculiarity of the Use of Pronouns in the Zinobian Speech of the Udi Language | 32 |
| თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, პიესის ენის ზოგი თავისებურებისათვის | 34 |
| T. B u r c h u l a d z e, On Some Peculiarities of the Language of the Drama | 40 |
| თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, აფხაზურ-აბაზური ლექსიკის სემანტიკური ისტორიიდან | 41 |
| T. G v a n t s e l a d z e, On the Semantic History of the Abkhazian-Abaza Vocabulary | 49 |

| | |
|---|-----|
| გ. გოგოლაშვილი, ივანე ჯავახიშვილის „სამსჯავრო“ და ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსები (ქართული ენათმეცნიერების ისტორიიდან) | 52 |
| G. G o g o l a s h v i l i, The Trial Against Ivane Javakhishvili and Classics of Georgian Linguistics | 61 |
| თ. გუჩუა, სამეტყველო მოვლენები და სამეტყველო აქტები კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მიხედვით | 64 |
| T. G u c h u a, Speech Events and Speech Acts Within the Framework of the Ethnography of Communication | 73 |
| თ. ვაშაკიძე, მუხრან მაჭავარიანის ახალი კრებული | 74 |
| T. V a s h a k i d z e, A New Collection of Mukhran Machavariani's Works | 79 |
| მ. თეთრაძე, ბავშვისადმი მიმართული მეტყველება და ქართული ე. წ. „გადიების ენა“ | 80 |
| M. T e t r a d z e, Lexical Aspects of Child-Directed Speech in Georgian | 85 |
| დ. კაკაშვილი, ეგზოცენტრული კომპოზიტები ქართულ და ნახურ ენებში | 86 |
| D. K a k a s h v i l i, Exocentric Compounds in the Georgian and Nakh Languages | 92 |
| მ. ლაბარტყავა, აკა მორჩილაძის სტილის ზოგი თავისებურებისათვის („შენი თავგადასავალი“) | 93 |
| M. L a b a r t k a v a, On Some Peculiarities of Aka Morchiladze's Style ("Your Adventure") | 100 |
| რ. ლოლუა, წინაველარული აფრიკატები საერთოლევგიურში | 102 |
| R. L o l u a, Pre-Velar Affricates in Proto-Lezgian | 109 |
| თ. ლომთაძე, არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებები ებრაელთა ქართულის მიხედვით | 110 |
| T. L o m t a d z e, Peculiarities of the Declension of Nouns Based on the Jews' Georgian | 116 |
| მ. ლომია, რ. ქურდაძე, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე, არ და მისი ფარდი ნაწილაკები წყვეტილისა და I თურმეობითის ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი | 118 |

| | |
|--|-----|
| M. L o m i a, R. K u r d a d z e, K. M a r g i a n i, N. C h u m b u r i d z e, The Particle <i>ar "not"</i> and Its Equivalent Particles with Verb Forms in Kartvelian Languages: The Issue of Semantic Differentiation | 123 |
| ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემა ლინგვო- კულტუროლოგიური თვალსაზრისით | 124 |
| K. M a r g i a n i, Some Svan Lexemes Denoting Kinship from a Linguocultural Point of View | 129 |
| ბ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, გარდაქცევითობის -ს სუფიქსის ამოსავალი მნიშვ- ნელობა აფხაზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან | 130 |
| N. M a c h a v a r i a n i, The Basic Meaning of the Transformation Suffix -s in Abkhazian and Its Relation to the Corresponding Elements in Proto Ibero-Caucasian | 134 |
| მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, კვლავ ზანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულე- ბის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში | 135 |
| M. S a g h l i a n i, On the Phonetic-Phonological and Semantic Adaptation of Zan Lexical Units in Svan Again | 148 |
| თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, კვლავ სადაურობის სახელთა წარმოებისათვის | 149 |
| T. T e t e l o s h v i l i, On the Formation of Words Expressing Origin Again | 155 |
| რ. ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე, მეცხვარეობის ლექსიკა ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტში | 157 |
| R. P a r e u l i d z e, Vocabulary Related to Sheep Farming in the Kist Dialect of the Chechen Language | 160 |
| მ. ლ ო ნ ტ ი, ძვ.ქართ. „გული გონიერის“ ქართულენობრივი არჩევანი (რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის) | 161 |
| M. G l o n t i, The Georgian Choice of Old Georgian "Heart Wise" (For the Principle of Unification of Faith and Knowledge) | 176 |
| ბ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სვანურში | 177 |
| N. S h a v r e s h i a n i, An Adverbial Clause of Manner in Svan | 184 |

| | |
|--|-----|
| ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ჩერქეზულ ენათა შესწავლის ისტორიიდან. I | 185 |
| V. S h e n g e l i a, From the History of the Study of the Circassian Languages. I | 191 |
| ო. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტიქსტების უცხოენოვანი თარგმანები XIX საუკუნეში | 192 |
| I. C h a n t l a d z e, R. I o s e l i a n i, Foreign Language Translations of the Texts of Old Svan Folk Songs in the XIX Century | 197 |
| ო. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, ნიკოლაას ვიტსენის „ქართული ანუ იბერიული ენის სიტყვარი“ (Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek) | 198 |
| I. C h a c h a n i d z e, “Vocabulary of the Georgian or Iberian Language” (Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek) by Nikolaas Witsen..... | 207 |
| მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ – წვიმის ლექსიკოგრა- ფიული პორტრეტი მუხრანის პოეზიაში | 208 |
| M. C h a c h a n i d z e, "Only Rain Has Nine Names" – The Lexicographical Portrait of Rain in Mukhrani's Poetry | 212 |
| ნ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი, ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის წარმოება ქვემო ქედში ემიგრირებულ ფშაველთა მეტყველებაში | 213 |
| N. T s i k h i s h v i l i, Forms of the Resultative II of Bipersonal Intransitive Verbs in Pshavian | 220 |
| ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა, დანაწევრებითი და დაახლოებითი რიცხვითი სახელებისა- თვის მეგრულში | 222 |
| Ts. J a n j g h a v a, On the Segmental and Approximate Numerals in Megrelian | 225 |

II

| | |
|---|-----|
| გუჩა კვარაცხელია გამორჩენილი მეცნიერი და გამორჩეული შემოქმედი..... | 226 |
| Gucha Kvaratskhelia A Prominent Scholar and Outstanding Creator | 226 |

ლევან აზმაიფარაშვილი

**კომპოზიციური სახელდების თავისებურებათა შესახებ
ხუნძურ ენაში**

(ზოონიმების შემცველ კომპოზიტთა მაგალითზე)¹

ხუნძური ენის დიალექტებსა და კილოკავ-თქმებში პოვნიერია არაერთი თხზული სიტყვა, რომელიც საყურადღებოა ენობრივი მსოფლხედვის თვალსაზრისით. ამ ენის კომპოზიციურ სიტყვაწარმოებაში ბუნებრივია ერთი რომელიმე საგნის კომპოზიციური სახელდებისათვის სხვა საგნის აღმნიშვნელი ფუძის გამოყენება ერთ-ერთ კომპონენტად. ამდაგვარად შედგენილი სახელწოდებებით (კომპოზიტებით) საკმაოდ მდიდარია არა მარტო ხუნძური, არამედ სხვა დადესტნური ენებიც. ასეთი კომპოზიტების ზოგიერთ მაგალითად ხუნძურ ენაში შეიძლება დავასახელოთ **შურუნყურყ** „კუ“ (← შურუნ „ჯამი“ + ყურყ „ბაყაყი“), **წადალჰამა** „ლოკოკინა“ (← წად-ა-ლ „წვიმის“ + ჰამა „ვირი“), **ოცჰუტ** „ხოჰო“ (← ოც „ხარი“ + ჰუტ „ჭია“), **ტურუოც** „მორიელი“ (← ტურულ „კლდის“ + ოც „ხარი“), **რალდაღარწ** „კიბო“ (← რალ-ა-ღ „ზღვის“ + გარწ „კალია“), **ბეცაზუნკა** „თხუნელა“ (← ბეცა-აზ „ბრმა“ + ზუნკა „თავვი“)² და სხვა.

არაერთ შედგენილ სიტყვაში საყურადღებოა, მაგალითად, „სახედრის“, „ვირის“ აღმნიშვნელი ფუძე **ჰამა**:

ჰამარატა „ბეჭის ძვალი“ (ბათლუხურ დიალექტში), ზედმიწ. „ვირი-ძვალი“ (← ჰამა „ვირი“ + რატა „ძვალი“). „ბეჭის ძვლის“ მნიშვნელობით ოდენ **ჰამა** ფუძეც გამოიყენება როგორც ბათლუხურში, ასევე ყარაზული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში, ხოლო ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) იმავე **ჰამა** ფუძის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის, აგრეთვე, „ქვედა ყბა“.

სახელდების ამგვარი მოტივაცია შეპირობებული უნდა იყოს „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის სემანტიკის გაფართოებით, რაც, სავარაუდოდ, უნდა განვითარებულიყო ასეთი თანმიმდევრობით: „*მზიდავი პირუტყვი*“ → „*პირუტყვი, რომელსაც ზედ ადებენ რაღაცას*“ (მაგ., ტვირთს) → „*რაღაცის ზედ დასადები რამ*“ → „*რაღაცის სადგამი*“ → „*რაღაცის საყრდენი*“ (მაგ., ძვალი)“.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

² საანალიზო მასალა წინამდებარე სტატიაში მოხმობილია ხუნძური ენის სხვადასხვა ლექსიკონებიდან (საიდოვი 1967; ხუნძ.-რუს. ლექს. 2006; საიდოვა 2008).

საყურადღებოა ამ მხრივ **ჰამა** („ვირი“) სიტყვის გამოყენება სწორედ „სადგამის“, „საყრდენის“ მნიშვნელობით სხვადასხვა უსულო საგნების სახელწოდებებში; მაგალითად:

ჩრდ. ხუნდ. (//ლიტ. ხუნდ.) **ჰამა** „კერაზე ქვაბის დასადგმელი ქვა“, აგრეთვე – „ხარაჩო“;

მრ. რ. **ჰამულ** „ვირები“, **ქინიდულ ჰამულ** „აკვნის ფეხები“, ზედმიწ. „აკვნის ვირები“;

ტარმილ ჰამა „ფანდურის სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ფანდურის ვირი“; შდრ. ლაკურ ენაში: **თუქრი** „ვირები“ (მხ. რ. **თუქუ** „ვირი“), **ჩუგურდანულ თუქრი** „ჩონგურის საქცევები, лады“ (აბდულაევი 2018: 678), ზედმიწ. „ჩონგურის ვირები“; შდრ., აგრეთვე, ოსური **ხანგ** „სიმების ქვესადგამი ფირფიტა“ (← **ხანგ** „ვირი“, იხ. ახვლედიანი 1960: 200); ფრანგ. **chevalet** „ჯორა“ (დაფქვიაშვილი 1955: 38), „სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ცხენუკა“ (← cheval „ცხენი“); რუს. **кобылка** „ჯორა, სიმების ქვესადგამი ფირფიტა“ (← кобыла „ჭაკი“).

ქართულ ენაში **ჯორ-ა**, **ჯორ-აკ-ი** „სიმებიან საკრავზე სიმების გადასაჭიმი ქვესადგამი ფირფიტა“ (ქეგლ); „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ფიქსირებულია, აგრეთვე, **ხარაკ-ი** [სპარს. ხარაკ] „სიმების დასამაგრებელი მოწყობილობა თარის ქვემო ნაწილში“; შდრ. სპარს. **ხან** „სახედარი“, „ვირი“ (გიუნაშვილი 1987: 309), ოს. **ხანგ** „ვირი“ (და, აგრეთვე, „სიმების ქვესადგამი ფირფიტა“). ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავკასიის ენებში სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტის დეტალის ასეთი სახელწოდება („ვირი“) სპარსულის გავლენით უნდა გაჩენილიყო? მეორე მხრივ, ხუნძური ენისათვის მეტად ნიშანდობლივია „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება „რადაცის საყრდენის“ მნიშვნელობით, რაც მხოლოდ ერთი მაგალითით არ ამოიწურება და ამიტომ არ გამოირიცხება, რომ ასეთი მნიშვნელობა („ფანდურის ვირი“) ხუნძურში სხვა ენისაგან დამოუკიდებლად იყოს გაჩენილი. ისიც შესაძლებელია, რომ ქართულში **ჯორ-ა**, **ჯორ-აკ-ი** უკავშირდებოდეს **ჯვარ-** ფუძეს (მაგ., **ჯვარედ-ინ-ი**) და არა უშუალოდ პირუტყვის სახელწოდებას (**ჯორ-ი**), რომელიც თვითონაც **ჯვარ-** ფუძისაგან არის წარმომდგარი (ნა-**ჯვარ-ი**, შე-**ჯვარ-**ებ-ა).

საინტერესოა სვანური ენის ფაქტი, რაც გარკვეულწილად მსგავსია ხუნძურ, ლაკურ და ოსურ ენებში არსებული ვითარებისა: სვან. **წელ** („ვირი“) სიტყვის კნინობითი ფორმებია **წელ-რდ** (ბალსზემოურში), **წელ-ილდ** (ბალსქვემოურში), **წელ-რლ** (ლაშხურში), **წელ-ოდ-ილ** (ლენტეხურში), რომელთა მნიშვნელობაც არის „ჭუნირის ჯორი“ (თოფურია, ქალდანი 2000: 852), „ჭუნირის სიმების ქვესადგამი ფირფიტა“, ზედმიწ. „ვირუკა“. საყურადღებოა ისიც, რომ **წელ** ფუძე სვანურში გვხვდება, აგრეთვე, მნიშვნელობით „კიბორჩხი (წისკვილის ნაწილი)“. სვანურ ლექსიკონში ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ცალკე ლექსემად, დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიის სახით (თოფურია, ქალდანი 2000: 852), ვინაიდან იგი, როგორც ჩანს, მიჩნეულ იქნა „ვირის“ აღმნიშვნელი **წელ** სიტყვის ომონიმად და არა ამავე სიტყვის დამატებით მნიშვნელობად. არ

არის გამორიცხული, რომ „ვიბორჩხის (წისკვილის ნაწილის)“ სახელდებისათვის სწორედ „ვირის“ აღმნიშვნელი იგივე წელ სიტყვა იყოს გამოყენებული. ამისი ანალოგიური მაგალითი გვაქვს ხუნძურ ენაში, კერძოდ, ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში: **ყუალა-ჰამა** „ფქვის რეგულატორი წისკვილში“, „ვიბორჩხი“ (ხუნძ. ჰამა „ვირი“, დაუდგენელია ყუალა კომპონენტის რაობა). მნიშვნელობის განვითარება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „მუშა პირუტყვი“ → „მომუშავე საგანი“ → „ვიბორჩხი (წისკვილის ნაწილი)“.

საფიქრებელია, რომ „ვირის“ რაღაცის საყრდენის, სადგამის, მომუშავე საგნის დამატებითი მნიშვნელობები არაერთ ენაში უნდა გასჩენოდა მეტნაკლებად, ოღონდ ზოგ ენაში ეს აისახა მკრთალად, სხვა ზოგიერთ ენაში კი (მაგ., ხუნძურში) – შედარებით უფრო თვალსაჩინოდ.

ჰამა სიტყვა ხუნძურში იხმარება ადამიანთან დაკავშირებითაც და აქვს ერთობ თავისებური, ქართულისათვის უჩვეულო მნიშვნელობაც – „ხელისმომკიდე“, „მდადე“ (ქორწილში), მაგ., **ბაჰარასულ ჰამა** „ხელისმომკიდე“, ზედმიწ. „ნეფის ვირი“ (ვაჟი); **ბაჰარალულ ჰამა** „მდადე“, ზედმიწ. „პატარძლის ვირი“ (ქალი). ამ შემთხვევაში სემანტიკის განვითარება, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: „ვირი“ → „საყრდენი“ → „თანამდგომი, თანაშემწე“ → „ხელისმომკიდე“.

„ვირის“ აღმნიშვნელი **ჰამა** ფუძე ხუნძურ ენაში დამახასიათებელია მცენარეთა სხვადასხვა კომპოზიტური სახელწოდებებისთვისაც:

ჰამაგაგა „ბაბუაწვერა“ (← ჰამა „ვირი“ + გაგა „კურკა“); **ჰამალანყ** „ველური მსხალი“ (← ჰამა „ვირი“ + ლანყ, ძირი ზმნისა ლანყ-ი-ზე „დახრჩობა“); **ჰამამიჭა** „შავბალახა“ (← ჰამა „ვირი“ + მიჭა „ჭინჭარი“); **ჰამანაკა** „მუხა“ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში, ← ჰამა „ვირი“ + ნაკა „ფიჭვი“), შდრ. ლიტ. ხუნძ. **ჰამანაკაღუეტ** „კედარი“ (← ჰამა „ვირი“ + ნაკაღუეტ „ფიჭვი“); **ჰამაწიბილ**, ზედმიწ. „ვირიყურძენი“ (← ჰამა „ვირი“ + წიბილ „ყურძენი“); **ჰამიზაზ** „ბრტყელეკალა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ზაზ „ეკალი“); **ჰამიკილკალ** „დეზურა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + კილკალ „საყურეები“); **ჰამიხინკ** „საჭმელი ბალახი ერთგვარი“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ხინკ „ხინკალი“); **ჰამიოხცერ** „ენოთერა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + ოხცერ „კიტრი“); **ჰამირაზ** „რძიანა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + რაზ „რძე“); **ჰამირაჭა** „ეფედრა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + რაჭა „კუდი“); **ჰამილწამ** „ბეგეკონდარა“ (← ჰამ-ი-ლ „ვირის“ + წამ „მარილი“) და სხვ.; შდრ. სხვადასხვა ველურ მცენარეთა სახელწოდებები ქართულ ენაში, რომლის დიალექტებშიც საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი კომპოზიტები თუ შესიტყვებები, როგორცაა **ვირიკუდა, ვირიმუა, ვირიბალახი, ვირისტერფა, ვირიგვერდა, ვირიმოლოქა, ვირიპიტნა, ვირისკვერცხა, ვირისყვერა, ვირის ბალახა, ვირის ბუარა, ვირის იონჯა, ვირის ლობიო, ვირის საკვენეტელა, ვირის ქუჩი, ვირის ჯიშლაი** და სხვ. (მაყაშვილი 1961: 28, 112); აგრეთვე, მეგრული **გირინიში ძია** „ჩალამძივი“ (მაყაშვილი 1961: 155), ზედმიწ. „ვირის მძივი“, სვანური **წელი შდიმ** „ვირისყურა“ (თოფურია, ქალდანი 2000: 852) და სხვ.

მცენარეთა ანალოგიურად შედგენილი სახელწოდებები მოიპოვება ლაკურ ენაშიც:

ლაკ. **თუქუყყა** (← თუქუ-ლ „ვირის“ + ყაყა „ნაცარქათამა“), **თუქუ-ბჭრუ** (← თუქუ-ლ „ვირის“ + ბჭრუ „ბრტელეკალა“), **თუქულ მაშაქუ** (← თუქუ-ლ „ვირის“ + მაშაქუ „დაჯირა“), **თუქულ ნაკ** „რძიანა“, ზედმიწ. „ვირის რძე“ (შდრ. ხუნძ. **ჰამირან** „id.“, ზედმიწ. „ვირის რძე“); **თუქულ წუ** „ბეგკონდარა“, ზედმიწ. „ვირის მარილი“ (შდრ. ხუნძ. **ჰამილწამ** „id.“, ზედმიწ. „ვირის მარილი“) და სხვ. (აბდულაევი 2018: 678-679; აბდულაევი 2015: 70), **თუქულ ნის** „სოკო“ (კომრი, ხალილოვი 2010: 420), ზედმიწ. „ვირის ყველი“.

ხუნძურ ენაში სიტყვა **ჰამა** („ვირი“) გვხვდება ისეთ შეერთებით კომპოზიტებშიც, რომლებითაც აღინიშნება შინაურ პირუტყვთა კრებითობა, ერთობლიობა; მაგ., **ჭაქა-ჰამა** „შინაური პირუტყვი“, ზედმიწ. „ძროხა-ვირი“; **ჰამა-ჩუ** „ვირი-ცხენი“ (კრებითი მნიშვნელობით); შდრ. ლაკ. **თუქუ-ჩუ** „მეურნეობისა და მგზავრობა-გადაადგილებსათვის საჭირო შინაური პირუტყვი“ (კრებითად), ზედმიწ. „ვირი-ცხენი“ (აბდულაევი 2015: 70).

ლაკურ ენაში აღსანიშნავია, აგრეთვე, „ვირის“ აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება „დიდის“, „მოზრდილი რამის“, „მსხვილის“ მნიშვნელობითაც, რაც ასახულია ზედსართავ სახელში **თუქუ-ქ-საა**, მაგ., **თუქუქსა ზუნუ ურ** „გაიზარდა“ (ვაჟი) (აბდულაევი 2018: 678), ზედმიწ. „ვირ გადაიქცა“; შდრ. ქართ. გა-ვირ-და. ქართულში ამ მხრივ ყურადღებას მიიქცევს სიტყვა **ვირგლა** „დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ვინმე“ (ქეგლ), რომლის ეტიმოლოგიაც გაურკვეველია (უცნობია -გლა ელემენტის რაობა: ვირ-იკ-ელ-ა → ვირ-კ-ლ-ა → ვირ-გ-ლ-ა?). ღირსსაცნობია, რომ ეს სიტყვა მსაზღვრელად გვხვდება ზოგიერთი მცენარის სახელწოდებაშიც თითქოს „დიდის“, „მსხვილის“ მნიშვნელობით: **ვირგლა კამა** „დიდი კამა“, **ვირგლა ლობიო** „ალისლობიო“ (მაყაშვილი 1961: 112); შდრ. **ვირგაშლა** „ვაშლის ჯიში ერთგვარი. თეთრი ვაშლი იყო ვირ-ვაშლა, უფერული, დიდი, მომჟავო წვნიანი“ (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981: 209). საინტერესოა ამ მხრივ ლაკური ენის კომპოზიტიც **თუქუჯჭურთ** „მაგარი, უხეში ჯიშის მსხალი“ (აბდულაევი 2018: 679), ზედმიწ. „ვირიმსხალი“ (← თუქუ „ვირი“ + ჯჭურთ „მსხალი“); შდრ. ქართ. (დიალ.) **ვირგლა** „ზამთრის მსხალი ერთგვარი. ვირგლა მაგარი მსხალია კარქა ინახება“ (მესხიშვილი 2006).

ლაკურისაგან განსხვავებით, ხუნძურ ენაში არ შეიმჩნევა **ჰამა** („ვირი“) სიტყვის გამოყენება „დიდის“, „მოზრდილის“, „მსხვილის“ მნიშვნელობით, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ამგვარი რამ სახელდებაში არ გამოირიცხება, მაგ., „მუხის“ სახელწოდება ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოვავში არის **ჰამანაკა**, ზედმიწ. „ვირი ფიჭვი“ (ე.ი. „მსხვილი ფიჭვი“?).

ქართულ ენაში არ არის ფართოდ გავრცელებული ისეთი სახის კომპოზიტური წარმოება, როგორცაა **ვირთავვა**, სადაც **ვირ-** კომპონენტი თითქოს უნდა იყოს „დიდის“, „მოზრდილის“, „მსხვილის“ მნიშვნელობის შემცველი მსაზღვრელი (აგებულების მხრივ შდრ. **ვირთევზა**, **ვირგაშლა**). აღნიშნულ

კომპოზიტში ასეთი გაგება („დიდი“, „მოზრდილი“, „მსხვილი“) ვირ- კომპონენტს გვიან უნდა ჰქონდეს შექმნილი, თუ ეს კომპოზიტი საკუთრივ ქართული ვირ-ი სიტყვით კი არ შედგენილა, არამედ მას საფუძვლად დაედო ოსურიდან ნასესხები სიტყვა უგრე „ვირთხა“, მრ. რ. უგრეთან (→ ქართ. ვირთხა, იხ. ახვლედიანი 1960: 199-200; შდრ. გიგინეიშვილი 2016: 163).

ხუნძ. წადალჰამა „ლოკოკინა“, ზედმიწ. „წვიმის ვირი“ (← წად-ა-ლ „წვიმის“ + ჰამა „ვირი“). ხუნძურ ენაში წადალჰამა („ლოკოკინა“) ეწოდება, აგრეთვე, წვიმის გამოსაწვევ რიტუალში მონაწილე პირს, რომელსაც გვალვის დროს გახდიდნენ სამოსს, შემდეგ მწვანე ტოტებითა და ბალახით მორთავდნენ ისე, რომ მთლიანად ყოფილიყო იგი ასეთი შესამოსელით დაფარული თავიდან ფეხებამდე, ხოლო წელზე თოკს შემოაკრავდნენ. ასეთნაირად შემოსილს ახალგაზრდები თოკით კარდაკარ დაატარებდნენ სოფელში, სადაც მოსახლეობა მას წყლით წუწავდა (ნიკოლსკაია 1959: 181; ომარაშვილი 2001: 76; დადესტნის ხალხები 2002: 69-70; სეფერბეკოვი 2002: 76; ხალიდოვა 2004: 246-247; ალიჰაჯიევა 2008: 13,15; სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009: 56; დადაევი, სეფერბეკოვი 2012: 72; ანთელავა 2017: 834-835; მაჰომედოვა 2020: 93).

თუ რატომ უკავშირდება ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში წვიმის წამოსვლა სწორედ ლოკოკინას, ეს სავესებით გასაგებია და ბუნებრივი და საგანგებო ახსნა-განმარტებას თითქოს არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეთნოლოგიურ ნაშრომებში ეს თავისთავად ნათელი ფაქტი მეტად ბუნდოვნად იქნა წარმოჩენილი იმ მიზეზის გამო, რომ კომპოზიტი წადალჰამა რატომღაც სიტყვასიტყვითი იქნა მხოლოდ გაგებული და ეთნოლოგიურ ლიტერატურაშიც ასეთი პირდაპირი თარგმანით დაფიქსირდა: «дождевой осёл», «дождевой ишак», „წვიმის ვირი“. უცნაურია, რომ ეს უზუსტობა რეგულარულად გვხვდება თვითონ დადესტნელ მკვლევართა ნაშრომებშიც. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ამგვარი კურიოზული გაუგებრობა არაერთი მცდარი ინტერპრეტაციის წყარო შეიძლება გახდეს ეთნოლოგიაში; მაგალითად, ასეთისა:

„ინტერესს იწვევს რიტუალის ცენტრალური ფიგურა – „წადალ ჰამა“ („წვიმის ვირი“). როგორც ცნობილია, უძველეს ადამიანთა, კერძოდ, ეგვიპტელთა იდეოლოგიურ წარმოდგენებში ვირი გვევლინებოდა ტოტემურ ღვთაებად (sic!). სახე მებორკილი ვირისა, რომელიც მზეს განასახიერებს, შევიდა სხვადასხვა ხალხების რელიგიურ ტრადიციებში. ამ წარმოდგენათა გამომახილი ვლინდება განხილულ რიტუალშიც“ (ხალიდოვა 2004: 246-247). ზოგ ნაშრომში წადალჰამა წვიმის წარმართული ღვთაების სახელადაც კია რატომღაც მიჩნეული, ხოლო წვიმის გამოსაწვევ რიტუალში მონაწილე მთავარი პირი (ტოტებითა და ბალახებით მორთული) – ამ ღვთაების პერსონიფიკაციად (სეფერბეკოვი 1998: 167; სეფერბეკოვი 2002: 76; ალიჰაჯიევა 2008: 13; სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009: 56; დადაევი, სეფერბეკოვი 2012: 72 და სხვ.).

ლიტ. ხუნძ. წადალჰამა („ლოკოკინა“) კომპოზიტს მნიშვნელობა დავიწროებია ყელეზურ ნარევ კილოში, სადაც იგი აღნიშნავს „ლოკოკინის ნიჟარას“, ხოლო თვით „ლოკოკინას“ ამ კილოში ეწოდება ჰამაჰუტ, ზედმიწ. „ვირი-ჰია“. საინტერესოა, რომ სალიტერატურო ხუნძურშიც სრულიად განსხვა-

ვებულადაა სახელდებული „ლოკოკინის ნიჟარა“ – **ბორნიყალი**, ზედმიწ. „გველის კოლოფი“ (შდრ. ბოროზ „გველი“, ნათ. ბორზ-ი-ლ „გველისა“, ყალი „კოლოფი“).

ტუნცურა-ჰამა „მერქნიჰამია პეპელა“. ეს მწერი თითქოს მართლა შეიძლება კაცმა ვირს მიახლოებოდეს მისი შეფერილობით. კომპოზიტი გაურკვეველია **ტუნცურა** კომპონენტის რაობა, თუმცა მასში ყურადღებას იქცევს დაბოლოება **-რა**, რომელიც რეგულარულად იჩენს თავს მწერთა და სხვადასხვა წვრილ სულდგმულთა სახელწოდებებში, მაგ., **წუნწ-რა** „ჭიანჭველა“, **ჰაფა-რა** „ჭია“, „მატილი“, **ჟინჟ-რა** „ბალლინჯო“, **ცანლა-რა** „მუცლის ჭია“, **კანჯ-რა** „ობობა“ (ნიშნავს „აბლაბუდასაც“) და სხვ.

საინტერესოა ანალოგიური აგებულების დიალექტური კომპოზიტი **ტორცო-ჰამა**, რომელსაც აქვს განსხვავებული მნიშვნელობა – „ნაკელის ხოჭო“. აქაც უცნობია **ტორცო** კომპონენტის რაობა, ხოლო რაც შეეხება „ვირის“ აღმნიშვნელი **ჰამა** ფუძის გამოყენებას ამ სახელდებაში, ეს ალბათ განაპირობა „ვირის“, როგორც მზიდავი პირუტყვის მნიშვნელობამ, რომლის მიხედვითაც ხოჭოს გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ამ კონკრეტული კომპოზიტის შედგენისას **ჰამა** („ვირი“) კომპონენტი გამოყენებულ იქნა მნიშვნელობით „*ნაკელის მზიდავი*“.

რთულ ვითარებას გვიჩვენებს ლაკურ ენაში „ციყვის“ აღმნიშვნელი კომპოზიტური სახელწოდება **ბურხ-თუქუ**, ზედმიწ. „კურდღელი-ვირი“. სახელდების მოტივაცია გაუგებარია. ხომ არ შეიძლება სემანტიკის განვითარება აქ ვივარაუდოთ შემდეგნაირად: „ვირი“ → „*მომუშავე პირუტყვი*“/„*ტვირთის მზიდავი პირუტყვი*“ → „*კურდღელი, რომელიც რაღაცას* (მაგ., გირჩებს) *ეზიდება*“ ანუ „ციყვი“?.

ლაკურში მოიპოვება, აგრეთვე, კომპოზიტი **თუქუ-ნამ** „მამალი ფუტკარი“, ზედმიწ. „ვირი ფუტკარი“. ამ შემთხვევაში კომპოზიტი სახელდებისას მსაზღვრელად გამოყენებული **თუქუ** („ვირი“) კომპონენტის მნიშვნელობის განვითარება, სავარაუდოდ, შეიძლება მომხდარიყო ასე: „ვირი“ → „*ჯიუტი/ცუდი ხასიათისა*“ → „*უმაქნისი*“ → „*უსარგებლო*“. აღსანიშნავია, რომ ზუსტად ასეთივე აგებულებისა და სემანტიკის კომპოზიტი დასტურდება ხუნძური ენის ჰიდურ დიალექტსა და ყელბურ ნარევე კილოკავშიც – **ჰამანა** „მამალი ფუტკარი“ (← ჰამა „ვირი“ + ნა „ფუტკარი“).

ხუნძურში საყურადღებოა, აგრეთვე, კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება **ოც** („ხარი“) და **ჰაქა** („ძროხა“, „ფური“). ამ ფუძეებით იწარმოება შეერთებითი კომპოზიტები, რომლებითაც აღინიშნება შინაური პირუტყვის კრებითობა, მაგ., **ოც-ჰაქა** „მსხვილი რქოსანი პირუტყვი“, ზედმიწ. „ხარი-ძროხა“ (შდრ. ქართ. **ხარ-კამეზი**); **ჰაქა-ჰამა** „შინაური პირუტყვი“, ზედმიწ. „ძროხა-ვირი“; **ჰაქა-ზეჩე** „ძროხა-ხბო“ (კრებითი მნიშვნელობით).

ამავე სიტყვათა (ოც „ხარი“, ჰაქა „ძროხა“) გამოყენება ჩვეულებრივია „ირმის“ აღმნიშვნელ კომპოზიტურ სახელწოდებებში, სქესის დასაკონკრეტებლად, ისევე, როგორც ქართულ ენაში:

ჩანაოც „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ნადირის ხარი“ (← ჩან-ა-ლ „ნადირის“ + ოც „ხარი“). ეს კომპოზიტი გამოიყენება სალიტერატურო ხუნძურში, სადაც სიტყვა **ჩან** აღნიშნავს ზოგადად „ნადირს“ (შდრ. ჩან-ა-ჯან „მონადირე“), ხოლო საკუთრივ „ირმის“ სახელწოდებად სალიტერატურო ხუნძურში (ჩრდილოურ ხუნძურში) სხვა ფუძე გამოიყენება – **რიტუჭ**. აღსანიშნავია, რომ „ირმის“ კონკრეტული მნიშვნელობა ამავე **ჩან** სიტყვას მოეპოვება კახეთში მოსახლე ანწუხელთა მეტყველებაში (სოფ. თივი, ყვარლის მუნიციპალიტეტი). „ფურ-ირმის“ სახელწოდებად დიალექტებში იხმარება კომპოზიტები, რომლებიც შეიცავენ „ძროხის“/„ფურის“ აღმნიშვნელ **ჭაქა** ფუძეს, საპირისპიროდ „ხარ-ირმის“ აღმნიშვნელი ანალოგიურადვე აგებული კომპოზიტებისა, რომლებშიც წარმოდგენილია „ხარის“ აღმნიშვნელი **ოც** ფუძე; მაგ., ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში **რუჭდუოს** „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ირმისხარი“ (← რუჭ-დ-უ-ლ „ირმის“ + ოს ← ოც „ხარი“), მის საპირისპიროდ: **რუჭდუჭაქა** „ფურ-ირემი“, ზედმიწ. „ირმისფური“ (← რუჭ-დ-უ-ლ „ირმის“ + ჭაქა „ძროხა“, „ფური“); იმავე დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში **რუჭდუოც** „id.“, **რუჭდუჭაქა** „id.“; ანწუხურისავე თაშურ და ანწროს-უნჰადურ კილოკავებში **რიჭოს** „ხარ-ირემი“, ზედმიწ. „ირემი ხარი“ (← რიჭ „ირემი“ + ოს ← ოც „ხარი“), **რიჭაქა** „ფურ-ირემი“ (← რიჭ „ირემი“ + ჭაქა „ძროხა“, „ფური“); ამავე დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **რიჭომ** „id.“ (ჭად. ოშ „ხარი“), **რიჭაქა** „id.“; ჭარულ დიალექტში **რუჭოც** „ხარ-ირემი“, **რუჭაქა** „ფურ-ირემი“ და სხვა.

ოცკუტ „ხოჭო“, ზედმიწ. „ხარი ჭია“. ფუძე **ოც** („ხარი“) წარმოდგენილია „მორიელის“ დიალექტურ სახელწოდებებშიც, მაგ., ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში **ტულუოც** „მორიელი“, ზედმიწ. „კლდის ხარი“; ამავე დიალექტის თაშურ კილოკავში **ტაოროს** „id.“ და ჭადაქოლოურ კილოკავში **ტურუომ** „id.“ (← ტურუ „კლდე“, ნათ. ბრ. ტურუ-ლ „კლდისა“ + ოც → ოს → ოშ „ხარი“).

ოხაცერ „კიტრი“ ← ოც-ხერ, ზედმიწ. „ხარი-ბალახი“ (გუდავა 1964: 73). ნ. არდოტელის შენიშვნით, „თუ ეს დაკავშირება (ოხაცერ ← ოც-ხერ. – ლ.ა.) სწორია, მაშინ ანალოგიურ მოვლენას (მეტათეზისს – ლ.ა.) უნდა ჰქონდეს ადგილი სხვა ახლომონათესავე ენებშიც, მაგ., ჭამ. ოხცელ (← *ოცხელ), საკ. დიდ. ოცცერ (← ასახ. ოხცერ ← *ოცხერ, შდრ. ხვარშ. ოცხერ) „კიტრი“, ზედმიწ. „ხარ-ბალახი“ (არდოტელი 2009: 137).

„ძროხის“ აღმნიშვნელი **ჭაქა** ფუძის შემცველია დიალექტური კომპოზიტი **ზუზუჭაქა** „კელა“, „ბზიკი“ (ყაჰიბურ ნარევი კილოში). **ზუზუ** კომპონენტი წარმოადგენს ხმაბაძვით ფუძეს, შდრ. ზმნა **ზუზუ-დ-ი-ზე** „ბზული“ („ბზიკი“ ანუ „ბზულია ძროხა“?). სახელდების მოტივი გაუგებარია; შდრ., მაინც, ქართ. **ხარაბუზა**.

აღსანიშნავია, რომ იგივე **ჭაქა** („ძროხა“) ფუძე გამოიყოფა კომპოზიტშიც **ჭუზჩიჭაქა** „გირჩი“ (ანდალალური დიალექტის ბუხთიბურ კილოკავში), ზედმიწ. „ფიჭვის ძროხა“ (← დიალ. ჭუზუჩ „ფიჭვი“, ნათ. ბრ. ჭუზჩ-ი-ლ „ფიჭვისა“ + ჭაქა „ძროხა“).

საინტერესოა „სოკოს“ კომპოზიტიური სახელწოდებები, რომლებშიც პოვნირია „ყველის“ აღმნიშვნელი ფუძე **ჰან**: ლიტ. ხუნძ. **მურდაჰან** „სოკო“. ზედმიწევნითი მნიშვნელობა ამ კომპოზიტისა უნდა იყოს „მდინარეზე ყველი“; შდრ. შორ „მდინარე“, შურ-და „მდინარეზე“; ანუ „ყველი, რომელიც მდინარის პირას არის“?; **ქითიჰან** „სოკო“ (ყარახული დიალექტის ტლესერუხულ კილოკავში), ზედმიწ. „კატის ყველი“ (შდრ. ლაკ. **თაუქულ ნის** „სოკო“, ზედმიწ. „ვირის ყველი“). გარდა „სოკოს“ აღმნიშვნელი კომპოზიტისა, ფუძე **ქეთუ** („კატა“) მსაზღვრელად არის წარმოდგენილი მცენარეთა არაერთ კომპოზიტიურ სახელწოდებაში, როგორცაა **ქათიზაზ** „გლერმი“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ზაზ „ეკალი“), **ქათიქაჭ** „ბუსუსტანა“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ქაჭაქ „თათი“; შდრ. რუს. **кошачьи лапки** „id.“; ზუსტად ასეთივე შედგენილობისაა ლაკურ ენაში **ჩაითულ ხაჭა**, ზედმიწ. „კატის თათი“, ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ლაკურში ეს სახელწოდება „მდოგვს (მცენარეს)“ აღნიშნავს (აბდულაევი 2018: 843); ხუნძ. **ქათირაჭ** „ფარსმანდუკი“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + რაჭა „კუდი“); **ქათიხერ** „valeriana“ (← ქათ-ი-ლ „კატის“ + ხერ „ბალახი“), ქართ. **კატაბალახა**. სახელდების მოტივი („კატის ბალახი“) ამ ორი უკანასკნელი თხზული სიტყვისა (ხუნძურისაც და ქართულისაც) გასაგებია, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით იმ უჩვეულო ფაქტზე, რომ „კატის“ აღმნიშვნელი ფუძე **ქეთუ**, ცალკე აღებული სიტყვის სახით, და არა კომპოზიტის ნაწილად, ხუნძურ ენაში გამოიყენება, აგრეთვე, „ყურმნის მტევნის“ (!) მნიშვნელობით (ხუნძ.-რუს. ლექს., 2006: 353).

გვხვდება არაერთი კომპოზიტი, რომელთა შემადგენლობაშიც წარმოდგენილია „კვერცხის“ აღმნიშვნელი ფუძე **ხონო** (დიალ.**ჰონო**):

მურულხონო „რიყის ბრტყელი ქვა (საღესად იყენებენ)“ (← შურ-უ-ლ „მდინარის“ + ხონო „კვერცხი“);

ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **ქოლოტჰონო** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (ანწუხ. დიალ. **ჰონო** „კვერცხი“). დაუდგენელია მნიშვნელობა **ქოლოტჰ** კომპონენტისა, რომელიც უნდა შეიცავდეს ლოკატიური ბრუნვის -ტჰ („რადაცის ქვეშ“) ფორმანტს; შდრ. ლიტ. ხუნძ. **ჰატიხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ჰატ-ი-ლ „ტერფის“ + ხინკ „ხინკალი“); ანდალალური დიალექტის სუდრათლურ კილოკავში, ბაწადურ და ყაჰიბურ ნარევ კილოკავებში – **ზოხილხინკ** „კოჭი“, „კოჭის ძვალი“ (← ზოხ-ი-ლ „ფეხის“ + ხინკ „ხინკალი“); შდრ. ლაკურ ენაში **ზაკჩან** „id.“ (← ბაკ „თავი“ + ჩან „ფეხი“, „ტერფი“).

ლიტ. ხუნძ. **ზაზარხონო** „კვერცხის გული“, ზედმიწ. „წითელკვერცხი“ (← ზაზარ- „წითელი“ + ხონო „კვერცხი“); ყაჰიბურ ნარევ კილოკავში **ზაზარაბჰონო** „id.“, ზედმიწ. „წითელი კვერცხი“. ამის საპირისპიროდ, ანდალალური დიალექტის სალთურ კილოკავში გვაქვს **ზოხილხონო** „კვერცხის გული“, ზედმიწ. „ყვითელკვერცხი“ (← ზოხილ- „ყვითელი“ + ხონო „კვერცხი“), ამავე დიალექტის ქუდალიბურ თქმაში – **ზოხილაბ ყო** „id.“, ზედმიწ. „ყვითელი რამ“, ანწუხური დიალექტის თამურ კილოკავში – **მაჭაჰონო** „id.“, ზედმიწ. „ყვითელკვერცხი“ (ანწუხ. მაჭ-აბ „ყვითელი“, **ჰონო** „კვერცხი“); შდრ. რუს. **желток** „კვერცხის გული“ (← жёлтый „ყვითელი“) და სხვ.

ლიტერატურა

აბდულაევი 2015 – И. Х. Абдуллаев, Междагестанские и межкавказские языковые контакты. Историко-этимологические и ономастические исследования. Махачкала.

აბდულაევი 2018 – И. Х. Абдуллаев, Лакско-русский словарь. Махачкала.

ალიაჯიევა 2008 – З. А. Алигаджиева, Пережитки домонотеистических верований и обрядов у аварцев-андалальцев в XIX- начале XX в. (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук). Махачкала.

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბილისი.

არდოტელი 2009 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი.

ახვლედიანი 1960 – Г. С. Ахвледiani, Сборник избранных работ по осетинскому языку, I. Тбилиси.

ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981 – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლები თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა-მ). თბილისი.

გიუნაშვილი 1987 – ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო. თბილისი.

გუდავა 1954 – ტ. გუდავა, ქართულ-ხუნძური ლექსიკური შეხვედრების შესახებ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XV, №10. თბილისი.

დადაევი, სეფერბეკოვი 2012 – Ю. У. Дадаев, Р. И. Сефербеков, Мифологические персонажи традиционных верований аварцев-салатавцев. – Вестник Дагестанского научного центра, №45. Махачкала.

დაფქვიაშვილი 1955 – თ. დაფქვიაშვილი, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი. თბილისი.

დალესტნის ხალხები 2002 – Народы дагестана. Ответственные редакторы С.А. Арутюнов, А.И. Османов, Г.А. Сергеева. Москва [Религиозные верования. Автор: А.А. Ярлыкапов].

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი. თბილისი.

კომრი, ხალილოვი 2010 – Б. Комри, М. Халилов, Словарь языков и диалектов народов Северного Кавказа. Сопоставление основной лексики. Лейпциг-Махачкала.

მაცაშვილი 1961 – ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი.

მაჰომედოვა 2020 – Р.М. Магомедова, Особенности отражения магических представлений в аварском фольклоре. – Вестник Дагестанского государственного университета. Серия 2. Гуманитарные науки. 2020. Том 35. Вып. 4. Махачкала.

მესხიშვილი 2006 – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები). თბილისი.

ნიკოლსკაია 1959 – З. Я. Никольская, Религиозные представления и земледельческие обряды аварцев. – Сб. Вопросы истории религии и атеизма, VII. Москва.

ომარაშვილი 2001 – ნ. ომარაშვილი, მიწათმოქმედების კულტურა და აგრარული წეს-ჩვეულებები ხუნძებში. – ჟურნ. „ამირანი“. კავკასიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე, IV-V. თბილისი-მონრეალი.

საიდოვა 2008 – П. А. Саидова, Диалектологический словарь аварского языка, Москва.

საიდოვი 1967 – Аварско-русский словарь. Составил М.-С. Саидов, Москва.

სეფერბეკოვი 1998 – Р. И. Сефербеков, Номенклатура теонимов народов Дагестана. – IX международный коллоквиум европейского общества кавказоведов. Посвящается 100-летию со дня рождения академика А. С. Чикобава. Тезисы докладов. Махачкала.

სეფერბეკოვი 2002 – Р. И. Сефербеков, К характеристике некоторых мифологических персонажей аварцев-койсубулинцев. – Сб. Государство и религия в Дагестане. Информационно-аналитический бюллетень, № 3 2002. Махачкала.

სეფერბეკოვი რ., სეფერბეკოვი მ. 2009 – Р. И. Сефербеков, М. Р. Сефербеков, Мифологические персонажи традиционных верований аварцев-каратинцев. – Известия вузов. Северо-Кавказский регион. Общественные науки, №5. Махачкала.

ხალიდოვა 2004 – М. Р. Халидова, Устное народное творчество аварцев. Махачкала.

ხუნძ.-რუს. ლექს. 2006 – Аварско-русский словарь. Под редакцией М. М. Гимбатова. Махачкала.

LEVAN AZMAIPARASHVILI

On the Peculiarities of Denominating Objects with Compounds in the Avar Language

(Based on the Compounds Containing Zoonyms)

S u m m a r y

There are a number of compounds in the Avar language that are noteworthy in terms of linguistic worldview. In the compound word formation of this language, it is natural to use the base denoting another object as one of the components for denominating a certain object with a compound. Not only Avar but also other Daghestanian languages are quite rich in the compounds formed this way. Some

examples of such Avar compounds are as follows – **šurunqwerq** “turtle” (← **šurun** “bowl” + **qwerq** “frog”), **çadalhama** “snail” (← **çad-a-l** “of rain” + **hama** “donkey”), **ochuṭ** “beetle” (← **oc** “bull” + **huṭ** “worm”), **ṭuruoc** “scorpion” (← **ṭuru-l** “of a rock” + **oc** “bull”), **ral’dalgarç** “crab” (← **ral’d-a-l** “of the sea” + **garç** “grasshopper”), **becəwunḵ** “mole” (← **becə-ab** “blind” + **wunḵ** “mouse”), etc.

The paper discusses and analyzes compounds containing the bases that denote “donkey”, “bull”, “cow”, “cat” and “egg” from the onomasiological and semasiological point of view that are used when denominating body parts, plants, various animate and inanimate objects in Avar and Avar dialects, e.g. **hamaraṭpa** “shoulder blade” lit. trans. “donkey-bone”; **hamanaḵ** “oak”, lit. trans. “donkey pine”; **çadalhama** “snail”, lit. trans. “rain donkey”; **hamana** “male bee”, lit. trans. “donkey bee”; **ochuṭ** “beetle”, lit. trans. “bull insect”; **zuzuwaka** “wasp”, lit. trans. “buzzing cow”; **wubčiwaka** “cone”, lit. trans. “pine cow”; **kitihan** “mushroom”, lit. trans. “cat cheese”; **katixær** “valeriana”, lit. trans. “cat grass”; **wurulxono** “cobble”, lit. trans. “river egg”, etc.

The paper presents attempts to explain such denominations. For example, **hamaraṭpa** “shoulder blade”, lit. trans. “donkey bone”. The development of semantics seems as follows “donkey” → “animals for transporting goods” → “animals on which something is put (e.g. goods)” → “something to be put on” → “stand of something” → “support of something (e.g. bone)” → “shoulder bone/blade”. In this respect, the use of **hama** (“donkey”) as “stand, support” in the names of inanimate objects is noteworthy, e.g. **hama** “a stone for a saucepan on the hearth”, as well as “falsework”, lit. trans. “donkey”; **kinidul hamul** “cradle legs”, lit. Trans. “cradle donkeys”; **hama** “bridge (the device that anchors the strings to or holds the strings above the body of a stringed instrument)”, lit. trans. “donkey”, etc. In the compound **hamana** “male bee” (lit. trans. “donkey bee”) the development of meaning could have been as follows – “donkey” → “stubborn/bad-tempered” → “idle” → “useless”.

When analyzing Avar compounds, we used relevant material from different languages (Lak, Georgian and other Kartvelian languages, Indo-European languages, etc.) for comparison.

ნოდარ არდოტელი

მახვილი დიდოურ ენაში¹

ზოგადად, დაღესტნურ ენათა სინამდვილეში, კონკრეტულად კი, დიდოურ ენაში მახვილი ჯეროვნად შესწავლილი არ არის. მეტადრე ეს ითქმის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ექსპერიმენტულ კვლევაზე, რაც ესოდენ აქტუალურია ამა თუ იმ ენის ფონოლოგიურ სისტემაში ფონემათა დასახასიათებლად და სიზუსტით აღსაწერად. არა მარტო კონკრეტულად დიდოური ენისა, არამედ ერთობლივად ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ (resp. დიდოურ) ენათა მახვილის სიღრმისეულად კვლევის აუცილებლობაზე არაერთ წინამორბედ მკვლევარს გაუმახვილებია ყურადღება, თუმცა კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ნაკლებად წარმართულა. ეს გამოწვეული ჩანს, ერთი მხრივ, საკითხის სირთულით, მეორე მხრივ კი, სათანადო აუდიო მასალის სიმწირითა და შესაბამისი ტექნოლოგიების აუთვისებლობით [გუდავა 1953: 334, 336; იმნაიშვილი 1963: 21; ლომთაძე 1984: 3; ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 107...].

აქცენტუაციის საკითხებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს ლინგვისტური მახვილი იჭერს. **ლინგვისტური მახვილი ეწოდება ხმოვნის არტიკულაცია-მოძულაციის თავისებურებას, რომელიც ვლინდება დინამიკურობით (resp. ექსპირაციულობით) და ტონურობით (resp. მუსიკალურობით)**. სწორედ სიტყვათმახვილის ბუნების დადგენისას არის გამწვანებული დინამიკურ და ტონურ მახვილთა დომინანტურობის კოეფიციენტის განსაზღვრა, ვინაიდან მახვილის სახეობები ენებში ჩვეულებრივ თანაარსებობენ და ერთმანეთზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ. კერძოდ, გ. ახვლედიანი საგანგებოდ აღნიშნავს: „არც ერთ ამ დასახელებულ ენათაგანს არა აქვს მხოლოდ ერთი ტიპის მახვილი: მხოლოდ დინამიკური ან მხოლოდ ტონური...“ [ახვლედიანი 1999: 126-138]. არნ. ჩიქობავა ასე აყალიბებს თავის აზრს: „ენაში არ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური ანდა ტონური მახვილი, არამედ ჭარბობს ერთ-ერთი მათგანისათვის დამახასიათებელი მომენტები“ [ჩიქობავა 1952: 160]. ბუნებრივია, იბერიულ-კავკასიურ ენებშიც, მსოფლიოს სხვა ენათა ანალოგიურად, არაერთგვაროვანი ვითარება გვაქვს – ლინგვისტური მახვი-

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659). ამ სტატიის ერთი ნაწილი („**მახვილის საკითხისათვის დიდოურ ენაში**“) წაკითხულ იქნა საინსტიტუტო კონფერენციაზე: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXXII. თბილისი, 2021.

ლის სახეობათაგან წმინდა სახით არც ერთი მათგანი არ გვხვდება. ირკვევა, რომ ისტორიულად ინტენსიურ-დინამიკურ მახვილს მეტი გასაქანი უნდა ჰქონოდა, რასაც ცხადყოფს ამ მახვილისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით მიღებული დასკვნები. როგორც ჩანს, დიდოურ ენასაც, ქართველურ ენათა ანალოგიურად, უწინ ინტენსიურ-დინამიკური მახვილი მოეპოვებოდა, თუმცა ამჟამად მისი სიძლიერე საკმაოდ შერყეული და დასუსტებულია.

მართალია, დიდოურ ენათა მახვილი ნაკლებად არის შესწავლილი, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მაინც არის წარმოდგენილი მახვილის კვლევის ცალკეული ცდები. ზოგადად, დიდოურ ენათა, კონკრეტულად კი, საკუთრივ დიდოური ენის მახვილს სხვადასხვაგვარად (მეტწილად გაკვრით) და სხვადასხვა დროს რამდენიმე მკვლევარი შეეხო, მაგრამ ამ ენის მახვილის ბუნება და ადგილი დღემდე საპაექროა. კერძოდ, დიდოურ ენათა მკვლევარ-კავკასიოლოგებიდან ერთნი სუსტ-დინამიკურ მახვილს გამოყოფენ [იმნაიშვილი 1963: 21; ზოკარევი 1967: 406; ლომთაძე 1984: 12...], მეორენი მახვილის ტონურობას (resp. ფრაზის მახვილს) უსვამენ ხაზს და სიტყვათმახვილის არსებობას უგულებელყოფენ [კობრიკი, კობასოვი 1990: 318-331; ტესტელეცი 1993: 126...], ხოლო მესამეთ დუალისტური პოზიცია უჭირავთ და ერთგვარი დაეჭვებით ორივე სახის მახვილის თანაარსებობაზე საუბრობენ [ვან დენ ბერგი 1995: 28; ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015: 108...]. ე. ლომთაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა დიდოურ ენათა სიტყვათმახვილის საკითხები და ხანგრძლივი კვლევის შედეგები წარმოადგინა მონოგრაფიის სახით [ლომთაძე 1984], რომელზეც იაკ. ტესტელეცს გამოთქმული აქვს შემდეგი კრიტიკული შენიშვნა: „...монография особенно примечательна тем, что посвящена не существующему в действительности явлению – динамическому ударению в цезских языках“ [Тестелец 1993: 126]. ამასთანავე, მ. ხალილოვი, რომელიც ერთგვარად მხარს უჭერს იაკ. ტესტელეცის მოსაზრებას, თავადაც ე. ლომთაძის ანალოგიურსავე ახსნას გვთავაზობდა ბოლო დრომდე. კერძოდ, იგი დიდოური (resp. ცეზიური) ლექსიკონისთვის დართულ მოკლე გრამატიკულ მიმოხილვაში წერს: „Ударение в цезском языке можно охарактеризовать как динамическое, но слабо выраженное“ [ხალილოვი 1999: 914]. მ. ხალილოვი ავტორზე მიუთითებლად ფაქტობრივ იმეორებს დ. იმნაიშვილის დადგენილ წესებს [იმნაიშვილი 1963: 21-23], თუმცა, მისგან განსხვავებით, ზოგ სიახლეს მაინც წარმოგვიდგენს. კერძოდ, ავტორი სიტყვაში მახვილის ადგილს ბოლოკიდურ მარცვალთა სტრუქტურული მოდელით ადგენს, რაც ბოლომდე თანამიმდევრული არ ჩანს, ვინაიდან ბევრი გამონაკლისი უვლინდება. წესი (1): ორ- და სამხმოვნიან სიტყვათა სახელობითის დახურულმარცვლიან ფორმებს მახვილი სათანადოდ მეორე ან მესამე მარცვალზე მოუდის, ხოლო ღია მარცვლიან ფორმებს კი – სათანადოდ პირველსა და მეორეზე [ხალილოვი 1999: 914]. ანალოგიური სილაბური მოდელის ორ- და სამხმოვნიან სიტყვებს არაერთი გამონაკლისი მოეპოვება, მაგ.: ა) **დახურული ორმარცვლიანები**: კვმოტ „ყუთი“, შაღურ 1. „წისკვილი“, 2. „დოლაბი“, ჭაპან „თოკი“, მჭურუყ „ზღარბი“, ტურუყ „ხაფანგი“...; ბ) **დახურული სამმარცვლიანები**: რდულორ „შინისკენ“,

ადერთეუ „ადრიდანვე“, ცაყლუშაჲ „ჭკვიანი“, „გონიერი“ და ა. შ. (2) **ღია სამ-მარცვლიანები**: მტკოდი „მოზვერი“, პპარუ „მელოტი“, პრრდამუ „დალურჯე-ბული“, ყრყოტუ „კაკაბი“, კრკილი „ტყემალი“ და მრ. სხვ.

მაშასადამე, ზემომოყვანილი მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ სიტყვაში მახვილის ადგილი მარცვალთრაოდენობით კი არ არის განსაზღვრული, არამედ იგი მეტ-ნაკლებად სიტყვის ფორმასთან ჩანს დაკავშირებული [გუდავა 1953: 377; იმნაიშვილი 1963: 22]. ამასთან ერთად, მახვილის ადგილის განსაზღვრისას აუცილებელი გარდაუვალობით გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, სახელობითისა და ირიბ ბრუნვათა, მეორე მხრივ კი, მასდარისა და ზმნურ ფორმათა განსხვავება [იმნაიშვილი 1963: 22]. გარდა ამისა, ხუნძური ენის ანალოგიურად, საკუთრივ დიდოურში ხელშესახებია მახვილის უპირატესად თავმარცვალზე (resp. მეორე მარცვალზე) დამკვიდრების ტენდენცია: ა) წინა მარცვალს ეცემა: ლუთკუ „სახლი“, რჭჭა „ძალიან“, კტქოლი „კვიცი“, ჰრბოჲ „ახლა“, რრლუ „მიწა“...; ბ) მეორე მარცვალს მოუდის: ჯაც „შეშა“, კირრუ „შიშაგი“, ქოსრს „მოთიბა“, ჰობრჲ „ახლა“ და მისთ.

ჩვენი თვალსაზრისით, დიდოური მახვილი, მიუხედავად თავიდან ორი მარცვლის ფარგლებში დამკვიდრების ტენდენციისა, არაფიქსირებულია, ვინაიდან იგი შეიძლება მოუდიოდეს როგორც ძირ-ფუძისეულ მორფემებს, ისე აფიქსებსაც. ამასთანავე, მახვილს დისტინქციური ფუნქციაც მოეპოვება, მაგ.: ცახ „წერა“ – ცაზა 1. მედ. „აცრა“. 2. „ნიშანი“, „კვალი“, ბიშ 1. „ჭამა“, 2. „მოვება“ – ბრშა „საჭმელი“, წენა „წილისყრა“ – წენ „ჩქმეტა“, „პწვენა“ და ა. შ.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს სამზე მეტმარცვლიანი სიტყვა-ფორმები და ორცნებიანი კოორდინაციული კომპოზიტები, რომლებშიც ძირითად მახვილთან ერთად თანამახვილიც შეინიშნება, მაგ.: სემორაბი „ნუნები“, ქჩულობრუბი „წინაპრები“ (ზედმიწ. „პაპა-მამანი“), ინაჰ-ზრკუ სოკო (ზედმიწ. ღვინიო-სოკო), უტრუ-მესტდ მვირფასეულობა, ოქრო-ვერცხლი (ზედმიწ. ვერცხლოქრო) და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით, დიდოურ ენაში სუსტ-დინამიკური მახვილია დომინანტი, რომელიც ამ ნიშნით ერთგვარ მსგავსებას სალიტერატურო ქართული ენის მახვილთან ამჟღავნებს, თუმცა მისგან განსხვავდება ადგილითა და მოძრავი ბუნებით [ლომთაძე 1984: 136]. ამგვარი დასკვნა მხარდაჭერილი და გამყარებულია, ერთი მხრივ, გაბმულ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებით, ხოლო, მეორე მხრივ, იმ აუდიომასალით (ცალკეული სიტყვები, ფრაზები, წინადადებები), რომლებიც ჩვენს მიერ ადგილობრივ იქნა ჩაწერილი წინა საუკუნის 80-90-იან წლებში. სათანადო მახვილიან ხმოვანთა წარმოთქმისას აშკარად იგრძნობა სახმო სიმების არტიკულაციური დამაბულობა, რომელიც განაპირობებს შესაბამისი ხმოვნის უმნიშვნელო სიმაღლესა და სიგრძესაც. ამ საკითხს დამატებით დასჭირდება ექსპერიმენტული კვლევა, რაც, სათანადო ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო, ამჟამად ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. აღსანიშნავია ისიც, რომ გრძელი ხმოვანი, როგორც წესი, მახვილიანია, თუმცა დასტურდება უმახვილო გრძელხმოვნიანი გრამატიკული ფორმებიც, მაგ.: ესინ „ძამ“, ურლზლორ „საქართველოსკენ“, ბრ „ცოდნა“, „ცნობა“ და სხვ.

მახვილი გრძელ ხმოვანს ჩვეულებრივ მოუდის, რაც არცთუ იშვიათად საფუძველი ხდება სიგრძისა და მახვილის ურთიერთაღრევისა. შესაძლოა, ხანდახან მახვილი ხმოვანთა სიგრძესაც შეერწყას, თუ შერწყმის შედეგად მახვილიანი ხმოვანი გრძელდება [იმნაიშვილი 1963: 22], მაგ.: ე+ა: სახ. ოდრის (საკ. სახელი), ერგ. იდრისჟ < იდრისჟ -ა (შდრ. მიც. **იდრისჟ** -რ), ი+ა: ბჰვიჟი < ბრაჟიჟი „არ წავა“ და მისთ.

სავარაუდოა, რომ ისტორიულად დიდოურში უნდა გვექონოდა ძლიერ-დინამიკური მახვილი, ამჟამად კი შეინიშნება სუსტ-დინამიკური (ტონურობისკენ მიდრეკილი) მახვილი, რომელიც მიღებული ჩანს, ერთი მხრივ, დინამიკური მახვილის დასუსტებით¹, მეორე მხრივ კი, სიგრძისა და ტონის თანდათანობითი გაზრდა-განვითარებით [ლომთაძე 1984: 143].

ისტორიულად დიდოურში ძლიერ-დინამიკური მახვილის არსებობის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ სამიოდე ნარედუქციული მაგალითი: ცაზრ-ა (<ცაზერ-ა) „დაწერინება“, ბიკრს (<ბიკრსი) „წავიდა“, ჰუნრ-ხ (<ჰუნრ-ხო) „გზასთან“, „გზაზე“ და მისთ.

ამრიგად, დიდოური ენის მახვილის ანალიზი შემდეგი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: 1) დიდოურ ენაში სიტყვათმახვილის არსებობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს; 2) ამჟამად დომინანტობს სუსტი და არაფიქსირებული დინამიკური მახვილი, თუმცა ტონური მახვილის ელემენტების არსებობაც აშკარაა; 3) დიდოურ მახვილს დისტინქციური ფუნქცია მოეპოვება; 4) სიტყვაში მახვილის ადგილი სიტყვის ფორმასთან ჩანს დაკავშირებული; 5) დიდოურში გამოკვეთილია მახვილის თავმარცვალზე (resp. მეორე მარცვალზე) დამკვიდრების ტენდენცია; 6) ხანდახან მახვილი ხმოვანთა სიგრძეს -ერწყმის, რის შედეგადაც მახვილიანი ხმოვანი გრძელდება; 7) დიდოურში ისტორიულად ძლიერ-დინამიკური მახვილის არსებობის ვარაუდი საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.

ლიტერატურა

არდოტელი 2007 – ნ. არდოტელი, დიდოური ენა. თბილისი.

ახვლედიანი 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძველები. თბილისი.

ბოკარევი 1967 – Е. А. Бокарев, Цезский язык. – Языки народов СССР, IV. Иберийско-кавказские языки. Москва.

გუდავა 1953 – ტ. გუდავა, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა. – იკე, ტ. V. თბილისი, გვ. 327-393.

ვან დენ ბერგი 1995 – Van den Berg, H. A. Grammar of Hunzib (with texts and lexicon). Leiden.

¹ დინამიკური მახვილის დასუსტება წინაპირობაა მუსიკალური მახვილის წარმოქმნისთვის.

იმნაიშვილი 1963 – Д. С. Имнайшвили, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршийским языками. Тбилиси.

ლომთაძე 1984 – ე. ლომთაძე, სიტყვათმაცხვილი დიდოურ ენებში (შედა-რებით-ისტორიული ანალიზი). თბილისი.

ტესტელევი 1993 – Я. Г. Тестелец, К сравнительно-исторической фонетике цезских языков (реконструкция вокализма). – Проблемы фонетики. Москва.

ქომრი, ხალილოვი, ხალილოვა 2015 – Бернад Комри, Мажид Халилов, Заира Халилова, Грамматика бежтинского языка. Лейпциг-Махачкала.

ჩიქობავა 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი.

ხალილოვი 1999 – М. Ш. Халилов, Цезско-русский словарь. Махачкала.

NODAR ARDOTELI

Stress in Dido

S u m m a r y

The Dido language uses different types of stress on words. The weak-dynamic stress seems to be dominant, although the presence of tonal stress elements is also evident.

Despite the initial tendency to fall it on the first two syllables, the Dido stress is not fixed, as it can be on both root and base morphemes and affixes. The position of stress on the word seems to be related to the form of the word. In addition, the stress has a distinctive function, e.g. *caxá* “to write” – *cáxa* 1. med. “vaccination”. 2. “sign”, “trace”, *bíšá* “to eat” – *bíša* “food”, etc.

Historically, we could have had strong-dynamic stress in Dido, and now we can find weak-dynamic stress that seems to have been obtained, on the one hand, by weakening dynamic stress, and on the other hand, by gradually increasing the length and tone.

ნარგიზ ახვლედიანი, დიანა ახვლედიანი

ერთი გეოგრაფიული სახელწოდების განმარტებისათვის ბათუმის შემოგარენში

ტოპონიმი ისტორიული წყაროა. იგი ერთადერთი საბუთია ოდინდელი მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად. იმ დროისათვის, როცა წერილობითი გადმოცემა არ არსებობს, თუმცა თავისი ადვილად ცვალებადი ხასიათის გამო, ხშირად შეიძლება მკვლევართათვის მეტად სახიფათოც იყოს.

უძველესი, მწერლობამდისეული, ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ონომასტიკონს. ისტორიულ წყაროთა ამ კატეგორიის (პირის, გვარის, გეოგრაფიული ობიექტების სახელები...) მნიშვნელობა ადვილად საგრძნობია საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის ისტორიისათვის (ჯანაშია 1959: 118).

დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში ჩერქეზულ-ადიღური სუბსტრატი შეინიშნება.

საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია (ჯანაშია 1959: 122).

ყოველ რელიგიას თან სდევდა და სდევს თავისი მითოლოგია. თუ საქართველოში ერთ დროს მახდებელი რელიგია იყო გავრცელებული, მითოლოგიაც მახდებელი იქნებოდა (ამის უტყუარი დასტურია დევი, რომელმაც სწორედ ამ რელიგიაში შემოაღწია ჩვენთან და ზღაპრებშიც დაიმკვიდრა ადგილი). თუ საქართველოში ერთ დროს, როგორც ქართული მწერლობის შეუდარებელი ძეგლი „ქართლის მოქცევა“ (IV ს.) გვამცნობს, არმაზის კულტი იყო გაბატონებული, მითოლოგიური სამყაროც არმაზული იქნებოდა თავისი გაცით და განიმით. ქრისტიანულ ეპოქაში ძველმა მითებმა ხალხის ცნობიერებაში უკანა შრეებში გადაინაცვლა. შეიქმნა ახალი მითებიც. ქრისტიანულმა რელიგიამ ფოლკლორიზაციის შედეგად თავისი მითოლოგია, სადაც ქრისტიანული წმინდანები და ისტორიული პირები – მაგალითად (წმ. გიორგი, ვახტანგ გორგასალი, დავითი, თამარი), წმინდა საგნები (ჯვარი, ხატი, თას-ბარძიმი) ქრისტიანულად სასწაულოქმედებენ (კიკნაძე 2014: 5-6).

ჩვენ ხშირად გვაინტერესებს, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს, ეს თუ ის სახელი. ზოგიერთი მათგანის ახსნა არ წარმოადგენს დიდ სირთულეს. ასე მაგალითად, ზოგიერთი ციხისპირი ან ქარისსაქროლი, თუ ვაშლოვანი და ნიგვზიანი (თუმცა ესეც პირობითია), მაგრამ არის ტოპონიმები, რომელთა წარმომავლობის გარკვევა ერთი შეხედვით ჭირს და მათ შესახებ

თითქმის არავითარი თქმულება-გადმოცემა არ არსებობს (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ან, თუ არის, ისე დამახინჯებული და სახემეცვლილია, რომ მათი საშუალებით ახსნა თითქმის შეუძლებელია. საკმაოდ ძნელად ასახსნელ ტოპონიმთა რიგს განეკუთვნება სოფელ „ერგე“-ს სახელწოდებაც.

აკად. ი. ჯავახიშვილი ერთგან აღნიშნავდა: „აფხაზურს თუ შვიდეულის დღეების წარმართული ხანის სახელები ქართულის მსგავსად დავიწყებული აქვს. ჩერქეზებსა და დიდოელებს შემოუნახავთ და კარგად დაუცავთ. სამშაბათი შვიდეულის პანთეონში არიას, თახა-სთვის იყო განკუთვნილი (მეგრ. თახაშხა, სვან. თახაშ). ქართველთა ტომთა შორის არც ერთი არ მოგვეპოვება, რომელსაც ასეთი სახელის მქონებელი ღვთაება გააჩნდეს. სამაგიეროდ ქედს იქით, ჩრდ.კავკასიაში ადიღებს, ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს, ამის მსგავსი სახელი არამც თუ აქვთ, არამედ იქ ეს სიტყვა ღმერთის აღმნიშვნელ ზოგად სახელადაც არის ქცეული. სამშაბათს ჩერქეზულად ერკინაჩხა ჰქვია (ჯავახიშვილი 1950: 187).

ყაბარდოულსა და შაფსულურში შემორჩენილი კომპოზიტი ინახავს ერთ-ერთი წარმართული ღვთაების სახელს – იგერ, რომელიც, ისევე, როგორც ხალხური ერგე წარმართობანარევ ქრისტიანობაში წმინდა გიორგის ადგილს იკავებს (ჩუხუა 2017: 219).

ვახუშტი ბატონიშვილს ტოპონიმი „ერგე“ რამდენიმე გზის აქვს მოხსენიებული: „არამედ ვინადგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ვიწყებთ აჭარისწყლის შესართავიდან (ვახუშტი 1949: 134).

„...და ამ ართვინის სანახებიტურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე“ (იქვე: 136).

„...ამას ზეთ ჭოროხის კიდესა ზედა არს ერგე“... (იქვე: 176).

ექვთიმე თაყაიშვილი თავის რჩეულ ნაშრომებში ერთგან წერს: „ახლაც კია იქ, ბათომის მახლობლად, ზემოთ, ზღვისპირისაკენ, სოფელი „ეგრი“ (თაყაიშვილი 1968: 388).

დიმიტრი ბაქრაძე თავის „არქეოლოგიურ მოგზაურობაში აჭარასა და გურიაში“ იხსენებს „ელგა“-ს, მაგრამ იქვე მიუთითებს ვახუშტისთან დამოწმებულ „ერგე“-ს (Бақраძე Д. 1878: 33), რაც მოთხრობილი აქვს ი. ყიფშიძეს 1911 წელს თავის გამოსვლაში: „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“.

ალ. ლლონტი „ერგუმ“-ს სვანურ საკუთარ სახელთა რიგში მოიხსენიებს (ლლონტი 1967: 77).

აკად. ს. ჯანაშია თავის შრომებში ერთგან აღნიშნავს, ბერძნული egrik (პტოლემესთან) ეგროსის სახელწოდების ადგილობრივი ფორმის მცირედ დამახინჯებული გადმოცემააო. ამ ფორმის ერთი დღემდე შემონახული გადმონაშთი უნდა იყოს ზუგდიდის რაიონში დაცული „ერგეტა“ (ჯანაშია 1959: 6).

მკვლევარი და მოგზაური ჟან მურიე თავის თავის მოგზაურობისას აღნიშნავს: „სოფელი ერგე ტყეშია მიმალული“ (ჟან მურიე 1961: 31).

1969 წელს მკვლევარმა ა. ახვლედიანმა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს, ხულოში 85 წლის ადგილობრივი ინფორმატორისგან ჩაწერა მცირე გადმოცემა: „ერგე – თათრულა, ადრე მოსულიო თურქები

რო გამოვდენ, – როგორ დავაარსოთ თათრობაო“ – ერგელები ყველაზე ადრე მოვდენ და უთქვამთ: -ერდენ გელდილენო“ (ა. ახვლედიანი, პირადი არქივი).

კონსტანტინე გამსახურდია ერთ-ერთ თავის ნოველაში წერდა: „ერგე იყო ჩვენი მფარველი, მას ექვემდებარებოდნენ ცის მნათობები, ტაროსი და ავ-დარი. ტყეში რომ წვიმა მოგვისწრებდა დიდ ცეცხლს დავანთებდით – „ერგე-აშვას“ შემოვძახებდით (გამსახურდია, 1959: 99).

„ერგე“ აფხაზურად მიქელ-გაბრიელს ნიშნავს და ითვლება ამინდის მართვის, მთისა და ციურ სხეულთა ღვთაებად და მათ მოსახსენებლად კვირის შვიდეულიდან – სწორედაც – ორშაბათი და სამშაბათი დღე ითვლება.

საინტერესო ცნობებს ვხვდებით ამ სახელის შესახებ თ.სახოკიას ჩანაწერებში. თ.სახოკია აღწერს რა სამურზაყანოელ მწყემსთა ცხოვრებას, იგი იქვე საუბრობს მწყემსთა მფარველ ღვთაებაზე. მწყემსების ყველაზე დიდ მფარველად მთავარ-ანგელოზი მიქელ-გაბრიელი ითვლება, რომელსაც აქ „მიქამ-გარიო“-ს ეძახიან. მეორე სახელიცა ჰქვიათ „ერგე“. „მიქამ-გარიო“ არის პატრონი მთისა, მას მორჩილებენ ცის მნათობნი... მიქამ-გარიოს ნებაზე არის დამოკიდებული ელვა-ქუხილი და კოკისპირული წვიმის მოსვლა... როცა მთაში წვიმს, მწყემსები დიდ ცეცხლს დაანთებენ ხოლმე, გარს შემოუსხდებიან და ერგეაშვას („ერგე“- აფხაზურად მიქელ-გაბრიელი და „აშვა“-სიმღერა, ე. ი. მიქელ-გაბრიელის სიმღერას ამბობენ). უმღერიან მიქელ-გაბრიელს, ადიდებენ. ძლიერი ხარ, ჩვენ უშენოთ არაფერი შეგვიძლია, შენ გლოცულობთ, შენს წყალობას ნუ მოგვაკლებ, საქონელს ნუ შეგვიწუხებ“. შემდეგ თ.სახოკიას მოჰყავს იქვე გაგონილი თქმულებები, რომელთა მიხედვითაც „ერგე“ შემწეობს და დახმარებას უწევს მწყემსებს. იცავს მათ გაგულისებული ანგელოზებისაგან. მწყემსები თავის მხრივ, სწირავენ მსხვერპლს თავიანთ მსხნელ ღვთაებას: „ერთი თეთრი ვერძი, ერთი კრავი შენთვის შემომივლია, ჩვენო მხსნელო“ (სახოკია 1950: 290).

საერთოდ, თუ გავითვალისწინებთ იმ ცნობილ დებულებას, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთში შეინიშნება ჩერქეზულ-ადიღური სუბსტრატი, მაშინ, იქნებ ჩვენი ერგეც ამ ღვთაების საპატივცემულოდ შერქმეულ სახელად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

საკითხავია, რა პირობები არსებობდა ერგესა და მის მიდამოებში ამ ღვთაების (ღვთაებათა) დამკვიდრებისა?

აღნიშნული სახელწოდების (ერგე) ჩვენს სინამდვილეში დადასტურებას არ უარყოფს არც ერთი (ჩერქეზულ-ადიღური) და არც მეორე (ზანური) ენობრივი სუბსტრატის არსებობა. აქ, როგორც ცნობილია, ორივე აღნიშნული ენის მატარებელი ტომები სახლობდნენ, მაგრამ, თუ უკანასკნელის შესახებ ვიმსჯელებთ, მაშინ აუცილებელ პირობად ისახება ამ ღვთაების (სიტყვის) შიგლაზეთშიც დადასტურება. თუმცა, საკუთრივ ლაზეთშიც ამინდის მართვის ადგილობრივ ღვთაებებზე მოგვიანოდ, მთლიანად დომინირებს ელია (ელესა). არც ის არის შემთხვევითი, რომ ერთსა და იმავე ადგილას ერთდროულადაა შემონახული ორივე ღვთაების სახელწოდება (შდრ. ერგე და ელიაწმინდა). თანდათანობით მივიწყებას ეძლევა არაავტოქტონური ღვთაება, მისი სახელი

მხოლოდ სოფელს შემორჩა (ერგე) და დაახლოებით იმავე ფუნქციის მატარებელ ღვთაებას (ელია) ახალი ადგილი მიუჩინა. ერთი თითქმის მივიწყებას მიეცა და მთლიანად დაკარგა თავისი ფუნქცია, მეორე კი იძენს ანალოგიურ ფუნქციებს და დიდხანს ცოცხლობს ყოფაში. იგი ცოცხლობს არა მარტო ტოპონიმიაში („ელიას ციხე“, „ელიაწმინდა“ და სხვ.), არამედ ზეპირსიტყვიერებაშიც: „ელესა“, „ლაზარობა“.

როგორც ცნობილია, ერგე მეჯოგე ტომთა, მწყემსთა მფარველი ღვთაებაა. ვინც ერგეს და მის მიდამოებს იცნობს დაგვერწმუნება, რომ აქ საუკეთესო პირობები იქნებოდა (ბოლო დრომდე იყო!) საქონლის გამოზამთრებისა. საკუთრივ ერგე და მასთან მიმდგომი ორივე ხეობა: ხე (ვ) ყრუ (წყალგველად) და ჯოჭო (წყალჯოჭოს წყალი) თავიანთი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით თავისუფლად გამოაზამთრებდა კარჩხალისა და აჭარის ზოგიერთ სხვა ალპურ საძოვრებზე მყოფ საქონელს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მწყემსებს ამინდის მართვა და თავის სურვილზე მისი ღვთაების განწყობა, ყველაზე მეტად ზამთარში დასჭირდებოდა. კიდევაც მიუჩინა მწყემსმა აქ ამ მიდამოებში ამ ღვთაებას გარკვეული ადგილი. აქ სწირავდა იგი თავის საყვარელ ღვთაებას შესაწირავს და ლოცვას აღავლენდა მის სახელზე (ალბათ!). იქნებ ამიტომაც შეერქვა ამ ადგილს მწყემსთა ღვთაების სახელი ერგე (ღვთაების სახელების შერქმევა არაა უცხო ტოპონიმიაში: ელია, კვირია, თარანგულო – თარანგელოზი და სხვა).

ნიკო ბერძენიშვილის ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია სამოსთან დაკავშირებულმა ერთმა ტერმინმა (ეგრი „ეგრიახა“-მ) – იგი გვერდზე შეჭრილი შესაკრავსაყელოიანი სამოსია. ეგრი – მრუდს ნიშნავს, იახა – კი საყელოს. მასალა ჩაწერილია 1972 წელს ი.სამსონიას მიერ. რაც შეეხება ტოპონიმ „ერგე“-ს ეტიოლოგიას, მდებარეობიდან გამომდინარე ტერიტორია მთავარი გზიდან მართლაც ერთგვარი მრუდის სახითაა შეჭრილი ერთ მხარეს შეფენილობით.

ვფიქრობთ, ტოპონიმის სახელდების მოტივაციაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით შეიძლება იყოს განპირობებული.

ლიტერატურა

ბაკრაძე 1878 – დ. ბაკრაძე, Археологическое путешествие по Грузии и Ачара, С.-П.

ვახუშტი 1949 – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.

გამსახურდია 1959 – ვ. გამსახურდია, რჩეული თხზულებები, ტ. II, თბილისი.

თაყაიშვილი 1968 – ექვთიმე თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბილისი.

კიკნაძე 2014 – ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, თბილისი.

მურიე 1961 – ჯან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი.

სახოკია 1950 – თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბილისი.

ღლონტი 1967 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-ავხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1950 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი.

ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი ტოპონიმიკაში, შრომები, III, საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

NARGIZ AKHVLEDIANI, DIANA AKHVLEDIANI

On the Definition of One Geographical Name in the Locality of Batumi

S u m m a r y

Traces of the existence of the Circassian population can be found in the Black Sea region of western Georgia that is confirmed by the Circassian toponymy in some parts of the same territory.

The paper deals with one of the geographical names "Erge". We discuss the views of various researchers on the above-mentioned toponym. An explanation of the motivation for the geographical name is presented.

ამირან ბასილაშვილი

პირის ნიშანთა გამოყენების თავისებურებისათვის უდიური ენის ზინობიანურ მეტყველებაში

სოფელი ზინობიანი (ყვარლის მუნიციპალიტეტი) უდიების ერთადერთი კომპაქტური დასახლებაა საქართველოში. უდიები ჩვენთან მე-20 საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანიდან, სოფ. ვართაშენიდან (თანამედროვე ქ. ოღუზი) გადმოსახლდნენ.

უდიური ენა ორი დიალექტით არის წარმოდგენილი – ვართაშენული (ვართაშენულ-ზინობიანური) და ნიჯური. დიალექტურ სხვაობას საფუძვლად უდევს განსხვავება ენის ყველა კომპონენტში – ფონოლოგიურ სისტემაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში.

უდიური ენის ზმნა მორფოლოგიური კატეგორიების სიმრავლით არ გამოირჩევა, ჩამოყალიბებული სახით მხოლოდ პირის ნიშანთა სისტემაა წარმოდგენილი (დრო-კილოთა ფორმებთან ერთად). უდიურ ზმნაში მხოლოდ სუბიექტის პირი აღინიშნება (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნაში). სხვადასხვა ჯგუფის ზმნებთან პირის ნიშანთა სხვადასხვა სახეობა გვაქვს წარმოდგენილი (უდიურში ზმნების დაჯგუფებას საფუძვლად უდევს მასთან შეწყობილი სუბიექტის ბრუნვა: სახელობით-ერგატივი (სუბიექტი ან სახელობითშია ან ერგატივში), მიცემითი, ნათესაობითი.

პირის ნიშნები, რომელთა გამოყენების თავისებურებასაც წერილში ვეხებით, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ზმნებთან გვხვდება (I ჯგუფი). ესენია მხოლობითი რიცხვის II და III პირის ფორმანტები: **-ნუ//ნ** და **-ნე//ე**.

ზინობიანელი უდიების მეტყველებაში ზმნის მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ფორმათა წარმოებისას შეინიშნება ნიჯური დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურება. როგორც ცნობილია, უდიური ენის ნიჯურ კილოში მხ. რიცხვის მესამე პირის ნიშნად გვაქვს **-ნე//ე** ფორმანტები. მათი გამოყენება ზმნის ფუძეზეა დამოკიდებული, **-ნე-** დაერთვის ხმოვნით დამთავრებულ ფუძეს, **-ე-** კი –თანხმოვნით დამთავრებულს (ფანჩვიძე 1974: 137, ჯეირანიშვილი 1971: 85, ლოლუა 2010: 125-126). ვართაშენულში მხოლოდ **-ნე** სუფიქსი დასტურდება. საილუსტრაციოდ მაგალითებს მოვიყვან ევგ. ჯეირანიშვილის „უდიურ ენას“ დართული ქრესტომათიიდან, ხოლო შემდეგ ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალიდან.

ვართ. *შულენ ჰარაქტ-თე¹-ბსად კოკწლო ბაპანედ.*

ნიჯ. *თულქინენ ჰარაქტ-ე-ბსად კოკოწხო პაპანედ.*

„მელა ცდილობდა ქათმებს მისწვდომოდა“.

ვართ. *ექ კოჯინ ჰეივან-ნე, ადამარი ქრმაგ-ნე.*

ნიჯ. *ექ კოჟინ ჰეივან-ე, ადამარი ქრმაგ-ე.*

„ცხენი შინაური ცხოველია, ადამიანის შემწეა“.

ვართ. *ქალა კავანებ ნამ-ნე-ბე.*

ნიჯ. *ქალა ოჩალა ნამ-ე-ბი.*

„დიდი მინდორი დანამა“.

ვართ. *ქეჩინენ-ნე-ქაჲ ჰაპლულახ.*

ნიჯ. *ქეჩინენ-ე-ქაჲი განუ.*

„თხამ შეჭამა ვენახი“ (ჯეირანიშვილი 1971: 183, 188-190).

ჩემ მიერ ჩაწერილი მასალიდან²:

ზინობ. *ვი ხუნჩი ეთარ-ე?*

„შენი და როგორ არის?“

ზინობ. *გიორგი ზახო ალაღუ ღარ-ე.*

„გიორგი ჩემზე მაღალი ბიჭია“.

ზინობ. *ვი ბაბა ხოდახ ქიშკალ-ე.*

„მამაშენი ხის მთლელია“.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი ისე მყარად არ არის გატარებული ზინობიანურ მეტყველებაში, როგორც ნიჯურ კილოში:

ზინობ. *ტე ქური ციღალ ღარ ბეზ იოღდამ-ნე.*

„ის ორმოში ჩამსვლელი ბიჭი ჩემი მეგობარია“.

ზინობ. *დამუნ სელ აღალა ბაქალ-ლე (← ნე).*

„ხვალ ძლიერი წვიმა იქნება“.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ -ნე → -ე გამარტივების პროცესში ზინობიანურში ბოლომდე არ არის დასრულებული.

გარდა ამისა, ინფორმატორის მეტყველებაში დაფიქსირდა მხ. რიცხვის მეორე პირის მაწარმოებელ -ნუ (//-ნ) აფიქსში -ნ ელემენტის გაუჩინარება და პირის მხოლოდ -უ სუფიქტით გამოხატვა (აღსანიშნავია, რომ ასეთი პროცესი არც საკუთრივ ვართაშნულ და არც ნიჯურ დიალექტში არ გვაქვს, შდრ.: ვართ. -ნუ //→ -ნ; ნიჯ. -უნ //→ -ენ //→ -ნ):

¹ -ნე → -თე მიღებულია ფუძისეულ ბოლოკიდურ თ-სთან პროგრესული სრული ასიმილაციით.

² 2016 წლის ზაფხულში, აგვისტოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის რეკომენდაციითა და ამავე ფაკულტეტის ფინანსური მხარდაჭერით უდიური ენის პრაქტიკული შესწავლის მიზნით ვიმყოფებოდი სოფ. ზინობიანში. აღნიშნული მასალა სწორედ ამ მივლინების დროს ჩავიწერე. ჩემი ძირითადი ინფორმატორი იყო ქალბატონი ოღლა ტიგიროვა-ქუმსიაშვილი. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ამ ოჯახს – ქალბატონ ოღლას, ბატონ ტარიელს და მათ შვილს, გიორგის, გულღია მასპინძლობისთვის. ასევე, ყველა იმ ადამიანს, ვინც ზინობიანში გავიცანი და გავესაუბრე. მივლინების ანგარიში წერილობითი სახით წარედგინა ფაკულტეტის დეკანატს, მოხსენებად კი წავითხუთ იქნა კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან არსებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხდომაზე 2016 წლის 27 ოქტომბერს.

ზინობ. *დავაშ თაღალ-უ, ახელ ბაქალ-უ.*

„ნელა იარე, შორს წახვალ“ (ზედმიწ.: „ნელა წახვალ, შორს იქნები“).

ზინობ. *ყედრიტა ლახო მა ახშუმფა, ახშუმკალა ბაქალ-უ უნ.*

„ნუ დასცინი სხვას, გადაგხდება თავს“ (ზედმიწ.: „სხვაზე ნუ გაიცინებ, სხვასავით გახდები შენ“).

როგორც ჩანს, უდიური ენის ზინობიანურ მეტყველებაში ზმნის მხ. რიცხვის მეორე და მესამე პირის გამოხატვა პირის ნიშანთა სრული ფორმანტით მერყეობას განიცდის (ზოგჯერ იკარგება თანხმოვნითი ნაწილი: -ნე → -ე, ნუ → -უ).¹

ლიტერატურა

ლოლუა 2010 – რ. ლოლუა, უდიური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი).

ფანჩვიძე 1974 – ვლ. ფანჩვიძე, უდიური ენის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ჯეირანიშვილი 1971 – ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა (გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი), თბილისი.

AMIRAN BASILASHVILI

The Peculiarity of the Use of Pronouns in the Zinobian Speech of the Udi Language

S u m m a r y

The village of Zinobiani (Kvareli Municipality) is the only compact settlement of Udis in Georgia. Udis came to Georgia from the village of Vartasheni (known as Oghuzi), Azerbaijan at the beginning of the 20th century.

The Udi language is represented by two dialects – Vartashnuli (Vartashnul-Zinobian) and Niji. The dialectal differences are depicted in all components of the language – phonological system, morphology, syntax and vocabulary.

We would love to discuss the peculiarity of the use of pronouns, which are

¹ უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ინფორმატორი ვართაშენიდან ზინობიანში გამოთხოვილი უდია. არ არის გამორიცხული, პირის ნიშანთა გამოყენების ასეთი ტენდენცია საკუთრივ ვართაშულ მეტყველებაშიც იჩენდეს თავს.

found with nominative and ergative verbs. These are the formants of the second and third person singulars: **-nu//*-n*** and **-ne//*-e***.

The characteristic of the Niji dialect is observed in the production of the third person forms of the singular in the speech of the Zinobian Udis, in particular, the suffix **-e** is found with the consonant-ending stems, however, it should be noted that this rule is not as well-enforced in Zinobian speech as in the Niji dialect. It is possible to think that in the process of simplification **-ne** → **-e** is not fully completed in Zinobian.

In addition, the in formant's speech revealed the disappearance of **-n** element in the production of the **-nu** (**//*-n***) affix of the second person singular and the expression of the pronoun only with the suffix **-u**. (It should be noted that we do not have such a case in our own Vartashnian or Niji dialect).

It seems that in the Zinobian speech of the Udi language, the expression of the second and third person singular in the full formant of the person is being fluctuated (sometimes the consonant part is lost: **-ne** → **-e**, **nu** → **-u**).

თეა ბურჭულაძე

პიესის ენის ზოგი თავისებურებისათვის

თანამედროვე ენათმეცნიერებაში მეტად აქტუალურია ზეპირი მეტყველების კომპლექსურად შესწავლის საკითხი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მისი როგორც თავისებური ინტონაცია და სიტყვათგანლაგება, ასევე წინადადებათა სპეციფიკური სინტაქსური აგებულება. ის მეტად მრავალფეროვანია და, რაც მთავარია, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ენის ამოუწურავ შესაძლებლობებს.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ზეპირი მეტყველება არის სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წინასწარ მოუმზადებელი, არაოფიციალური საუბარი, რომელიც ძალდაუტანებლად მიმდინარეობს. მკვლევარი ლ. კვანტალიანი სამართლიანად მიიჩნევს, რომ გაბმული მეტყველება სალიტერატურო ენის ფუნქციური სტილი კი არ არის, როგორც ამას აქამდე მიიჩნევდნენ, არამედ ცალკე სისტემაა, რომელსაც კვლევის სხვა კრიტერიუმები აქვს (კვანტალიანი 1990: 4).

განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველება, რომელშიც სამეტყველო სიტუაცია უფრო მდიდარია. მას ახასიათებს სიტუაციურობა. სიტუაციას ეკუთვნის ყველაფერი ის, რაც, როგორც ცნობილია, შეიძლება გამოიყენებოდეს მეტყველების პროცესში.

ცხადია, ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხების დეტალური კვლევა აუცილებელია ენობრივი თავისებურებების უკეთ გამოსავლენად. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას სხვადასხვა სახის წინადადებებში შემავალი კომპონენტების სპეციფიკური შინაარსობრივ-სტილისტიკური შეფერილობა და სინტაქსური დანიშნულება. სასაუბრო ენაზე სისტემურმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზეპირ მეტყველებაში გამოვლენილი რიგი დამახასიათებელი ნიშნები მწერლობაში, მხატვრული თხზულებების ენაშია გადასული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიალოგური მეტყველება (საუბარი). სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ყოველგვარი სიტყვიერი კომუნიკაცია, მონოლოგურიც კი, თავისი შინაგანი ბუნებით დიალოგურია... მთლიანობაში ნებისმიერი ტექსტი მეტ-ნაკლებად მაინც ამჟღავნებს დიალოგურ ბუნებას“ (ზექალაშვილი 2012: 7).

გამოყოფენ ქართული დიალოგური მეტყველების ჯგუფებს, რომლებშიც მთავარ მადიფერენცირებელ ფაქტორად მიჩნეულია საუბრის წარმოშობის ხასიათი ანუ სივრცულ-დროითი დისტანცია მოსაუბრეთა შორის: 1. უშუალო (პირისპირი) და 2. გაშუალებული (თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებითა და მასმედიით). უშუალო საუბრები განსხვავდება კომუნი-

კანტა შორის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისტანციის მიხედვით (ნაცნობობა და საქმიანობა). ესაა სიმეტრიული საუბრები (ნაცნობებსა და ნათესავებს შორის: ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და კოლეგებთან). ცალკე სახეობად გამოყოფილია საუბრები სუფრასთან. ასიმეტრიულადაა გააზრებული ყოველდღიური ყოფითი საუბრები: უცნობებს შორის (მომსახურების სფეროში, ტრანსპორტში, მაღაზიებსა და ბაზარში) და დიალოგები კულტურულ-გასართობ სფეროში (ზექალაშვილი 2012: 47).

საინტერესო ენობრივი მოვლენები იკვეთება გაბმულ მეტყველებაზე დაკვირვებისას. განსაკუთრებით თავისებურია პიესებში გამოყენებული დიალოგური თუ სხვა სახის წინადადებათა წყობის სპეციფიკა, რომელიც, ცხადია, ყოველდღიურ ზეპირ მეტყველებაშიც ვლინდება და დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ავტორები პიესებში ხშირად იყენებენ სახელდებით წინადადებებს. როგორც ცნობილია, ცალკე ჯგუფს ქმნიან უშემასმენლო ფორმები, რომელთაც ნომინატიურ (სახელდებით) წინადადებებს უწოდებენ. ის კომუნიკაცივს წარმოადგენს. ამგვარ კონსტრუქციებში არ გვაქვს შემასმენელი და არც მისი აღდგენის საჭიროება იგრძნობა. მთავარი წევრი გაფორმებულია როგორც ქვემდებარე და აღნიშნავს საგანს სიტუაციასთან მიმართებით (კიზირია 1987: 67-6): „ძველი, დაულაგებელი ოთახი. კედელთან ტახტი, მაგიდა და რამდენიმე მორყეული სკამი. კუთხეში პატარა მაცივარი... (ზამალუა, „ღამე და თუთიყუში“)... „ოთახი სცენის ცენტრში. მაგიდა, სკამები“ (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“); „დევის ოთახი. მაგიდა, სკამები, ტახტი... (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“).

როგორც წესი, პიესებში ამგვარ სახელდებით წინადადებებს ახლავს ჩვეულებრივი წინადადება, რომელიც ან მოსდევს ან წინ უძღვის მას: „ძველი, დაულაგებელი ოთახი. კედელთან ტახტი, მაგიდა და რამდენიმე მორყეული სკამი. კუთხეში პატარა მაცივარი. **ოთახს ერთადერთი ნათურა ანათებს. ნათურის სუსტ შუქზე ბუნდოვნად მოჩანს გაფხეკილი შპალერი, მარჯვნივ, პატარა მაგიდაზე დგას გალია. გალიში თუთიყუშია**“... (ზამალუა, „ღამე და თუთიყუში“)... „ოთახი სცენის ცენტრში. მაგიდა, სკამები. **მაღალ ძველებურ ზანდუკზე გიტარას ჩახუტებულ კოსტას სძინავს**“ (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“); „დევის ოთახი. მაგიდა, სკამები, ტახტი. **მაგიდის ფეხს ორლულიანი, გადაჭრილი თოფი აქვს გამოზმული თოკით ჩახმახზე** (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“); ნომინატიური წინადადებები პიესაში მკითხველისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებისთვის, გარემოს აღწერისა თუ მოვლენების მკითხველისათვის გასაცნობად გამოიყენება.

ამავე დანიშნულებით ჩანს პიესებში რეკლიკები, განზოგადებული მოქმედებისა თუ ნათქვამის გამომხატველი სიტყვები, რომლებსაც ავტორი ფრჩხილებში მიუთითებს ხოლმე. ასეთ შემთხვევებში მრავალგვარია წარმოდგენილი სათქმელის სემანტიკა – იქნება ეს როგორც პერსონაჟის გრძნობასა და სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე მინიშნება, ასევე აღსაწერი მოვლენის ჩვენება, ყოფითი სურათის ამსახველი სურათის მითითება და სხვა

დეტალები. ამგვარად გამოყენებული განზოგადებული ნათქვამი მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება:

1. პერსონაჟის ემოციების, სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის აღსანიშნავად:

- რაო, ეს რა გვაკადრეს, გიო?
- **(უსაზღვრო გაოცებით)** მორფინისტიო?
- **(ბუზღუნით)** ფანჯარა მაინც გააღეთ, თავი ამხადა ამ რასტვორიტელის სუნმა!
- ყელამდი... ასე მინდა
- **(ინტერესით)** მერე? (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა რომ სველია სველი იასამანი“).
- ჰა, ჰა, ჰა, ჰა **(იციანის)**, მეც...
- ვერ ხედავ, რომ მჭირდება? **(ისევ დიღინებს)** (თ. ბართია, „სარკე“)
- (ენის ბორძიკით) მ...მ... მობრძანდით, ბატონო (ნ. კუპრეიშვილი, „თამაშით შეპყრობილი“)

2. ზოგადი სურათისა თუ მოვლენების აღსაწერად:

- **(პაუზის შემდეგ)** ინდიელი ბელადი... მოკლედ, არ მირიგდები? (ლ. თაბუკაშვილი, „მერე რა, რომ სველია ცველი იასამანი“)
- **(ჩანთას ხსნის და სარკეს ჩადებს. რაღაცას დაინახავს და ისევ გახსნის)** აქ ყოფილა, ტყუილად მაძებნინებ? (თ. ბართია, „სარკე“)
- **(მოხილურს ჯიბეში იღებს)** პივა ხომ არ დავლიოთ? (ზ. ბურჭულაძე, „ვინტის მოლოდინში“)

3. ადრესატის მისათითებლად:

- **(ლილის)** შესანიშნავად მუშაობთ, გმადლობთ (ნოდარის გამოხედვას);
- **(თამრის)** რა არავითარ შემთხვევაში, ქალბატონო, ვერ გაგიგეთ?! (ი. სამსონაძე, „კლინიკური ქორწინება“)
- **(პროკურორს)** თქვენ ვერ გამიგეთ, მე არაფერი დამიშავებია და არც ვაპირებ (ბ. ჯანიკაშვილი, „დიქტატურა“).
- **(მოქალაქეს)** მე, ჩემო ბატონო, ვერაფრით დაგეხმარებით (ბ. ჯანიკაშვილი, „დიქტატურა“).

პიესებში ავტორები ზოგჯერ ელიფსური თუ რთული შეკვეცილი სახის წინადადებებს იყენებენ – რამდენადაც ზეპირ მეტყველებას სპონტანურობა, აზრის გამოხატვის დაუსრულებლობა ახასიათებს (ასევე შეკუმშული გამოხატუებები, ერთი შინაარსიდან სხვა კონტექსტზე გადასვლა), ამიტომ ეს ყოველივე პერსონაჟის მეტყველებაში და დიალოგისას ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „დიალოგების **სპონტანურობა** გულისხმობს აზრის ჩამოყალიბებას საუბრის პროცესში, რის გამოც მოსაფიქრებლად აუცილებელია შესვენება ან დაწყებული გამონათქვამის ფორმის შეცვლა, ზოგჯერ სინტაქსური თავისებურება გამოწვეულია საუბრის ჩქარი ტემპითაც. ალბათ ამ მიზეზებით უნდა აიხსნას შეწყვეტილი კონსტრუქციები, ელიფსური წინადადებები, შეკუმშული გამონათქვამები“ (ზექალაშვილი 2012: 132).

პიესებში ზოგჯერ პერსონაჟი სათქმელს მხოლოდ მთავარი წინადადებით გადმოსცემს, გაგრძელება და აზრის დასრულება არ ჩანს (რომელიც დამოკიდებული წინადადებით უნდა დამთავრებულიყო). ძირითადად ასეთი სტრუქტურა გამოყენებულია მთქმელის ემოციური ფონის დროს, როცა ის თავისი გრძნობების გადმოცემისას ბოლომდე ვერ აყალიბებს სათქმელს და დასრულების შინაარსის ამოცნობა და მიხვედრა მსმენლის პრეროგატივაა: „ისე ცხადად ვხედავდი ყველაფერს, რომ... (ბამალუა, „ღამე და თუთიყში)... „...ეს ცუდია, ექიმი აუცილებლად... ძალიან ცუდია“ (ბართაია, სარკე); „თუ ვერ გაიგეს, მაშინ...ჯერ ისევ სძინავთ (თ. ბართაია, „სარკე“); „ვამე, დედიკო... ცუდად... ეს როგორ შეიძლება?“ (ბართაია, სარკე); „მე... მე უბრალო გამყიდველი ვარ...დღეში შვიდ ლარად... მე როგორ...“ (ი. სამსონაძე, „კლინიკური ქორწინება“); „კაცმა რომ თქვას, მაგის ადგილას მეც...“ (ი. სამსონაძე, „კლინიკური ქორწინება“); „უბრალოდ სიცხიანი საჭეს როგორ მივუჯდე... მესმის... როგორც კი გამოვკეთდები...“ (ნ. კუპრეიშვილი, „თამაშით შეპყრობილი“). ამგვარი სტრუქტურა, ბუნებრივია, თავს იჩენს არა მხოლოდ პიესებში დიალოგის გადმოცემისას, არამედ ყოველდღიურ გაბმულ მეტყველებაშიც, როცა მოსაუბრის შინაგანი მდგომარეობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სავსეა ემოციური ფონით. ეს შეიძლება იყოს როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი ემოციების გამოხატვისას, როცა გრძნობები იმდენად მოძალეებულია, რომ სათქმელს თავს ვერ უყრის და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით ცდილობს გამოხატოს სათქმელი.

ზოგჯერ კი ამგვარი სტრუქტურულად დაუმთავრებელი წინადადებების შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პერსონაჟის ემოციური ფონის გამო შინაარსის დაუსრულებლობის შესახებ: „რაც არ მითამაშია, იმ როლებს მივვარდებოდი თუ დაჩმორებული... (აზრის დასრულებას ვერ ახერხებს) (ნ. კუპრეიშვილი, „თამაშით შეპყრობილი“).

როგორც ცნობილია, გაბმული მეტყველების სინტაქსური ერთეულები სტრუქტურულად და სემანტიკურად სხვადასხვაგვარია. ტრადიციულად გამოყოფენ ორ სახეს: ჯაჭვურკავშირიანსა და პარალელურკავშირიანს (კვაჭაძე 2010: 504). ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი კი შეკვეცილი კონსტრუქციებია. ზოგადად მიიჩნევა, რომ კვეცას იწვევს სხვადასხვა ფაქტორი: კონტექსტურ-სიტუაციური, ექსპრესიულ-ემოციური. კვეცის საფუძველი ყველა შე-

მთხვევაში ეკონომიის პრინციპია – ენა ცდილობს, სადაც შესაძლებელია, აერიდოს განმეორებას, დაამოკლოს შემადგენელი ნაწილები და ისე შეამჭიდროოს ისინი, რომ გაგებინება არ დაზარალდეს (კვანტალიანი 1990: 7).

კონსტრუქციების კვეცა, ძირითადად, დამახასიათებელია სასაუბრო ქართულისათვის, თუმცა ის სამწერლობო ენაშიც არის გადასული, მათ შორის პიესებშიც. ამ თვალსაზრისით მათში ერთი სინტაქსური თავისებურება შეიმჩნევა. დასტურდება ისეთი შეკვეცილი კონსტრუქციები, რომლებშიც მთავარი წინადადება კომპონენტების მხოლოდ ნაწილითაა წარმოდგენილი (ძირითადად, მხოლოდ ერთი წევრით) და ქვემდებარე-შემასმენელი არ ჩანს. ასეთ შეკვეცილ წინადადებას მოჰყვება დამოკიდებული წინადადება: „უკაცრავად, ვისი ბედი უნდა მალეღვებდეს? **იმ შეილის**, რომელიც დედას ათასჯერ ეკითხება“ (ნ. კუპრეიშვილი, „თამაშით შეპყრობილი“); „ის ზოროტების საწყისისთვის შეწირული კეთილი სულია, რომელიც მწერალს გამოყვანილი ჰყავს ღვთის სახით, მაგრამ ნაწარმოებში შემოყვანილი ჰყავს როგორც ისტორიული გმირი და არა მაცხოვარი. **გმირი**, რომელიც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას და მნიშვნელოვანებას სძენს ნაწარმოებს“ (თ. ბართია, „სარკე“).

ამგვარ სტრუქტურაში ზმნა-შემასმენელი იგულისხმება წინა წინადადებით – **იმ შეილის ბედი უნდა მალეღვებდეს**. გარდა შემასმენლისა, ნაგულისხმევია ქვემდებარეც (ბედი). ასევეა სხვა შემთხვევაშიც – მთავარი წინადადება შეკვეცილია და წარმოდგენილია მხოლოდ ერთი წევრით, უშემასმენლოდ, წინა წინადადებით კი იგულისხმება ზმნა **არის** – **ეს არის გმირი...** დასახელებული სტრუქტურის წინადადებები ერთგვარი სტილური დანიშნულებისაა.

დასტურდება ისეთი ჰიპოტაქსური წინადადებები, რომლებშიც დამოკიდებულ წინადადებად გამოთქმა ან სხვისი ნათქვამია გამოყენებული: „არა... მარტო იმისთვის მეკონტაქტები, **”ეს სად არის, ის სად არის” მკითხო...**“ (ნ. მირზიაშვილი, „მაცეკვე ტანგო“); „მე შენ გაჩვენებ, **როგორ უნდა ”დამანებე” მკითხო...**“ (ნ. მირზიაშვილი, „მაცეკვე ტანგო“); „მე ყოველთვის გეკითხები... თვალეებით... უნდა გითხრა, **რომ თვალეებით და ”ამირან გულში მღეროდა” ამომივიდა ყელში!**“ (ნ. მირზიაშვილი, „მაცეკვე ტანგო“). ამგვარი ფორმები უცხო არაა ქართულისათვის. როგორც ცნობილია, ზოგჯერ ქვემდებარე გადმოიცემა არსებითი სახელის მნიშვნელობით ხმარებული ზმნიზედით, თანდებულთ, კავშირით, ნაწილაკით, შორისდებულთ, ზმნის პირიანი ფორმითა თუ ასობგერით. შესაძლოა ეს იყოს საკუთარი სახელი (გეოგრაფიული, ისტორიული მოვლენების, წიგნების, ამა თუ იმ თხზულების ან მისი ნაწილის სახელწოდება დ სხვ.), რომელიც გადმოცემულია მთელი წინადადებით ან სიტყვათა შეკავშირებით. ის წინადადებაში ერთი წევრია (კვაჭაძე 2010: 88).

ზეპირ მეტყველებაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა კვეცისას მთავარი კომპონენტი ან სულ იკარგება, ან პრედიკატს კარგავს. მთავარი კომპონენტებიდან შენიშნულია **სულერთია, ვინ იცის, რა ვქნათ...** ფორმების კვეცა (კვანტალიანი 1990: 8). დასტურდება ისეთი სტრუქტურის რთული წინადადებები, რომელთა დამოკიდებულ წინადადებებში ზმნა-შემასმენელი არაა და იგულისხმება მთავარში არსებული ზმნა. ეს ისეთი კონსტრუქციებია, რომელ-

თა დამოკიდებულ ნაწილში ზმნა-შემასმენლის გამოყენების საჭიროება არცაა, მარტივად იგულისხმება მთავარი წინადადებით: „**უფრო მიმიე თუ არა**, უკეთეს მდგომარეობაში არც თქვენ უნდა იყოთ“ (ი. სოლომნიშვილი, „იყო და არა იყო რა“); „**კანონებისა თქვენზე უკეთ არა**, მაგრამ მეც რაღაც გამეგება“ (ი. სოლომნიშვილი, „იყო და არა იყო რა“).

წიმუშები ზეპირი მეტყველებიდან: „**საკანდელიძე ახალგაზრდულ ნაკრებში შარშანდელზე უკეთ თუ არა**, არც უარესად იასპარეზებს“; „**ეს ყველა თქვენგანმა ჩემზე უკეთ თუ არა**, ჩემსავით მაინც იცის!“; „**უახლოეს მომავალში მათი საქმეები უკეთ თუ არა**, ამაზე ნაკლებ არ უნდა წარიმართოს“; „**უფროს ძმებზე უკეთ თუ არა**, ნაკლებად მაინც არ ითამაშებენ“.

ზოგჯერ კი ამ ტიპის წინადადებებში დაკარგულია და იგულისხმება, ამოსაცნობია ზმნა, ძირითად ყოფნა-მქონებლობის სემანტიკის ზმნები ივარაუდება ხოლმე: „**შენისთანა უტვინო შეილი რომ არა**, იქნებ მეტისთვისაც მიეღწია (ი. სოლომნიშვილი, „იყო და არა იყო რა“) – იგულისხმება ზმნა **მყოფობა**. ხშირია ის ზეპირ მეტყველებაშიც: „**შენ რომ არა**, უფრო თბილის დაღევა მოგვიხდებოდა ორსავეს“; „**მე რომ არა**, მისცვივდებოდნენ და ხელის ფათურს დაუწყებდნენ“ – ივარაუდება **ყოფილიყავი, ვყოფილიყავი** ზმნები.

გაბმულ მეტყველებას ასევე ახასიათებს ერთი და იმავე ზმნის ერთსა და იმავე დროში გვერდიგვერდ გამოყენება. ამგვარი ფორმები პიესებშიც დასტურდება: „**გვეძებონ და გვეძებონ**, რო გასკდნენ, მაინც ვერ გვიპოვნიან“ (თ. ბართაია, სარკე); „**ღმერთო ჩემო**, ხომ შეიძლება მართლაც მოკლას? **მოკლას და მოკლას...**“ (თ. მეტრეველი, „შემოღილი ახალი წელი“).

ცნობილია, რომ დიალოგურ მეტყველებაში გამოიყოფა ერთგვარი შინა-არსობრივ-მოდიფიკაციური სიგნალები. ისინი მთქმელის ან მსმენლის ნათქვამისადმი დამოკიდებულებას გამოხატავენ, შეფასება-კომენტირებას, აღიერიებენ ან არბილებენ კატეგორიულობას. ამ ჯგუფის სიგნალებს შეუძლიათ მოუბართა განწყობა-დამოკიდებულების გამოხატვა და ხშირად გვხვდება ყოველდღიურ ყოფით დიალოგებში (ზექალაშვილი 2012: 138). ზემოთ მოხმობილი სტრუქტურის წინადადებების გამოყენების მიზანიც ისაა, რომ მთქმელმა გამოხატოს სიმტკიცე, თავდაჯერებულობა და დარწმუნებულობა თავის ნათქვამში. ამგვარი სათქმელისას შეიძლება გამოიხატოს ასევე ერთგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, თითქოს მთქმელისათვის სულერთია მოსალოდნელი ქმედება და საშიშროება. ამას ერთგვარი სტილური ელფერი და დანიშნულება აქვს.

იკვეთება, რომ პიესები ენობრივი თვალსაზრისით მეტად თავისებური და საინტერესოა. მისთვის, როგორც ზოგადად გაბმულ მეტყველებისათვის, დამახასიათებელია ექსპესიულობა და ემოციურობა, ნიშანდობლივია სიტყვათა სპეციფიკური განლაგება, შეკვეცილი სინტაქსური კონსტრუქციები, ზმნათა ექსპრესიული შინაარსით გამოყენება.

ლიტერატურა

ზექალაშვილი 2012 – რ. ზექალაშვილი, ქართული დიალოგური მეტყველება, თბილისი.

კვანტალიანი 1990 – ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბილისი

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კიზირია 1987 – ა. კიზირია, მარ.ტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბილისი.

TEA BURCHULADZE

On Some Peculiarities of the Language of the Drama

S u m m a r y

The drama is very peculiar and interesting from the linguistic point of view. Just like a continuous speech in general, it is characterized by expressiveness and emotionality, specific order of words, abbreviated syntactic constructions, the use of verbs with expressive meaning.

In addition, in the drama we find replicas, words expressing generalized actions or narrative, that are often indicated in parentheses by an author. In such cases, the semantics of the speech is presented in many ways – a reference to the character's feelings and spiritual or physical conditions, as well as showing an event to be described, a reference to a picture depicting a situation, and other details. Thus, the generalized speech is used to provide information to the reader.

In dramas, authors sometimes use elliptical or abbreviated complex sentences as the oral speech is characterized by spontaneity, incompleteness of expressing views (as well as shortened expressions, moving from one to another context), so it is evident in the character's speech and dialogue.

თეიმურაზ გვანცელაძე

აფხაზურ-აბაზური ლექსიკის სემანტიკური ისტორიიდან

სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა – გაფართოებაც და დავიწროებაც ყველა ენაში მუდმივად მიმდინარე პროცესია. ამ პროცესის კვლევა შედარებით ადვილდება იმ ენებში, რომლებსაც ხანგრძლივი წერილობითი კულტურა აქვთ, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია იმ ენათა ლექსიკის სემანტიკური ისტორიის დადგენა, რომლებსაც ან სრულებით არ მოეპოვებათ დამწერლობა, ანდა მათ დამწერლობას ხანმოკლე ისტორია აქვს. მეორე შემთხვევაში სიტყვათა ადრინდელი სემანტიკის დასადგენად საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სიტყვის მეთოდოლოგიურად სწორ მორფოლოგიურ და ფონეტიკურ ანალიზს, დიალექტთა და ახლომონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინებას, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს და ა.შ.

აფხაზური და აბაზური ოფიციალურად ენებად იწოდება, თუმცა ისინი რეალურად ერთი ენის ძალზე ახლომდგომი ვარიანტებია. აფხაზურის დამწერლობა შეიქმნა მხოლოდ 1862 წელს პიოტრ უსლარის მიერ, აბაზურისა მე-19 ს. დასასრულს შექმნა უმარ მიქეროვმა. ამის გამო ლექსიკის სემანტიკური ისტორია შეიძლება გამოკვლეულ იქნეს არა წერილობით წყაროთა, არამედ სხვა მონაცემებზე დაყრდნობით. ამჯერად წარმოვადგენთ რამდენიმე აფხაზურ-აბაზური სიტყვის სემანტიკურ ეტიმოლოგიას ჩვენს ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებით.

1. „მამის“ ცნება აფხაზურად გამოიხატება **აბ** სიტყვით, აბაზურად კი **აბა** ვარიანტით. ადრინდელ მკვლევართაგან პ. უსლარი აფხაზურ ვარიანტად ასახელებს **აბ** ფორმასაც (უსლარი 1887: 7), ნ. მარი – **აბ** ვარიანტს (მარი 1926: 21), ხოლო ა. გენკო მართებულად წერდა, რომ ფორმა ორი **ა** ხმოვნით რეალურად არ დასტურდება (გენკო 1928: 53). აკად. ქ. ლომთათიძეც აღნიშნავდა, რომ პ. უსლარს შეეცდომა მოსვლია. ქ. ლომთათიძე ამ სიტყვაში გამოყოფდა საურთიერთო ***აა** > ***აა-** > **ა-** პრეფიქსს და აფხაზურ-აბაზურ საზიარო **-ბა-** ძირს (ლომთათიძე 1976: 30), რომელიც რეალურად წარმოდგენილია აბაზურის მხ. რ.-ის **ა-ბა** ფორმაში და ორივე სამეტყველო კონტინუუმის მრ. რ.-ის **აბა-**ცა (აფხ.) // **აბა-**ჩა (აბაზ.) ფორმებში.

საკვლევი სიტყვის ამოსავალი სემანტიკის აღსადგენად საყურადღებოა აფხაზურ-აბაზური სიტყვა **აბ** „დაკოდელი მამალი თხა; ვაცი ჯიხვი; დაუკოდავი თხა“, რომლის მრავლობითი რიცხვის **აბა-**ჩა სახეობაში აღდგება ძირის

ბოლოკიდურა ხმოვანი. იგივე **აბ** ვარიანტი წარმოდგენილია აგრეთვე აფხა-ზურში თხის სხვადასხვა სახელსა და ზოგ სხვა სიტყვაშიც: **აბ**-ზნგჟ „წლინა-ხევრის ვაცი“, **აბ**-ძეს „ერთ წლამდე ასაკის მამრი თიკანი“, **აბ**-კარგ „გარეთხის ვაცი (კობტა გარეგნობისა)“, **აბ**-ყატა „ახალი ვაცი“ (კასლანძია, 2005ა, გვ. 54), **აბ**-ტრა „წვრილფეხა საქონლის მაკინტლობა“ (ზედმიწ.: „დამამრება, მამრისგან დასაკუთრება [მდედრისა]“), **აბ**-ტგჳა „ღვედკეცი, ღორტყავა, ჯაშუტა (მცენარე)“ (ზედმიწ.: „ვაცის რქა“), **აბ**-თა // **აბ**-თალასა „პირველი ნაკრეჭი მატყლი“, **აბ**-ჰგგ „ზრდასრული ვაცი“, **აბ**-შტა „დაკოდილი ვაცი“ (ზედმიწ.: „საკლავი ვაცი“), **აბ**-ჟ „დაუკოდავი ვაცი“ (კასლანძია 2005ა: 56), **აბ**-ჯგ „ორი წლის ვაც-ჯიხვი“ (კასლანძია 2005ა: 57) და სხვ.

აბაზურში იგივე **-ბა**- ძირი წარმოდგენილია სიტყვაში ლა-**ბა** „ხვადი ძაღლი“ (ზედმიწ.: „ძაღლ-ხვადი“) (ტუგოვი 1967: 263), შდრ. აფხ. ალ-**ბა** (კასლანძია 2005ა: 604). იმავე აბაზურში **ლა-ბა** სიტყვა **განზოგადებულია** ძაღლისებრთა და ზოგი სხვა ცხოველის **მამრობითობის მსაზღვრელად**: ბაგა **ლაბა** „ხვადი მელა“, ქგჳმა **ლაბა** „ხვადი მგელი“, ცგგ **ლაბა** „ხვადი კატა“, მგშ **ლაბა** „ხვადი დათვი“ (ტუგოვი 1967: 263) და სხვანი. იმავე აბაზურში ზოგი ცხოველის მამრობის გამოსახატად გამოიყენება სრული **აბა** ფუძე: ჩა-**აბა** (ჩგ „ცხენი“ + **აბა** „მამა“) „ულაყი“ (ტუგოვი 1967: 357), შდრ.: ჩა-**ან** „ჭაკი ცხენი; ცხენების რემა“ (ჩგ „ცხენი“ + **ან** „დედა“).

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში აფხაზურისათვის დამახასიათებელია იმავე **ალაბა** „ხვადი ძაღლი“ ფუძის **გამზოგადებულად** გამოყენება მხოლოდ ხვადი მგლის მამრობის აღსანიშნად: **აბგალაბა** (კასლანძია 2005ა: 227) – ზედმიწევნით: „მგლის ძაღლ-ხვადი“, ხოლო სხვა ცხოველთა მამრობას გამოხატავს გასუფიქსებული **აბა** ფუძე, ან მისი თანხმოდგენილი **აბ** ნაწილი: აცგ-**აბა** „ხვადი კატა“, შდრ. აცგ-**აფს** „ძუ კატა“ (კასლანძია 2005ბ: 406); აბლ-**აბ** „ვაცი ჯიხვი“, შდრ. აბლა-ჯმა „შუნი, დედალი ჯიხვი“ (კასლანძია 2005ა: 228)... გარდამავალია აფხაზური აშშ-**აბ(ა)** „ხვადი დათვი“, რომელშიც **აბა** ფუძის ბოლო ხმოვანი ხან გამოითქმის, ხან – არა. აქვე უნდა დავამატოთ მამლის (მამრი ქათმის) აბაზური არ(გ)-**ბა** და აფხაზური არ-**ბა**-ლ- სახეობებიც.

ზემოთ დასახელებული სიტყვები საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ არქეტიპული აფხაზურ-აბაზური ***მა-ბა** > ***აბ-ბა** სიტყვის მნიშვნელობა იყო არა კონკრეტულად „მამა“, ან „ვაცი“, არამედ ზოგადად „მამრი, ხვადი (ცხოველი, ფრინველი, ან ადამიანი)“. მიგვაჩნია, რომ მამრის, ხვადის უფართოესი ცნება შემდგომში დაქუცმაცდა და გაჩნდა **ომონიმიის თავიდან არიდების აუცილებლობა**, რა მიზნითაც ამოქმედდა ფონეტიკური პროცესები, რომლებმაც სხვადასხვა ინტენსივობით იმოქმედეს აფხაზურ და აბაზურ სამეცნიერლო ვარიანტებში:

მამის სემანტიკით **აბა** ფორმა დამოუკიდებელ სიტყვად შერჩა აბაზურს, ხოლო აფხაზურში დამკვიდრდა **აბ** ფორმა, რომელიც მრავლობით რიცხვში აღიდგენს ბოლოკიდურ **ა** ხმოვანსაც. **ვაცის, ხვადის** სემანტიკით აფხაზურში თავკიდურა საურთიერთო კატეგორიის გამარტივებული **ა** ხმოვანი კი გადააზრიანდა სახელთა ზოგადი ფორმის პრეფიქსად.

ასე გამდიდრდა ენა ახალი ცნებების გადმოსაცემი ლექსიკით.

2. **ვაჟიშვილის, ძის** მნიშვნელობით გამოიყენება აფხაზური **ა-ფა** და აზნაზური **ფა** სახეობები, ხოლო **ქალიშვილის, ასულის** მნიშვნელობით არსებობს აფხაზური **ა-ფაჰ** და აზნაზური **ფაჰ** ვარიანტები. ამ ორი ლექსიკური წყვილის **ფონემური აგებულების მსგავსება და გამოხატული ცნებების სიახლოვე** გახდა საფუძველი იმისა, რომ აკად. ქ. ლომთათიძემ ივარაუდა მათი საერთო წარმომავლობა: მეცნიერის აზრით, **ასულის** აღმნიშვნელ სიტყვაში **ჰ** ბგერა გამოხატავს მდედრობითობას, შდრ. იმავე **(ა-)ფა** ფუძისაგან მომდინარე **(ა-)ფჰჰ-ს < *(ა-)ფა-ჰა-სა-სა** „ქალი; ცოლი“, **(ა-)ა-ჰ-შა** „და“, შდრ. **(ა-)ა-შა** „ძმა“ (ლომთათიძე 1976: 229). ჩვენ ვიზიარებთ ამ ვარაუდს და მიგვაჩნია, რომ **ძისა** და **ასულის** ამჟამინდელი სიტყვიერ-ფონეტიკური გამოიჯენა მოხდა აფხაზური და აზნაზური მეტყველებების დაშორებამდე, ხოლო **ფა ფუძე თავდაპირველად აღნიშნავდა ზოგადად შვილის ცნებას რეალური სქესის მიუთითებლად**. ამ მოსაზრებას მხარს უნდა უჭერდეს ის ფაქტი, რომ **ზოგადი ცნება „შვილი“ არც აფსურში და არც აზნაზურში დღემდე არ აღინიშნება ცალკე სიტყვით**, ე. ი. **ფა** ფუძისგან ორი ახალი სიტყვის წარმოქმნამ **წარმოშვა „ცარიელი უჯრა“** ლექსიკაში.

3. წინა პუნქტში აღწერილი მოვლენის მსგავსი ცვლილების შემთხვევა სხვაც არსებობს. კერძოდ, **ძმის** ცნებას აფხაზურში გამოხატავს სიტყვა **ა-აშა**, ხოლო აზნაზურში – მისი ვარიანტი **აშა**. რაც შეეხება **დის** ცნებას, იგი აფხაზურში, როგორც ზემოთაც ითქვა, გადმოიცემა **ა-აჰშა** სიტყვით, აზნაზურში კი გვაქვს – **აშა** ვარიანტი. ქ. ლომთათიძეს აშხარულ ტექსტებში დადასტურებული აქვს ძმის აღმნიშვნელი **აშა > ეაშა** სახეობებიც (ლომთათიძე 1976: 81-82), რომლებიც გარდამავალია აფხაზურსა და ტაპანთურ ვარიანტებს შორის. მკვლევარმა ყურადღება მიაპყრო იმასაც, რომ დისა და ძმის აღმნიშვნელ ფუძეებს საზიარო აქვთ **-შა-** ძირი, რომელსაც თავში დართული აქვს საურთიერთო-სამიმართებო **ა-** პრეფიქსი, ხოლო დის მდედრობას აფსურში **ჰ** ელემენტი გამოხატავს (ლომთათიძე 1976: 80-82), აზნაზურის **ხ** ბგერა კი **ჰ** ბგერისაგან მომდინარეობს. შესაბამისად, ივარაუდება, რომ **და** და **ძმა** წინარე აფხაზურ-აზნაზურ ენაზე **არ აღინიშნებოდა ცალ-ცალკე და ამოსავალი *ა-შა სიტყვა გამოხატავდა ზოგადად დედამიშვილებს, ხოლო მათი რეალური სქესი არ იყო ლექსიკურად მარკირებული**.

ამ კონტექსტში კიდევ ერთი ენობრივი ფაქტი იპყრობს ყურადღებას. აზნაზურში არსებობს სიტყვათმახვილით განსხვავებული **აშა** და **აშა** ფორმები, რომლებიც სემანტიკითაც განსხვავდებიან: ვარიანტი **აშა** აღნიშნავს **ზოგადად „ბიძას“** (როგორც ძამის, ისე დედის ძმას), ხოლო „ძმა“ არის **აშა** (ტუგოვი 1967: 109). **სრულიად უდავოა, რომ ბიძის სემანტიკა აქ მეორეულია, ხოლო ამოსავალი იყო ძმის სემანტიკა**. ახალი ცნების აღნიშვნა ამ შემთხვევაში მახვილის გადანაცვლებით გახდა შესაძლებელი, შდრ. ძამიდის აღმნიშვნელი სინონიმები აფხაზურში: **აჰშა-დუ** „და დიდი“ და **აბ აჰშა** „ძამის და“.

4. **რძლისა და სიძის მშობლების** აღმნიშვნელად არსებობს **საზიარო აფხაზურ-აბაზური ცნებით-სემანტიკური და სტრუქტურულ-მორფოლოგიური სქემა** – მოიპოვება მხოლოდ 2 ლექსიკური ერთეული, შდრ. ქართული სამწიგნობრო ენისა და სისინა დიალექტების 4-სიტყვიანი სისტემა:

აბაზ. ანწა > ბზიფ. ანწა > აბჟ. ანწა „1. დედამთილი; 2. სიდედრი“, ზედმიწევნით: „ირიბი დედა“;

აბაზ. აბწა > ბზიფ. აბწა > აბჟ. აბწა „1. მამამთილი; 2. სიმამრი“, ზედმიწევნით: „ირიბი მამა“. შდრ. აბაზ. წა > ბზიფ. ა-წა > აბჟ. ა-წა „ირიბი, მრუდე“.

შდრ. მეგრულ-ლაზური **დიანთილი** „1. დედამთილი; 2. სიდედრი“; **მუანთილი** „1. მამამთილი; 2. სიმამრი“ და სვანური **დიმთილ** „1. დედამთილი; 2. სიდედრი“; **მიმთილ** „1. მამამთილი; 2. სიმამრი“, რაც 2-წევრიანი სისტემაა.

აფხაზურ-აბაზურში მკაფიოდაა გამოხატული **რძლისა და სიძის მიმართება დედამთილ-სიდედრისადმი**, ანუ საკუთარი მეუღლეების დედ-მამისადმი: **ისინი დედ-მამაა, ოღონდ არა ნამდვილი, არამედ ირიბი**.

იგივე სქემაა წარმოდგენილი აგრეთვე **მულისა და ცოლისდის** ცნებათა გამოხატვის დროს:

მული და **ცოლისდა** აღინიშნება ერთადერთი ტერმინით: აბაზ. ანწგჳა < *ანწა-ლ-გჳა > ბზიფ. ანწგჳა > აბჟ. ანწგჳა „1. დედამთილის ასული; 2. სიდედრის ასული“;

მაზლი და **ცოლისძმა** აბაზურში ერთსიტყვიანი ტერმინით ამჟამად არ გადმოიცემა, აფხაზურმა კი შემოინახა ზემოთ დასახელებული 2-სიტყვიანი სქემის მიხედვით აგებული სიტყვა: ბზიფ. აბწგნდა > აბჟ. აბწგნდა. რაც შეეხება ბზიფურ-აბჟურ ვარიანტთა ზუსტ სემანტიკას, პირველი კომპონენტი ყოველგვარი ეჭვის გარეშე აღდგება: ესაა **მამამთილისა და სიმამრის** აღმნიშვნელი **აბწა > აბჟ. აბწა**, ზედმიწევნით: „ირიბი მამა“.

გამჭვირვალე არ არის ამ ტერმინის მეორე, **-ნდა** სეგმენტის რაობა, მაგრამ სქემა გვიკარნახებს, ვივარაუდოთ, რომ აქ **წ** ბგერა უფუნქციო ფონეტიკური ჩანართია, ხოლო **და** მარცვალი იგივე უნდა იყოს, რაც უმცროსებისადმი უფროსების მიმართვის აფხაზურ **დად** ფორმაშია, შდრ. მისი სრული, რედუპლიცირებული აბაზური ვარიანტი **და-და** „ბაბუა; ბაბუ (მიმართვა)“. ჩვენი აზრით, **-და**-ძირს გადატანით „**შვილო**“-ს სემანტიკაც ჰქონდა. შესაბამისად, აბაზურშიც უნდა აღვადგინოთ **მაზლისა და ცოლისძმის** საზიარო აბაზური სახელი ***აბწგნდა**, რომელიც ითარგმნება როგორც „1. მამამთილის ვაჟი; 2. სიმამრის ვაჟი“.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ერთი მხრივ, **მულისა და ცოლისდის** და, მეორე მხრივ, **მაზლისა და ცოლისძმის** აღმნიშვნელი სიტყვების ანალიზის შედეგები, უნდა დავასკვნათ შემდეგი:

ა. მეუღლეების დები და მეუღლეების ძმები ერთი და იმავე სქემით აღინიშნება და ამ მხრივ გენდერული ბალანსი დაცულია.

ბ. საგანგებოდ ხდება მარკირება იმისა, რომ ქალები (მული და ცოლისდა) ქალბატონების (დედამთილისა და სიდედრის) შვილები არიან, ხოლო ვაჟები (მაზლი და ცოლისძმა) – მამაკაცების (მამამთილისა და სიმამრის) ვაჟები (შვილები).

ამ კონტექსტში საინტერესო ვითარებაა, ერთი მხრივ, მეგრულ კილოში და მეორე მხრივ, ჩერქეზულ სამეტყველო ვარიანტებში:

მეგრულში სიტყვა **ოხორასკილი** (ზედმიწევნით „სახლის [იგულისხმება მეუღლის ოჯახის] შვილი“) გამოიყენება 4 მნიშვნელობით: „მაზლი; მული; ცოლისძმა; ცოლისდა“ (ამ ფაქტზე მიგვითითა მ. ბუკიამ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ).

ჩერქეზულში ასეთი ვითარებაა:

ადილეურად მამამთილი არის **იფშ** (ზედმიწ.: „მისი ბატონი“), დედამთილი – **იფას** (ბრანტოვი, უდოვიჩენკო, შაზო, შაოვი 1991: 184), სიდედრი – **სწფას**, სიმამრი – **სწფშ** (ბრანტოვი, უდოვიჩენკო, შაზო, შაოვი 1991: 204).

ფასწ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობაა „**ქალბატონი**“, თუმცა იგივე სიტყვა ნიშნავს **დედამთილსაც** (თჰარკახვა 1991: 47), **ფშ** **სიტყვის მთავარი მნიშვნელობაა „ბატონი, თავადი“**, ხოლო მეორე მნიშვნელობად მიეთითება „**მამამთილი**“ (თჰარკახვა 1991: 196).

ყაბარდოულში მამამთილი არის **თჰწმადწ** (ქარდანოვი, ბიჩოევი 1955: 730), უფრო სრულად ამ სიტყვას უჩანს შემდეგი მნიშვნელობები: „1. მამამთილი; 2. თამადა; 3. პატივცემული, უხუცესი (მიმართვა მოხუცისადმი); 4. უხუცესი, წინამძღოლი; 5. ჩერქეზ. სასიძო“ (აფაჟევი, კოკოვი 2008: 434).

დედამთილი იმავე ყაბარდოულში არის **ფასწ** (ქარდანოვი, ბიჩოევი 1955: 731), უფრო ზუსტად: „1. ქალბატონი; 2. თოჯინა; 3. დედამთილი“ (აფაჟევი, კოკოვი 2008: 56).

სიმამრი აღნიშნება სიტყვით **სუყადწ** (ქარდანოვი, ბიჩოევი 1955: 840), სიდედრი – **სუყანწ** (ქარდანოვი, ბიჩოევი 1955: 841), შდრ.: **სუყ** „ქმრის ოჯახი“ (აფაჟევი, კოკოვი 2008: 602), ხოლო ორივე კომპოზიტის მეორე კომპონენტებად გამოიყენებულა სიტყვები: **ადწ** „მამა“ და **ანწ** „დედა“. შესაბამისად, პირველი ტერმინი ზედმიწევნით ნიშნავს „**ოჯახის მამას**“, ხოლო მეორე – „**ოჯახის დედას**“.

ყაბარდოულში მაზლი არის **ფსუყწ** „1. ბატონის ვაჟი. 2. მაზლი“ (აფაჟევი, კოკოვი 2008: 378), ხოლო მული – **ფსუგბ** (ქარდანოვი, ბიჩოევი 1955: 244), ზედმიწ.: „ბატონის ასული“.

ა. შაგიროვი ზოგადჩერქეზული **ფასწ** „ქალბატონი; დედამთილი“ სიტყვის ამოსავალ სემანტიკად ვარაუდობს „**განმკარგულებელს, მეურნე ქალს**“, შდრ. ყაბ. **უნწფასწ** და ადილ. **ბესემფას** „დიასახლისი“, ზედმიწ.: „სახლის ქალბატონი, დიასახლისი“ (შაგიროვი 1977ა: 109), ხოლო ყაბარდოული **ფსუ** და ადილეური **ფშ** თავდაპირველად აღნიშნავდა **გვარის უხუცესს**, შემდეგ კი **ოჯახის უფროსს** (შაგიროვი 1977ბ: 34). ყაბარდოული **ფსუყწ** და ადილეური **ფშ** **ყწ** „მაზლი“ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობად ა. შაგიროვი აღადგენს „**მამამთილის ძე**“-ს. მისი აზრით, ამ კომპოზიტში შენარჩუნებულია პირველი კომპონენტის ამოსავალი სემანტიკა „**მამამთილი**“ (შაგიროვი 1977ბ: 35).

ამრიგად, არც მეგრულში და არც ჩერქეზულ ენაში არსებული ტერმინები სემანტიკის მხრივ სრულად არ ემთხვევა აფხაზურ-აბაზურ ტერმინთა სემანტიკას.

5. **ცხენის** აფხაზურ-აბაზური ზოგადი სახელია (ა-ჩაგ. იმის გათვალისწინებით, რომ აქ ნეიტრალური ხმოვანი გ მომდინარეობს ა ხმოვნისაგან (ლომ-თათიძე 1976: 43-45), ცხენის სახელის თავდაპირველ ვარიანტად აღდგება *ჩა ფუძე, რომელიც რეალურად იგივე უნდა იყოს, რაც **ირმის** აღმნიშვნელი *ჩა სეგმენტი შემდეგ სიტყვაფორმებში:

აბაზური ჩა „ირემი“ (<http://www.abazinka.ru/ru>), აფხაზური ა-ჩა „ფური-რემი“ (კასლანძია 2005ბ: 532), ა-ზნა-ჩა // ა-ზენ-ჩა „ფურირემი“, ზედმიწ.: „ტყის ჩა“ და ა-ზნა-ჩა-ჟ „ფურირემი“ (კასლანძია 2005ბ: 252, 256), ზედმიწ.: „ტყის ჩა ფური“; ასევე ა-ზნა-ჩა-ც // ა-ზენ-ჩა-ც „ხარირემი“ (კასლანძია 2005ბ: 252, 256), ზედმიწ.: „ტყის ჩა ხარი“.

ბოლო ხუთ რთულფუძიან აფხაზურ სახელში **„ტყის; ტყიურის, გარეულის“** სემანტიკის მქონე ა-ზნა სიტყვის მონაწილეობა თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ჩა ფუძე თავდაპირველად **ირემს** სულაც არ აღნიშნავდა – **„ტყის, ტყიური, გარეული ირემი“** ლოგიკურად შეუსაბამო სახელია, შინაური ირმები კი აფხაზ-აბაზების წინაპრებს არ უნდა ჰყოლოდათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანმა ცხენი ჯერ **გარეულ ცხოველად გაიცნო** და დიდი ხნის მერეღა მოიშინაურა, უფრო ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ საკვლევი ჩა ფუძე **თავდაპირველად იყო გარეული ცხენისა და ირმის საზიარო სახელწოდება**, ხოლო **ირმის** აღმნიშვნელად აზნა „ტყე“ ფუძის დამატება **გვიანდელი ფაქტია** და უნდა დათარიღდეს იმის შემდგომი პერიოდით, როცა **დაიშალა აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობა**.

ირმისა და ცხენის განმაზოგადებელი ცნებისა და მისი გამომხატველი ჩა სიტყვის წარმოქმნა, ჩვენი აზრით, **უნდა განეპირობებინა ამ ორი ცხოველის შინაგანი და გარეგანი თვისებების დიდ მსგავსებას**: ორივე ცხოველი ბალახისმჭამელია, ფურირემი შორიდან ძალიან მიაგავს ცხენს, ორივე სწრაფად გადაადგილდება და ა.შ. რაც შეეხება ცხენის აღმნიშვნელ ნეიტრალურხმოვნიან აბაზურ ჩა და აფხაზურ ა-ჩა ვარიანტებს, ისინი **აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაშლამდე, ანუ გვიან შუა საუკუნეებამდე უნდა წარმოქმნილიყო** და უნდა ეკისრა **მხოლოდ ცხენის** აღმნიშვნელი სიტყვის ფუნქცია.

შენიშვნა: როგორც ჩანს, რომელიღაც ეტაპზე აფხაზურში ხარირმის სახელად გამოიყენებოდა [ა-]ც „ხარი“ სიტყვაც, რაზეც არაორაზროვნად მიგვანიშნებს ისეთი სიტყვების არსებობა, როგორიცაა: ცგ-ბზგ-ნ „მყვირალობა“, ზედმიწ.: „ხარის ბუბუნის, ყვირილის, ზღავილის დრო“ და ცგ-ბზგ-რა-მზა „სექტემბერი“, ზედმიწ.: „ხარის ბუბუნის, მყვირალობის თვე“.

6. **პურს** აფხაზურად აღნიშნავს სიტყვა ა-ჩა. ამ სიტყვისაგან მომდინარეობენ შემდეგი სიტყვები: ა-ჩარა „ქორწილი“, ზედმიწ.: „პურობა“, ჩარა-ჟრა „ჭამა-სმა, ქეიფი“, ზედმიწ.: „პურობა-სმა“. აბაზურში ჩა ფუძე პურის მნიშვნელობით ცალკე არ გვხვდება (მის ნაცვლად გამოიყენება ჩერქეზული სიტყვა ჭაჯა), მაგრამ იგივე ფუძე შემორჩენილია მისგან ნაწარმოებ სხვა სიტყვებში:

აზაზ. ჩარა „ჭამა“, ზედმიწ.: „პურობა“, შდრ. აფხ. ჩარა „ქორწილი“ (ილჩიტ „ჭამს ქალი მას“); აზაზ. ჩაგა „სუფრის ჭურჭელი“, ზედმიწ.: „პურობის იარაღი“; აზაზ. ჩაგამაჩა „დანა-ჩანგალი“, ზედმიწ.: პურობის ნივთი“; აზაზ. ჩაგა-უგა „სუფრის ჭურჭელი, სერვიზი“; აზაზ. ჩარა-ჟრა „ჭამა-სმა, ქეიფი“, ზედმიწ.: „პურობა-სმა“ (ტუგოვი 1967: 425-426).

აფხაზურსა და აზაზურში არსებობს კიდევ ერთი, მსგავსი ბგერადობის სიტყვა აჩა, რომელიც მწყერს აღნიშნავს (კასლანძია 2005ა: 208; ტუგოვი 1967: 107). აფხაზურში იგივე ფუძე გვხვდება აგრეთვე მწყერის მსგავსი სხვა ფრინველის, ღალღის სინონიმურ აჩარაჰ (ზედმიწ.: „მწყერების ბატონი“) // აჩაზრგ (ზედმიწ.: „აწოწილი მწყერი“) სახელებშიც (კასლანძია 2005ა: 208). აქ სავსებით ცხადია, რომ ღალღის ორივე სახელი უშუალოდ მწყერის სახელისაგან მომდინარეობს, მიუხედავად იმისა, რომ მწყერი ქათმისნაირთა რიგს განეკუთვნება, ხოლო ღალღა – წეროსნაირი ფრინველია, ოღონდ წეროზე ბევრად მცირე ზომისა, თუმცა გარეგნულად ძალიან ჰგავს მწყერს შეფერილობით, თავის ფორმით, ბუმბულის წყობით, საკვებით – ორივე ფრინველი იკვებება მარცვლეულით და მწყერებით, ბინადრობენ მარცვლოვან მცენარეებში.

ვვარაუდობთ, რომ პურსა და მწყერს საზიარო სახელწოდება უნდა ჰქონოდათ წინარე აფხაზურ-აზაზურ ენაში. ამ დასკვნისაკენ გვიბიძგებს ის გარემოება, რომ მწყერი, როგორც ითქვა, იკვებება მარცვლეულით და ბინადრობს ხორბლის (პურის), ქერის, ჭვავის, ფეტვის ყანებში, ამჟამად სიმინდის ყანებშიც, ე.ი. ფრინველის ბიოტოპს (საცხოვრებელ გარემოსა და საკვებს) უნდა განესაზღვრა ფრინველის სახელიც. ამ მხრივ ანალოგიებიც არსებობს. მაგ., აფხაზურში ჩალამკალამს, ლაქაშს აქვს ქართულიდან ნასესხები სახელი ა-ჩალქა (< ქართ. ჩალა-მ), ხოლო პატარა ჩიტს, მეჩალიას, რომელიც ლაქაშებში ბინადრობს, ასევე ა-ჩალქა ეწოდება (კასლანძია 2005ბ: 515).

რაც შეეხება მახვილის ადგილმდებარეობის სხვაობას აჩა „მწყერი“ და აჩა „პური“ ვარიანტებში, აქ ომონიმიის დამღევის ისეთსავე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც აზაზურში მმისა და ბიბის ცნებათა გამიჯვნისას მოხდა: აშა „ბიბა“ და აშა „მმა“ (იხ. ზემოთ, პუნქტი 3).

ჩვენი ვარაუდის დაბრკოლებად გამოიყურება ის გარემოება, რომ მწყერის სახელში თავკიდურა მახვილიანი ა ხმოვანი არ ჩამოსცილდება ფუძეს, ხოლო პურის აღმნიშვნელ სიტყვაში ანლაუტის ა- ხმოვანი იოლად ჩამოშორდება, ვთქვათ, კუთვნილებისა და განუსაზღვრელობის ფორმათა წარმოებისას: ერთი მხრივ, არსებობს ფორმები ს-აჩა „ჩემი მწყერი“, აჩა-კ „ერთი მწყერი; რომელიღაც მწყერი“... და, მეორე მხრივ, ს-ჩა „ჩემი პური“, ჩა-კ „ერთი პური; რომელიღაც პური“... ჩვენი აზრით, ეს მორფოლოგიურ-გრამატიკული სხვაობა სულაც არ უშლის ხელს უკვე გამოთქმულ მოსაზრებას, ვინაიდან ომონიმიის დასაძლევად ამ ხერხის გამოყენებაც სრულიად დასაშვებია.

7. მსოფლიოს ენებში უნივერსალურია მთვარისა და თვის სახელწოდებების პოლისემურობა და/ან ომონიმურობა. შორს რომ არ წავიდეთ, ასე იყო ქართველურ ენობრივ სამყაროშიც: მეგრ. თუთა „მთვარე; თვე“, შდრ. ძვ. ქართ. თთუე-მ < *თუთა-მ „თვე“. ამ მხრივ აფხაზური და აზაზურიც საყურადღებო მონაცემებს გვთავაზობენ, კერძოდ:

აბაზურად **მთვარეც** და **თვეც** აღნიშნება ორმნიშვნელობიანი **მზე** „1. მთვარე, 2. თვე“ სიტყვით, ხოლო აფხაზურად **ა-მზა** არის „მთვარე“, თვეს კი აღნიშნავს მისი ფონეტიკური ვარიანტი **ა-მ(გ)ზ**, თუმცა თვის მნიშვნელობის გადმოსაცემად აფხაზურშივე არსებობს ამ ფუძის სახეობა **მზა**, რომელიც, ცალკე სიტყვად არ დასტურდება, მაგრამ სუფიქსოიდის სახით გვხვდება თვეების როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სახელწოდებებში: **მან(ც)არ-მზა // ხ~ეჩხ ამა-მზა** „იანვრის, შობის [ღორის ლოცვის] თვე“, **მარტ-მზა // მშაფგ-მზა** „აღდგომის თვე“, **აგვუსტ-მზა // ნანჰა-მზა** „აგვისტო, ღვთისმშობლობის თვე“, **სენტაბრ-მზა // ცებზრა-მზა** „სექტემბერი, მყვირალობის თვე“...

აბაზური **მზე** და აფხაზური **-მ(გ)ზ // -მზა** ვარიანტიდან **ფორმოზრივი თვალსაზრისით უფრო ძველი** აფხაზური **მზა** ვარიანტია, ვინაიდან აბაზურ **მზე** ფორმაშიც და აფხაზურ **ა-მგზ** ვარიანტშიც ნეიტრალური ხმოვანი **ა** ხმოვნისაგან მომდინარეობს, მაგრამ წინარე აფხაზურ-აბაზური ენის დონეზე უნდა აღდგეს **CVCV** სტრუქტურის მქონე ***მზა** ფუძე, რომელსაც მატერიალურად დაკავშირებული კორელატები აქვს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

რაც შეეხება ამოსავალ სემანტიკას, ***მზა** სიტყვას თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ექნებოდა **მთვარის** აღნიშვნის ფუნქცია, ხოლო **თვის** მნიშვნელობა მას **მეორე ეტაპზე უნდა შესძენოდა**, როცა ადამიანებმა გაარკვიეს, რომ მთვარეს აქვს ფაზების ცვლის გარკვეული პერიოდები და თითო ციკლი დროის გარკვეულ მოწაკვეთს, ანუ ერთ თვეს გულისხმობს.

ეს მოწინააღმდეგეები გვიჩვენებენ, რომ **ენამ ახალი ცნების, დროის კონკრეტული მონაკვეთის აღნიშვნისა და ომონიმიის დამლევისათვის გამოიყენა ფონეტიკური პროცესები**, რის შედეგადაც შეივსო „ცარიელი უჯრა“ ენის ლექსიკურ ფონდში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი ცნებისათვის **ახალი სიტყვის შექმნის პროცესი საკმაოდ გვიან, აფხაზურ-აბაზური ეთნიკურ-ენობრივი ერთობის დაშლის მერე უნდა დაწყებულიყო**, რაზეც აფხაზურსა და აბაზურში ფონეტიკურ პროცესთა მოქმედების სხვადასხვა საფეხურებზე შეჩერება მიგვითითებს.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მასალა და კვლევის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები საყურადღებოა აფხაზურ-აბაზური ლექსიკის ფონეტიკური, გრამატიკული და სემანტიკური ისტორიის დადგენისათვის, მით უმეტეს, რომ ლექსიკის ეტიმოლოგიზების დროს ხშირად საგანგებო ყურადღება არც ექცევა სემანტიკურ მხარეს, არადა, როგორც დავინახეთ, ამ მიმართულებით კვლევა ახლებურად დაგვანახებს **მორფოლოგიურ ისტორიასაც** და **ეთნოფსიქოლოგიასაც**. ამავე მოწინააღმდეგეებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს **კულტურის ისტორიის** თვალსაზრისითაც.

ლიტერატურა

- აფაყევი, კოკოვი 2008** – М. Л. Апажев, Дж. Н. Коков. Кабардино-черкесско-русский словарь. Нальчик.
- ბრანტოვი, უდოვიჩენკო, შაზო, შაოვი 1991** – Ш. И. Брантов, М. Д. Удовиченко, К. Г. Шаззо, А. А. Шаов. Краткий русско-адыгейский словарь. Майкоп.
- გენკო 1928** – А. Н. Генко Абхазский вокализм. – Известия АН СССР. Серия 7, №1. Москва.
- თჰარკახვა 1991** – Ю. А. Тхаркахо. Адыгейско-русский словарь. Майкоп.
- კასლანძია 2005ა** – В. А. Касландзия Абхазско-русский словарь. Т. I. Сухуми.
- კასლანძია 2005ბ** – В. А. Касландзия Абхазско-русский словарь. Т. II. – Сухуми.
- ლომთათიძე 1976** – ქ. ლომთათიძე. აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი.
- მარი 1926** – Н. Я. Марр Абхазско-русский словарь. Ленинград.
- ტუგოვი 1967** – В. Б. Тугов Абазинско-русский словарь. Москва.
- უსლარი 1887** – П. К. Услар Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык. Тифлис.
- ქარდანოვი, ბიჩოვი 1955** – Б. М. Карданов, А. Т. Бичоев. Русско-кабардинско-черкесский словарь. Москва.
- შაგიროვი 1977ა** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. А-Н. Москва.
- შაგიროვი 1977ბ** – А. К. Шагиров. Этимологический словарь адыгских (черкесских) языков. П-I. Москва.
- აბაზური ელექტრონული ლექსიკონი** – <http://www.abazinka.ru/ru>

TEIMURAZ GVANTSELADZE

On the Semantic History of the Abkhazian-Abaza Vocabulary

S u m m a r y

The establishment of the semantic history of the vocabulary of the Abkhazian and Abaza Languages is rather difficult, as their written language has a short history. Therefore, special attention is paid to the methodologically correct morphological analysis, to the consideration of dialects and the data of the closely related languages, phraseological unites, etc. to the identification of the old semantics of the words.

The work presents the semantic etymology of several Abkhazian-Abaza words:

1. **Father** in Abkhazian is denoted by the word **Ab**, while its version in the Abaza language is **Aba**. Abkhazian-Abaza word **Ab**, meaning “castrated male goat; male tur; he-goat” is semantically connected with it. we presume that the meaning of the archetypical word ***ja-ba** (***ja-ba**) had a general character and denoted a “male, stallion”.

2. The notion **Male, Son** is expressed by the word (**a**)**pa**, as for **Female, Daughter** – it is conveyed with the word (**a**)-**pha**, where **pa** is a root (K. Lomtadze). Respectively, it is supposed that initially the root should have had the general semantic of a word meaning **Son, Daughter**, without specifying the gender.

3. In Abkhazian **Brother** is expressed by the forms **a-ja-sha** // Abaza **a-sha**, as for **Sister** in Abkh., it is conveyed with the versions **a-ja-h°-sha** // Abaza **a-kh-sha**. The archetype word ***ja-sha Siblings** would have expressed this notion of being siblings, without specifying the gender.

4. For the denotation of the parents of a daughter-in-law, and a son-in-law, are used two words: 1. **the father of the wife**, and **father of the husband** is conveyed in Abkh. with **Abx°a** // Abaza. **abq°a**, “**indirect father**”. 2. **the mother of the wife** and **the mother of the husband** in Abkhazian is **anx°a**, and in Abaza **anq°a**, „**an indirect mother**”. This semantical and structural basis is used for the denotation of siblings of a daughter-in-law and a son-in-law too: Abkh. **anx°apha** // Abaza. **anq°apha**, means both „**a sister of the wife**“, and „**a sister of the husband**“. The term has a transparent etymology: it is comprised of the word that conveys the meaning of both “the mother of a wife or a husband” and the root, **pha**, meaning „female, daughter“ and is translated as “**a daughter of a mother in law**”. The new term must have emerged after the formation of a separate version of **pha**, for the expression of “a female, a daughter”. The words “**a brother of the wife**”, or “**a brother of the husband**” are structured on the same semantic and structural basis: Abkh. **abx°and**//Abaza ***Abq°anda**. Here is seen the segment conveying the „**a father of a wife or a husband**“, the second part **-nda**, should be connected with the Abkhazian word **dad** that is used by elders for addressing the young generation. If this supposition is correct, in that case, the word must mean “**a son of a father in -law**”.

5. **A horse** in Abkhazian is აჭ'ა, in Abaza – ჯ'ა. As an archetype the word ***č'a** can be used which both in Abkhazian and Abaza is used to denote a deer, given in the form of (**a**)-**ča**. We presume that the word **Ბa** initially had two meanings: „**1. A horse; 2. A deer**“. Denoting a deer and a horse with one shared word should be conditioned by their physical similarity: it is difficult to differentiate a she-deer from a horse from the distance, as both animals are very fast, etc.

6. In Abkhazian, **bread is a-ča**, comp. Abaza **ča**, Apkh. **ča-ra** „a wedding“ (literal tr.: „feasting“), Abaza **ča-ra** „eating“ (direct tr.: „feasting“). In Abkhazian the

same word **aṣ-ča** with the stress shifted forward, means a **quail**. We think that the notions of **bread** and a **quail** initially were conveyed with one word, but the necessity to avoid the usage of the homonyms conditioned the solving of the problem with the change of the place of the stress. Expression of bread and quail with one word is not something extraordinary. It can be caused from the fact that there should have been cornfields near the settlements, and as it is known, **quails predominantly live in the cornfields and their basic food is corn**. Comp. with the borrowed from Georgian **a-čalej** “**1. A bulrush, a reed. 2. A reed warbler** (a bird that lives in reeds)”.

7. Polysemy and/or homonymy of the names of the **moon** and a **month** is universal for the world languages. In the Abaza language, both **the moon** and a **month** are denoted with one-word **mzə**; in Abkhazian, for the denotation of “the moon” is given **a-mza**; a month in Abkhazian is expressed by its phonetic version **a-m(ə)z**, though for conveying the meaning of a month, there is a root – **mza** that is not registered as a separate word, but is used as suffixoids in the names of months: **mart'-mza** // **mš'apə-mza** “March, the month of the Easter”... The form of Abkhazian **-mza** is **older than other named forms**. The initial meaning of the archetypical word ***maza** should have been **the moon**, as for the semantic of – **a month**, we think, it emerged later.

გიორგი გოგოლაშვილი

**ივანე ჯავახიშვილის „სამსჯავრო“ და ქართული
ენათმეცნიერების კლასიკოსები**

(ქართული ენათმეცნიერების ისტორიიდან)

მე-20 საუკუნეში ქართული ენათმეცნიერების მაღალი დონე და მისი საერთაშორისო ავტორიტეტი განსაზღვრა არა მხოლოდ ჩვენი კლასიკოსების მაღალნიჭიერებამ, ღრმა განათლებამ და უსაზღვრო ცოდნამ, არამედ მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამაც, პრინციპულობამაც და შეუვალობამაც... ამის გარეშე განვითარების ამ დონის მიღწევა და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვება ვერ მოხერხდებოდა...

სწორედ მათი მოქალაქეობრივი და მეცნიერული კეთილსინდისიერების, პრინციპულობისა და შეუვალობის ერთ კონკრეტულ მაგალითზე მინდა ვისაუბრო... – უმძიმეს ეპიზოდზე **აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურას** ცხოვრებიდან...

ქართული უნივერსიტეტი ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის პრობლემად იქცა. იგი განიხილება საბჭოთა წყობილების იდეურ ოპოზიციად თავისი მეცნიერული მოღვაწეობით, თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით. თავისი მორალურ-ზნეობრივი სახით ბოლშევიკურ ხელისუფლებას განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის პიროვნება ეჩხირებოდა თვალში. ივანე ჯავახიშვილმა უბადლო ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ირგვლივ შემოიკრიბა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. „ივანე ჯავახიშვილის ჯგუფი“ – როგორც მოიხსენიებდნენ შემდგომ, სერიოზული იდეოლოგიური პრობლემა იყო კომუნისტებისათვის. საჭირო იყო ამ ჯგუფის დაშლა, სამაგალითოდ დასჯა („ანტიკომუნისტური იდეოლოგიის გამო“); დღის წესრიგში დადგა ივანე ჯავახიშვილის განადგურება; ეს იქნებოდა წინაპირობა მისი ჯგუფის „განეიტრალების“...

...1925 წელს მთავრობამ იერიში მიიტანა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. დიდი მეცნიერი შეებრძოლა ამგვარ ქმედებას და ძვირადაც დაუჯდა. 1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან და პრაქტიკულად ჩამოაცილეს უნივერსიტეტს. ამ „ღონისძიებამ“ ხელისუფლებისათვის

სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. უნივერსიტეტი ისევ იდეურად მიუღებელ დაწესებულებად რჩება ხელისუფლებისათვის... გადაწყდა: უნდა მოხდეს უარყოფა ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობისა და განადგურება მისი ჯგუფისა.

ჯერ კიდევ 1927 წელს **ლავრენტი ბერია** ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერდა, რომ **სტუდენტობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ივანე ჯავახიშვილი, ის მათი კერპი იყო. უნივერსიტეტის 10 წლის საიუბილეო სხდომაზე სტუდენტები ცივად შეხვდნენ ფ. მახარაძეს, თ. ლლონტს და სხვებს; მაგრამ ჯავახიშვილის დასახელებისას დარბაზი დაინგრა ოვაციებით, თუმცა თავად ჯავახიშვილი სხდომას არ ესწრებოდაო** (ვემყარები კრებულს „ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე, დოკუმენტები და მასალები“; გამოსაცემად მოამზადა მ. ვაჩნაძემ და ვ. გურულმა; „არტანუჯი“, 2004 წ. 470 გვ.)...

გავიხსენოთ: ლავრენტი ბერია იმჟამად საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (უშიშროების სამსახურის) უფროსია და, რაც მთავარია, ბერიაა!

ივანე ჯავახიშვილმა თითქმის დატოვა უნივერსიტეტი; მაგრამ ხელი-სუფლება მაინც ვერ ისვენებს; უნივერსიტეტი რჩება მისთვის საშიშ ზონად...

ბრძოლა სხვაგვარად გაგრძელდა: 1930 წლის ივლისში მოხდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. თსუ დაიშალა ოთხ ინსტიტუტად: ა) სამედიცინო ინსტიტუტი, ბ) საფინანსო-კოოპერაციული ინსტიტუტი, გ) საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტი და დ) პედაგოგიური ინსტიტუტი (უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე). ეს რეორგანიზაცია არ აღმოჩნდა საკმარისი. პედაგოგიურ ინსტიტუტში უნივერსიტეტის ტრადიციები ისევ ცოცხლობს. ამის განადგურება იყო საჭირო და გადაწყდა: **ივანე ჯავახიშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მიეყვანათ...**

1930 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად ბოლშევიკი ივანე ვაშაყმაძე დაინიშნა, სწორედ მას დაევალა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა – „კონდრატიევიშინის“ განადგურება.

„საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ წინასწარ განსაზღვრა იმ მეცნიერთა სია, რომელთაც ბრალი უნდა დასდებოდათ არამეცნიერული შეხედულებების წამოყენებასა და პროპაგანდაში“ (დასახ. კრებ.).

სამარცხვინო სამსჯავროს ადგილად შეირჩა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამსჯავროს გახსნის დღედ – 1930 წლის 13 დეკემბერი, მთავარ ბრალმდებლად – პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ივანე ვაშაყმაძე. **„სამარცხვინო სამსჯავროს მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის, ასევე სხვა დიდი ქართველი მეცნიერების იდეური განადგურება“** (მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, გვ. 13).

დისკუსია სამ დღეს გაგრძელდა. დისკუსიის მასალები სრულად არ შემოგვენახა. არ ჩანს თავად ი. ვაშაყმაძის სადისკუსიო მოხსენება. თუმცა ამ მოხსენების საჟურნალე ვარიანტი გამოქვეყნდა შემდგომ „მნათობში“ (1931, №1-2, გვ. 102-216), ჩვენ ამ პუბლიკაციით ვსარგებლობთ. დისკუსიის სულის-

კვეთების, მისი მიზეზისა და მიზნის ნათლად წარმოსადგენად ჩავიკითხავ ვრცელ ამონარიდს ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან: „თუ გადავავლებთ თვალს ჩვენს კულტურულ ფრონტს, განსაკუთრებით კი მეცნიერებას, ჩვენ დავინახავთ, რომ არავითარ ღირსშესანიშნავ მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ ქონია ადგილი. არა თუ კვლევა-ძიებას, არამედ პროგრესულ-მეცნიერულ ძალებსაც არ აძლევდნენ საშუალებას აქ ჩამოსვლისა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ მეცნიერთა მიერ **ნ. მარის წინააღმდეგ** კამპანიის წარმოება და თითქმის ბოიკოტის გამოცხადებაც კი. **მეცნიერებას საქართველოში დაეპატრონა პირწავარდნილი ნაციონალიზმი...** მეცნიერებაში ყველაფერი ის, რაც არ უწყობდა ხელს ნაციონალიზმს, ნაციონალისტური სულის განმტკიცებას – დევნილი იყო“... („ტირანის სამსჯავროზე“, გვ. 14; ქვევით მივუთითებთ მხოლოდ წიგნის გვერდს).

ნიკო მარის სახელი დისკუსიაში მრავალჯერ გაიჟღერებს. მისი პოზიციისადმი კრიტიკული დამოკიდებულება დანაშაულად იყო მიჩნეული; **1930 წელს ნ. მარი შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში**. ეს ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო... მარისტები ბოროტად სარგებლობდნენ ამ არგუმენტით... **ნაციონალიზმი** მთავარი ბრალდება იყო არაკეთილსაიმედო მეცნიერთა მიმართ.

ისევ ამონარიდი ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან: „მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმს საქართველოში კარგა ხნის ისტორია აქვს, ქართველი პროფესორები და მეცნიერები, რომლებიც უმთავრესად გამოსულნი იყვნენ გაბატონებული კლასის წრეებიდან, ვერ ამჩნევდნენ მას. ეს ნაციონალისტური ტენდენციები საზოგადოებათ-მეცნიერებაში ნაწილობრივ გადმოვიდა და განაგრძობდა არსებობას საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც; **უმთავრესად კი ის შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის შკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმეცნიერებას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვ.**“, გვ. 38).

იქვე ი. ვაშაყმაძე დაუმატებს: „თუ ქართული ენათმეცნიერების კათედრა ვიწრო ნაციონალიზმის და ფორმალისტურ მეთოდის გავლენის ქვეშაა, ზოგადი ენათმეცნიერება ინდო-ევროპულ თეორიას ვერ გაცილდება და აწარმოებს იაფეტოლოგიის კრიტიკას მარჯვნიდან. მართალია, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე პროფ. **გ. ახვლედიანი და ჰგმო თავისი წარსული** და აღიარა, რომ ის „იმუშავებს მომავალში კომუნისტური აკადემიის ხელმძღვანელობით“, მაგრამ ჯერჯერობით წარმოებული შრომის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია მეთოდოლოგიური კრიტიკა არ გავუწიოთ მას“ (გვ. 42).

როგორც აღინიშნა, ხელისუფლებას ივანე ჯავახიშვილის ბედი „გარკვეული“ აქვს. მასთან ერთად უნდა განადგურდეს მისი ჯგუფი... **აკაკი შანიძე**, როგორც ვნახეთ, **უმთავრესი „ჯავახიშვილისტია“**... და არა მხოლოდ ა. შანიძე...

დისკუსია სამ დღეს გრძელდებოდა. სტენოგრამა იწერება, თუმცა ყველა გამოსვლა არაა შემონახული, როგორც ვთქვით. დისკუსია მწვავეა. სამსჯავროზე გამოყვანილ პროფესორ-მასწავლებელთაგან ითხოვენ, აღიარონ, რომ

არიან ჯავახიშვილის ჯგუფის წევრები და უნდა დაგმონ ჯავახიშვილი, უარყონ იგი...

განსაკუთრებით აქტიურობენ ბოლშევიკი სტუდენტები და ასპირანტები. რამდენიმე ამონარიდი მათი გამოსვლებიდან:

სტუდენტი გაბუნია: (ზოგი გამომსვლელი მოიხსენება მხოლოდ გვართ, ზოგი სახელითა და გვართ; ზოგი წოდებითა და გვართ... ჩვენც ასე წარმოვადგენთ, თუმცა ზოგ შემთხვევაში უფრო ზუსტი ცნობებიც მოგვეპოვება...); „ჩვენთვის პროფესორი არ არის კერპები... აი მე ეხლა რასაც წაგიკითხავთ, არც ერთ პროფესორს არაფერი არ უთქვამს **ქართული ერის ჰიმნის** შესახებ (კითხულობს).

აი, **ამას ამბობს პროფესორი შანიძე.** ეს არის **პატრიოტული ლექსი ნაციონალურ მორევში გახვეული.** დღეს ამ პოეტისაგან ჩვენ მოვითხოვთ განაცხადოს, რა თვალსაზრისისაა იდეალიზმზე და საჭიროა სთქვას **შანიძემ**, რა თვალსაზრისზე სდგას.

შემდეგ, ამხანაგებო, მე რამოდენიმე დროს შევაჩერებ თქვენ ყურადღებას აი ამ ლექსზე (კითხულობს).

აი, პროფესორი გამოვიდეს აქ და გვითხრას, რა თვალსაზრისის არის და როგორ გვზრდის ჩვენ, ამ თვალსაზრისზე თუ მოახდინა გარდატეხა. საბოლოოთ უნდა ვსთქვა, რომ ჩვენში კერპები არ არსებობენ, მათი ადგილი არის სიძველეთა მუზეუმში“... (გვ. 77). ამგვარი გამოსვლები ხანგრძლივ ტაშს იმსახურებს...

ასპირანტი ყალიჩავა: „ჯავახიშვილი პოლიტიკის გარეშე არ სდგას. ის დაწერილი არის მენშევიზმის სულის კვეთებით... მას დირექტივები ჰქონდა მენშევიკებისაგან... ის უქადაგებს დავითის ტახტს... აქ გამოდიან **მისი მოწაფეები** პირდაპირ დაგეშილები და **ჯავახიშვილის ზრძანებას ასრულებენ**... ჩვენ ასეთი ხალხი არ გვინდა ჩვენს უნივერსიტეტში...

შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთი ფაქტი: როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო... დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები“ (გვ. 95).

სტუდენტი ხომერკო: „შავრაზმელი გრ. წერეთელი აუცილებლად უნდა იქნას გაძევებული პროფესორებიდან“ (გვ. 74).

სტუდენტი დემეტრაშვილი: „საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში... სჯობია, გაიგოთ პროლეტარიატის სულის კვეთება და მოხვიდეთ ჩვენთან“ (გვ. 73).

„პროლეტსტუდენტები“ (თავიანი ტერმინია) **ებრძვიან ივანე ჯავახიშვილს და ერთმანეთში ერევათ ივანე და მიხეილი;** ეს სტუდენტი (დემეტრაშვილი) **ივანე ჯავახიშვილზე ამბობს:** „ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორც არის „შადური“, „**დამპატიყე**“. ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას“ (გვ. 72). ამგვარ გამოსვლას დარბაზი ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს...

ე. წ. „ჯავახიშვილის ჯგუფის წევრები“ გმოზენ ივანე ჯავახიშვილს, ემიჯნებიან მას... იოანე საბანის ძე გვახსენდება: „რომელნიმე მძლავრობით,

რომელნიმე შეტყუვლით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით... ირწევინან, ვითარცა ლერწამნი...”

სარგის კაკაბაძე: „აქ ვაშაყმაძემ ბრძანა, რომ ივანე ჯავახიშვილი არის დიდი ნაციონალიზმის მიმდევარი... ეს ნაციონალიზმის მიმდევარი კი არ არის, არამედ არის ფეოდალური წესწყობილების მიმდევარი“ (გვ. 47). „მარის იაფეტოლოგია დაუახლოვდა მუშათა კლასს... ეხლანდელ მომენტში საჭიროა ჩვენ ამოუდგეთ გვერდში მუშათა კლასს...“ (გვ. 47).

სიმონ ხუნდაძე: „ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი არის, დიდი ნიჭიერი კაცი არის, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად მიუღებელი არის. ეს ისტორია, მისი ნაწერი არ არის სოციალისტური ენით ნაწერი. (გვ. 52).

ზოგჯერ ისეთი პირებიც დაუპირისპირდებიან ივანე ჯავახიშვილს, დღეს წარმოდგენაც რომ ძნელია...

დოცენტი ბერმენიშვილი: „მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში... რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას უღრმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია“ (გვ. 79).

სიმონ ჯანაშია: „ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს. მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს“ (გვ. 69).

მსგავსი გამოსვლები ცნობილი თუ უცნობი ავტორებისა, მრავლადაა... როგორც ითქვა, ტონის მიმცემი და მთავარი ბრალმდებელი იმჟამინდელი რექტორი ივანე ვაშაყმაძე.

აი, ეს კი უკვე განაჩენია: ი. ვაშაყმაძე – „ამიერიდან ჩვენი მეცნიერების არც ერთ დარგში არ დაგუშვებთ ძველი გაბატონებული კლასების იდეოლოგიის არსებობას. ან მარქსიზმის, დიალექტიკური-მატერიალიზმის ცნობა და მით ხელმძღვანელობა, ან მეცნიერების ფრონტიდან სრულიად გაქრობა – აი, ასე არის ისტორიის მიერ საკითხი დასმული“ (გვ. 44).

ზემოთაც ვთქვით, ბრალდება უმთავრესად შეეხება თვით ჯავახიშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას; „უმთავრესად კი ეს შეეხება საქართველოს ისტორიკოსებს (ივ. ჯავახიშვილის შკოლა), ქართულ ლიტერატურას და ენათმეცნიერებას (კოტეტიშვილი, ა. შანიძე, თოფურია, ჩიქობავა და სხვ.)“ (გვ. 38).

ახლა უფრო ვრცლად, ენათმეცნიერებაზე და კერძოდ, აკაკი შანიძეზე (და შემდეგ არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიაზე)...

ი. ვაშაყმაძის მოხსენებიდან: „მართალია, ქართული ენის და ზოგადი ენათ-მეცნიერების დარგში სწარმოებს მეტად ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც აქვს უაღრესად მეცნიერული მნიშვნელობა, მაგრამ აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ უმთავრეს დეფექტებზე და შეცდომებზე. უნდა ამკარად ვაღი-

როთ, რომ დღემდე ორივე კათედრის შემადგენელი მეცნიერული მომუშავენი იდგნენ ანტიიფექტურ მეთოდოლოგიის თვალსაზრისზე. ისინი მტრულად უყურებდნენ ნ. მარის მუშაობის უდიდეს მიღწევებს ენათმეცნიერების მეთოდოლოგიის დარგში. ამას თუ დავუმატებთ **განსაკუთრებით აკ. შანიძის ნაციონალისტურ მიმართულებას**, რომელიც **ჯავახიშვილის მოწაფეთ ითვლება** და **მათ ფორმალისტურ მეთოდს** ქართული ენათმეცნიერების შესწავლის დარგში, მაშინ აშკარა გახდება ჩვენთვის **ის უდიდესი საფრთხე**, რომელიც მოუდის ამ მეცნიერებათა განვითარებას, **თუ არ შეიცვალა მათი მეთოდოლოგია**“ (გვ. 42).

**

ზემოთაც ვთქვით: როცა საუბრობენ „**ჯავახიშვილის ჯგუფზე**“, უპირველესად ასახელებენ **აკაკი შანიძეს, არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას**; ვარლამ თოფურია ამ დროს 29 წლისაა, არნოლდ ჩიქობავა – 31-ის; სწორედ ამიტომაც ჩვეულებრივ მათ ინიციალების გარეშე მოიხსენიებენ...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან სამსჯავროზე გამომსვლელთა სიტყვებიდან არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურიას შესახებ:

სტუდენტი **გაბუნია**: „შემდეგ დოც **ჩიქობავას** გამოსვლა. ის აქ გამოდის და აცხადებს, რომ მარქსიზმის არაფერი არ გაეგება და მისი სიტყვით, თითქოს გაზეთების ფურცლებით არ შეიძლება გახთე მარქსისტი. მაშასადამე, ამხანაგებო, მუშები არ ყოფილან მარქსისტები“ (გვ. 76)... – „კარგად“ აქვთ დამუშავებული დემაგოგიისა და პროვოკაციის „მეთოდები“.

სტუდენტი **მელაძე**: „ჩვენ ვლაპარაკობთ ბოლშევიკურ და კომუნისტურ ენაზე... ჩვენ არავის არ ვაშინებთ. პროფ **თოფურია, ჩიქობავა** და სხვები არიან **ჯავახიშვილის ჯგუფი**, ისინი **იცავენ ჯავახიშვილის თვალსაზრისს**. ამხანაგებო, ჩვენ კომუნისტები, კომკავშირლები და ბოლშევიკები არ გავკოტრებულვართ ისე, რომ ვისმე ცილი დაგვსწამოთ. ჩვენ ძლიერნი ვართ და შეგვიძლია გაგისწორდეთ მეცნიერულად... მე, მართალია, თქვენ, პროფესორო **თოფურია**, პატივს გცემთ, როგორც პროფესორს და თუ თქვენ კლასობრივ ხაზს გაამრუდებთ, მე ამას არ დაგიტოვებთ. ჩვენ, კომუნისტები, დისციპლინის ხალხი ვართ“ (გვ. 80).

შემახილები დარბაზიდან: „თქვენ გეშინიათ ახალი კადრების!.. თქვენ შეგცვლით ახალი კადრები!“

მეგრელიძე: „...**ჩიქობავამ** განაცხადა, როგორი არის ქართველური მეცნიერება და რა უნდა, მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ სხვა და სხვა გვარი, მეგრული და აგრეთვე სხვა და სხვა კუთხური ენა“... ორატორის საუბარი არის დაბნეული, უაზრო... მხოლოდ აგრესია და უარყოფითი დამოკიდებულება არის გამდავენებული...

მეგრელიძე აკრიტიკებს **ჩიქობავას** გამოსვლას, თუმცა სტენოგრამაში ეს გამოსვლა არაა ასახული, ამიტომ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ზოგად პოზიციასზე: როგორც ოპონენტთა გამოსვლებიდან ჩანს, არნ ჩიქობავა ერთგულებას უცხადებს ივანე ჯავახიშვილს, არ ეთანხმება და მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას...

რაც შეეხება პირადად **ვარლამ თოფურას** პოზიციას, მესამე დღეს, დასკვნით ნაწილში მისი სიტყვა (გარკვეულ წილად თითქოს იუმორითა თუ ირონიით შეჯერებული), საოცრად **ზუსტი მახასიათებელია მისი პიროვნებისა**. მოკლე სტენოგრამაფიულ ჩანაწერში წარმოდგენილია საკმაოდ შთამბეჭდავი გამოსვლა... მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს: „კონდრატივეშჩინა ჩვენს ინსტიტუტში იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული და ამიტომ მოითხოვენ ჩემგან გარკვეულობას, ვისთან ვართ, აქ, თუ სხვაგან ვართ. ან ხომ არ არის ისე, რომ ტანით პროლეტარიატთან ვართ და თავით – მის მოწინააღმდეგესთან“... „ენათმეცნიერნი რატომღაც, როგორი პრინციპის მიხედვით არ ვიცი, დაიყო ორ ნაწილად: ერთი ნაწილი მემარჯვენეებია და მეორე ნაწილი – მემარცხენეები. ეს პრინციპი ჩემთვის გაუგებარია, მე მემარჯვენეებს მიმაკუთვნეს; მე ივანე ჯავახიშვილს მიმაკუთვნეს. **მე ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ვიყავი და მას პატივს ვცემ**. ნუთუ ეს პატივისცემა არის მემარჯვენეობა. რატომ არ ღებულობთ იმ გარემოებას, რომლებთანაც უფრო ახლოს ვიყავი და მოთავსებულნი არიან მემარცხენე ჯგუფში. ესენი არიან ახვლედიანი და კეკელიძე. მე მათ ყოველ დღე ვხედავ და მათთან ვმუშაობ...“

დიდი გამბედაობა იყო ამის თქმაც: „**რაც შეეხება იაფეტოლოგიის მიმდევარი არა ვარ**...“ და მერე: ეს უკვე ირონია; შეიძლება ცინიზმიც...თქვენ მოგვეცით დრო, თორემ როგორ შეიძლება, რომ ამაღამ დავიძინოთ და ხვალ რომ გავიღვიძებთ, მარქსისტები გავხდეთ. თქვენ მოგვეცით დრო.... პოლიტიკურად თუ მიუღებელი ვარ, ალბათ თქვენ გეცოდინებათ, მე არა მაქვს პოლიტიკური წარსული“ (გვ. 72).

**

გამომსვლელები განსაკუთრებით აგრესიულები არიან **არნოლდ ჩიქობავას** მიმართ.

„სამსჯავროს“ ბოლო დღეს საბოლოო გამოსვლაში ივანე ვაშაყმაძე იტყვის: „რაც შეეხება ჩიქობავას გამოსვლას, რომ ის არი, იყო ჯავახიშვილის მოწაფე და ის იყო სოც. რევოლუციონერი; მაგრამ მისი გამოსვლა ჯერ **პოლიტიკურად არ არის სწორი**. ის უნდა გამოსულიყო აქ და ეთქვა, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ჯავახიშვილთან, მაგრამ მას აქ აშკარად ეტყობოდა დეურუშნიკობა მისი სიტყვიდან ეს გამომდინარეობდა, გამომდინარეობდა ნამდვილი ორპირობა.

ეხლა რაც შეეხება მის მეთოდოლოგიას. აქ გამოდის ჩიქობავა, ახვლედიანი და სხვები და ამბობენ, რომ ისინი არიან დამკვრელები, მაგრამ **ჩიქობავას**, როგორც ეტყობა, დღემდე **არც კი წაუკითხავს მარქსიზმი**. შანიძე, ჩიქობავა, ახვლედიანი, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილნი... აი, განწყობილება ინდოევროპულ თეორიასთან უნდა გითხრათ, თქვენ აკრიტიკებთ იაფეტოლოგიურ თეორიას, ეს არ არის დასაშვები მეცნიერების განვითარებაში... იაფეტოლოგიური თეორია არის დიალექტიური მატერიალიზმი. რაც შეეხება თქვენს თეორიას, ყველაფერს მე აქ არ ვიტყვი... თქვენ უფრო მარჯვენე ხართ რეაქციონერები“ (გვ. 107)...

ი. ვაშაყმაძის დასკვნითი სიტყვის შემდეგ რამდენიმე პროფესორს მიეცა განცხადების გაკეთების საშუალება. არნ. ჩიქობვა სხდომაზე არ მისულა. გამოუგზავნია წერილობითი პასუხი. განცხადება არ არის ვრცელი, ამიტომ მოვიყვან სრულად:

„საჭიროდ ვთვლი, დემეტრაშვილისა და ამხ. გაბუნias სიტყვებთან დაკავშირებით განვმარტო:

1. როცა მე ვთქვი, მატერიალისტურ დიალექტიკის გამოყენებისათვის ენათმეცნიერებაში საჭიროა მარქსიზმის საფუძვლიანი ცოდნა. ...გაზეთის საშუალებით ასეთი საფუძვლიანი ცოდნის მიღება არ შეიძლება-მეთქი, მე პირდაპირ მივუთითებდი იმ მოთხოვნილებებზე, რომელსაც ვუყენებთ მკვლევარს ენათმეცნიერებაში და არა საერთოდ მოქალაქეს.

ცინიზმის დაძებნა ამაში წარმოდგენელი გაუგებრობაა.

2. მასწავლებლების მიერ დასმული იყო კითხვა: შეიძლება თუ არა, გავარჩიოთ კლასობრივი თვალსაზრისით ისეთი ლექსები, როგორცაა: „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“. მე მეგონა (ახლაც მგონია): ასეთი ლექსების კლასობრივი თვალსაზრისით გარჩევა მარქსიზმის მხოლოდ ვულგარიზაციას მოგცემდა. მე მივუთითებდი ვულგარიზაციის საფრთხეზე (...) და დავასახელე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი მაგალითი ასეთი ვულგარიზაციისა. როდესაც ფრაზებს (ლექსში): „ჩერნაია ნოჩ“, „ბელოე პოლე“ – კრიტიკოსი განმარტავდა: შავი ღამე – ეს რეაქციაა; თეთრი, თოვლიანი მინდორი – თეთრგვარდიელთა თარეშად უნდა გავიგოთ შავზნელ რეაქციაშიო. ამგვარად კონტექსტში ლაპარაკი იყო უშუალოდ კლასობრივის თვალსაზრისით ინტერპრეტაციაზე ვულგარიზაციის საფრთხესთან დაკავშირებით და არა ზოგადად მარქსიზმზე.

სხდომის ოქმი ჩემთვის არავის უჩვენებია (თუმცა გამოუქვეყნებიათ კიდევ). დამახასიათებელია, რომ იქ არაფერია ნათქვამი ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითის შესახებ“ (გვ. 112-113)...

არმისვლა სამსჯავროზე, ირონიითა თუ ცინიზმით შეჯერებული წერილის გაგზავნა არნ. ჩიქობავას მიერ იყო სწორედ იმ „კეთილსინდისიერების, პრინციპულობისა და შეუვალობის“ მაგალითი...

**

ივანე ვაშაყმაძის აზრით, ამ დისკუსიამ მიზანს ვერ მიაღწია; მთავარ „დამნაშავეებს“ ვერ „შეაგნებინეს“ თავიანთი „დანაშაული“... განსაკუთრებით „დარდობს“ აკაკი შანიძის ბედს:

„რაც შეეხება იმ ადამიანს, რომელიც **ჭაობში იყო მოყოლილი, ე. ი. აქ მე ლაპარაკი მაქვს აკ. შანიძეზე**, მან არაფერი არ სთქვა, არ იკადრა და არ გამოვიდა აქ. წაიკითხეს მისი ლექსები, სადაც ის დიდ მეცნიერათ გრძნობს თავს. ეს მეცნიერი ეკუთვნის ანტიიაფეტურ დაჯგუფებას და რომელიც სცილობდა გამასხარაობას მარის ნაწერებისას, ისეთი პიროვნებისას, რომელიც შევიდა 1930 წელს პარტიაში... **მას უნდა ეთქვა, რომ ჩვენ არ ვართ მომხრე ჯავახიშვილისო.** უნდა ეთქვათ, რომ **ჩვენ არ გვინდა ის გზა, რომელი გზითაც ის მიდის**“... (გვ. 107).

ეს მთავარი დანაშაული იყო აკაკი შანიძისა...

ა. შანიძის ლექსი ზემოთაც ვახსენეთ. რა ლექსებზეა საუბარი?

1917 წლის 5 დეკემბერს **აკაკი შანიძემ** დაწერა ლექსი „**ქართული ეროვნული ჰიმნი**“. ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „პრომეთეში“ 1918 წელს (№1). ლექსის დაწერის ისტორია ჩემთვის უცნობია, ამბობენ, ჰიმნისთვის დაიწერაო. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ამ ლექსის ხსენება არ შეიძლებოდა. ლექსი 16 მარცვლიანი; შედგება 9 სტროფისაგან, მე-9 სტროფი I-ის გამეორებაა. არსებითი სამიზნე სწორედ პირველი სტროფია:

„აბა ფხიზლად, ქართველებო, მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!

წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩაუფიქრდეთ მომავალსა!

ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!

ყური ვუგდოთ გურჯი-ბოლაზს და **ნუ ვაღებთ დარიალსა!**“

ამ ლექსის გამო „სამსჯავროზე“ აკაკი შანიძეს მაინც მოუხდა განმარტების გაკეთება:

„ჩემს წინააღმდეგ ულაპარაკიათ და წაუკითხნიათ ჩემი ლექსი, რომელიც დაწერილია 1917 წ. 5 დეკემბერს (კითხულობს).

ეს ლექსი უნდა გახსოვდეთ, რომელ თარიღშია დაწერილი. იმ დროს ხდებოდა რევოლუცია, ჯერ ლენინგრადში იყო, შემდეგ მოსკოვში. კავკასიის მთები შორს იყო და დენიკინის ჯარი იდგა და მე მის წინააღმდეგ ვწერდი“ (გვ. 111)...

ხუმრობაც სცადა „ნაციონალიზმის“ თემაზე.

ა. შანიძე: „რაც შეეხება ნაციონალიზმს... მე ვამბობ, რომ მარის ცდა უდიდესი არის. მე კი გამომიყვანეს შოვინისტი და მემარჯვენე. როდესაც მან ერთხელ მკითხა, შენ ნაციონალისტი ხარ? უპასუხე, რათ გიკვირს, შენი გაზრდილი ვარ-მეთქი (ხუმრობა)“...

თავმჯდომარეს არ ეხუმრება და სასწრაფოდ შეაწყვეტინა: „ამხანაგებო, ყოვლად შეუძლებელია ცილისწამება იმ პიროვნებებისადმი, რომელიც შემოსულია კომუნისტურ პარტიაში და ითვლება კომპარტიის წევრად ნ. მარი“ (გვ. 117).

დარბაზი ბობოქრობს. უყვირიან აკაკი შანიძეს: „გმობ თუ არა ნაციონალიზმს?“... „ისაუბრეთ თქვენი დამოკიდებულების შესახებ ჯავახიშვილთან!“...

და აქ გამოჩნდება ის **რაინდული სული აკაკი შანიძისა, ის ბოზიცია**, რომელიც მან თავის ღირსეულ მოწაფეებსაც ჩაუნერგა და თქვა ის, რაც სხვამ ვერ გაბედა:

„**მე არ ვეკუთვნი იმ პირებს, რომლებსაც სურთ ჯავახიშვილის ჩაწივლით გაიკეთონ თავიანთი კარიერა... მე არ შემიძლია ბევრის ლაპარაკი, რადგან მე პრაქტიკული მომუშავე ვარ... რაც შეეხება სტუდენტობას, რომ მე ასე მახასიათებენ, ალბათ, სხვა რამე იქნება და ჯავახიშვილის წინააღმდეგ გალაშქრებით იკეთებენ კარიერას. მე ეს კაცი არა ვარ**“ (გვ. 113).

ამის თქმა რისკი იყო, სიცოცხლის რისკი! ივანე ჯავახიშვილის, ქართული უნივერსიტეტისა და ქართული ენის ერთგულებამ ეს სარისკო ნაბიჯი გადაადგმევინა აკაკი შანიძეს!...

საბედნიეროდ, აკაკი შანიძე გადარჩა... დიახ, **აკაკი შანიძე** და მისი მოწაფეები, **არნოლდ ჩიქობავა** და **ვარლამ თოფურია** გადარჩნენ! და **გადაარჩინეს ქართული ენათმეცნიერება!**

და კიდევ:

თუკი ოდესმე შედგება თემატური კრებული რაინდული გამოსვლები-სა, აკაკი შანიძის ეს სიტყვა იმ კრებულში საპატიო ადგილს დაიჭერს...

GIORGI GOGOLASHVILI

The Trial Against Ivane Javakhishvili and Classics of Georgian Linguistics

S u m m a r y

The Georgian university has become a problem for the Bolshevik government. It is considered to be the ideological opposition of the Soviet establishment due to its scientific and public activities. From moral standpoint, especially Ivane Javakhishvili was a stick in the Bolshevik government's eye. Thanks to his unique organizational talent, Ivane Javakhishvili gathered the best part of the Georgian intelligentsia of that time around him. "Ivane Javakhishvili's group" – as it was referred to later, was a serious ideological problem for the communists. It was necessary to disband the group, to punish it (because of their anti-communist ideology); Routing of Ivane Javakhishvili was on the agenda; This would be a precondition for the "neutralization" of his group. In 1925 the government "attacked" the autonomy of the university. The great scholar fought against such an action and it cost him dearly. In June 1926, Ivane Javakhishvili was dismissed from the post of rector and practically, was separated from the university. This "measure" did not produce the desired result for the government. The university still remained an ideologically unacceptable institution for the government. It was decided: Ivane Javakhishvili's scientific heritage should be disproved and his group should be routed.

Back in 1927, Lavrenti Beria wrote in one of his reports that **Ivane Javakhishvili was very popular among the students, he was their idol. At the session dedicated to the 10th anniversary of the University, the students coldly met P. Makharadze, T. Glonti, et al. But when Javakhishvili was named, the hall applauded, although Javakhishvili did not attend the session** (the author bases on the

collection "Ivane Javakhishvili before the trial of tyranny, documents and materials"; Publishers M. Vachnadze and V.Guruli, 2004, p. 470). Recall: Lavrenti Beria then was the head of the Georgian State Political Division (Security Service) and, most importantly, it was Beria!

Ivane Javakhishvili left the University; But the government still could not rest assured; University still was a dangerous zone.

In July 1930, the university was reorganized. TSU was divided into four institutes: a) Medical Institute, b) Financial Cooperative Institute, c) Soviet Reconstruction and Judicial Institute, d) Pedagogical Institute. This reorganization did not seem to be enough. The university traditions were still alive in the Pedagogical Institute. It was necessary to destroy it and it was decided: **to end the fight against Ivane Javakhishvili and his team.**

In 1930, Ivane Vashaqmadze, a Bolshevik, was appointed as rector of the Pedagogical Institute. It was he who was tasked to bring the case to an end – destruction of the "group dangerous for the state."

"Georgia's political leadership has predetermined the list of scholars who should be accused of spreading unscientific views and propaganda."

The Georgian State Pedagogical Institute was chosen as the place of the disgraceful trial, opening day of the trial – December 13, 1930, Ivane Vashakmadze, the rector of the Pedagogical Institute as the main accuser. *"The aim of the disgraceful trial was the ideological destruction of Ivane Javakhishvili and his school, as well as other great Georgian scholars"* (ibid. p. 13).

The discussion lasted for three days. There are no materials of the discussion in full. I. Vashaqmadze's discussion report could not be obtained. However, the journal version of the report was published in the later in "Mnatobi" (1931, №1-2, pp.102-216). The author brings this publication. In order to clearly present the pathos of the discussion, its reason and purpose, the author brings extensive extract from I. Vashaqmadze's report: *"If we look at our cultural field, especially science, we will see that no remarkable scientific research has taken place. Not only research, but also progressive scientific forces were not allowed to come here. For example, we can cite the campaigning and boycotting of Georgian scholars against **N. Marr. Science in Georgia was taken possession by true nationalism.** In science, everything that did not contribute to nationalism, to the strengthening of the nationalist spirit, was persecuted "... N. Marr's name is mentioned many times in the discussion. In 1930, N. Marr joined the Communist Party. This was an accounting argument. The Marrists abused this argument. **Nationalism** was the main accusation against unreliable scholars.*

Again extract from I. Vashaqmadze's report: *"Although Marxism has a long history in Georgia, Georgian professors and scholars, who were mainly from the dominant class, did not notice it. These nationalist tendencies were partially*

introduced into the social sciences and continued to exist even after the sovietization of Georgia; It mainly concerns Georgian historians (Iv. Javakhishvili's school), Georgian literature and linguistics (Kotetishvili, Shanidze, Topuria, Chikobava, etc.” (p. 38).

As aforesaid, the government "predetermined" fate of Ivane Javakhishvili. His group must be destroyed together with him. Akaki Shanidze, as it was seen, was the main "**Javakhishvilist**", and not only Akaki Shanidze but the second generation of "Javakhishvilists" – **Arnold Chikobava** and **Varlam Topuria**.

The discussion lasted for three days. The shorthand was made, though not all speeches are preserved, as it was said. The discussion was intensified. Professors and lecturers were coerced to admit that they are members of Javakhishvili's group and had to criticize Javakhishvili and reject him. Bolshevik students and post-graduate students were especially active.

During three days, a number of "accusers" appeared before the court. Most of them (even very honorable people today), apologized, censured Ivane Javakhishvili and denied membership in his group! Classics of Georgian linguistics – Akaki Shanidze, Arnold Chikobava and Varlam Topuria appeared in court with dignity. They confirmed the great merit of Ivane Javakhishvili before Georgian science; They showed deep respect for him and "admitted" that they were members of his group!

At the time this was an extremely dangerous position; But they showed the qualities they had served throughout their lives: loyalty to the Georgian university, to science, and to a worthy teacher.

თამარ გუჩუა

**სამეტყველო მოვლენები და სამეტყველო აქტები
კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მიხედვით¹**

წლების მანძილზე ეთნოგრაფიული მასალების დაგროვებამ და ადამიანთა სამეტყველო პრაქტიკაზე დაკვირვებამ ახალი კითხვები გააჩინა კომუნიკაციის პროცესის გარშემო. ლინგვისტებმა ყურადღების მიქცევა დაიწყეს ენის სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებაზე და შენიშნეს, რომ ენის შინაგანი სტრუქტურის ასპექტები არ მოიცავს ყველა იმ წესს, რითაც მეტყველება რეგულირდება. ის, თუ რა ითქმის კონკრეტულ სიტუაციაში, როგორ ხდება სათქმელის ფორმულირება და არაგერბალურ ნიშნებთან მისი დაკავშირება, უბრალოდ თავისუფალი ინდივიდუალური არჩევანი არ არის. მასზე ისევე მოქმედებს სოციალური შეზღუდვები, როგორც გრამატიკული.

მიუხედავად იმისა, რომ ენის ფუნქციონირების პრობლემა კარგა ხნის მანძილზე იყო დისკუსიის საგანი, საკითხის ინტეგრირება ენისა და საზოგადოების ზოგად თეორიებში შედარებით გვიან, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. 1964 წელს ამერიკის ანთროპოლოგიური ასოციაციის წამყვან ჟურნალში – „ამერიკელი ანთროპოლოგი“ დელ ჰაიმზის ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაცია (ჰაიმზი 1964) ამგვარ პრობლემებზე ორიენტირებული შრომის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, სადაც კომუნიკაციის ეთნოგრაფიის თეორიული მიზანი საკომუნიკაციო კომპეტენციის ცნების გარშემოა ფორმულირებული: რა უნდა იცოდეს მოლაპარაკემ ეფექტური კომუნიკაციის მისაღწევად? ნოამ ჩომსკისეული „ენობრივი კომპეტენციის“ საპირწონედ ჰაიმზი „საკომუნიკაციო კომპეტენციას“ განმარტავს, როგორც „ენის სიტუაციური თავსებადობის შინაგან ცოდნას“ (ჰაიმზი 1977: 129). თუკი ჩომსკი „კომპეტენციაში“ ადამიანის მენტალურ გრამატიკას გულისხმობს, სადაც ენა, როგორც აბსტრაქტული წესების კრებული, ისეა წარმოდგენილი, საკომუნიკაციო კომპეტენცია – ესაა კომუნიკაციის უნარების მთელი კომპლექსი, რომელიც სოციალური გამოცდილებით მიიღწევა. ენის გამოყენების ნორმების ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე გრამატიკული წესების ცოდნა.

წინამდებარე კვლევის მიზანია სოციალური უთანასწორობის ამსახველ სამეტყველო მოვლენათა წარმოდგენა და განხილვა კომუნიკაციის ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში. კვლევის ემპირიულ ბაზად გამოვიყენებთ ქართულ ეთნოგრაფიულ და მოგზაურობის ჟანრის მასალებს. ნაშრომის

¹ კვლევა [PHDF-21-091] განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

სტრუქტურა შეგვიძლია ამგვარად წარმოვადგინოთ: 1. კომუნიკაციის ეთნოგრაფიის, როგორც კვლევითი მიმართულების, მოკლე მიმოხილვა; 2. საკვანძო ერთეულების გამოყოფა; 3. სამეტყველო მოვლენის ანალიზი კომპონენტების მიხედვით; 4. შესრულებითი გამონათქვამის ჩვენება; 5. სამეტყველო მოვლენის ფარგლებში დადასტურებული არავერბალური ქცევის განხილვა.

I

კომუნიკაციის ეთნოგრაფია, როგორც კვლევითი მიმართულება, მეტყველების ეთნოგრაფიას ემყარება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არა მხოლოდ ჰაიმზის შემდგომი პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ თავად ჰაიმზისავე შრომებშიც „მეტყველების ეთნოგრაფია“ და „კომუნიკაციის ეთნოგრაფია“ ხშირად სინონიმურად გამოიყენება, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა.

„მეტყველების ეთნოგრაფია“, როგორც ტერმინი, პირველად 1962 წელს ჩნდება დელ ჰაიმზის ამავე სახელწოდების სტატიის სათაურად. საინტერესოა, რომ „კომუნიკაციის ეთნოგრაფია“ აქ ნახსენებაც არ არის, რისი მიზეზიც სტატიის ტექსტში მოცემულ საკვანძო საკითხთა განმარტებებში უნდა ვეძებოთ. ავტორს კვლევის ობიექტად მხოლოდ მეტყველება აქვს წარმოდგენილი და არა კომუნიკაცია. „მეტყველების ეთნოგრაფია“ დამუშავდა იმ სიცარიელის შესავსებად, რომელიც გრამატიკულ და ეთნოგრაფიულ აღწერებს შორის არსებობდა და ჰაიმზის მიზანიც მეტყველებისკენ ლინგვისტა კვლევითი ინტერესის მიმართვა გახლდათ“ (ლიდს-ჰურვიცი 1984: 10). ამავე სტატიაში სამეტყველო მოვლენის განიხილვისას ჰაიმზი წერს: „ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს „მეტყველება“ (speech) და „საუბარი“ (speaking), თუმცა ეს ტერმინები კომუნიკაციის ყველა საშუალების სუროგატებია და დესკრიფციული ანალიზიც ისე უნდა განხორციელდეს, რომ ყოველი მათგანი მოიცვას“. ამ სიტყვებით იგი, ფაქტობრივად, ხაზს უსვამს, რომ კომუნიკაციის შესწავლა შედარებით მასშტაბურია, ვიდრე მეტყველებისა.

ოდნავ მოგვიანებით, 1974 წელს წიგნში „სოციოლინგვისტიკის საფუძველები: ეთნოგრაფიული მიდგომა“, ჰაიმზი პირდაპირ და ხაზგასმით შენიშნავს, რომ „კომუნიკაციის ეთნოგრაფია“ ბევრად უფრო მეტისმომცველი ტერმინია და თავის თავში გულისხმობს „მეტყველების ეთნოგრაფიასაც“. ჰაიმზის აზრით, მართალია, ლინგვისტიკა, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს კომუნიკაციის ეთნოგრაფიაში, დღეს ცნობილია სოციოლინგვისტიკის სახელწოდებით, მაგრამ ასეთი „სოციოლინგვისტიკა“ არ შეესაბამება ყველაფერს, რაც ამ სახელის ქვეშ მოიაზრება. კომუნიკაციის ეთნოგრაფიის განხილვის საგანია არა ერთი რომელიმე ენა და მისი კავშირი სოციალურ ცხოვრებასთან, არამედ მოცემული საზოგადოების მთელი სამეტყველო ეკონომიკა, რომელშიც ენა უბრალოდ ერთ-ერთია სხვა მონაცემთა ჩამონათვალში, იქნება ეს ენის რომელიმე ვარიანტი სისტემის შიგნით, თუ მეტყველების სცენა, მონაწილეები, არხები, ქმედებები, ჟანრები (ჰაიმზი 1983: 209). საკითხისადმი ამგვარ მიდგომას მივყავართ ახალ მეთოდამდე, რომელსაც ჰაიმზი უწოდებს ლინგვისტიკის ეთნოგრაფიულ მეთოდს და რომელიც მეტყველების სტრუქტურის შესასწავლად ლინგვისტიკისა და ეთნოგრაფიის ინტეგრაციას მოითხოვს.

II

კომუნიკაციის ეთნოგრაფიის საკვანძო ერთეულებია: სამეტყველო ერთობა, სამეტყველო სიტუაცია, სამეტყველო მოვლენა და სამეტყველო აქტი. ერთეულებს შორის იერარქიული დამოკიდებულება გვაქვს (ჰაიმზი 1972: 54; კამერონი 2001: 56; სავილ-ტროიკი 2003: 15).

სამეტყველო ერთობა განიმარტება, როგორც საზოგადოება, რომელსაც ქცევისა და მეტყველების ინტერპრეტაციის საზიარო ნორმები აქვს. ამ განმარტებაში „მეტყველება“ აღებულია, როგორც ენის ყველა ფორმის მომცველი.

სამეტყველო ერთობის შიგნით გამოიყოფა სამეტყველო სიტუაცია, როგორც სოციალური კონტექსტი, რომელშიც მეტყველება გვხვდება. მართალია, სამეტყველო სიტუაციაში დასტურდება ენის გამოყენება, თუმცა მთლიანობაში იგი მაინც არ წარმოადგენს წმინდა ლინგვისტურ მონაცემს, ვინაიდან მეტყველების გარდა ექსტრალინგვისტური აქტივობებიცაა მასში ჩართული.

სიდიდით შემდეგი ერთეულია სამეტყველო მოვლენა, რომელიც ენის გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია და გულისხმობს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მეტყველების წესებითა და ნორმებით რეგულირდებიან. ერთსა და იმავე სამეტყველო სიტუაციაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რამდენიმე სამეტყველო მოვლენას.

ანალიზის ყველაზე პატარა ერთეულია სამეტყველო აქტი. ისეთი შემთხვევები, როგორებიცაა მისალმება, თავაზიანობის გამოხატვა, ბოდიშის მოხდა, შეურაცხყოფა და ა. შ.

კომუნიკაციის ეთნოგრაფიის ამ საკვანძო ერთეულებიდან შედარებით მნიშვნელოვანი რგოლია სამეტყველო მოვლენა, რომელსაც მიეწერება მეტყველების წესები და რომელიც შედგება კომპონენტებისგან.

III

ჩვენს კულტურაში მიღებულია სამეტყველო მოვლენის ტრიქოტომიული დაყოფა მოლაპარაკედ, მსმენელად და იმად, რაზეც ან ვიზეცაა საუბარი. ასეთი მოდელი აღწერთი შრომისთვის არ გამოდგება. როგორც ეთნოგრაფიული მასალები აჩვენებს, ტრადიციული ტრიქოტომია უნივერსალური არ არის; ამიტომ აუცილებელია კომპონენტების გამოყოფა და ანალიზი. პირველი ცდა ამ მიმართულებით რ. იაკობსონს ეკუთვნის (იაკობსონი 1975: 353), რომელიც მათ საკომუნიკაციო აქტის შიგნით გამოყოფს, ჰაიმზი კი სამეტყველო მოვლენის ფარგლებში განიხილავს და სულ თექვსმეტამდე კომპონენტს გამოარჩევს (ჰაიმზი 1972: 59-67; ჰაიმზი 1977: 58-66). არ არსებობს წესი, რომელიც ყოველი მათგანის ერთდროულ გამოყენებაზე მიუთითებს; ამიტომ თითოეული შემთხვევა სათითაოდ უნდა გაანალიზდეს ერთიან, მთლიან ბადეში.

იმისათვის, რომ ანალიზი უფრო მოსახერხებელი იყოს, ჰაიმზი გვთავაზობს გამოვიყენოთ ინგლისური აკრონიმი SPEAKING, როგორც მნიშვნელოვანი კოდი (ჰაიმზი 1977: 62), რომელზეც კომპონენტები (კოეფიციენტები) ასე განაწილდება:

S – setting and scene (გარემო და სცენა: ფიზიკური ადგილი, სადაც მეტყველება მიმდინარეობს);

P – participants (მონაწილეები: მეტყველების პროცესის მონაწილეები);

E – ends (შედეგები: მეტყველების მიზანი და შედეგი);

A – act sequence (მოქმედების თანმიმდევრობა: სამეტყველო აქტები და თანმიმდევრობა, თუ როგორ ხდება მათი განხორციელება);

K – key (გასაღები: მეტყველების ტონი, მანერა);

I – instrumentalities (ინსტრუმენტები: კომუნიკაციის საშუალებები);

N – norms of interaction (ურთიერთქმედების ნორმები: მეტყველების ურთიერთქმედებისა და ინტერპრეტაციის წესები);

G – genres (ჟანრები: მეტყველების ტიპი და მისი კულტურული კონტექსტები).

სამეტყველო მოვლენათა ანალიზისთვის ჰაიმზის მიერ შემუშავებული SPEAKING-მოდელის გამოყენება მეტი სისტემურობისთვისაა მოსახერხებელი და არ შეიძლება მისი, როგორც მზა რეცეპტის, ისე მიღება. ყოველთვის ადვილი არაა ამ კომპონენტთა ნაკრების პირდაპირ მიწერა რომელიმე სამეტყველო მოვლენისთვის. როგორც თავის დროზე ამერიკის ინდიელთა ენების მაგალითზე ჩატარებულმა კვლევებმა და შესაბამისი ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, გამგზავნი და ადრესანტი ან მიმღები და ადრესატი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ჰაიმზს მოჰყავს მაგალითი აღმოსავლეთ ჩინუკის ხალხში (Chinookan peoples) დადასტურებული რიტუალიდან, სადაც ცერემონიის მონაწილეებისთვის ტომის ბელადის ან მეთაურის სიტყვას იმეორებს სპეციალურად გამოყოფილი მსახური. კომუნიკაციის პროცესი წარმოდგენილია ცერემონიის ორგანიზატორს, მის წარმომადგენელს (ე.წ. სიტყვების გამმეორებელს) და აუდიტორიას შორის ურთიერთობით. ამიტომაცაა აუცილებელი, კომუნიკაციაში მონაწილეთა გამოვლენა მოხდეს მოცემული სამეტყველო ერთობის შიგნით არსებული სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით; მითუმეტეს, რომ კომუნიკაციის ეთნოგრაფია არ სჯერდება მხოლოდ აღწერას. ენის სოციალურ კონტექსტში განხილვისას და სამეტყველო სიტუაციათა ეთნოლინგვისტიკური აღწერისას აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ მონაწილეთა მახასიათებლები: ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, ნაცნობობის ხარისხი და სხვა ისეთი ფაქტორები, რომელთაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს თავად კომუნიკაციის პროცესზე.

ენის სოციალურ დიფერენციაციაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სტრატეგიკული და სიტუაციური ვარიანტების გარჩევა. ვარიანტების ორივე ტიპი ენის სოციალურად შეპირობებულ ცვლადობას უკავშირდება: 1) სტრატეგიკული ვარიანტება უშუალოდ კავშირშია საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან და გამოხატავს პოულობს სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ ჯგუფის წარმომადგენელთა სამეტყველო განსხვავებებში; 2) სიტუაციური ვარიანტება კი უკავშირდება ენის ფუნქციური გამოყენების სოციალურ სიტუაციებს (კიკვიძე 1999: 59-69). ორივე შემთხვევაში, სოციოლინგვისტიკური ცვლადების შერჩევის მექანიზმის გამოსავლენად, კონკრეტულ სამეტყველო მოვლენა-

ში მონაწილეთა სოციალური როლის, როგორც სტატუსის დინამიკური ასპექტის, ჩვენება აუცილებელია. მეტი სიცხადისთვის განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევა იტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის წიგნიდან „სამეგრელოს აღწერა“:

„როცა ვისმე მთავართან მისაწერი აქვს რაიმე, რაც უნდა იგი დიდი გვარისა კაცი იყოს, მაინც არ შეუძლია პირდაპირ მიმართოს წერილით, რადგან ასეთ საქციელს კადნიერებად ჩამოართმევენ მთავრის წინაშე. ამ შემთხვევაში ვისაც საქმე აქვს მთავართან, წერილით უნდა მიმართოს მთავრის ან დაახლოებულ მოსამსახურეს, ან მდივანს, ანდა ვეზირს და სთხოვოს, რომ ესა და ეს საქმე მაქვს მთავართან და მოახსენეო. მთავარი რომ ამ თხოვნას მოისმენს, მთხოვნელს პირდაპირ პასუხს მისწერს“ (ლამბერტი 2011, 132).

S (setting) → მე-17 საუკუნის სამეგრელო.

P (participants) → სამი მონაწილე:

P1 → წერილის ავტორი

P2 → მთავარი

P3 → მთავართან დაახლოებული მოსამსახურე, მდივანი ან ვეზირი.

E (ends) → წერილობითი კომუნიკაცია.

A (act sequence) → P1-ს, როგორც სოციალური სტატუსით P2 -ზე დაბლა მდგომ პირს, არ შეუძლია უშუალოდ მიმართოს მას. ამიტომ შეტყობინების ადრესატი არ ემთხვევა შეტყობინების მიმღებს. გვაქვს ასეთი მიმდევრობა: P1 – P3 – P2. პასუხის დაბრუნების შემთხვევაში კი მთავარი უშუალოდ მისწერს მასზე სტატუსით დაქვემდებარებულ პირს: P2 – P1.

K (key) → თხოვნა.

I (instrumentalities) → წერილი.

N (norms of interaction) → როცა სოციალური სტატუსით P1 < P2, არ აქვს ადრესატთან უშუალოდ მიწერის უფლება და პირიქით ხდება, როცა P2 > P1;

G (genres) → ეპისტოლარული.

სცენა: ოფიციალური.

კავშირის არხი: წერილობითი.

შეტყობინების ფორმა: მიმოწერა.

სოციალური სტატუსების დინამიკურ გამოვლინებებს წარმოადგენს ის სოციალური როლები, რომლებსაც ადამიანები ასრულებენ სხვადასხვა სამეტყველო მოვლენის ფარგლებში. ერთი და იმავე ენობრივი ერთობის ერთსა და იმავე წევრს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სოციალური როლის შესრულება უწევს (კიკვიძე 1999: 69). მოცემული როლის ლინგვისტური რეალიზაციისთვის კი შესაბამისი გარემოა საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ იდეა ენათა სოციალური დიფერენციაციის შესახებ ახალი არ არის. ჰაიმზამდე და ზოგადად, კომუნიკაციის ეთნოგრაფიამდე, ამ საკითხზე საუბრობდა ლეონარდ ბლუმფილდი, როცა ამბობდა, რომ არათუ ორი ადამიანი, ერთი ადამიანიც კი ვერ მოიძებნება, რომელიც სხვადასხვა დროს ერთნაირად ილაპარაკებს; ენის ვარიანტების საკითხებზე მუშაობდა უილიამ ლაბოვი, რომელიც სამეტყველო ერთობას განმარტავდა, როგორც „საზიარო ნორმების ქსელში ადამიანთა ჩართულობას“ (ლაბოვი 1972: 158). ენის ცოდნა მარტო იმას კი არ გულისხმობს, რა არის გრამატიკულად დასაშვები, არამედ იმასაც, თუ რა არის სოციალური და კულტურული თვალსაზრისით დასაშვები (დურანტი 1997: 74).

IV

სამეტყველო მოვლენა შესაძლოა შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე სამეტყველო აქტისგან, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა მოდალობის გამოხატველი სიტყვა-ფორმულების სახითაა წარმოდგენილი. ჰაიმზი ამ ტიპის შემთხვევებს „ენობრივ შაბლონებს“ უწოდებს და მათში იმ იდიომატური ერთეულების ნაკრებს გულისხმობს, რომლებიც ინდივიდისთვის, სამეტყველო ერთობისთვის, საზოგადოებისთვის კონვენციონალური აზრის მატარებელია და რომელთა ინტერპრეტაციაც სიტყვასიტყვით არ ხდება. მსგავსი გამონათქვამები, აღიქმებიან რა, როგორც სიტუაციის შესატყვისები, გავლენას ახდენენ მთლიანად კომუნიკაციის სტრუქტურაზე.

ამ რიგის გამონათქვამები პირველად 1962 წელს იქნა აღწერილი ჯონ ოსტინის მიერ. ბრიტანელმა ფილოსოფოსმა ისინი კონსტატიური გამონათქვამების საპირისპირო შემთხვევებად განიხილა და მათ პერფორმატივები უწოდა. ჯონ ოსტინის თანახმად, პერფორმატიული გამონათქვამის წარმოქმნით ჩვენ ვასრულებთ გარკვეულ აქტს, მოქმედებას, რომლის შესრულებაც სხვა საშუალებებით უბრალოდ გაგვიჭირდებოდა (ოსტინი 1962: 3). პერფორმატიული გამონათქვამი უფრო მოქმედების ჩადენას ჰგავს, ვიდრე მის აღწერას და თავისი შინაარსით სხვადასხვა სახისაა (მაჭავარიანი 1989: 31-32). ზოგიერთი სამეტყველო აქტი მთლიანად შეიძლება დაემთხვეს რომელიმე შესრულებით გამონათქვამს. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამეტყველო აქტიც, ისევე როგორც სამეტყველო მოვლენა, გულისხმობს მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული არაერთი ფაქტორის გათვალისწინებას, რომელთა შორის სოციალური სტატუსი ერთ-ერთია.

ჩვენ მიერ ზემოგანხილული მაგალითის კვალდაკვალ, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უთანასწორობა ვლინდება ისეთ გამონათქვამში, როგორცაა „შენ ხარ ჩემი ბატონი“. მართალია, ამ გამონათქვამს დღეს, ყოველდღიურ მეტყველებაში, მოქმედებასთან დაკავშირებული კონკრეტული შინაარსი გამოცლილი აქვს, თუმცა მისი სემანტიკური ისტორიის დადგენა ეთნოგრაფიული ჩანაწერების მოხმობით შესაძლებელია:

„შენ ხარ ჩემი ბატონი“ – გამოხატავს თანამოსაუბრისადმი დათანხმებას, მორჩილებას. გამონათქვამი მომდინარეობს იმ პერიოდიდან, როცა საზოგადოება კლასებად იყო დაყოფილი: ამ თქმას გამოურევდნენ, როგორც ჩართულ

წინადადებას ლაპარაკში, როცა მიჰმართავდა უმცროსი უფროსს, დაბალი წოდებისა (გლეხი) – აზნაურსა თუ თავადს (სახოკია 1979: 756).

ამ ფრაზით მოსაუბრე ხაზს უსვამდა საკუთარ დაბალ სოციალურ სტატუსს თანამოსაუბრესთან შედარებით. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც, ეს გამონათქვამი ენაში დარჩა, როგორც ზრდილობიანი მიმართვის ფორმულა, როგორც გამოხატვა პატივისცემისა და კრძალვისა იმისადმი, ვისაც ველაპარაკებით ან რაზეც მოვახსენებთ. სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით, აღნიშნული გამონათქვამით ერთგვარ ექსპრესიულ ილოკუციას აქვს ადგილი.

V

სამეტყველო მოვლენის კომპონენტებზე საუბრისას საყურადღებოა ისიც, თუ რა არის კონტექსტუალური, რა გვაქვს მეტყველების მიღმა. ნებისმიერი ან ყველა კომპონენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც კომუნიკაციური გარემოს განმსაზღვრელი და აქ არ იგულისხმება მხოლოდ მდებარეობა დროსა და სივრცეში. როგორც ჰაიმზი შენიშნავს, ასეთი კონტექსტი შესაძლოა განვიხილოთ ორი ასპექტით: 1. ვერბალური და არავერბალური (გამომდინარე მეტყველებიდან) ან 2. კინეტიკური და არაკინეტიკური (გამომდინარე სხეულის მოძრაობიდან) (ჰაიმზი 1977: 22-23).

სამეტყველო მოვლენის ფარგლებში დადასტურებული არავერბალური საშუალებებისადმი ყურადღების მიქცევა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა ამერიკელმა ანთროპოლოგმა რეი ბერდვისტელმა სტრუქტურული ენათმეცნიერების გავლენით სხეულის მოძრაობებთან დაკავშირებული კომუნიკაციური ქცევების აღწერა სცადა და ამით ახალ კვლევით მიმართულებას, კინესიკას ჩაუყარა საფუძველი (სტენლო, ადაჩი, ზალცმანი 2017: 77). ანთროპოლოგი მიიჩნევდა, რომ კომუნიკაციის პროცესში ინფორმაციის მხოლოდ 30-35% გამოიხატება სიტყვების მეშვეობით, დანარჩენი წილი არავერბალურ ექსპრესიაზე მოდის. აქედან გამომდინარე, სხეულის ენა მეტწილად კულტურული გარემოთი განისაზღვრება და აუცილებელია მისი შესწავლა ლინგვისტიკისა და ანთროპოლოგიის თანამშრომლობით. ენა უფრო მეტია, ვიდრე ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური ან ლექსიკური კატეგორიებისა და მათი გამოყენების წესების ნაკრები. ენა არსებობს კულტურული პრაქტიკის კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ, სხვადასხვა სემიოტიკური რესურსებით ოპერირებს, მათ შორის, კომუნიკაციაში მონაწილეთა სხეულის მოძრაობებით სივრცეში და გარემოთი, რომელშიც ხდება მოქმედება (დურანტი 1997: 68).

კინესიკა ძირითადად გაცნობიერებულია და ხშირად რიტუალურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, კომუნიკაციაში მონაწილე პირების სოციალური უთანასწორობა ჩანს ისეთ არავერბალურ ქცევაში, როგორიცაა მუხლის მოდრეკა. განვიხილოთ კონკრეტული სამეტყველო მოვლენა:

„ყოველი ქვეშევრდომი უფროსთან ლაპარაკის დროს მუხლს იდრეკს. ასე უნდა მოიქცეს მოციქული, როცა დაბარებულ საქმეს მოუთხორობს იმას, ვისთანაც გამოგ ზავნილია. თუმცა ხშირად მოხდება, რომ

მოციქული უფრო დიდი ღირსებისა არის, ვიდრე ის, ვისთანაც გამოგზავნილია, მაგრამ, რადგან ის კაცი, რომელმაც იგი გამოაგზავნა, უფრო მაღალი ღირსებისაა მოციქულზე, მისმა მოციქულმა დაჩოქილმა უნდა ილაპარაკოს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს გამომგზავნის ღირსებას და არა გამოგზავნილისას“ (ლამბერტი 2011, 132).

| |
|---|
| <p>S (setting) → მე-17 საუკუნის სამეგრელო. P (participants) → სამი მონაწილე: P1 – ის, ვინაც გამოაგზავნა P2 – ის, ვისთანაც გამოგზავნილია P3 – მოციქული E (ends) → ამბის ზეპირი გადაცემა. A (act sequence) → P1 ვერბალურ კომუნიკაციას ამყარებს P2-თან P3-ის მეშვეობით. K (key) → ნეიტრალური. I (instrumentalities) → ზეპირი მეტყველება. N (norms of interaction) → კომუნიკაციის დამყარება შუამავლის მეშვეობით. G (genres) → თხრობითი.</p> |
| <p>სცენა: ოფიციალური კავშირის არხი: ზეპირი შეტყობინების ფორმა: საუბარი + მუხლის მოდრეკა</p> |

შეტყობინების ფორმას კომპონენტთა ჩამონათვალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საყურადღებოა არა მხოლოდ იმის ცოდნა, რა ითქმის, არამედ იმისაც, თუ როგორ ითქმის. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ზემოგანხილულ მაგალითში დადასტურებული კინემა – მუხლის მოდრეკა, როგორც მინიშნება კომუნიკანტების განსხვავებულ სოციალურ სტატუსზე.

საანალიზო მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, სადაც კომუნიკაციური პროცესის სამი მონაწილე ფიქსირდება (P1 – ის, ვინაც გამოაგზავნა; P2 – ის, ვისთანაც გამოგზავნილია და P3 – მოციქული), მუხლის მოდრეკა გვხვდება, როცა სოციალური სტატუსით:

- ა) $P3 < P2$;
- ბ) $P3 > P2$, მაგრამ $P3 < P1$.

მუხლმოდრეკას, როგორც თანამოსაუბრისადმი პატივისცემის გამომხატველ ქმედებას, ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის, როგორც ძველ სპარსეთში გავრცელებული თავყანისცემის უკიდურესი ფორმის, პროსკინეზის (მიწაზე დამხობა, ფეხების კოცნა) შედარებით მსუბუქი და სახეცვლილი ფორმა, საიმპერატორო კარის ეტიკეტში ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-4 საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელის მიერ იქნა შემოღებული; სხვადასხვა დროს გვხვდებოდა ბიზანტიასა და შუა საუკუნეების ევროპაშიც. მე-17 საუკუნის საქართველოში, კერ-

მოდ, სამეგრელოში, მუხლმოდრეკის წესის არსებობის შესახებ საუბრობს ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და შენიშნავს: „საბერძნეთის იმპერატორების კარზე ამას თაყვანისცემა ეწოდებოდა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის დროისათვის კი პატივისცემის ეს წესი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების ქრისტიანმა მთავრებმაც გადაიღეს“ (შარდენი 1975: 123).

სამეტყველო მოვლენათა კომპონენტების ერთიან ბადეში განხილვა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციის პროცესი კომპლექსური ხასიათისაა და მეტყველებასთან ერთად ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსაც მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მასზე. ამასთან, კომპონენტთა ნაკრები წარმოადგენს სისტემას, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულია შემადგენელთა რაოდენობით და ამიტომაცაა საჭირო ყოველი მათი გამოვლინების ემპირიულად დადგენა. კომუნიკაციის ეთნოგრაფიის ამოცანაც ეს არის: მეტყველების პროცესის წარმოდგენა ენობრივი სისტემის სოციოკულტურულ რეალობასთან ინტეგრაციის პროცესად.

ლიტერატურა

გამპერგი & ჰაიმზი 1972 – J. Gumperz, & D. Hymes, eds, *Directions in Sociolinguistics: The Ethnography of Communication*. New York: Holt, Rinehart & Winston.

დურანტი 1997 – A. Duranti, *Linguistic Anthropology*. Cambridge: Cambridge University Press.

იაკობსონი 1960 – R. Jakobson, Closing Statement: Linguistics and Poetics. In Sebeok, Thomas A., ed. *Style in Language*. Cambridge, MA: MIT Press.; pp. 350-377.

კამერონი 2001 – D. Cameron, *Working with Spoken Discourse*. London: SAGE.

კიკვიძე 1999 – ზ. კიკვიძე, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტი). თბილისი.

ლაბოვი 1972 – W. Labov, *Sociolinguistic patterns*. (Conduct and Communication, 4.) Philadelphia: University of Pennsylvania Press.

ლამბერტი 2011 – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. თბილისი.

ლიდს-ჰურვიცი 1984 – W. Leeds-Hurwitz, On the relationship of the “Ethnography of Speaking” to the “Ethnography of Communication”. *Paper in Linguistics* 17/1; pp. 7-32.

მაჭავარიანი 1989 – მ. მაჭავარიანი, პერფორმატივების (შესრულებითი გამონათქვამების) სტატუსისათვის (ჯ. ოსტინის მიხედვით). იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XXVIII. თბილისი; გვ. 25-35.

ოსტინი 1962 – J. L. Austin, *How to do things with words*. Oxford: OUP.

სავილ-ტროიკი 2003 – M. Saville-Troike, *The Ethnography of Communication: An Introduction*. Oxford: Blackwell Publishing.

სახოკია 1979 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.

სტენლო, ადაჩი, ზალცმანი 2017 – J. Stanlaw, N. Adachi, Z. Salzman, *Language, culture, and society: An introduction to linguistic anthropology*. New York: Routledge.

შარდენი 1975 – ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). თბილისი.

შვეიცერი 1989 – А. Д. Швейцер, Этнография речи: теория американской социолингвистики. В кн.: *Этнология в США и Канаде*. Москва; сс. 272-285.

ჰაიმზი 1964 – D. H. Hymes, Introduction: Toward Ethnographies of Communication. *American Anthropologist*, Vol. 66, No. 6, Part 2: The Ethnography of Communication. Wiley; pp. 1-34.

ჰაიმზი 1972 – D. Hymes, Models of the Interaction of Language and Social Life. *Directions in Sociolinguistics: The Ethnography of Communication*. Ed. By Gumperz, J. & Hymes, D. New York: Holt, Rinehart & Winston; pp. 33-72.

ჰაიმზი 1975 – Д. Х. Хаймс, Этнография речи. В кн.: *Новое в лингвистике. – Вып. VII. Социолингвистика*. Москва; сс. 42-95.

ჰაიმზი 1977 – D. H. Hymes, *Foundations in Sociolinguistics: An Ethnographic Approach*. London: Tavistock.

ჰაიმზი 1983 – D. Hymes, *Essays in the History of Linguistic Anthropology*. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins.

TAMAR GUCHUA

Speech Events and Speech Acts Within the Framework of the Ethnography of Communication

S u m m a r y

The paper discusses several Speech Events and Speech Acts in Georgian and the records of Georgian ethnographers and European travelers are given as examples. It is structured as follows: 1. Emergence and development of the ethnography of communication as a research direction and a method; 2. Analyses of the key notions of the ethnography of communication: Speech Community, Speech Situation, Speech Event and Speech Act; 3. Analyses of Speech Events in accordance with the model of SPEAKING; 4. Analyses of Performative as an essential constituent of Speech Act; 5. Non-verbal devices of communication and their semantic analysis.

თამარ ვაშაკიძე

მუხრან მაჭავარიანის ახალი კრებული

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას – დიდსა და მრავალმხრივს – შეემატა ახალი კრებული „მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში“, რომელიც, ვფიქრობთ, ერთი უბადლო ნიმუშია იუმორისტული პოეზიისა (და არამხოლოდ მისი).

მუხრანისეული მხატვრულ-სტილისტიკური საღებავები რომ ამოუწურავია, ეს კარგად იცის ქართველმა მკითხველმა და მაინც – ყოველ ჯერზე (ყოველი ახალი ლექსის წაკითხვისას) განსხვავებული შთაბეჭდილებით აღიქვამს შემოქმედის პოეტური ადლუმის მაგიურ ძალას.

მეტაფორა-შედარება-ეპითეტებითა თუ გაპიროვნება-ჰიპერბოლებით მდიდარ მუხრანის ლექსს, ბუნებრივია, ამშვენებს სხვა სახის გამომსახველობითი მახასიათებლებიც, რომელთაგანაც, უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდით ანჟამბემანს – როცა პოეტური მოზაიკა ემყარება აზრის გადანაწილებას თითოეულ სალექსო პწკარზე, რაც განსხვავებულ ელფერს სძენს სათქმელსაც და ლექსის რითმულ-რიტმულ სტრუქტურასაც.

ქვემოთ წარმოდგენილ პოეტურ ეპიზოდში სალექსო ტონალობას ქმნის **ლ** ბგერის ალიტერაციული ვარიაცია ჯერ **იე – ღ**, შემდეგ კი **იე – ი** ხმოვნებთან ერთად, ხოლო სათქმელი – მუდმივი ტკივილი ამქვეყნიური ყოფისა – სულ ოცდარვა სამუსიკო მარცვალს მოიცავს მომაჯადოებელი დისონანსური ეფექტით, რასაც ზედ ერთვის საოცარი პოეტურობით დაშლილ-დარღვეული სიტყვათა რიგი (პირველ წინადადებაში):

„არავისია აქ იღბალი სახარბიელო,
კაცი არაა,
ვისაც
ვინმე
იქ
არ
მიელის“.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი სალადობა და ეძღვნება ოჯახის წევრებსა თუ ნათესავ-მეგობრებს. ერთ-ერთი ამგვარი პოეტური ჩანახატი ყურადღებას იპყრობს იუმორისტულ ყალიბში მოქცეული რემინისცენციით, რომელიც ხალხური ლექსის მოტივზეა აგებული:

„ციცო და გივი შაიზნენ
როგორც ქორი და კაკაბი,
კინაღამ გივის იმ ღამეს
გადაუხადეს ალაპი“.

მუხრანისეული სხარტი იუმორი დაჩნდება აგრეთვე ლექსში „წერილი დოდოს სოფლიდან“ (დოდო პოეტის და გახლავთ). სათქმელი დიალოგურ ჭრილშია მოქცეული, თუმცა შემკითხველიცა და მოპასუხეც ერთი პირია – სავარაუდო შეკითხვას თავად წერილის ავტორი დასვამს და შემდეგ უპასუხებს კიდევ... და ამ პასუხში იხატება ტიპობრივი სურათი სოფლისა:

„აქაურ ამბებს იკითხავ! –
– დააპატიმრეს შალია...
ეს, – შენ ხარ ჩემი ბატონი,
თავად შალიას ბრალია.
გაინტერესებს ამინდი! –
– ყოველდღე ცივი ქარია.
გაინტერესებს ყურმენი! –
– ბევრია, გაგიხარია.
რაც შემეხება პირადად
მე ის მახარებს ძალიან: –
– ვარია, შენი ვარია,
ვარია, რაც მთავარია,
იმხელა გახდა... –
შეხედავ:
– გასათხოვარი ქალია“.

სხვა შემთხვევაში უკვე რამდენიმე პირი საუბრობს. კითხვა-პასუხი ცოცხალია – კილოურ მეტყველებაზე გაწყობილი, იუმორი – დახვეწილი, რითმა – უზადლო:

„– ეს მანქანა ვისია?
– ვისია და ლაშხეთის.
– წაგვიყვანეთ ნისიად!
– კარგით, ადით, დასხედით.
– რამდენი ხართ?
– ას ათი.
– თქვენ რა გქვიათ?
– ამბაკო.
– ხომ არა გაქვთ ასანთი?
– თქვენ ხომ არ გაქვთ თამბაქო?
– გაახვიეს. შოფერი

ექაჩება პაპიროსს.
 არ გვინახავს სოფელი
 და დღეს ნახვას ვაპირობთ“.

რითმული ჩარჩო ყურადღებას იქცევს სხვა სალალობო ლექსშიც. უამინ-
 დობაგამოვლილი და ოკრობოკრო გზებით ჩონთოს ჩასული სტუმრები მას-
 პინძლის ოჯახში არიან:

„გადვიარეთ ცხამზე.
 ა, ბატონო ჩონთოც.
 დღეს თუ არა, ხვალ-ზეგ
 უეჭველად მოთოვს.
 გზები ოკრო-ბოკრო,
 ქარი. თქორი. ტრიზა.
 მასპინძელი – ოქრო,
 მისი ცოლი, – მტრისას!“

საინტერესო მეტაფორულ ტილოზე ხატავს პოეტი სააკაძის კარავთან
 მდგარ ყიზილბაშებს:

„მთვარე აღმოხდა,
 არემარე გაანკარავდა:
 ყიზილბაშები
 სააკაძის დგანან კარავთან“.

„მაყვლის ჩირგვიდან“ კი მუდმივად ესმის ნინოს „ღაღადისი“ ქარ-
 თველს:

„მოემართება გაზაფხული, როგორც ნილოსი,
 მაყვლის ჩირგვიდან ღაღადისი ისმის ნინოსი“.

საინტერესო ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულის **-ში** თანდებულებიანი ვარი-
 ანტებით მოხმობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ქმნის არაორდინარულ ალიტე-
 რაციულ ფონს და ამავედროულად დისონანსურად შეემსგავსება ბოლო პწკა-
 რის სარიტმო ერთეულს:

„მომჩერებია ქვეყანა, –
 ბნელა მისაში თვალებში, –
 მსურდა რომელსაც ეხარა, –
 ჩემი ჩარევის გარეშე!“

სიტყვათქმნადობის თვალსაზრისით ერთ ლექსში ყურადღებას იქცევს **ქართველ**- ფუძესთან -**ეთ** სუფიქსის გააქტიურების შემთხვევა:

ქვეყნის ამომგდებს, –
 დგას
 ყასიდად
 ვინც
 ლოცვად ტაძრად! –
 საქართველოს
 ქართველთაგან
 ვულოცავ დაცლას!
 რუსთათვის
 ვისაც
 ქართველეთის
 სურს
 მირთმა ლანგრით, –
 შეგირდად,
 ვეჭვობ,
 გამოადგეს
 მას
 თემურ ლანგი!“

„გამიკვირდება!“ – ასე ასათაურებს ერთ პატარა ლექსს დიდი პოეტი ... მკითხველიც ინტერესით ჩაიკითხავს სალექსო სტრიქონებს და თავადაც გულწრფელად გაუკვირდება – მუხრანთან ერთად:

„ვთქვათ და...
 ინება მაღალმა ღმერთმა
 და...
 კვლავ მოვარდა, –
 მოვარდნილი
 ნოეს დროს დელგმა!...
 განიწმინდება საქართველო?!
 გამიკვირდება“.

ახალი კრებული – „მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში“ – ძალიან ბევრ მინიატურულ ლექსს მოიცავს. ამათგან განსაკუთრებით თვალშისაცემია ერთი ტიპი – ორპჭკარიანი პუნტები, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, ემყარება კიდევ მუხრანის ფილოსოფიური (და ამავდროულად – იუმორისტული) ლირიკის დიდი ნაწილი.

ამქვეყნიურ ყოფას სხვადასხვაგვარად ეჭიდებიან ადამიანები: ზოგს ძალუძს თავის მოტყუება მუდამ – ხანგრძლივად, ზოგს კი აღარ აქვს ძალა თავ-

მოტყუებულად ყოფნისა, უჭირს თამაში ყოველდღიური. მიმართება მათ შორის, პოეტის თქმით, ასეთია:

„ასე განსაჯე, ყმაც რომ იყოს, არაა ღირსი! –
ვინც თავს იტყუებს, თავს ვინც ველარ იტყუებს, მისი!“

ერთი ალაზნელი ლამაზმანის სიმულვილით შეპყრობილ ულამაზოთა წუხილს კი სულ ორი წინადადებითა და **ლ, ნ, ზ** თანხმოდანთა ალიტერაციული კომბინაციით ხატავს პოეტი:

„ალაზნის პირას ლამაზმანი ძროხებს ამოვებს,
ძულთ ალაზნელი ლამაზმანი ულამაზოებს“.

ყველა საუკუნეს თან სდევს თავისი „შავი ყორანი“, რომელიც, როგორც ჩანს, დიდ შემოქმედებს ერჩის განსაკუთრებით:

„შავი ყორანი საუკუნით მეჩვიდმეტეთი
საუკუნეში მეოცეში შემოლასლასდა“.

სიხარულის მოსაპოვებლად მოდის ამქვეყნად ადამიანი – ტკივილით, წუხილით მოსაპოვებლად... ასე ეძებს მას მთელი ცხოვრება და – როცა იპოვის, ისევ თავიდან იწყებს ძიებას... ეს არის და ეს... იწურება ყოფითი წამები, რბიან დღეები და ყველამ იცის, რომ სამყარო ვერც კი შეამჩნევს მის სამუდამო წასვლას:

„ვით დღეს რბის, ასე ირბენს ეს დღე, –
საფლავში ჩემი ჩაწოლის მერეც“.

ან კიდევ:

„გადის ამრიგად ჩემი ყოფნის ამქვეყნად ვადა.
ხან „ტოსკა“ მიდის ოპერაში, ხან „ტრავიატა!“

მალიან დიდ „ხელოვანებას“ უნდა ფლობდეს „მოშიარე“, ცხოვრების ფილოსოფია – თავისი „შავი ყორნითა“ და „საფლავში ჩაწოლის“ მოლოდინით – პუანტურ-იუმორისტულ პოეზიად რომ მოაქციოს.

სათქმელი სხვაგ ბევრია.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 2020 – მუხრან მაჭავარიანი, მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში, თბილისი.

TAMAR VASHAKIDZE

**A New Collection of Mukhran Machavariani's
Works**

S u m m a r y

The paper analyzes a new collection of poems by Mukhran Machavariani – "Discussions in the Shadow of the Sour Plum Tree" that is distinguished by both genre and artistic-stylistic characteristics.

A type of two-line poems are especially noteworthy that are the base of a large part of the philosophical (and at the same time – humorous) lyric poetry of Mukhran Machavariani.

Only a great artist can turn a philosophy of life into humorous poetry by the anticipation of "the burial" and his "black raven".

მაკა თეთრაძე

**ბავშვისადმი მიმართული მეტყველება და
ქართული ე. წ. „გადიების ენა“**

ბავშვის ენის ათვისების პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს ჩვილობის ასაკიდან 4 წლამდე პერიოდს, რთული და მნიშვნელოვანი ეტაპია. ენის ათვისებაში დიდი როლი ენიჭება ბავშვთან უშუალო ინტერაქციას – საუბარს. პირველი ენის სწავლა თუ ათვისება ენის საკომუნიკაციო ფუნქციის მთავარი შემადგენელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში განასხვავებენ ბავშვისადმი და ზრდასრულისადმი მიმართულ მეტყველებას. ბავშვისადმი მიმართული მეტყველება¹ გულისხმობს მეტყველების სტილს, შინაარსს, ფორმას, რომლებსაც ზრდასრული იყენებს ბავშვთან ურთიერთობისას.

სხვადასხვა კვლევით ჩანს, რომ ის, თუ როგორ ვესაუბრებით ჩვილებს, ხოლო შემდეგ მცირეწლოვან ბავშვებს, გავლენას ახდენს მათი მეტყველების განვითარებაზე, ლექსიკის მრავალფეროვნებასა თუ სინტაქსური კონსტრუქციების ჩამოყალიბებაზე.

ზრდასრულები (ან სხვა შემთხვევაში უფროსი და-ძმა), ჩვილებს, პატარებს ესაუბრებიან მაშინ, როცა უვლიან: ჰბანენ, კვებავენ, ეთამაშებიან, უცვლიან, ასეირნებენ და ა. შ. სამეტყველო აქტების დიდი ნაწილი შეიცავს მოკლე, რუტინული შინაარსის, გამეორებულ ფორმებს, რომლებიც სწორედ ერთსა და იმავე კონტექსტში ისმის. ბავშვის ზრდასთან ერთად სასაუბრო თემები მრავლდება, ასევე მდიდრდება ლექსიკა (კლარკი 2009 : 31).

ადრეული ასაკის ბავშვებთან უფროსების საუბარს ახასიათებს ხმის ამალღება და გაზვიადებული ჟღერადობის ინტონაციური კონტურები, მაგალითად: ბავშვი სულს უბერავს სანთელს და აქრობს. აღზრდელი უხმოვანებს: „ჩავაქროთ!“ მახვილი პირველ და მესამე მარცვალზე ერთდროულად და ორივე ძლიერია, თუმცა ფრაზის ბოლო ყოველთვის მეტად აწეული ინტონაციით წარმოითქმის. მახვილიანი მარცვლის წაგრძელებით წარმოითქმა ბავშვისადმი მიმართულ მეტყველებაში უნივერსალური მოვლენაა. მიზეზი

¹ ბავშვისადმი მიმართული მეტყველება არის პირდაპირი თარგმანი ტერმინისა child-directed speech, რომელიც ჩვენი აზრით, უკეთ გამოხატავს მოვლენის თავისებურებას. გარდა ამ ტერმინისა, ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში იგივე ფენომენი შეიძლება აღნიშნული იყოს ტერმინებით: parentese, motherese, infant-directed speech.

შეიძლება იყოს ის, რომ ზრდასრულს უნდა, ბავშვმა ყურადღება მიაქციოს სწორედ იმ სიტყვის შინაარსს, რომელსაც ამგვარად წარმოთქვამს (კლარკი 2009 : 35).

ბავშვისადმი მიმართული მეტყველებისათვის ასევე დამახასიათებელია ხშირი პაუზა: 2 წლამდე ბავშვებთან საუბრისას მშობელი, ძირითადად, ყველა წინადადებების დასრულებისას ჩერდება (კლარკი 2009 : 34).

მესამე, მნიშვნელოვანი მახასიათებელი ბავშვისადმი მიმართული მეტყველებისა არის განმეორებითობა. ზრდასრულები ხშირად იმეორებენ ფრაზებს განსაკუთრებით 2 წლამდე ბავშვებთან საუბრისას, ჩამოყალიბებული აქვთ რამდენიმე კონსტრუქცია, რომლებსაც მუდმივად იყენებენ, მაგალითად, ახალი ცნებების, საგნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას: „ეს რა არის? ძალი!“

სტატიაში განვიხილავთ ბავშვისადმი მიმართული მეტყველების ლექსიკურ მხარეს ქართული ენის მონაცემების საფუძველზე.

„გადიების ენა“ არის სამუშაო ტერმინი, რომელსაც ბ. ფოჩხუა იყენებს „საბავშვო ლექსიკისათვის“, რადგანაც „ცნობილია, რომ მეტწილ შემთხვევებში ეს სიტყვები ბავშვების გამოგონილი კი არაა, არამედ ბავშვთა აღმზრდელები იყენებენ ბავშვებისათვის შექმნილ ტრადიციულ სიტყვებს“ (ფოჩხუა 1974 : 207). ბავშვისადმი მიმართული ლექსიკა შეიძლება მივაკუთვნოთ ჟარგონს, რომელიც გამოირჩევა ლექსიკის შეზღუდული რაოდენობითა და თემატიკით. ლექსიკა, შინაარსობრივად, რა თქმა უნდა, უკავშირდება იმ გარემოს, რომელშიც ბავშვი მეტყველებას იწყებს და შედგება პირველი რეგისტრის სიტყვებისაგან.

როგორც ვ. ჩირიკვა შენიშნავს, საბავშვო ლექსიკას შეიძლება ჰქონდეს სამი წყარო: 1. საკუთრივ ბავშვის მეტყველება, 2. ძირითადი (ზრდასრულთა) ლექსიკის შეცვლილი ფორმები და 3. სიტყვები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ოჯახში გამოიყენება მცირეწლოვან ბავშვებთან ურთიერთობისას (ჩირიკვა 1992 : 172).

კონკრეტულად ქართული სპეციფიკური ლექსიკა, რომელიც ბავშვისადმი მიმართული მეტყველების ნაწილია, ნაკლებად არის შესწავლილი. „გადიების ენის“ ფონოლოგიურ თავისებურებათა განხილვისას ვ. ჩირიკვა სხვა კავკასიური ენების მასალასთან ერთად მოიხმობს ქართულის მონაცემებსაც (ჩირიკვა 1992 : 172-183).

ქველში „ბავშვის ენით“ მონიშნულია 25 სალექსიკონო ერთეული, მათ შორის, უმრავლესობის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ ბავშვისადმი მიმართულ მეტყველებასთან არის დაკავშირებული: ამუნია, აჩია, აჩუა, ბაბა, ბაია, დოდო, ზიზია, კაკა, კვეცო, კვეკვერა, ფაფუ, ფეფი, ფია, ფუფალა, ყიჭი-ყიჭი, ჩიჩია, ცია, ხიხია, ჯიჯია, ჯუჯულა. ზოგ სიტყვას კი მითითებული აქვს კუთხე, დიალექტი, რომელშიც, ძირითადად, დასტურდება: ფუფუა – კუთხ. (ქართლ. კახ.) ბავშვის ენაზე ტკივილი, სატკივარი, ნატკენი; ფია – კუთხ.

(იმერ.) ბავშვის ენაზე ნატკენი (ტკვილი); ფაჩია – კუთხ. (ქიზ.) ფეხსაცმელი ბავშვის ენაზე.

იგივე ლექსიკა დასტურდება სხვა ლექსიკონებშიც, მათ შორის: სულხან-საბასთან, დიალექტურ ლექსიკონებში, ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ და ა. შ. ლექსიკონებში ხშირად არ არის გამიჯნული „ბავშვის ენა“ და „საბავშვო ლექსიკა“, თუმცა, რიგ შემთხვევაში ასეთი გამიჯვნა შეუძლებელია, რადგანაც ერთი მეორის წყარო შეიძლება იყოს.

ჩვენი საანალიზო მასალა შეიცავს სხვადასხვა ლექსიკონში გაბნეულ საბავშვო ლექსიკას. ამასთან, მშობელთა და ძიძათა გამოკითხვის შედეგად შევკრიბეთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში არ გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ ის ლექსიკა, რომელსაც სტატიაში განვიხილავთ, ხუთი და მეტი წლის ბავშვებთან აღარ გამოიყენება.

შეკრებილი მასალა გაანალიზებულია რამდენიმე თვალსაზრისით:

დანიშნულების მიხედვით ლექსიკა ნაწილდება შემდეგ ჯგუფებად:

1. სიტყვები, რომლებიც უკავშირდება ბავშვის ყოველდღიურ რუტინას: ჭამა, ძილი, სასიერნოდ, გარეთ გასვლა; 2. გაფრთხილება-აკრძალვის ლექსიკა; 3. პირველი სიტყვები (ცხოველების სახელები, საჭმლის სახელები); 4. მოსაფერებელი ფორმულები და სიტყვები. თითოეული თემატური ჯგუფი, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს ქვეჯგუფებისაგან.

ქართულში ამ ტიპის ლექსიკის დიდი ნაწილი ხმაბაძვითი სიტყვებია: პიპია – მანქანა, მუუ – ძროხა, ვიუ-ვიუ, ვუვუ – 1. მანქანა; 2. სასწრაფოს მანქანა, კოკო – ქათამი, ბე – ცხვარი, თხა; ასევე ტენდენციურია, რომ ცხოველების დაძახებისას გამოიყენებული ფორმები საბავშვო ენაში სწორედ ამ ცხოველთა სახელებად იქცეს: **აჩუ** სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც „ცხენთ შერისხვა“, საბავშვო ენაში „ცხენს“ ნიშნავს.

გვხვდება ასევე ფონოლოგიურად გამარტივებული ფორმები: სიტყვათა გამარტივების მიზნით მიმართავენ ბგერათა დაკარგვას (წყალ-ი > წალ-ი, კვერცხ-ი – კვეც-ი > კეც-ი ან კვერცხ-ი > კვეცო); ასევე ხშირია ფუძეთა გაორკეცება (ჭუპა-ჭუპა, ფუ-ფუ-ა, ნამუ-ნამუ, კვეკვერა...).

გამარტივებისას უკანა რიგის თანხმოვნების წინა რიგის თანხმოვნებით ჩანაცვლება აიხსნება ბავშვის ენის ათვისების ზოგადტიპოლოგიური ტენდენციით: წინა რიგის ბგერებს ბავშვი უფრო ადრე წარმოთქვამს, ვიდრე უკანა რიგისას (გარმანი და სხვ.: 2019).

ასევე ცაკლე ჯგუფად გამოიყოფა უნიკალური სიტყვები, ანუ ის სიტყვები, რომლებიც ამჟამად საკუთრივ გადიების მეტყველების ძირითად მარაგშია: ბუა, ატა, ჩიჩია, ბაბა. **ფიას** სულხან-საბა განმარტავს ამგვარად: „უძუძურის ჩჩვილის შეჭამადი“. „გადიების ენაში“ კი **ფია** ბავშვის ნებისმიერ ძირითად საჭმელს ეწოდება, გვხვდება კომპოზიციაც – **რბეფია**; აქვე აღსანიშნავია ალერსობითი ფორმით ფეფის (ცხოველის, მაგ., კურდღლის, პატარა ფეხის) და თა-

თის (ცხოველის ხელის) გამოყენება ბავშვის ხელებისა და ფეხების აღსანიშნავად: **ფეფები, თათუნები**.

ფუძეთა აგებულების თვალსაზრისით, ქართული საბავშვო ლექსიკაც მიჰყვება ამ ჯგუფის ლექსიკის ყველაზე გავრცელებულ ტიპს – CVCV: **ნანა, კაკა, კიკი, კუკი...** თუმცა ასევე ხშირია CV (**ტა, ფუ, ნწა, ვუ**) და VCV სტრუქტურის ფუძეებიც (**ატა, ოპა, აჩუ...**).

სიტყვაფორმები შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც კონკრეტული საგნის, მოვლენის, არსების სახელები: **მუ** – ძროხა, **აუა** – ძაღლი, **ფუა** – ნატკენი, **წოწო** – ცხელი; მაგრამ ამავე დროს ამ მეტყველების დამახასიათებელია ის, რომ ერთი სიტყვა აღნიშნავს მთელ მოქმედებას, ცნებას: **ფაფუ** – „არ არის, აღარ არის“. სიტყვაფორმებს უმატებენ მარტივ, ქმედების აღმნიშვნელ ზმნებს (ვქნათ, გავაკეთოთ, წავიდეთ) და ასე ქმნიან ფრაზებს: **ატა** – გარეთ, სეირნობა, **ატაში წავიდეთ** – გავისეირნოთ, **კუპაკუპა** – ბანაობა, **კუპაკუპა ვქნათ** – ვიბანაოთ. **წოწო** – ცხელი, **წოწო იქნება** – დაგწვავს; **ნანა** – ძილი, **ნანები ვქნათ** – დავიძინოთ.

ზემოაღნიშნული ლექსიკის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია კნინობითობა, რადგანაც იგი ბავშვს მიემართება. კნინობითობით-ალერსობითი სუფიქსებიდან თითქმის ყველა შეიძლება შეგვხვდეს და ეს ინდივიდუალური შემთხვევა იყოს, თუმცა -ა სუფიქსი ყველაზე გავრცელებული ჩანს: პიპი-ა, აჩუ-ა, ფუ-ა, ფუ-ფუ-ა, ხიხი-ა, წოწო-ა, ბაჩია, ზიზია, ბუა და მისთ. ამავე დროს, იგივე სიტყვები -ა-ს გარეშე გვხვდება: **აჩუ, ფუ-ფუ, ხიხი, წოწო...** ჩანს, რომ -ა სუფიქსდართულ სიტყვებში ეს -ა მახვილის ადგილი უნდა იყოს.

აღსანიშნავია -ო დაბოლოებიანი სიტყვები, რომლებშიც -ო შეიძლება პროსოდიული ნიშანი იყოს, თუმცა კნინობით-ალერსობითის ელფერს მატებს სიტყვას: **ფეხო, კვეცო, ტაკო**.

კნინობითობა გამოიხატება ასევე კანონიკური კნინობითი სუფიქსების დართვით: -უკ-ა, უც-ა, -უჩ-ა (**ფაფუკა** – ფაფა, **ფეფუცა** – ფეხი); შეგვხვდა ერთეული შემთხვევა, როდესაც -აკ-ი იყო გამოყენებული კნინობითობის ფუნქციით ბავშვისადმი მიმართულ მეტყველებაში: **თავ-აკ-ო** – „პატარა თავი“.

ამასთან, შეინიშნება ერთი ნიშანდობლივი ფორმაწარმოება – კნინობითობის ელფერის მისაცემად -ებ მრავლობითის სუფიქსის გამოყენება, რაც ემთხვევა *pluralis poeticus*-ის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. ერთი მხრივ, გვაქვს მრავლობითის ფორმები, ბუნებრივად, რადგანაც, ძირითადად, მართლაც ამ შინაარსით იხმარება: **ბაჩიები** – ფეხსაცმელი (წყვილი), **თათუნები** – ხელები, **ფეფუცები** – ფეხები, **კიკები** – კბილები. ამავე დროს, ანალოგიურად იწარმოება სხვა სიტყვებიც: **ზიზიები** – ახალი ტანსაცმელი, **ტაკოები** – ბავშვის უკანალი; **პაჩები** – კოცნა, **ნანები** – დამინება, ძილი; **სიქალულები** – სიხარულო, **სიკალულები** – სიყვარულო. უკანასკნელ ფორმები აშკარად კნინობითის ელფერის შემცველია და მათ არა მხოლოდ ფონეტიკური გამარტივება სძენს ამ ელფერს.

ცალკე საკითხად იკვეთება ბავშვისადმი მიმართულ მეტყველებაში ჰიპოქორიზმების – საალერსო სიტყვების სპეციფიკა. ქართული ე.წ. „გადიების ენისათვის“ დომინანტური ჩანს ცხოველთა სახელების დამახეხა ალერსობითი ფორმით: გოჭუნა, ბაჭია, პანდა, სელაპი, ბარტყი... აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში ასეთი საალერსო სიტყვები შეიძლება ერთი ინდივიდის ან ოჯახისა თუ ვიწრო სოციალური ჯგუფის სამეტყველო ლექსიკის ფარგლებს არ სცდება, მაგრამ მაინც საინტერესოა სიტყვათქმნადობისა და ფონეტიკური ცვლილებების გაანალიზების თვალსაზრისით.

განხილული საკითხები მასალაზე ჩვენი პირველადი დაკვირვების შედეგია. საჭიროდ მიგვაჩნია ბავშვისადმი მიმართული მეტყველების არა მხოლოდ ლექსიკური მხარის, არამედ სხვა ლინგვისტური თუ ფსიქოლინგვისტური მახასიათებლების შესწავლაც.

ლიტერატურა

გარმანი და სხვ. 2019 – Garmann, N., Hansen, P., Simonsen, Hanne G., Kristoffersen, K. E., The Phonology of Children's Early Words: Trends, Individual Variation, and Parents' Accommodation in Child-Directed Speech, *Frontiers in Communication*, 4, <https://www.frontiersin.org/article/10.3389/fcomm.2019.00010>

კლარკი 2016 – Clark, Eve V., *First Language Acquisition*, New York: Cambridge University Press.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, *ქართული ლექსიკოლოგია*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ჩირიკბა 1992 – Chirikba, V., Child lexicon in Caucasian languages In Hewitt, B. G. *Caucasian perspectives*. Munchen: Lincom Europa.

წყაროები

ქეგელ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა
ლექსიკონი ქართული
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/>
ჩაწერილი, გამოუქვეყნებელი მასალა

MAKA TETRADZE

Lexical Aspects of Child-Directed Speech in Georgian

S u m m a r y

Georgian child-directed speech represents a type of jargon the lexicon of which is characterized by a limited number of units and limited thematics. This lexicon is conditioned by the environment in which a child acquires their language, beginning at the so-called fifty word stage until the child turns approximately four years old.

The material analyzed in this paper includes a) child-directed expressions found in extant dictionaries and b) data collected over the course of enquiry of Georgian parents and nannies. The latter method proved to provide the study with words, collocations and constructions previously unattested in dictionaries.

The data has been approached from several perspectives:

In terms of its application, the lexicon can be divided into four functional groups: 1) expressions related to the child's everyday routine (e.g. eating, sleeping, walking outside); 2) expressions of warning and forbidding; 3) first words (e.g. animal names, meal names); 4) caressing expressions and formulas. Consequently, each of these groups can undergo further thematic subdivision.

A large part of this lexicon in Georgian is onomatopœic. However, we also observe phonologically-simplified expressions (e.g. *k'veco* < *k'vercxi* 'egg'). A distinct group is formed by the expressions used to address the child (e.g. *bua* 'bogeyman', *at'a* 'outside', *čičia* ' ', *baba* 'bread').

From the perspective of stem formation, lexical items in question usually follow the CVCV model (e.g. *nana* 'sleep', *k'ak'a* 'candy, sweet', *k'ič'i* 'baby tooth', *k'uk'i* 'child waste'). Less common are the CV (e.g. *t'a* 'outside', *pu* 'boo-boo', *nc'a* 'water', *vu* 'a car') and VCV structures (e.g. *at'a* 'outside', *aču* 'hup, horse').

On the one hand, certain items can be considered names of specific objects, conditions and beings (e.g. *mu* 'cow', *aua* 'dog', *pua* 'boo-boo', 'painful place', *c'oc'o* 'hot'); on the other, certain expressions denote complex events and concepts (e.g. *paapu* 'is no more, is over', resp. Turkish *yok*).

In term of derivation, the suffix *-a* is the most common means to derive diminutive and/or specifically tender expressions (e.g. *p'ip'i-a* 'a car' < *p'ip'i* ' ', *aču-a* 'gee' < *aču* 'hup, horse'). The less productive suffix, *-o*, might diachronically be connected with the dedicated marker of the vocative case (*pex-o* 'foot' < *pex-i* 'foot, leg', *k'vec-o* 'egg' < *k'vercx-i* 'egg', *t'ak'-o* 'baby's bottom').

The dedicated plural suffix *-eb* (resp. *Pluralis poeticus*) is also involved in derivation of child-directed lexical items. On the one hand, *-eb* marks the plural number indeed (e.g. *bači-eb-i* 'pair of shoes', *tatun-eb-i* 'hands', *pepuc-eb-i* 'feet', *k'ič'-eb-i* 'baby teeth'), whereas on the other, it appears in expressions denoting singular objects (e.g. *zizi-eb-i* 'new clothes', *t'ak'o-eb-i* 'baby's bottom', *p'ač-eb-i* 'kissing', *nan-eb-i* '(falling asleep)', *sikalul-eb-i* 'darling' < *sixarul-i* 'joy', note the phonological stem simplification in the latter example).

დიანა კაკაშვილი

**ეგზოცენტრული კომპოზიტები ქართულ და
ნახურ ენებში¹**

რთული სახელების დაყოფა ეგზოცენტრულად და ენდოცენტრულად მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება და ამერიკელი ენათმეცნიერის, ლეონარდ ბლუმფილდის, სახელს უკავშირდება. მას შემდეგ არაერთი მკვლევარი იყენებს მას მსოფლიოს სხვადასხვა ენათა კომპოზიტების ერთ-ერთ საკლასიფიკაციო ნიშნად. ქართულ ენათმეცნიერებაში ამგვარი მიდგომა გამოიყენა არნ. ჩიქობავამ ძველი ქართულის, კერძოდ კი „ვეფხისტყაოსნის“ თხზულ სახელთა საანალიზოდ (ჩიქობავა 1966). იგი ეგზოცენტრული კომპოზიტების ძირითად, პირველად ფუნქციად განსაზღვრებითობას მიიჩნევს და ასეც უწოდებს მათ – „ეგზოცენტრული განსაზღვრებითი კომპოზიტები“. მისივე თქმით, „ეგზოცენტრული კომპოზიტები ისეთ მოვლენათა წყებას ეკუთვნის, რაც ძველს ქართულში უკვე გვქონდა, ახალ ქართულში დიდი სარბიელი დაურჩა“ (ჩიქობავა 1966: 24). თუმცა ამ მეთოდით კომპოზიტების დამუშავებამ შემდგომი გაგრძელება ქართულ ენათმეცნიერებაში თითქმის ვერ პოვა. იგივე შეიძლება ითქვას ნახურ ენებზეც. ამ ენათა რთული სახელების დასაჯგუფებლად ენათმეცნიერები, ძირითადად, პანინისეულ სქემას ეყრდნობიან.

რადგან ეგზოცენტრულობა-ენდოცენტრულობა ქართული და ნახური ენების რთული სიტყვების საკლასიფიკაციო ნიშნად არ გამოიყენება ხოლმე, თავისთავად, გაურკვეველია, რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ როგორც თითოეული ენისა თუ ქვეჯგუფის ფარგლებში, ასევე, როგორია მათი ურთიერთმიმართება – რა საერთო და განმასხვებელი მახასიათებლები გვაქვს; ამასთან ერთად, საინტერესოა, ზოგად ტიპოლოგიურ მონაცემებთან შეფარდებით როგორი სურათი იკვეთება.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს ეგზოცენტრული კომპოზიტების სტრუქტურის აღწერა თითოეული საკვლევი ენის შიგნით და მათი ერთმანეთთან შედარება. აგრეთვე, იმის გამორკვევა, შალისესა და ბისეტოს საკლასიფიკაციო სქემა, რომელიც მსოფლიოს მრავალი ენის კომპოზიტთა დასაჯგუფებლად წარმატებით გამოიყენება, რამდენად გამოსადეგია ქართული და ნახური ენებისათვის, რამდენად შეიძლება სუბორდინაციულ, კოორდინა-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-072, არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი).

ციულ და ატრიბუტულ კომპოზიტებში ქვესახეობად გამოიყოს ენდოცენტრული და ეგზოცენტრული ერთეულები.

ეგზოცენტრული ჰქვია ისეთ რთულ სიტყვებს, სადაც ორივე (ანდა სამივე, ოთხივე) კომპონენტის კომბინაცია ასახელებს მთავარ რეფერენტს და არა რომელიმე ერთი. სემანტიკური ორიენტირი არა სიტყვის შიგნით, არამედ გარეთ გვაქვს; ერთი წევრი კი არ განსაზღვრავს მეორეს, არამედ მთლიანი კომპოზიტი წარმოადგენს სხვა სიტყვის განსაზღვრებას ანდა **განყენებული, მეტაფორული** მნიშვნელობა აქვს. ამგვარად, განსაზღვრებითობა მისი ერთადერთი მახასიათებელი არ არის. მაგ., **მკლავმაგარი** მკლავის სახეობა კი არ არის, მთლიანად წარმოადგენს სხვა სიტყვის განსაზღვრებას, მიემართება სხვა ვინმეს. ენდოცენტრულში კი პირიქით, ერთი წევრი დომინანტია, მისი მეშვეობით სახელდება რეფერენტი, მეორე კი განსაზღვრავს მას. მაგ., **ზედწარწერა** – არის წარწერის ერთ-ერთი სახეობა; **ფსიქოთერაპია** – თერაპიის ერთ-ერთი სახე და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ ეგზოცენტრულობა-ენდოცენტრულობა შესაძლოა ვლინდებოდეს რთული სიტყვის არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ მორფოლოგიურ-სინტაქსური მახასიათებლებითაც. რიგი ავტორებისა ერთმანეთისაგან განარჩევს სემანტიკურ, სინტაქსურ და მორფოლოგიურ მეთაურ, დომინანტ სიტყვას.

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ენათა უმრავლესობაში ენდოცენტრული თხზული სახელები უფრო მეტია, ვიდრე ეგზოცენტრული (ოქსფორდის საცნობარო წიგნი 2009: 45). არსებობს ისეთი ენებიც, სადაც მხოლოდ ენდოცენტრული კომპოზიტებია, მაგ., ინდონეზიური ან მხოლოდ ეგზოცენტრული – ზოგიერთი აფრიკული ენა; იტალიურშიც უფრო აქტიურია ეგზოცენტრული წარმოება, ვიდრე ენდოცენტრული. საკვლევად აღებული თექვსმეტი სხვადასხვა ენის 3000 კომპოზიტიდან 69 პროცენტი ენდოცენტრული აღმოჩნდა (გუევარა და შალისე 2009: 119). ცხადია, ზოგიერთ ენაში ეს ციფრი შეიძლება უფრო მაღალი იყოს, ზოგშიც დაბალი. კავკასიური ენების უმრავლესობაშიც მსგავსი ვითარება უნდა გვქონდეს. როგორც ცალკეულ ენათა კვლევებშია მითითებული, ენდოცენტრული წარმოება გაცილებით პროდუქტიულია, მაგ., აფხაზურში (ჩირიკვა 2016), ჩერქეზულში (ლანდერი 2016), დიდოურში (კომრი და სხვ.), უდიურში (შულცე 2016) და სხვ. ემპირიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ქართული და ნახური ენების შემთხვევაშიც იგივე სურათი გვაქვს, მაგრამ ჩეჩნურ, ინგუშურ და წოვათუშურ ენებთან შედარებით როგორც ძველი, ისე ახალი ქართული გაცილებით მდიდარია ეგზოცენტრული კომპოზიტებით, განსაკუთრებით კი მისი დიალექტები.

ლ. ბლუმფილდი (ბლუმფილდი 1933) ტერმინებს – ეგზოცენტრული და ენდოცენტრული, იყენებს კომპონენტებს შორის არსებული როგორც სინტაქსური, ისე სემანტიკური მიმართების გამოსახატად. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვა ავტორთა ნაშრომებში მასში შეიძლება ან მხოლოდ შინაარსობრივი, ანდა მხოლოდ გრამატიკული კავშირი მოიაზრებოდეს.

ჩვენ დიდწილად ვეყრდნობით შალისესა და ბისეტოს საკლასიფიკაციო სისტემას, რომლის თანახმადაც, ენდოცენტრული და ეგზოცენტრული სიტყვები წარმოადგენს სუბორდინაციული, კოორდინაციული და ატრიბუტული კომპოზიტების ქვესახეობებს. აქვე მივუთითებთ, რომ საზოგადოდ, კოორდინაციულ კომპოზიტებში მეთაური სიტყვის გამოყოფა-არგამოყოფის საკითხი საკამათოა, რადგან ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ყველა კომპონენტს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ქართულ, ისე ჩეჩნურ-ინგუშურ-წოვათუშურ ენებში ჩანს, რომ ეგზოცენტრული თხზული სახელების უმრავლესობა არის ზედსართავი სახელები ან გაარსებითებული ზედსართავები. ზოგი მათგანი კი იდიომათა გაკომპოზიტებით არის მიღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენათმეცნიერთა ნაწილი სხვა, ეგზოცენტრულისგან განცალკევებულ ჯგუფად გამოყოფს მეტაფორული, იდიომატური შინაარსის მქონე კომპოზიტებს. მეტაფორიზაცია მიიჩნევა მეორეული სახელდების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სალაპარაკო ენაში.

როგორც ემპირიული მასალა გვიჩვენებს, ქართულ ენა-დიალექტებში სამივე ტიპის – სუბორდინაციულ, კოორდინაციულ და ატრიბუტულ კომპოზიტებში გამოიყოფა ეგზოცენტრული წარმოების სახელები.

სუბორდინაციული

პურისუფალი – თამადა ($N+N=N$)

პირისანახავი – მოსალოცავი, თავგადასავადები ($N+PTCP=N$) (*კახური*)

მრგულისმომვლელი – ჯამბაზი, ცირკის მსახიობი ($ADJ+PTCP=N$) (*ძვ. ქართული*)

პირისქსნა – მიცვალებულის დამარხვის მეორე დღეს ხორცის ჭამა ($N+MSD=N$) (*თიანური*)

კოორდინაციული

აგრ-იგრ – საგარეო ტანისამოსი ($ADV+ADV=N$) (*ინგილოური*)

ყამკარი – ყოფა, გზა-კვალი ($N+N=N$) (*ფშაური*)

ხეაგური – იგივეა, რაც ჩალანგარი ($N+N=N$)

კატათავგობა – საბავშვო თამაშობა ($N+N=N$)

ქერბედელა – მარმარილო ($N+N=N$) (*ხეცს.*)

პირიმზე – სამხრეთისკენ მიქცეული მიწა, მზიანი ადგილი ($N+N=N$) (*კახური*)

ვირხიდა – თავებით ჯვარდინად ერთმანეთში შერჭმული ბოძები, რომელზედაც დაყრდნობილია მდინარეზე გადებული საფეხმავლო ხიდი ($N+N=N$) (*გურული*)

ქვაშეშა – ძალიან მამაცი ($N+N=ADJ$) (*ხეცს.*)

ატრიბუტული

ხელბრუდი – ქურდი ($N+ADJ=ADJ$) (იმერული)

ბოლოშავი – შაშვის ოდენა ჩიტი ($N+ADJ=N$) (იმერული)

ენაწკაპიაი – ბალახია ერთგვარი, ენას სუსხავს ($N+ADJ=N$) (ინგილოური)

დილაბნელი – ალიონი, გარიჟრაჟი, განთიადი ($N+ADJ=N$) (კახური)

თავმონაწიერი – ერთი მეორეზე მიყოლებული წვრილშვილი ($N+PTCP=N$) (გურული)

ნახურ ენებში ეგზოცენტრული შინაარსის რთული სიტყვები შედარებით პროდუქტიულია სუბორდინაციულ და ატრიბუტულ სახეობაში, კოორდინაციულ ტიპში კი არ იძებნება.

სუბორდინაციული

ლარკეფუნზ – მსმენელი; ყურის მგდებელი (სიტყვასიტყვით: ყურმიშვერილი) ($N+PTCP=PTCP$) (წოვათუშ.)

სინგათამ მწუხარება, ნაღველი (სიტყვასიტყვით: სულისდაჭერა, დავიწროება) ($N+MSD=MSD$) (ჩეჩნ.)

სათიქდარ სიმშვიდე (სიტყვასიტყვით: სულის მშვიდად გაკეთება) ($N+MSD=MSD$) (ჩეჩნ.)

სათასარ განთიადი (სიტყვასიტყვით: სინათლის მოფენა) ($N+MSD=MSD$) (ჩეჩნ.)

ხინ-ხად მექვიშია (ფრინველია) (სიტყვასიტყვით: წყლის იხვი) ($N+N=N$) (ჩეჩნ.)

მანგალკომარ – მაცვალი (სიტყვასიტყვით: ცელის (მკის) კენკრა) ($N+N=N$) (ინგუშ.)

ცერგქოვ – ფოსო ამოდებული კბილის ადგილას (სიტყვასიტყვით: კბილის ჭიშკარი) ($N=N=N$) (ჩეჩნ.)

თუმოლქოთამ – ოფოფი (თუმოლის [ნაყოფიერების ღვთაება] ქათამი) (ინგუშ.)

ატრიბუტული

დოკლაწინზ მიმღ. გულშემატკივარი (სიტყვასიტყვით: გულმტკივანი) ($N+PTCP+PTCP$) (წოვათუშ.)

კაბუც – ჭანგა (სიტყვასიტყვით: თეთრი ბალახი) ($ADJ+N=N$) (ინგუშ.)

ზარგმეცა – ხარბი, ძუნწი (სიტყვასიტყვით: თვალმშიერი) ($N+ADJ=ADJ$) (ინგუშ.)

დოკდალინზ, დოკდაილნზ გულმკვდარი, მეტად დანადგლიანებული ($N+PTCP=PTCP$) (წოვათუშ.)

ზაქხეხინზ – კუმტი, ჩუმი (სიტყვასიტყვით: პირშეკრული) ($N+PTCP=PTCP$) (წოვათუშ.)

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხშირად ისე ხდება, რომ ეგზოცენტრულ კომპოზიტებში სიტყვის მნიშვნელობა აბსოლუტურად გაზუნდოვანებულია და შემადგენელი ნაწილები არავითარ გასაღებს, მინიშნებას არ გვაძლევენ საბოლოო სემანტიკაზე. წინასწარი ცოდნის გარეშე ძალიან ჭირს მნიშვნელობის დადგენა ანუ გვაქვს ერთვარი მეტაფორიზაცია, რაც არის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად. პრაგმატიკა მჭიდროდაა დაკავშირებული პროდუქტიულ სიტყვაწარმოებასთან. მეორეული სახელდება გამოიყენება ენის ყველა საფეხურზე, მაგრამ ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ყველაზე მეტად. ეს იმით აიხსნება, რომ ენაში არსებობს ლექსემების ლიმიტირებული რაოდენობა და საჭიროება, რომ ამ ლიმიტირებული რესურსით გამოიხატოს ახალი ცნებები, აგრეთვე, ექსპრესიის შეზღუდული ლინგვისტური საშუალებები და საჭიროება, რომ გამოიხატოს ულიმიტო კონცეპტუალური შინაარსი (ბაუერი 2017: 85). მხედველობაშია მისაღები ენის ეკონომიურობის პრინციპიც.

მაგალითად:

თაგიკბილაი – ძირმაგარა (*ინგილოური*)

თაგვთუქმე – მარხვა, ნამარიამობევს იცოდნენ (*რაჭული*)

თაგვისტომა – წითელი მოცვი (*ხევსურული*)

გულისეზოი – არტერია (*ძვ. ქართული*)

პაპასხილი – ქლიავის ჯიშია ერთგვარი (*ქართული*)

ათისთავი – სამაშვლო ფული (*იმერული*)

გუდაფხაკუნა – ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაჰინი) (*გერეიდნული*)

თაგვადასადები – ქორწილის დროს მეფე-პატარძლის მისალოცი ან ფული ან რაიმე ნივთი (*იმერული*)

თაგვადასახურავი – მიცვალებულის ჭირისუფლისათვის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან (*იმერული*)

თმისაზდელაი – ხრტილი (*ჩვენებურების ქართული*)

ქარაბიჭა – უდროოდ დამაკვებული ცხვარი (*ხევსურული*)

ეკალმმარა – კოწახური (*ხევსურული*)

ემშმა^დლო^ნ ნემსიყლაპია (სიტყვასიტყვით – ეშმაკის ცხენი) (*წოვათუშ.*);

ლეიბვამ^ზხენ^ს აკაცია (სიტყვასიტყვით – ლობიოს ხე) (*წოვათუშ.*);

ნიტბოტარ ოჯახის ამოწყვეტა (ჭინჭრის მოღება) (*წოვათუშ.*);

ფსიკენ^ს ქოჯო მთის გვირილა (სიტყვასიტყვით – რწყილის ცოცხი) (*წოვათუშ.*);

ბიქსა მარგალიტი, ბრილიანტი (ბიყ – ოთხი, სა – ზღვარი, კიდე) (*ჩენ.*);

ქარყაბქარ ძირმაგარა (სიტყვასიტყვით: შავი თვალი) (*ჩენ.*);

ილიზაზგოვრ ჭრიჭინა (სიტყვასიტყვით – ეშმაკის ცხენი) (*ინგუშ.*);

დენზარგ/გოვრზარგ – მრავალძარღვა (სიტყვასიტყვით: ცხენის ჩლიქი) (*ინგუშ.*);

როგორც ვხედავთ, ნახურ ენებში ბევრად ნაკლებია ეგზოცენტრული კომპოზიტების რაოდენობა. ზოგად ენათმეცნიერებაში მიღებული თვალსაზ-

რისის თანახმად, მეტაფორიზაციას და ეგზოცენტრულ წარმოებას უფრო სალაპარაკო ენაში ვხვდებით, ამით უნდა აიხსნას მათი სიმრავლე ქართულის დიალექტებში. ნახურის შემთხვევაში მისი შედარებითი სიმცირის მიზეზად კი მიჩნეულ უნდა იქნეს შესაბამისი ემპირიული მასალების ნაკლებობა, ამ ენათა არაჯეროვანი დოკუმენტირება.

ლიტერატურა

ალიროევი 1975 – И. Алироев, Сравнительно-сопоставительный словарь отраслевой лексики чеченского и ингушского языков и диалектов, Махачкала.

არაბული 2001 – ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთექმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

ზაუერი 2017 – L. Bauer, Compounds and Compounding, Cambridge Studies in Linguistics 155.

ბლუმფილდი 1933 – L. Bloomfield, Language, Chicago/London.

გუევარა, შალისე 2009 – E. Guevara, S. Scalise, Searching for Universals in Compounding, Studies in Natural Language and Linguistic Theory, V. 76, Amsterdam.

იაკოვლევი 1960 – Н. Яковлев, Морфология чеченского языка, Грозный.

იმანიშვილი 1970 – ივ. იმანიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, თბილისი.

ლანდერი 2016 – I. Lander, Word formation in Adyghe, An International Handbook of the Languages of Europe, V. 5.

კომრი 1996 – B. Comrie, M. Polinsky, R. Rajabov, Tsezian Languages, <https://scholar.harvard.edu/files/mpolinsky/files/tsezian.98.description.pdf>

ოქსფორდის საცნობარო წიგნი კომპოზიტების შესახებ 2009, The oxford handbook of compounding (ed. By Rochelle Lieber and Pavol Stekauer;).

ფარეულიძე 2011 – რ. ფარეულიძე, ჩეჩნური ენა, თბილისი.

ჩირიკბა 2016 – V. Chirikba, Word formation in Abkhaz, An International Handbook of the Languages of Europe, V. 5.

ჩიქობავა 1966 – არნ. ჩიქობავა, ეგზოცენტრული კომპოზიტები „ვეფხისტყაოსნის“ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №5, თბილისი.

ჩოქაევი 1970 – К.З. Чокаев, Словообразование имен существительных в чеченском литературном языке, Грозный.

შულცე 2016 – W. Schulze, Word formation in Udi, An International Handbook of the Languages of Europe, V. 5.

DIANA KAKASHVILI

**Exocentric Compounds in the Georgian and
Nakh Languages**

S u m m a r y

The paper deals with the morphological and semantic analysis of exocentric compounds in the Georgian and Nakh languages.

Exocentric compounds are attested in all four research languages, especially in the dialect vocabulary of the Georgian language.

In Georgian, exocentric compounds can be found in subordinate, coordinative and attributive compounds, while in the Nakh languages coordinative exocentric compounds are almost non-existent.

მაკა ლაბარტყავა

**აკა მორჩილამის სტილის ზოგი თავისებურებისათვის
(„შენი თავგადასავალი“)**

აკა მორჩილამის (გიორგი ახვლედიანის) რომანი „შენი თავგადასავალი“ მეგობრის მიერ მონათხრობი ამბის საფუძველზეა შექმნილი.

მწერალი წიგნის შესახებ შენიშნავს: „...რაც კი რამ ალუზია გამჩენია ცხოვრებაში, ყველა ამ წიგნში ჩაეთია და მგონია, რომ რისი მოთხრობაც მი-ნდოდა და როგორც მინდოდა, ისე გამოვიდაო“.

აკა მორჩილამის შემოქმედებას ერთგვარ ქაოსად მიიჩნევს კრიტიკოსი ლალი ავალიანი. მართლაც არეულია რეალური და არარეალური, ლიტერატურული, ისტორიული თუ მწერლის მიერ გამოწვრილებული. ამ მხრივ გამოწვრილების არც რომანი „შენი თავგადასავალი“ წარმოადგენს. ნაწარმოების სიუჟეტი პოეზიიდან, პროზიიდან, ფილმებიდან მოხმობილი სტრიქონებითა თუ ფრაზებითაა აგებული. გარკვეულ შემთხვევაში მწერალი თავისებურად გადაკეთებული სახით გვთავაზობს ნაწყვეტებს ქართული პოეზიიდან. მაგალითად, ერთ-ერთია სტრიქონები იოსებ გრიშაშვილის ლექსიდან „გამოთხოვება ძველ თბილისთან: „ეჰ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს, თავის დუქანთან მიბმული ყოჩით...“, რომელიც მწერალმა ასე წარმოგვიდგინა: „ეჰ, სადღა ნახავ ელამ ბაბუას, გულისფიცარზე მიკიდულ მედლით...“ (მორჩილამე 2010: 236).

ასევე გადაკეთებულია ლადო ასათიანის ლექსის („ცხრა ძმა ხერხეულიძე“) ტაეპები: „ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა...“, შეცვლილია შემდეგნაირად: „ჰეი, თქვენ მეზოქლომენო, გაუმაძღარნო ომითა...“ (იქვე: 236).

აკა მორჩილამემ გ. ტაბიძის ცნობილი ლექსების პწკარები: „მაინც არ მასვენებს მწარე სინანული, რომელი საათია, რომელი საათია“ ასე შეცვალა: „მაინც არ მასვენებს მწარე სინანული, რომელი ქალაქია, რომელი ქალაქია...“ (იქვე: 250), „დროშები, დროშები, დროშები ჩქარა“ კი ასეა წარმოდგენილი: „ცხენები, ცხენები, ცხენები ჩქარა!“ (იქვე: 171).

ილიას სტრიქონებს – „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში, რასაც ვმსახურობთ, კვლავ ერთგულად მას ვემსახუროთ“, ასე გვთავაზობს მწერალი: „ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში, შენ ხომ ატნაშენია გიყვარდა...“ (იქვე: 233).

წიგნში ზოგჯერ უცვლელადაა წარმოდგენილი ტაეპები ქართული პოეზიიდან (ისე როგორც პოეტს აქვს). მაგ.. ნაწარმოების გმირს, მერი ენ ნიკოლს მწერალი კ. გამსახურდიას ცნობილი ლექსის სტრიქონებით მიმართავს:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას, თუ არ შეგებრალე და მისთხოვდები სხვას, მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას, გადმოვლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს...“ (იქვე: 102).

მწერალი ასევე უცვლელად აერთიანებს (ორი პოეტის) მუხრან მაჭავარიანისა და მურმან ლებანიძის ლექსთა სტრიქონებს: „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, შენ სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“ (იქვე: 96).

რომანში გვხვდება ორი სხვადასხვა ლექსის წყვილ-წყვილი სტრიქონები. პირველი ორი სტრიქონი ახალგაზრდა სტალინისაა, ხოლო მომდევნო ორი – აკაკი წერეთლისა: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადაჰხვეოდა იასა, მდინარეც ნანას უმღერის, რაინდსა ურჩსა მტრისასა“ (იქვე: 69).

მწერალი იყენებს გრ. აბაშიძის უკანასკნელი ლექსიდან სიტყვებს: „არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!“ (იქვე: 49); გაგა ნახუცრიშვილის ლექსიდან ფრაზებს: „ლორდო, მოდი გავათენოთ ღამე“ (იქვე: 75).

გარდა ქართველი პოეტების სტრიქონებისა, მწერალი უცხოელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსის („მაკფერსონის სიკვდილის დღე“) ტაქებიტაც ამეტყველებს რომანის გმირს, სემს (როგორც რომანიდან ირკვევა, მან ეს ერთადერთი ლექსი იცის მხოლოდ): „–ო, ასეთი მხიარული, ო, ასეთი მხნე. სახრჩობელის გზას შეუდგა. მაკფერსონი დღეს...“ (იქვე: 66).

რომანში გვხვდება ამონარიდები არამხოლოდ პოეზიიდან, არამედ ფრაზები მოხმობილია პროზაული ნაწარმოებებიდანაც. მაგალითად, ნაწარმოების ერთ-ერთ გმირს პეტრე ჯაფარიძეს ახსენდება მარკ ტვენის ნაწარმოებიდან („ტომ სოიერის თავგადასავალი“) ჰეკლბერი ფინის სიტყვები: „ნეტავ ვაშლის კასრი იქნებოდეს სადმე. შევძვრებოდი შიგ და ვიცხოვრებდი...“ (იქვე: 101). ასევე მწერალი აერთიანებს წინადადებებს ორი სხვადასხვა ქართული წიგნიდან („დათა თუთაშხია“ და „დიდოსტატის მარჯვენა“): „ოჰ ღამე, ფიქრისა ჩემისაებრ ბნელო! არავინ იფიქროს, ვახტანგა შალითურს სიკვდილის ეშინია“ (იქვე: 104). ამ ფრაზებით გმირს სურს ქართული მოხერხებულობა და გამბედაობა შეუზავოს ერთმანეთს. კონტექსტი „რა საოცარი ბიჭები იყვნენ“ არის მოხმობილი ფრანგი მწერლის ალფონს დოდეს წიგნიდან „წერილები ჩემი წისქვილიდან“ (იქვე: 161); ფრაზა „მართალი ვარ, ვითარცა აბდულაჰ“ გვხვდება მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში „მართალი აბდულაჰ“ (იქვე: 49); ნაწარმოების გმირს, ჯორჯიას, უმბერტო ეკოს მოთხრობა „იარალი“ ახსენდება, რომელშიც გენერალი და მეფე იარაღზე საუბრობენ. ბოლოს აღმოჩნდება, რომ ეს იარაღი ქვა ყოფილა. სწორედ ამ მოთხრობიდანაა რომანში კონტექსტი: „რატომ უნდა ჰქონოდა ეს წაწვეტებული ქვა და მეორე შეეშინებინა?“ (იქვე: 164), წინადადება – „ერქვა ...გოგოს ლუჩია, იტალიელნი მაშინ ბევრნი ილუპებოდნენ აბისინიაში“ მოხმობილია ვ. გამსახურდიას რომანიდან „დიონისეს ღიმილი“ (იქვე: 231).

ერნესტ ჰემინგუეის რომანიდან „ჰარი მორგანი“ გამოყენებულია შემდეგი წინადადება: „ჰავანა თუ გინახავთ დილაადრიან?“ (ამით იწყება რომანი) (იქვე: 87), ვიქტორ ჰიუგოს რომანიდან „ოთხმოცდაცამეტი წელი“ კი ფრაზა – „ლანტენაკი ვარ, ასევე კონტექსტი – „Que va რას იზამ, ასეთია კაცის ცხოვრება“ მოხმობილია მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა“ (იქვე: 196).

რომანში დასახელებულია ტომას კარლაილის ნაწარმოები „საფრანგეთის რევოლუცია“, რომელიც მწერალს გაჭირვებით აუთვისებია (რომლის შესახებაც თვითონ მიანიშნებს ნაწარმოებში) კარლაილი ლონდონში ცხოვრობდა და ძეგლიც იქ უდგასო, შენიშნავს ავტორი ნაწარმოების ბოლოს (იქვე: 9), აგრეთვე ტომას დე კვინსის რომანი – „ოპიუმის მჭამელის აღსარებანი“ (იქვე: 18). განუხორცილებელი სიყვარულის ამბავი მწერლისთვის ერნესტ ჰემინგუეის რომან „ფიესტასთან“ ასოცირდება (მშვენიერი წყვილი თავიდანვეა განწირული იმისათვის, რომ ერთად არ იყვნენ), რომელსაც რომანში ლათინური ანბანით ასახელებს (FIESTA) (იქვე: 33), ასევე დასახელებულია ირლანდიელი მწერლის, შონ ო კეისის რომანი „მე ვაკაკუნებ“ (იქვე: 75), ჰერმან მელვილის რომანი „მოზი დიკი“ (იქვე: 135) და ა. შ.

ნაწარმოებში აგრეთვე ვხვდებით აკას მოთხრობის სათაურებს – „ძია ოთარჩიკა პურის რიგში დაპორჭყნეს ქალებმა“ (ის ერთგვარი ფელეტონია) (იქვე:9) და „გიჟები და ვირიშვილები“ (იქვე: 10)... რომანში ნახსენებია „ათას ერთი ღამე“ და მისი გმირი ნურადინ ვეზირი, ასევე შაჰრაზადი (იქვე: 8). იმავე ზღაპრიდანაა წინადადება „მამაცის ღიღილო“ (იქვე: 107-108). რომანში ნახსენებია ინგლისელი მწერალი ქალები – ჯორჯ ელიოტი (რომელსაც ავტორი მოსაწყენ მწერლად მიიჩნევს) (იქვე: 128) და ლილიან ეტილ ვოინიჩი (იქვე: 134), ასევე ამერიკელი მწერალი ქალი – ჰარიეტ ბიჩერ სტოუ (იქვე: 134).

წიგნში მწერალი კეთილშობილ ყაჩაღს, ფრანც მოორს ახსენებს, რომელიც არის გმირი ფრიდრიხ შილერის რომანისა „ყაჩაღები“ (იქვე: 236), ნაწარმოებში ასევე ვიქტორ ჰიუგოს რომანის „საბრალონის“ გმირი ჟან ვალჟანიც სახელდება (იქვე: 255).

რომანში გვხვდება სიმღერათა სახელები – ვაჰრადა და ერგეაშვა შემდეგი კონტექსტით: „ვაჰრადას სულაც არ ჰგავს ერგეაშვა“, რომელიც კ. გამსახურდიას რომანიდანაა („მთვარის მოტაცება“) მოხმობილი (იქვე: 238)...

ვლადიმერ ვისოცკის სიმღერიდანაა წინადადება: „Он вчера не вернулся из боя ...“ (იქვე: 48)...

მოცემული წინადადების „ამბობენ, ტაშკენტიდან ქარავნები მოდიანო“, წარმოთქმა მწერლისთვის შემდეგ ქუჩურ სიმღერას შთაუგონებია:

„ტაშკენტიდან მოდის ქარავანი, ჩემთვის მოაქვს ანაშა და პლანი

აქლემზეა გადამჯდარი ქალი,

ახ, მამაჯან, ეტყობა, რომ მორფინისტი არი“ (იქვე: 245).

გარდა რომანის გმირებისა, მწერალი სხვადასხვა ფილმის გმირებს ასახელებს და იყენებს ფრაზებს ფილმებიდან. ამ მხრივ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, ფრაზა – „სხვა საქმეა, რომ პუსწ პადრუგუ...პუსწ პადრუგუ ვაზმიოტ“ მოხმობილია ფილმიდან „მიმინო“ (ფილმში პერსონაჟი ხაჩიკიანი შესთხოვს პერსონაჟ მიხანდარს, რომ „შენმა ნამამ მეგობარი წამოიყვანოს, რათა მე არ მოვიწყინო“...) (იქვე: 8); გამოყენებულია სიტყვები: „გოგოებო, გეყვარებათ ჯაზები“, ფილმიდან „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ (იქვე:67).

ნაწარმოებში ხშირად დასტურდება სხვადასხვა საზოგადო მოღვაწის ფრაზები: „რომის ცივილიზაციის ერთადერთი მიღწევა არის მის დამპყრობთა

ისტორია“, ეს სიტყვები დიდ ფრანგ მწერალს, რომენ როლანს ეკუთვნის; წინადადება – „მე შენ მოგელანდები! მოგელანდები, თენგიზ, თენგიზ“ მწერალმა და პარლამენტარმა გურამ პეტრიაშვილმა გამოიყენა ყოფილი პრემიერის თენგიზ სიგუასადმი (იქვე:45); რომანში გვხვდება ბრეჟნევის სიტყვებიც: „უმ, ჩესწი სოვესწ ნაშიე ეპოხი“ (პარტია ჩვენი ეპოქის ჭკუა, ღირსება და სინდისიაო“) (იქვე: 49).

ბრეჟნის პიესიდან („კავკასიური ცარცის წრე“) მრეცხავი ქალის, ვაჩნაძის სიტყვებია: „დაგელოდები, სიმონ ჩაჩავა“. „ლოდი...მარცხნივ წახვალ თავს დაკარგავ...“ რუსული ზღაპრებიდან გადმოტანილი ლოდია, რომელსაც ბედისწერის ამბები აწერია. ნაწამოების მთავარი გმირი ჯორჯია ფიქრობს, რომ საბედისწერო ამბავშია გახვეული და სწორედ ამ რუსულ ლოდთან დგას (იქვე: 173); კონტექსტი „ნაკაშიძე სვეშჩამი“ გვხვდება ნ. დუმბაძის რომანში „თეთრი ბაირაღები“; ამავე მწერლის რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მოხმობილია წინადადება: „ეს ტარანია...შენს არაყს მოუხდება“ (იქვე: 189).

აკა მორჩილამე რომანში ასახელებს შოტლანდიელი მწერლის ჯეიმზ მეთიუ ბარის გმირს პიტერ პენს, (რომელსაც ფრენა შეეძლო), რომლის ძეგლიც ამშვენებს ლონდონს. ასევე რუს მომღერალს, ანჟელიკა ვარუმს (იქვე:91); ბრიტანელ მოკრივეს – ნასიმ ჰამედს (შოუების მოყვარულსა და ტრაბახას); მარშალ ჟუკოვს, განთქმულ საბჭოთა მხედართმთავარს; ტომას მორს, დიდ ინგლისელ მოაზროვნეს; ლავრენტი ბერიას – ყოფილ სსრკ სახლმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს; როკენროლის მეფეს – ელვის პრესლს; ამერიკელ კინოვარსკვლავებს: ჯონი დეპს, შვარცენეგერს, კიანუ რივზს და ა. შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „მისი პროზაული სამყარო „ლიტერატურულ-მხატვრულ-კინემატოგრაფიული „შარადების“ ამოცნობის მოყვარულთათვის, – პირდაპირ სულზე მისწრებაა“ (ავალიანი 2005: 135). მწერალი „ე. წ. ლიტერატურული თამაშით ქმნის ახალ მხატვრულ სინამდვილეს, რომელსაც თან ახლავს პოსტმოდერნისტული დაექვება, შფოთვა, ირონია, იმედგაცრუებაც“ (კიკვიძე: 2011).

თანამედროვე სასაუბრო მეტყველების წარმოსაჩენად მწერალი ხშირად მიმართავს ინგლისურიდან (იშვიათად რუსულიდან) შემოსულ ლექსიკურ ერთეულებს („ბარბარიზმებს“).

ნაწარმოების გმირმა, ტიმოთიმ დიალოგში (ჯორჯიასთან) ინგლისური სიტყვა **ო, კეი** გამოიყენა: „**ო კეი?** – მკითხა ტიმოთიმ“ (იქვე: 28) (**Okey** ინგლ. „კარგი“); მისტერ მანტლიპი იყენებს ინგლისურ ლექსიკურ ერთეულს **ვიქენდო**: „–აირინი მოყვარული ჯადოქარია, ჩემო ბიჭუნავ, **ვიქენდებზე** ერთობა ხოლმე...“ (იქვე: 221) (**Weekend** ინგლ. შაბათ-კვირა). აგრეთვე ნაწარმოების გმირი შერილი იყენებს ინგლისურ სიტყვას – **რეფიუჯი**: „შენო, რაო, **რეფიუჯი** ხარო?“ (იქვე: 211) (**Refugee** ინგლ. „ლტოლვილს“); ბერტი სემთან საუბარში იყენებს ინგლისურ ლექსიკურ ერთეულს – **ბარბეკიუ**: „ახლაც ყველაფერში გაჯობებ, კაცობაში, ნადირობაში, ცურვაში, **ბარბეკიუს** შეწვაში, კალატოზობაში, დურგლობაში...“ (იქვე: 186) (**Barbecue** ინგლ. „მწვადი“) და სხვა.

ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს ვაწყდებით სხვა გმირთა მეტყველებშიც: მაგ.: **ლაითი** (**Light** ინგლ. „მსუბუქი“): „ – არ მოწვევ რამეს ეგეთ, **ლაით** ამბავში?“ (იქვე: 13); **ჰოლი** (**Hall** ინგლ. „შემოსასვლელი“, „დერეფანი“): „დედა დაბნეული იყო, ისევ **ჰოლში** იდგა“ (იქვე:221); **ჰეფი ენდი** (**Happy end** ინგლ. „ბედნიერი დასასრული“): „ყველაფერი რომ ეგრე იყოს, ოღონდ, **ჰეფი ენდის** გარეშე“ (იქვე: 34)...

აკა მორჩილაძე არა მხოლოდ რომანის სხვა პერსონაჟებს ამეტყველებს ინგლისური სიტყვებით, არამედ თვითონაც, როგორც პერსონაჟი, ხშირად მიმართავს მას.

მაგალითად, ნაწარმოებში ავტორმა გამოიყენა **-ობა** მაწარმოებლით გაფორმებული ინგლისური სიტყვა **ლანჩი** შემდეგ კონტექსტში: „ფოსტალიონები იყვნენ. თავისთვის **ლანჩობას** თუ აპირებდნენ...“ (იქვე: 25) (**Lunch** ინგლ. „საუზმის შემდგომ საჭმელი“, „ხემსი“), ასევე – ინგლისური ლექსიკური ერთეული **დისკაუნტი**: „მეტი რაღა **დისკაუნტი** გინდა?“ (იქვე: 101) (**Discount** ინგლ. „ფასდაკლება“) და მრავალი სხვა.

ერთგან დასტურდება რუსულიდან შემოსული ბარბარიზმი **დავერობება** (შდრ.: რუს. веровка), რაც საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობას ნიშნავს. ამ სიტყვას მწერალი გენერალს ათქმევინებს: „ჩვენთვის ის იყო მნიშვნელოვანი, რომ სწორედ შენი **დავერობება** მომეხდინა, თორემ ისავეი გმირიც კია“ (იქვე: 228).

ნაწარმოებში ვხვდებით ჟარგონებით ამეტყველებულ პერსონაჟებს: „ჟარგონი სწრაფად ცვალებადი, სწრაფად განახლებადია და ყოველ თაობას თავისი ჟარგონი მოაქვს“, – შენიშნავს ლევან ბრეგამე. რომანში სწორედ ახალი თაობის მეტყველებისთვის დამახასიათებელ ჟარგონებს ვხვდებით.

საინტერესოა ამ მხრივ რომანის გმირების – ლორდისა და სემის დიალოგი. ლორდი ამბობს: „მიზეზი მარტივია, ტვინმა ვერ **გაქაჩა**“, ან კიდევ: „და რას იზამ, როცა ვერ **გაქაჩავ** ამ ფიქრებს, გვერდით კი სემი გყავს“ (იქვე: 74); რომანის გმირი სემი კი ჯორჯიას რომანის ერთ-ერთ მონაკვეთში ასე ეუბნება: „წავალ და **გავმაზავ**... ჯვარი კი არ დამიწერია შენზე“ (იქვე: 118); თვითონ რომანის ავტორიც, როგორც პერსონაჟი, ხშირად იყენებს ჟარგონებს: „დგას „ლედბორკის“ კანტორაში და მსოფლიოს გუშინდელი დოდების ტელეტექსტებს **აჩითვინებს**...“ (იქვე: 233), „მერე კვალს ავურევ და დავაი, **ავითესები** – მეთქი“ (იქვე: 25), ან კიდევ: „–ხომ არ **ჩაგვევინა**?–რა გაძლება აქვს,– თითო დასაწყიანი“ (იქვე: 118)...

დასტურდება დიალექტური ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის შედეგად არის მიღებული და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ეს შეეხება თემის ნიშნებს, ნაცვალსახელებს, თანდებულებს. მაგ.: ლონდონში ქართველს გადაეყრებიან ნაწარმოების გმირები, რომელიც საუბრისას დიალექტურ ფორმას იყენებს: „ქართველი კაცი თავისიანს, რომ ვერ **ნახამს**, ის ადგილი დამანახვე მიწაზე“ (იქვე: 60); რომანის გმირს, რომელსაც ძიას ემახიან, შვილი ეპასუხება: „**დაგიჟყლიტამ** ერთხელ მაგ სუნასა, –

უთხრა შვილმა“ (იქვე: 62); იგივე გმირი ბიჭებს ასე ეუბნება: „– ბიჭო, რა ატან-ტალეხ ენასა, არ იცი, **რისთვის ვზომამთ?** ხვალინდელ **დღისთვის**“ (იქვე: 63); ერთ-ერთი რივერა ამბობს: „**მაგენს** დამბაჩები აქვთ დამალული ბუზგალტერში“ (იქვე:156); ნაწარმოების გმირი – მია ბერტი კი იყენებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: **თლათ**, **იმანო**: „**თლათ** ღვთის პირიდან გადავარდნილები ყოფილან ეგ კაცები, ჩემო **იმანო**“ (იქვე: 203)...

ხშირად გმირების მეტყველება გაჯერებულია ხალხური თუ სხვა სახის გამონათქვამებით. მაგალითად, სახუმარო ქართული გამოთქმა „დაგეწო ჯიგარი“, რაც აღნიშნავს შეწუხებას. „დაიწოს იმის დამწველი“ ქართული სახალხო-სახუმარო გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს – იმ გრძნობის რა ვთქვი, ეგ რომ გაგაკეთებინაო; ასევე ძველებური ქართული ნათქვამია: „ცალი ულვაში მომპარსეთო“, რაც ნიშნავს – დამიმონეთო; „ვინც არ არის დამალული, ჩემი ბრალი არ არის“ არის გამონათქვამი ქართული თამაშიდან „დამალობანა“; ნაწარმოებში გვხვდება ცნობილი ქართული ფრაზა: „გაბრწყინდება ივერია“ (იქვე: 44); „იმუშავეთ ვირებო, ჭამეთ ბრიგადირებო“, რაც მუშათა რაზმის უფროსის უმაქნისობაზე მიანიშნებს (იქვე: 254); გამოთქმა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“, რომელიც ყველა გაზეთის კუთხეს ამშვენებდა, შეცვლილი აქვს მწერალს: „მედუქნებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ (იქვე: 256); ასევე გამონათქვამი: „ჩემი გამოქვაბული ჩემი ციხესიმაგრეა“ (იქვე: 225). უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ანდაზაში სიტყვა **სახლი** შეცვლილია სიტყვა **ციხესიმაგრით**. „ორი მისხალი ენა ვართ“ (იქვე: 256), რაც ნიშნავს: „გოლიათი არა ვარ, მაგრამ არაფერი მეშლებაო“, ქალაქური გამოთქმაა გიორგი ლეონიძის ნაწარმოებიდან „მეეტლე იაგორა“.

მკითხველის ყურადღებას იქცევს მწერლის მიერ შექმნილი ლექსიკური ერთეულები (ნასახელარი ზმნა თუ წინავითარების სახელი) – **მომეშერლოკპოლმსა**, **ნაოთახარი**, რომლებსაც ნაწარმოების გმირი ჯორჯია იყენებს. მაგ., „ის ყვითელი ნისლი, ადრე რომ **მომეშერლოკპოლმსა** ჩემს სახლში...“ (იქვე: 101); „ათიოდე ამგვარი ბელურა და სამი-ოთხი ტყვია ჩემს **ნაოთახარში** შემოვიდა და კინაღამ ოხრად დამარჩინა მე“ (იქვე: 253) და სხვა.

რომანში გვხვდება ინგლისურ-ქართული (ჰიბრიდული) კომპოზიტები. (კომპოზიტის პირველ კომპონენტად გამოყენებულია ინგლისური სიტყვა **სუპერ** (ზედსართავი სახელი), მეორე კომპონენტი კი ქართული სიტყვა – არსებითი სახელი). ჯორჯია და სემი ერთ-ერთ მოხუცზე საუბრობენ: „იგ, რა მოხუცია? **სუპერმოხუცი**“ (იქვე: 187); ჯორჯია სემზე ფიქრისას ამბობს: „ჩემს წინ იჯდა და უცებ ვიფიქრე, რომ იმ წყეულმა **სუპერაჩრდილმა**, ჟენი ფონ ვესტფალენის ქმარმა, სწორედ ამ ავ და უცნაურ სარდლად აქცია სემი...“ (იქვე: 159).

საყურადღებოა ნაწარმოებში დასახელებული საღეჭი რეზინის, კვების პროდუქტის, სიგარეტებისა თუ სასმელების სახელწოდებები: **ბუბლეგუმ** – საღეჭი რეზინი, რომელიც კარგად იბერება (იქვე: 100); **მეიფეარი** – ინგლისური სიგარეტი (იქვე: 270); **კოლხეთი** – ქართული სიგარეტის სახელწოდება (მორჩილაძე 2010: 136); **ოლა** – ესპანური ხორცი (იქვე: 141); **ჩ(შ)ივას რიგალი** – შოტლანდიური ვისკი (იქვე: 250); **ბუნდაასი** – ყავის ერთ-ერთი კოლუმბიური

კონცერნი (იქვე: 250); **ლიბელს დოკი** – კოქტიელის სახელი (იქვე: 182) და ა. შ.

აკა მორჩილაძე ნაწარმოებში ხშირად ასახელებს – ქალაქების, ქუჩების, მდინარეების, პროვინციებისა თუ კუნძულების სახელწოდებებს და სათანადო განმარტებასაც ურთავს (წიგნის ბოლოს). მაგ.: **ნიუპორტი** ქალაქია უელსში (იქვე: 12); **ულან-უდე** (იქვე: 236), **პერმი** (გვ. 275), **ჩიტა** (იქვე: 238), **მინვოდი** (იქვე: 88) რუსეთის ქალაქებია; **ჰაილენდი** არის მთიანი შოტლანდია (იქვე: 73); **კისლოვოდსკი** მინერალური წყლებით განთქმული კურორტია რუსეთში (იქვე: 119); რუსეთშივეა ქალაქები – **ზულინოგრადი** (იქვე: 242), **ჩელიაბინსკი** (იქვე: 242); **ზუშმარკეტი** არის ბაზრობა სეფერდს ბუშის ბაღის ახლოს (იქვე: 49); ინგლისსა და საფრანგეთს შორის ამოჩრილი კუნძულების სახელწოდებაა **ჯერსის** კუნძულები (იქვე: 85); **ისლინგტონი** ადგილია ჩრდილოეთ ლონდონში (იქვე: 215). **ლა როხა** არის არგენტინული პროვინცია (იქვე: 146); **ჟუჟუი** მდინარეა არგენტინაში (იქვე: 140), ხოლო **სანტა-კრუსი** – ადგილი არგენტინაში (იქვე: 140); **ფულემი** არის უბანი დასავლეთ ლონდონში (იქვე: 72) და მრავალი სხვა.

საინტერესოა სხვადასხვა თამაშის სახელწოდება, მაგ.: **ბეზიკი**, არის ფრანგული ბანქოს თამაში (იქვე:129), **კრიკეტი** – ძველი ინგლისური თამაში ტაფელითა და კორპის ბურთით (იქვე:176), **სნუკერი** – საბილიარდო თამაში (იქვე: 167), ასევე ინგლისური ტოტალიზატორის სახელწოდებაა – **ლედბორკი** (იქვე: 52) და ა. შ.

აღსანიშნავია ძია ბერტის, ნაწარმოების გმირის მიერ მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებები და მის მიერვე აღწერილი ფშავის, თუშეთისა და ხევსურეთის მოგზაურობის მარშრუტები. ის ასახელებს ყველა იმ ტოპონიმს, სადაც მას ფეხი დაუდგამს, ესენია: **ომალო**, **თუშეთი**, **ალაზანი**, **გომეწარი**, **ილურთა**, **ჯვარბოსელი**, **ანდაკი**, **ხევსურეთი**, **არდოტი**, **მუცო**, **შატილი**, **დართლო**, **ფარსმა**, **ჩინთიო**, **ხონიჩალი** (იქვე: 184)... ასევე – **მარუხისა** და **მამისონის** უღელტეხილები (იქვე: 32).

საინტერესოა რომანში წარმოდგენილი სხვადასხვაენოვანი დიალოგები. შეინიშნება რუსული შინაარსის ლათინური ანბანით გადმოცემა: „–Kagda ia, samaliotam bil, garada bambil, tak chto eti xinkali ia pustil na tvoi gorod. na tibia, znachit...“ (იქვე: 272), ასევე ლათინური ანბანით გადმოცემა ინგლისური, რუსული და ქართული შინაარსი ერთდროულად „...Tu mi, evrithing opei...chto za igra, amixseni ra xdeba...“ (იქვე: 272); გვხვება უშუალოდ რუსული დაწერილობით წარმოდგენილი წინადადებები, მაგ., „Бежит Гарун быстрее лани, быстрее чем заяц от арла“ (იქვე: 41) და სხვა.

აკა მორჩილაძეს „პოსტმოდერნისტული თამაშით“ შევყავართ ახალ სამყაროში. მწერალი „ძველის განახლებით“ ახალ სინამდვილეს ქმნის და წარმოგვიდგენს ჩვენ, მკითხველს, ამას კი ნარაციისა და ფანტაზიის წყალობით ახერხებს. მკითხველი პერსონაჟიცაა და ზოგჯერ მწერლის ფუნქციებსაც ითავსებს. ის მორჩილად მიჰყვება მწერლის შემოთავაზებებს და „თამაშობს“ მასთან ერთად“ (ბერძული 2015: 62)

მწერლის მიერ ჟარგონებითა თუ ბარბარიზმებით ამეტყველებული პერსონაჟები თითოეული გმირის ხასიათს უკეთ წარმოაჩენს. ტოპონიმთა, დიალექტურ ფორმათა, ანდაზა-გამონათქვამთა მოხმობა კი უფრო შთამბეჭდავს ხდის რომანს.

ლიტერატურა

ავალიანი 2005 – ლ. ავალიანი, კრიტიკა, №5, თბილისი.

ბერძული 2015 – ნ. ბერძული, ნარატივის მხატვრული ფუნქცია თანამედროვე ქართულ პროზაში, თბილისი.

ბრეგაძე 2005 – ლ. ბრეგაძე, „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

კიკვიძე 2011 – ზ. კიკვიძე, პოსტმოდერნიზმი და ქართული ლიტერატურული დისკურსი, ქუთაისი.

მორჩილაძე 2010 – აკა მორჩილაძე, შენი თავგადასავალი, თბილისი.

MAKA LABARTKAVA

On Some Peculiarities of Aka Morchiladze's Style

("Your Adventure")

S u m m a r y

The paper discusses some peculiarities of the style of Aka Morchiladze's novel "Your Adventure". The story of the work is made up of lines or phrases from poetry, prose, movies. In some cases, the writer gives us excerpts from both poetry and prose in a peculiar way.

The paper analyzes the speech of the characters of the work that is saturated with slang, e.g. *gakača*, *gavmazav*, *ačitvinebs*, *čagvepina*, etc.

In order to show modern colloquial speech, the writer often uses lexical units ("barbarisms") entered from English (rarely from Russian), e.g. *o ŋei*; *vikendi*; *repiuži*; *barbekiu*; *holi*; *hepi endi*; *lanči*, *diskaunti*, etc. The barbarism *daverboeba* that came from Russian is attested in one case (cf.: Russian: вербовка).

The names of cities, streets, rivers, provinces, or islands frequently mentioned by the writer in the novel are given with their own definitions. They are as follows *niuporti*; *ulan-ude*; *permi*; *čița*; *minvodi*; *hailendi*; *zulinogradi*; *čeliabinskī*; *bušmarkeți*; *žersis kunzulebi*; *islingtoni*; *la roxa*; *žužui*; *sanța- ŋrusi*; *pulemi* and many

more. Dialectal forms are also presented which are obtained as a result of various phonetic processes and are spread in all parts of Georgia. This applies to theme markers, pronouns, postpositions, e.g. *naxams*, *dagiçqliṭam*, *ristvin vzomam!* *dyistvin*, *magens*, *tlat*, *imano...* The toponyms in Pshavi, Tusheti and Khevsureti named in the novel are also discussed: *Tusheti*, *Alazani*, *Gometsari*, *Ilurta*, *Jvarboseli*, *Andaki*, *Khevsureti*, *Ardoti*, *Mutso*, *Shatili*, *Dartlo*, *Parsma*, *Chintio*, *Khonichali*, *Marukhi* and *Mamison passes*, etc.

The paper also focuses on the names of chewing gums, food, cigarettes or drinks mentioned in the work, e.g. *bublegum*; *meipeari*; *ḳolxeti*; *ola*; *č(š)ivas rigali*; *buendiasi*; *libels doḳi*, etc., on the lexical units created by the writer, e.g. *momešerloḳholmsa*, *naotaxari*, as well as on the expressions that saturate the speech of the characters, e.g. “*dageço žigari*”, “*daiços imis damçveli*”, “*cali ulvaši momparseto*”, “*vinc ar aris damaluli, čemi brali ar aris*”, etc.

რომან ლოლუა

წინაველარული აფრიკატები საერთოლექსიურში

წინაველარული აფრიკატები ლექსიურ ენებში სინქრონულ დონეზე არ დასტურდება, თუმცა ისინი გვხვდება სხვა დადესტნურ ენებში; ტ. გუდავა შენიშნავს, რომ ინტენსიური წინაველარული თანხმოვნები ანდიურ ენებში (**ჭ**, **კ**) აფრიკატებს განეკუთვნება, ხოლო სუსტი წინაველარული თანხმოვნები – ხშულ-მსკდომებს (გუდავა 1964: 75-81; 141-142). რაც შეეხება დიაქრონიულ ვითარებას, საფიქრებელია, რომ საერთოდადესტნურ ფუძეენას მოეპოვებოდა როგორც წინაველარული ხშულ-მსკდომები, ისე წინაველარული აფრიკატები. როგორც ჩანს, ფუძეენის დაშლამდე უკანაენისმიერთა სისტემამ რღვევა განიცადა, თუმცა მისი გარკვეული რელიქტები მაინც შეინიშნება. ბ. გიგინეიშვილი საერთოდადესტნურისათვის წინაველარულ აფრიკატთა ხუთეულს ვარაუდობს. ამ ხუთეულის მჟღერი და სუსტი წევრები, როგორც მკვლევარი მიიჩნევს, საერთოდადესტნური ფუძეენის დაშლამდე ხშულ-მსკდომებს შეერწყა (გიგინეიშვილი 1970: 189) და, შესაბამისად, უკვალოდ დაიკარგა. რაც შეეხება ინტენსიურ წინაველარულ აფრიკატებს: ბ. გიგინეიშვილმა აღადგინა ფშვინვიერი აფრიკატი საერთოდადესტნურ დონეზე (გიგინეიშვილი 1977: 97-98), ხოლო გლოტალური წევრის რეკონსტრუქცია მხოლოდ საერთო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ დონეზე მოხერხდა (გიგინეიშვილი 1977: 111-113).

წინაველარული აფრიკატების პოსტულირების ცდა საერთოლექსიურისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა. ვფიქრობთ, რომ საერთოლექსიურში აღდგება არამარტო ინტენსიური წინაველარული აფრიკატები (***ჭ**, ***კ**), არამედ სუსტი წინაველარული აფრიკატებიც (პირობითად აღვნიშნავთ ***ქ**, ***კ**). თუ ინტენსიური წინაველარული აფრიკატები საერთოლექსიურში იმავე ჟღერადობის საერთოდადესტნური ფონემებისაგან მომდინარეობს, სუსტი წინაველარული აფრიკატები საერთოდადესტნურ სუსტ ლატერალურ აფრიკატთაგან არის მიღებული. ჩვენი აზრით, საერთოდადესტნურმა ***ლ** და ***ლ'** ბგერებმა საერთოლექსიურში მოგვცა სუსტი წინაველარული აფრიკატები. შემდგომი პროცესები სხვადასხვაგვარად წარიმართა: თუ სუსტმა ფშვინვიერმა წინაველარულმა აფრიკატმა განიცადა სპირანტიზაცია (***ქ** > **ხ**), სუსტმა გლოტალურმა წინაველარულმა აფრიკატმა ლექსიურ ენებში მოგვცა ორი განსხვავებული კორესპონდენცია (**კ** და **ყ**).

***ქ ბგერა:** საერთოლენგიური *ქ (სუსტი ფშვინვიერი წინაველარული აფრიკატი) ლენგიურ ენებში შემდეგ კორესპონდენციებს გვაძლევს:¹

| | | | | | | | | | | | |
|----------|-------|------|-----|------|------|--------|------|------|------|------------|------|
| ს.-ლენგ. | ლენგ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
| *ქ | ხ | ხ | ხ | ხ | ხ | ჭ < *ხ | შ, ? | ? | შ<*ხ | *ხ | ხ, შ |

„ღამე“ - ლენგ. **იიჭ** (< *იიხ^ჲ), -ე//**ჭე**; ხლუტ. **იიჭ** (< *იიხ^ჲ); ნუტ. **იიჭ^ჲ**; თაბ. **იიშ** (< *იიხ^ჲ), -ჟ(-ა-); დიუბ. **იიჟ**; ულდ. **იიშ**; ად. **ჟუშ** (< *ჟუხ^ჲ), -აი; ბურშ. **იიშ**; ფიტ. **ჟუ**; ბურკ. **ჟუშ**; რუთ. **ჟუშ** (< *ჟუხ^ჲ), -ი- IV; იხრ. **იუშ**; ხნოვ. **იუშ**; წახ. **გხა**; არჩ. **იშ** (< *იხ^ჲ) IV (შდრ. **შ^ჲი** „ღამით“); კრიწ. **იიჭ** (< *იიხ^ჲ), -ა IV; ბუდ. **იუჟუხ** „ღამით“; კავკ.-ალბ. **შუ** (< *უხ < *უხ^ჲ); უდ. **ჟუშე** // **შუ** (< *უხ < *უხ^ჲ), ვართ.-ზინ. **შუ** // **იიშ**; სხვ. დად.: ხუნდ. **რელ^ჲდა** „საღამო“; ახვ. **რელ^ჲა** „ღამე“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [დიუმეზილი 1933: 50; ლექსიკა 1971: 181; გიგინეიშვილი 1977: 94; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 524 (ს.-ლენგ. *ციშ^ჲ)].

„ფრჩხილი“ - თაბ. **შიხ** (< *ხიხ^ჲ), -რუ; ხურ. **შაჟ**; დიუბ. **შაჟ**; რუთ. **ხ^ჲხ**, **ხიხელ**- III; წახ. **ხგ^ჲნა**, -იგ IV; გილმ. **ხგგნა** (< *ხგგნა-ბა); უდ. **მუხ**; სხვ. დად.: ხუნდ. **მალ^ჲ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ტრუბეცკოი 1922: 192; ლექსიკა 1971: 119; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 814 (ს.-ლენგ. *ლ^ჲშა)].

„გახდომა“, „გაკეთება“ - ლენგ. **ხ-უნ**; თაბ. **ხ-უხ**; ად. **ხ-ას**; წახ. **ხ-ეს**; შდრ. ხუნდ. **ლ^ჲ-იხე**; ანდ. **ლ^ჲ-იდუ**; დიდ. **ლ^ჲ-ა**; დარგ. **ი-ქ-ის** (მეშველი ზმნა); ლაკ. **ხ-უნ**.

როგორც აღინიშნა, *ქ ბგერა საერთოდადესტნური *ლ ბგერისაგან მომდინარეობს. ბ. გიგინეიშვილი საერთოლენგიურისათვის *ლ > *ქ პროცესს ვარაუდობს (გიგინეიშვილი 1977: 151), თუმცა ლენგიურ ენათა ფაქტობრივი მონაცემები ამას მხარს არ უჭერს.

ქ ბგერა ლენგიურ ენებში არ დასტურდება როგორც საერთოდადესტნური *ლ-ს შესატყვისი. ბ. გიგინეიშვილი *ლ ბგერის კონონზომიერ რეფლექსს ქ ბგერის სახით მხოლოდ ხინალულურში პოულობს (გიგინეიშვილი 1977: 94) და, ამასთან ერთად, ეს ვარაუდი მხოლოდ ერთ მაგალითზეა დაფუძნებული (ქ-ირი²).

¹ შდრ. ხუნდ. **ლ^ჲ**; ანდ. **ლ^ჲ**; ახვ. **ლ^ჲ**; დიდ. **ლ^ჲ**; დარგ. **ქ**; ლაკ. **ხ...**

² ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებით, ზმნა **ქირი** „გახდომა“ აღნიშნავს (გიგინეიშვილი 1977: 94), თუმცა ხინალულურში ეს ლექსემა ოდენ „კეთების“ მნიშვნელობით დასტურდება (განევა 2002: 153-154), ხოლო „გახდომა“ გადმოსცემს **ყი** ზმნა, რომელიც „გახდომის“ აღმნიშვნელ საერთოლენგიურ ზმნას არ უნდა უკავშირდებოდეს.

ბ. გიგინეიშვილის მიერ ნავარაუდები *ლ* > *ქ* გადასვლას სხვა მიზეზითაც ვერ გავიზიარებთ: ეს პროცესი რომ განვითარებულიყო საერთოლენგიურში, მაშინ საერთოდადლესტნური *ლ* და *ქ* ბგერები ლენგიურ ენებში ერთნაირ რეფლექსებს მოგვცემდა, თუმცა ასეთი ვითარება არ გვაქვს: საერთოდადლესტნური *ქ* ლენგიურ ენებში იდენტური ბგერათშესატვისობითაა წარმოდგენილი, *ლ* ბგერა კი, როგორც წესი, ხ-ს გვამლევს.

***ქ ბგერა:** საერთოლენგიური *ქ* (ინტენსიური ფშვინვიერი წინაველარული აფრიკატი) ლენგიურ ენებში შემდეგ კორესპონდენციებს გვამლევს:¹

| ს.-ლენგ. | ლენგ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კაგკ.-ალბ. | უდ. |
|----------|-------|------|-----|------|------|-------|------|------|------|------------|-----|
| *ქ | ღ | კ | კ | ხ | კ | ღ, ხ | ხ | ქ | ხ | ? | კ |

„რკო“ (1), „მუხა“ (2) - ლენგ. მელტ, -ჟ (1); ხლუტ. მაღტ (1); თაბ. მაგტ, -უ (2); დიუბ. მაგტ; ბურშ. მაგან კურ (2); რუთ. მახტ, -ალ- III (2); წახ. მოგტ, -ან III (2); გილმ. მაგტა III (2); კრიწ. მელ, -ა III (2); უდ. მაგტ // მახტ (1); სხვ. დალ.: ხუნდ. მიქ „მუხა“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 163; გიგინეიშვილი 1977: 70, 98; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 812 (ს.-ლენგ. *მაგტა, -ა III „რკო“; „მუხა“)].

„ნამჯა“ (1); „ბზე“ (2) - ლენგ. ნალტ, -ადი (2); ფიი. ნუდ; თაბ. ნაგტ, -დი (2); ყანდ. ნიგტ; დიუბ. ნუგ; თფილ. ნაგტ, -არი (1); რუთ. ნახტ, -უა- IV (1); წახ. ნაგტ, ლოკ. ნუგ-ნე (1); არჩ. ნახტ, ნეხტი IV (2); კრიწ. ნოხ IV (1); ბუდ. ნოხ IV (2); უდ. ნეგ (1); სხვ. დალ.: ხუნდ. ნაქუ „ბზე“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარევი 1961: 59; ლექსიკა 1971: 177; გიგინეიშვილი 1977: 72, 98; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 848 (ს.-ლენგ. *ნაგტ, „ნამჯა“; „თივა“)].

ბ. გიგინეიშვილი საერთოლენგიურში *ლ* > *კ* პროცესის შესახებ მიუთითებს (გიგინეიშვილი 1977: 151), რასაც ვერ გავიზიარებთ. ეს პროცესი რომ განვითარებულიყო, მაშინ საერთოდადლესტნური *ლ* და *კ* ბგერები ლენგიურ ენებში იდენტურ ბგერათშესატვისობას მოგვცემდა; შდრ.: საერთოდადლესტნური *კ* > ლენგ. კ: თაბ. კ: ად. კ: რუთ. კ: წახ. კ: კრიწ. კ: ბუდ. კ: არჩ. კ: უდ. კ: ხინ. კ / ზ (გიგინეიშვილი 1977: 81-82; ბოკარიოვი 1981: 65; თალიბოვი 1980: 288-290).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაც გამოითქვა: ბ. თალიბოვი (თალიბოვი 1980: 310-311) და ე. ბოკარიოვი (ბოკარიოვი 1981: 83-84) ამ ფორმულის მიხედვით საერთოლენგიურ ქრონოლოგიურ დონეზე *ლ* ფონემის

¹ შდრ. ხუნდ. ქ: ანდ. ქ: ახვ. ხ: ჰუნხ. ხ: დარგ. ლ||გ||ქ: ლაკ. ხ/ჰ...

რეკონსტრუქციას უჭერენ მხარს. ვფიქრობთ, არ გვაქვს არანაირი საფუძველი, რომ ამ ბგერის არსებობა საერთოლექსიურში შესაძლებლად მივიჩნიოთ.

ჩვენთვის ცხადია, რომ ამ ბგერამ ცვლილება განიცადა ჯერ კიდევ არჩიბულის გამოყოფამდე და, ამდენად, მისი პოსტულირება საერთოლექსიურ ფუძემენისათვის მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ კ კორესპონდენცია ლაკურშიც და დარგულშიც გვხვდება, რაც გვამლევს საფუძველს ვივარაუდოთ *ლ > *კ პროცესის დაწყება ჯერ კიდევ საერთოდადესტნურ ქრონოლოგიურ დონეზე (რიგ დიალექტებში).

რომ დავუშვათ *ლ ბგერის არსებობა საერთოლექსიურში, მაშინ ამ ბგერის პოსტულირება უნდა მოხდეს აღმოსავლურ-სამურულ და დასავლურ-სამურული ერთობისათვის, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია (იხ. ბგერათმესატყვილობათა ფორმულა, რომლის მიხედვით ბ. თალიბოვი და ე. ბოკარიოვი ვარაუდობენ ამ ბგერის არსებობას საერთოლექსიურში: არჩ. კ: ლეზგ. ყ: თაბ. კ, ჭ: აღ. კ: რუთ. ყ: წახ. კ/ყ];¹ კრიწ. ყ: ბუდ. ყ: უდ. მ /ყ: ხინ. კ). მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ინტენსიური ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატის მსგავსად ამ რიგის ინტენსიური აბრუპტივის მოშლა უნდა მომხდარიყო საერთოლექსიურ ერთობის დაშლამდე (თუმცა არჩიბულის გამოყოფის შემდეგ), რაც დასტურდება *ლ-ს რეფლექსაციით ლექსიურ ენებში: ლეზგ. კ/კ: თაბ. ქ: აღ. ქ: რუთ. გ/>ჯ (< *ქ): წახ. გ/ქ: კრიწ. ქ: ბუდ. ქ: უდ. ყ: ხინ. კ/ქ).

***კ ბგერა:** საერთოლექსიური *კ (სუსტი გლოტალური წინაველარული აფრიკატი) ლექსიურ ენებში შემდეგი რეფლექსებითაა წარმოდგენილი:²

| ს.-ლეზგ. | ლეზგ. | თაბ. | აღ. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-აღბ. | უდ. |
|----------|-------|------|-----|------|------|-------|------|------|------|------------|------|
| *კ | ყ | კ | კ | ყ | კ | ყ | ყ | კ | კ | *ყ, მ | ჭ, მ |

„თავი“ - ლეზგ. ყილ, -ო (< *ტიყილ); თაბ. კულ; აღ. კილ, -ო; რუთ. ჰუყულ, -ო- III (< *ტუყ-ულ); წახ. ტუკულ, -კლენ III; კრიწ. ყგლ, ყალი III; ბუდ. ყგლ III; ხინ. მიკირ (< *ტიკირ), კილ „თავთავი“; კავკ.-აღბ. ბულ (< *ბუყულ); უდ. ბულ (< *ბუყულ); სხვ. დად.: ხუნდ. ბეტერ, ლაკ. ზაკ და სხვ. იხ. აგრეთვე: [თალიბოვი 1980: 268, 284 (არჩ.-ის გარეშე); ლექსიკა 1971: 107 (არჩ.-ით: ქარ-

¹ აღსანიშნავია, რომ ბ. თალიბოვი წახურში ვარაუდობს *ლ-ს ერთ-ერთ რეფლექსს ყ ბგერის სახით, თუმცა არც მის მიერ წარმოდგენილ მაგალითებსა და არც ე. ბოკარიოვის მიერ შემოთავაზებულ ფორმულაში ის არ გვხვდება (თალიბოვი 1980: 310-311; ბოკარიოვი 1981: 83-84).

² მდრ. ხუნდ. ტ (ჰიდური დიალ. ლ): ანდ. ლ: ახვ. ლ: დიდ. ლ: დარგ. კ: ლაკ. კ...

ტი); გიგინეიშვილი 1977: 69, 104 (არჩ.-ის გარეშე); ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 1041 (არჩ.-ით: **ლილ-ლილ** „თავეკვეშ“; ს.-ლეზგ. ***ტოლულ**).

„ბალახი“ - ლეზგ. **ტყე**, -**ი**; ხლუტ. **ტყყ**; თაბ. **უკ**, -**უ** (-ა-); დიუბ. **უკუ**; ად. **უკ** // **ტყ**, -**ი**; ბურშ. **იკუტ**; ფიტ., ბურკ. **ტყ**; რუთ. **უყ**, -**უ** IV; წახ. **ოკ**, -**ან** III; გილმ. **ოყ**; არჩ. **იოკი** IV „ზაფხულის საძოვარი“; ალიკ. **ჰუყ** IV „მდელო“; ბუდ. **ტყყ** „სათიბი“; კავკ.-ალბ. **ო(ჰ)ე**; უდ. **ო** // **ოი** (< ***ოყ**); სხვ. დად.: ლავ. **ჰუკუ** „აფსინთი“ და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარიოვი 1961: 73, 74; ლექსიკა 1971: 168; გიგინეიშვილი 1977: 104; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 230 (ს.-ლეზგ. ***ც^წელ**)].

„სიზმარი“ - თაბ. **ნიტყ**, -**უ**; ად. **ემკ**; ბურშ. **ნიკ**; რუთ. **ნაყ** IV; წახ. **ნაკ**, **ნიკ-ნენ** IV; არჩ. **ნაბკ**, **ნიბკი** (შდრ. **მიკირ** „ძილში“, „სიზმარში“); კრიწ. **ნეყირ** IV; ბუდ. **ნეყირ**; კავკ.-ალბ. **ნებ** (< ***ნეყტ**); უდ. **ნეფ** (< ***ნეყტ**); სხვ. დად.: ხუნძ. **მაღ^წუ** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ლექსიკა 1971: 148; გიგინეიშვილი 1977: 135; თალიბოვი 1980: 272; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 620 (ს.-ლეზგ. ***წა^წელ**)].

„მოკვდომა“, „მოკვლა“ - ლეზგ. **რეყიზ**, **ყენა**, **იყ** (ბრძ.); თაბ. **მი-შ-კუზ**; არჩ. **კის**, **კარ**; ად. **კას**; ბურშ. **კის**; რუთ. **ტ-იყეს**, **დგ-ყგრყას** (მრ.); წახ. **კეყეს**; კრიწ. **ყა-იოჯ**, **საყ** (ბრძ.); ბუდ. **სარყარ**, **საყაჯი**; კავკ.-ალბ. **უპ** (< ***უყტ**), **ზი-ლ^ა** (აწმყ. ფუძე); უდ. **ზიიე-სუნ**; სხვ. დად.: ახვ. **ილ^უ-რულ^ა** და სხვ. იხ. აგრეთვე: [ბოკარიოვი 1961: 63; გიგინეიშვილი 1977: 103; ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994: 662 (ს.-ლეზგ. ***ცილ^ე**)].

***კ ბგერა**: დაბრკოლებას აწყდება ***კ** ბგერის (ინტენსიური გლოტალური წინაველარული აფრიკატი) რეკონსტრუქცია საერთოლეზგიურში. ის მხოლოდ ორ მაგალითზეა დაფუძნებული და, ამასთან ერთად, ***კ** ბგერის რეფლექსები ლეზგიურ ენებში, თუ სამ ენას არ მივიღებთ მხედველობაში (წახური, არჩიბული, უდიური), დაუდგენელია:¹

| ს.-ლეზგ. | ლეზგ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
|------------|-------|------|-----|------|------|-------|------|------|--------|------------|-----|
| * კ | ? | ? | ? | ? | ქ | ? | ? | ? | გ (ღ?) | ? | ჭ |

„კვამლი“ - არჩ. **გუნ** (-**ნნ**-) „მტვერი“; უდ. **ქუნინ** „კვამლი“; მომდინარეობს „კვამლი“-ს აღსანიშნავი საერთოდალესტნური ლექსემისაგან, შდრ. ხუნძ. **კუი** და სხვ. იხ. აგრეთვე: [გიგინეიშვილი 1977: 111; ნიკოლაევი, სტაროსტინი: 738 (ს.-ლეზგ. ***ქუნა**)].

¹ შდრ. ხუნძ. **კ**: ანდ. **კ**: ახვ. **კ**: დიდ. **ქ**: ლავ. **კ**..

„ლურჯი“ - წახ. [ხგ]-ნაქ-ნა; არჩ. ნაღჟ-ქეს „გალურჯება“; სხვ. დად.: ხუნძ. ნაკუ-ა-აბ „რუხი“, „ლურჯი“; ჰინ. ნიქ-დიიუ; ლაკ. ნა'კ-შა „ლურჯი“; იხ. აგრეთვე: (გიგინეიშვილი 1977: 112).

წინაველარული აფრიკატები ამჟღავნებენ რეფლექსაციის სინქრონიულ ტენდენციებს სხვა ლოკალური რიგების შესაბამის აფრიკატებთან, რაც ადასტურებს რეკონსტრუქციის მართებულობას:

ა) სუსტი ფშვინგიერი აფრიკატები:

| ს.-ლექზ. | ლექზ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიფ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
|----------|-------|------|-----|--------|------|--------|------|--------|--------|------------|--------|
| ჭ | ხ | ხ | ხ | ხ | ხ | ჭ < *ხ | ჭ, ? | ? | შ < *ხ | ხ | ხ, მ |
| ც | ც.ს | ც.ს | ც.ს | ც.ს | ც.ს | ს | ც.ს | ც.ს, შ | ს | ც.ს | ც.ს, შ |
| ჩ | ჩ.შ | ჩ | ჩ.შ | ჩ.შ, ყ | ჩ.შ | ჩ.ყ | ჩ | ჩ.ყ | შ | ყ (<) შ | შ |
| ჭ | ხ.კ | ხ.კ | ხ.კ | ხ.კ | ხ.კ | ხ.კ | ხ.კ | კ | ხ | მ | მ |

ბ) ა) ინტენსიური ფშვინგიერი აფრიკატები:

| ს.-ლექზ. | ლექზ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიფ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
|----------|---------|------|-----|--------|------|-------|------|------|------|------------|-----|
| ქ | ღ | კ | კ | ხ | კ | ღხ | ხ | ქ | ხ | ? | კ |
| ც | ზ, ჟ, გ | ჩ | ც.ჩ | შ | ც.ჩ | შ | შ | ც | ს, შ | ჩ | ჩ |
| ჩ | ჩ | ჩ | ჩ | შ | ჩ.შ | ? | ჩ | ჩ | შ | ჩ, შ | ჩ |
| ჭ | ღ მ | ხ | ხ | ხ კ | ხ | ხ | ხ | ქ | ღ, ლ | კ | კ |

გ) სუსტი გლოტალური აფრიკატები:

| ს.-ლეზბ. | ლეზბ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
|----------|-------|-------------------|------|------|------|---------|------|---------|------|------------|---------|
| ჭ | ყ | კ | კ | ყ | კ | ყ | ყ | კ | კ | ჭ, მ | ჭ, მ |
| წ | წ, ც | წ | წ | წ, ს | წ, ს | წ | წ, ჳ | წ, ჳ | წ | წ, მ | ც, მ |
| ჭ | ჭ | ჭ, ჩ ⁰ | ჭ | ჭ | ჭ | ჭ, წ, კ | ჭ | ჭ, ტ, კ | ჭ | ჭ, ჳ? | ჩ, მ |
| ყ | ყ | ყ | ყ, მ | ყ | ყ, კ | ყ | ყ | ყ, კ, დ | ყ | ყ, დ | ჭ, დ, მ |

გ) ინტენსიური გლოტალური აფრიკატები:

| ს.-ლეზბ. | ლეზბ. | თაბ. | ად. | რუთ. | წახ. | კრიწ. | ბუდ. | ხინ. | არჩ. | კავკ.-ალბ. | უდ. |
|----------|---------|-------------------|---------|---------|---------|-------|------|------|---------------------|------------|------|
| ჭ | ? | ? | ? | ? | ქ | ? | ? | ? | გ (ღ ⁰) | ? | ქ |
| წ | თ, ტ, წ | ც, ჩ ⁰ | თ, ტ, თ | თ, თ, დ | თ, თ, დ | თ | თ | წ | წ | წ | ც, ჩ |
| ჭ | ჭ | ჩ ⁰ | ჭ | ჭ, ჩ | ჭ | ჭ, ჩ | ჭ | ჭ | ჭ, ჳ | ? | ჩ |
| ღ | ქ, კ | ჭ | ჭ | გ, ქ | გ, ჳ, ქ | ქ | ქ | კ, ჳ | ღ, ჳ | ყ | ჭ |

ლიტერატურა

ბოკარიოვი 1961 – Е. А. Бокарев, Введение в сравнительное изучение дагестанских языков, Москва.

ბოკარიოვი 1981 – Е. А. Бокарев, Сравнительно-историческая фонетика восточнокавказских языков, Москва.

გიგინეიშვილი 1970 – Б. К. Гигинейшвили, Общедагестанская система взрывных согласных. – “Мацне”, серия языка и литературы, №4.

გიგინეიშვილი 1977 – Б. К. Гигинейшвили, Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси.

გუდავა 1964 – Т. Е. Гудава, Консонантизм андийских языков. историко-сравнительный анализ, Тбилиси.

დიუმეზილი 1933 – G. Dumézil, Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord, Paris.

თალიბოვი 1980 – Б. Б. Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва.

ლექსიკა 1971 – Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, Москва.

ნიკოლაევი, სტაროსტინი 1994 – S. L. Nikolayev , S. A. Starostin, A North Caucasian etymological dictionary, Moscow.

ტრუბეტკოი 1922 – N. Troubetzkoy, Les consonnes latérales des langues Caucasiques-Septentrionales. – Bulletin de la Société de Linguistique, t. 23. № 27, Paris.

ROMAN LOLUA

Pre-Velar Affricates in Proto-Lezgian

S u m m a r y

Attempts to postulate pre-velar affricates for Proto-Lezgian have not been made in the scientific literature. We think that four intense pre-velar affricates can be reconstructed (*k², *k², *k², *k²). If in Proto-Lezgian the intense pre-velar affricates are derived from Proto-Daghestanian phonemes of the same sound, weak pre-velar affricates are derived from Proto-Daghestanian weak lateral affricates.

| C.-Lezgian | Lezgian | Tabasaran | Aghul | Rutul | Tsakhur | Krits | Budukh | Khinalug | Archi | C.-Albanian | Udi |
|-----------------|---------|-----------|-------|-------|---------|---------|--------|----------------|---------|-------------|-------|
| *k ² | x̣ | x̣ | x̣ | x̣ | x̣ | f < *x̣ | ∅, ? | ? | ʃ < *x̣ | *x̣ | x̣, ∅ |
| *k _∅ | γ | q | q | x | q | γ, x | x | k _∅ | x | ? | q |
| *k ² | q | ḳ | ḳ | q | ḳ | q | q | ḳ | ḳ | *q, ∅ | q̣, ∅ |
| *k _∅ | ? | ? | ? | ? | k | ? | ? | ? | g(ŋ?) | ? | ḳ |

თამარ ლომთაძე

**არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებები
ებრაელთა ქართულის მიხედვით**

ებრაელთა ქართულის თავისებურებების კვლევა თანდათან უფრო მასშტაბური ხდება როგორც საქართველოში, ასევე ისრაელში (იხ. ენოხი, 1990, 2001, 2007; ენოხი, სალინაძე 2011; ლერნერი 2008; კიკვიძე 2013; სალინაძე 2013; ტაბიძე 2014; სურმავა 2014; ზექალაშვილი 2014; ჯანჯღავა 2017; ჯაიანი 2019; ლომთაძე 2005, 2010, 2015 და სხვები).

არსებით სახელთა ბრუნების თვალსაზრისით ებრაელთა ქართული საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

ტრადიციულად, სტანდარტულ ქართულში შვიდ ბრუნვას გამოყოფენ, რომლებიც ფუძის დაბოლოების მიხედვით დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს. ქართულის დიალექტებში აღნიშნული ბრუნვის ნიშნები მრავალფეროვანი ვარიანტებით არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოსახლეობდნენ, დიალექტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული მრავალფეროვნების გვერდით ებრაელთა ქართულის ბრუნების პარადიგმები არ ჩანს.

სახელობით ბრუნვაში სტანდარტულ ქართულში საკუთარი და საზოგადო არსებითი თანხმომავანფუძიანი სახელი გაფორმებულია -ი ნიშნით. ებრაელებთან თანხმომავანფუძიანი სახელი სახელობითში დაირთავს სტანდარტულის მსგავსად -ი-ს, *ფილხაზი მოვიდა ან შაბათი დადგა*, მაგრამ ზოგჯერ უნიშნოდაცაა წარმოდგენილი, ანუ შეიძლება ფუძის სახით შეგვხვდეს. ეს შეეხება როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სახელებს. მაგალითად, *შაბათ დღე განსაკუთრებულია ჩვენთვის*. ყველაზე ხშირად ამგვარი წარმოება ბიბლიურ სახელებთან გვხვდება: *აბრაამ ხო იცი ჩვენი თორიდან*.

ანალოგიური წარმოება დასტურდება ქართული ენის დიალექტებში (ფშაური, ხევსურული, ქართლური, რაჭული... – ჯორბენაძე 1989).

ამდენად, თანხმომავანფუძიან სახელებთან სახელობითის ნიშნად გამოიყენება -ი და 0.

თუ ბოლოთანხმოვნიან სახელებთან -ი-ს დაურთველობაა ებრაელთა ქართულისათვის სპეციფიკური, ხმომავანფუძიანებთან პირიქით, -ი-ს დართვა არის გამორჩეული. ამ მხრივ განსხვავება არ არის ერთ და მეტმარცვლიან სახელთა შორის. მაგალითად, *წნევაი მაქ ნამდვილად. ბებიაჩემი ებოი და დეი-დაჩემი ნათელია ერთ ეზოში ცხოვრობდენ. ბებიაი დაგენაცვლოს, მოდი მომიფონე. შელემიკოი მოვიდა, მგონი*.

აღნიშნული მოვლენა დასტურდება ქართულში, კახურში, ფშაურში, მოხეურში, თუშურში, ხევსურულში, მთიულურ-გუდამაყრულში, იმერულში, აჭარულში, გურულში, სამცხურში, ჯავახურში, ინგილოურში, კახურში, თუმცა სხვადასხვაგვარია მათი გამოვლენის შემთხვევები (ძოწენიძე 1973; ჯორბენაძე 1989; შარაშენიძე 2016; უთურგაიძე 1986).

ამდენად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი თანხმოდანფუძიანებთან არის -ო და 0, ხმოვანფუძიანებთანაც ასევე 0 ან -ი.

მოთხრობით ბრუნვაში ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოდანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან უმეტესად გვხვდება სტანდარტული ქართულის მსგავსად -მა დაბოლოება: *ქალმა უნდა მიხედოს ოჯახს*. დალოცვის, წყევლიან ან ბიბლიური პასაჟების მოხმობისას იყენებენ -მან დაბოლოებასაც, რაც თავსილის გავლენა უნდა იყოს რელიგიურ ებრაელებთან: *მაგის ჩამომავალმან იხარა; ღმერთმან ნუ ქნას, უარესობისკენ წავიდე სიტუაცია. ისაკიჩმან კარქა იცის მაგ ამბები*. ამდენად, თანხმოდანფუძიან სახელებთან დასტურდება -მა ან -მან დაბოლოება. თუმცა -მან დაბოლოება მაინც ძალიან იშვიათია და მას ვერ შევადარებთ გამოყენების სიხშირით თანხმოდანფუძიანი სახელობითის უნიშნო ფორმებს ან ხმოვანფუძიანი სახელობითის -ი დაბოლოების დართვას.

მოთხრობითის არქაული წარმოების შემთხვევები დასტურდება ფშაურში, ხევსურულში, სამცხურში, ჯავახურში, კახურში, ქსნის ხეობის ქართულში (ჩიქობავა 1939; იმნაიშვილი 1957; სარჯველაძე 1997; ჯორბენაძე 1989).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვა ძირითადად გამოხატულია -მ ან -მა ნიშნით როგორც ერთ, ისე მეტმარცვლიან სახელებთან. მაგალითები: *ჩემმა დამ მაჩუქა; დედამა დამიცხოლობუანები; შელეძიკომა, ქალო, ამას წარმოიდგენდიო?*

აღნიშნული მოვლენა ხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება ქართული ენის მესხურ, რაჭულ, გურულ და აჭარულ დიალექტებში (ჯორბენაძე 1989).

ამდენად, ებრაელებთან მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად თანხმოდანფუძიანებთან დასტურდება -მა, მან, ხმოვანფუძიანებთან -მ, -მა.

მიცემითი ბრუნვის ნიშანი როგორც თანხმოდანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი არსებითი სახელებისათვის სტანდარტულ ქართულში არის -ს. ანალოგიური ნიშანი დასტურდება ებრაელებთან. მაგალითად, *პირს ჩემსკენ იზამდა და ქუში ბებერსო მეტყოდა. აბრამს ვაიშვილი ყამდა? სარას ვათხოვეფთ იციკაზე*. თუმცა ზოგჯერ თანხმოდანფუძიანებთან -ს დაკარგულია. ძირ გდია შენი ბეჭედიო; აბელ (ჭირისუფალს) რავა დეებანებაო; ხაჭაპურ ჩვენც ვაცხოფთო; -ს ნიშნის დაკარგვა ქართველ ებრაელთა მეტყველებაში კიდევ უფრო ხშირია, ვიდრე სახელობით ბრუნვაში თანხმოდანფუძიანებთან -ი-ს დაკარგვა. თ. ლომთაძე, რ. ენოხი, ს. გუმბერიძე, რ. ზეჟალაშვილი აღნიშნულ მოვლენას ებრაელთათვის განსაკუთრებით დამახასიათებლად მიიჩნევენ (ლომთაძე 2005; ენოხი 2011; ზეჟალაშვილი 2014; გუმბერიძე, 2020).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება ქართულის დიალექტებშიც, მაგ, კახურში, ჯავახურში, ინგილოურში, იმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში (ჯორბენაძე 1989), თუმცა განსხვავებულ პოზიციებში და განსხვავებული ინტონაციის პირობებში.

თანხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება ასევე -სა, მაგ, *ბაჭაპურსა ვაცხოფთ აქა და ფხალიანსა*.

ხმოვანფუძიანი სახელები სტანდარტული ქართულის ვითარებას გვიჩვენებენ: *სარას ძალამდე ძალიან მისი ქმარი; მოშესა, ქალო, მოშეს აღმოაჩნდა? ზღვას მოარიდე ბავშვი*.

ამდენად, მიცემითის ნიშანი თანხმოვანფუძიანებთან არის -ს, -სა, -ო, ხოლო ხმოვანფუძიანებთან -ს, -სა.

ნათესაობითი ბრუნვა უმეტესად სტანდარტულს მისდევს ბრუნვის ნიშნის გამოყენების მხრივ, ხოლო კუმშვა-უკუმშველობითა და კვეცა-უკვეცელობით – დიალექტურს. არის შემთხვევები, როცა თანხმოვანითი -ს დაკარგულია, მაგალითად, *ოქრო ბიჭი მყამს ნამდვილი. ბალი კურკა გადაყლაპა*. მსგავსი ფაქტები ხშირია რაჭულში, ლეჩხუმურში, კახურში, ჯავახურში, იმერულში (ჯორბენაძე 1989).

მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების მხრივ ებრაელებთან სტანდარტული ქართულის მსგავსი ვითარებაა: თანხმოვანფუძიანებთან -ით, ხმოვანფუძიანებთან -თი: *ამ სახლით გვიდგას სული. ფეხით სიარული შაფათაც შეილება. აღბერტით უნონათ საქმის ჩაწყობა. ადათი მოითქვა სული. მოშეთი ამაყობენ*.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებით ბრუნვაში მდგარ სახელთან ხშირია პარონომაზიის შემთხვევები: *უფროსობით კი უფროსოფს; წასვლით კი წავიდა; სილამაზით კი ლამაზოფს* და ა. შ.

ვითარებითი ბრუნვის სტანდარტული ქართულის ნიშნები -დ ან -ად ფონეტიკური ცვლილების შედეგად ებრაელებთან უმეტესად გამოითქმის როგორც -თ ან -ათ. *ჩემ სიძეთ მომეჩვენა. აბელათ იჯდა*. თუმცა სტანდარტული ფორმებიც გვხვდება: *ბიძაჩემად ვინატრებდი; ესტერად აქცია. მოშედ შერაცხა*. -იან დაბოლოებიან სახელებთან -დ უმეტესად დაკარგულია. *ჩამოვიდა ცოლშვილიანა. მოდგმიანა გიჟები არიან*. მსგავსი ფაქტები დასტურდება იმერულში (ჯორბენაძე 1989).

ამდენად, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი არის თანხმოვანფუძიანებთან -ად, -ათ, -ო; ხმოვანფუძიანებთან -დ, -თ.

წოდებით ბრუნვაში ნიშნებად წარმოდგენილია, სტანდარტულის მსგავსად, -ო და -ვ, ხშირია მათი შენაცვლების შემთხვევებიც, მაგალითად, *მოდო, შე ოქრო, ჩემთან; ჩემო ძევ, შენ მაინც სხვა ხარ ჩემთვისო*. არის შემთხვევა, როცა საკუთარი სახელიც გაფორმებულია -ო ნიშნით: *მოშეო, შენ მაინც ნუ გამაწილეფო*.

ამასთან, ძალიან საყურადღებოა ერთი გარემოება: ადამიანის საკუთარი სახელები სტანდარტულ ქართულში წოდებით ბრუნვაში ნიშანს არ დაირთავენ, თუმცა თანამედროვე ზეპირ მეტყველებაში ანთროპონიმებთან წოდები-

თის -ო დაბოლოების გამოყენება ძალიან ხშირია და მწერლობაშიც ჰპოვა ამ მოვლენამ ასახვა. ს. გუმბერიძე მიუთითებს, რომ -ო-თი გაფორმებული ანთროპონიმები ებრაელებთანაც დასტურდება (გუმბერიძე 2020). ჩვენი დაკვირვებით, ებრაელებთან ძალიან ხშირად სალიტერატურო ენაში მოქმედი წესია დაცული და ფუძის სახით წარმოდგენილი სახელები გვხვდება უმეტესად, მაგალითად, *აბრამ, ერთი მოიწიე აქეთ. ფილხაზ, ამოდი დღესე ჩემთან.*

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში განსაკუთრებით საინტერესოა და ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელ ვითარებას ქმნის 1) საზოგადო და საკუთარ ბოლოთანხმონიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში -ი ნიშნის გამოყენებლობა, (*შაბათ დღე განსაკუთრებულია ჩვენთვის*); 2) სახელობითი ხმოვანფუძიანებთან -ი ნიშნის გამოყენება: (*ბეზიაჩემი ებოი ცხოვრობდა აქ*); 3) მოთხრობით ბრუნვაში -მან ნიშნის გამოყენება: მაგის ჩამომავალმან იხაროს; 3) მოთხრობით ბრუნვაში ხმოვანფუძიან სახელებთან -მა-ს გამოყენება (*დედამა თქვა*); მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა თანხმოვანფუძიან სახელებთან (*ძირ გდაა*); 4) ნათესაობითის -ს თანხმონიითი ელემენტის დაკარგვა (ხახმი გაა ჩამოვიდა; *ოქრო ბიჭი ხარ*); 5) წოდებით ბრუნვაში საკუთარი სახელის ფუძის სახით გამოყენება, რაც სტანდარტული ქართულისათვის, მართალია, წესია, მაგრამ ზეპირი მეტყველებისათვის – ნაკლებად დამახასიათებელი: *აბრამ, მოიწიე ერთი აქით*).

არსებითი სახელი სტანდარტულ ქართულში ზოგჯერ დაირთავს **თანდებულს**. თანდებულიანი სახელების გამოყენების მხრივ ებრაელთა ქართული იმ დიალექტის ჩვენებას იმეორებს ძირითადად, რომელი დიალექტის გავრცელების არეალშიც ფუნქციონირებს. ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანს ქმნის -თვის თანდებულის ნაცვლად -თვინ ფორმის გამოყენება, რაც დადასტურებულია როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ დიალექტებში (ძიმიგური 1970; ძოწენიძე 1973; კულაშვილი 1985, ჯორბენაძე 1989). -თვის თანდებული ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება, მაგრამ მისი დიალექტური ვარიანტი -თვინ ბუნებრივ საუბარში უფრო ხშირი გამოყენებისაა და ისეთივე დამახასიათებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს, როგორც სახელობითი ხმოვანფუძიან სახელებზე -ი-ს დართვა, ან მიცემითი -ს-ს მოკვეცა: *ბოვშისთვინ მინდოდა მიმეტანა; ნოდარიჩ, ხომ გახსოვს სოსოს-თვინ რომ გავაკეთებდი*.

თუ გვაქვს კონსტრუქცია თანდებული + ნაწილაკი, მაშინ აუცილებელია მივუთითოთ ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელი ერთი არსებითი მოვლენის შესახებ.

ებრაელებთან ხშირად დასტურდება -ში და -ზე თანდებულის სახელებზე -(ა)ც -(ა) ვე ნაწილაკის დართვა: *საქართველოშიაც ასე ვაკეთებდით და ისრაელშიაც; ჭიშკარშიაცე გადაუდგა წინ*. -ვე ნაწილაკთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნ. სურმაგას (2014) და რ. ენოხს (1990). თუმცა მათ ყურადღება ობიექტის მრავლობითობაზე აქვთ ძირითადად გამახვილებული და *ახლავისე ან ჭიშკარშიაცე* ფორმებზე არ საუბრობენ. საინტერესო მაგალითები აქვს მოხმობილი ს. გუმბერიძეს: *ე მზეთუნახავი ქა-*

ლიც გვერდში მოიჯინა ამ ცხენზეავე და გააქროლა როგორც ქარ-ნიავი (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა)“, №3951); მიუყვანეს თებაზეავე, მიუჯინეს გვერდით და დალოცეს (ქდვ: „ორი ძმა“, №3946). ტექსტებში შეგვხვდა იდგან+ა+ვე ვარიანტიც: აბშალოში აკოშვიდგანავე შევიდა ოთახში (ქდვ: „ორ-მოცი წლის თავზე“, №3947) (გუმბერიძე 2020). ზოგადად, -იდგან ვარიანტი -იდან თანდებულის ნაცვლად ებრაელებთან დასტურდება: *ბოვშობიდეგანავე იძახთა ებრეელი ვარო.*

მაგრცობი -ა ქართულში კარგადაა შესწავლილი (ზურაბიშვილი 1956, 1972; ჭუმბურიძე 2016). კარგი იქნება, მომავალში საანალიზო მაგალითებს ებრაელთა მიერ გამოყენებული ამგვარი კონსტრუქციების ანალიზიც თუ დამატება.

როგორც ვხედავთ, ებრაელთა ქართული არსებითი სახელის ბრუნების თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვაძლევს: იგი ხან სტანდარტულ ქართულს ანიჭებს უპირატესობას (მაგალითად, წოდებით ბრუნვაში ანთროპონიმთა გაუფორმებლობა), ხან დიალექტურს (სახელობითის, მოთხრობითის, მიცემითის, ნათესაობითი ბრუნვის შემთხვევები). აქვე ერთ გარემოებას უნდა გავუსვათ ხაზი: ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებელი დიალექტური ფორმები სხვადასხვა ქართული კილოსათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, სახელობით ბრუნვაზე ხმოვანფუძიანებთან -ი-ს დართვა, ან მოთხრობითში -მა ნიშანი ახასიათებს ქართულს. ამიტომაც გვხვდება ის გორელ, ცხინვალელ ან სურამელ ებრაელთან. მაგრამ არ ახასიათებს -ი, ან -მა აღნიშნულ პოზიციებში ქუთაისურ მეტყველებას, მაგრამ დასტურდება ეს მოვლეება ქუთაისელ ებრაელებთან. ამიტომ ეს პროცესი შეიძლება ვერ აღიქვან თავისებურ მოვლენად ქართულ ებრაელებთან, თუმცა თავისებურად აღიქვამს მას ქუთაისელი, რომლისთვისაც უცხოა აღნიშნული ფორმა. ჩვენი აზრით, რადგან ეს პროცესი თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელ ებრაელთან დასტურდება, ის ებრაელთა ქართულისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და წოდებითი ან თანდებულიანი ბრუნვების შემთხვევაშიც.

ლიტერატურა

გუმბერიძე 2016 – ს. გუმბერიძე, არსებით სახელთა მიცემითი ბრუნვის გამოხატვისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.

გუმბერიძე 2020 – ს. გუმბერიძე, „სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ხელნაწერის უფლებით), ქუთაისი.

ენოხი 1990 – R. Enoch, Special Characteristics of the Speech of Georgian Jews, Georgian Jews and Georgian-Israeli Ties, Synopsis, Ben-Cvi Institute, Jerusalem.

ენოხი 2001 – რ. ენოხი, ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (სოფ. ბანძის მეტყველების მაგალითზე), ძველი ენის კათედრის შრომები, №29.

ენოხი 2007 – რ. ენოხი, ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ჟურნალი „ქართველოლოგი“, №14, თბილისი.

ენოხი, სადინაძე 2011 – რ. ენოხი, რ. სადინაძე, „ქებაების ტიპის ფორმები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში“, ლინგვისტ-კავკასიოლოგთა III საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ზექალაშვილი 2014 – რ. ზექალაშვილი, უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“.

ზურაბიშვილი 1956 – თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური -ა ახალ ქართულში. – სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბილისი.

ზურაბიშვილი 1972 – თ. ზურაბიშვილი, „მავრცობი *ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი.

იმნაიშვილი 1957 – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

კიკვიძე 2013 – Z. Kikvidze, „Judaeo-Georgian and its Speakers within the Matrix of the Language Situation in Georgia“: <https://www.kuwi.europa-uni.de/de/lehrstuhl/sw/sw1/Tagung-2013/Vortraege-auf-Konferenz.html>

კუბლაშვილი 1985 – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისი.

ლერნერი 2008 – К. Лернер, Евреи Грузии от елинизма до позднего Феодализма. Иерусалим

ლომთაძე 2005 – თ. ლომთაძე, ქუთაისური ქართული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომთაძე 2010 – თ. ლომთაძე, თანამედროვე ქართული სოციოლექტები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

ლომთაძე 2015 – თ. ლომთაძე, „ქართველ ებრაელთა მეტყველების სოციალური ასპექტები“, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები, თბილისი.

სარჯველაძე 1997 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

სურმავა 2014 – ნ. სურმავა, -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, არნოდ ჩიქობავას საკითხავები XXV, მასალები, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

ტაბიძე 2014 – მ. ტაბიძე, როგორ მეტყველებენ ებრაელები ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი.

უთურგაიძე 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი.

ქადა 2017 – ქართული დიალექტური კორპუსი, ტექსტები, შემდგენლები: მ. ბერიძე, ნ. სურმავა: <http://corpora.co/#/texts>

შარაშენიძე 2016 – ნ. შარაშენიძე, სახელთა ბრუნება; ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები, მისი ვარიანტები და განაწილება (დასავლურ დიალექტებში): თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II, დიალექტები, თბილისი.

ჩიქობავა 1939 – არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისთვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, X, თბილისი.

ჭუმბურიძე 2016 – ნ. ჭუმბურიძე, მავრცობი ხმოვნები სალიტერატურო ქართულში და მათი ნაირსახეობანი დიალექტებში: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II (რედ. გ. გოგოლაშვილი), თბილისი.

ძიძიგური 1970 – შ. ძიძიგური, დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ძოწენიძე 1973 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბილისი.

ჯორბენაძე 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი.

TAMAR LOMTADZE

Peculiarities of the Declension of Nouns Based on the Jews' Georgian

S u m m a r y

The Georgian language of the Jews shows an interesting picture in terms of the declension of nouns. It sometimes follows the rules of standard Georgian and sometimes it is similar to the dialectal Georgian language. We must emphasize one circumstance: the dialectal forms characteristic of Jewish Georgian are characteristic for different Georgian dialects. For example, adding *-i* to the vowel-base nouns in the nominative case, or the marker *-ma* in the ergative case is typical to the Kartlian dialect. That is why this peculiarity is found with Gori, Tskhinvali or Surami Jews. *-i*, or *-ma* in those positions is not typical to the Kutaisi speech, although this phenomenon is attested in the speech of Kutaisi Jews. Based on the above-mentioned, this process may not be perceived as a peculiar phenomenon with the Jews of Kartli, although it is considered as a different peculiarity in Kutaisi speech, for which such a form is uncommon. In our opinion, since this process is attested with Jews from almost all parts of Georgia, it should be considered to be a characteristic of Jewish Georgian. The same can be said for the ergative, dative, genitive, vocative cases or the cases with postpositions.

The peculiarities of Jewish Georgian are 1) not using the marker *-i* with general and proper vowel-base nouns in the nominative case, e.g. *šabat dγe gansaḳutrebulia čventvin*; 2) using the marker *-i* with vowel-base nouns in the nominative case, e.g. *bebiačemi eboi cxovrobda ak*; 3) using the marker *-man* in the ergative case, e.g. *magis čamomavalman ixaros*; 4) using *ma-* with vowel-base nouns in the ergative case, e.g. *dedama tkva*; (mother said); 5) dropping a case marker with consonant-base nouns in the dative case, e.g. *zír gdia*; 6) dropping the element *-s* of the genitive case, e.g. *xaxmi gia čamoviḳa*; *okro biči xar*; 7) using a base of a proper name in the vocative case which is a rule for standard Georgian, but less typical to oral speech, e.g. *abram, moičie erti akit*.

Nouns with the postposition *-tvís* are found in the speech of Jews but its dialectal variant *-tvin* is more commonly used in natural speech and should be considered as the same characteristic as adding *-i* to the vowel-base nouns in the nominative case or dropping *-s* in the dative case. Similarly, we should consider adding the particles *-(a)c*, *-(a)ve* to the nouns with the postpositions *-ši* or *-ze* and using the variant *-idgan* instead of the postposition *-idan* to be a specific feature of Jewish Georgian, e.g. *bovšobidganave izaxta ebreeli varo*.

მაია ლომია, რამაზ ქურდაძე,
ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე

**არ და მისი ფარდი ნაწილაკები წყვეტილისა და I თურმეობითის
ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური
დიფერენციაციის საფუძველი¹**

ქართული არ და მისი შესატყვისი ნაწილაკები სხვა ქართველურ ენებში პრევერბალური უარყოფის შემადგენელი კომპონენტებია.

ცნობილია, რომ არ ნაწილაკის ძირითადი ფუნქცია კატეგორიული უარყოფის გამოხატვაა, რომლის მიხედვითაც არ ნაწილაკიანი ზმნური ფორმები სერიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: I და II სერიაში კატეგორიულ უარყოფას გამოხატავენ, ხოლო III სერიაში გარკვეულწილად კატეგორიულობა შერბილებულია და „კატეგორიულობის ნეიტრალიზაცია ხდება“ (ჯორბენაძე 1984: 141; ჯორბენაძე და სხვები 1988: 43); ამის გამო III სერიაში ზმნის შინაარსი უფრო შესაძლებლობის უარყოფის ნიუანსს უახლოვდება. აღნიშნული სემანტიკური სხვაობა კარგად ჩანს არ ნაწილაკიანი I და II სერიების თხრობითი კილოს მწკრივებისა და I თურმეობითის მწკრივის ფორმათა ერთმანეთთან შედარებისას: სემანტიკური თვალსაზრისით შდრ.: არ ვწერ და არ დამიწერია.

ამგვარი დაპირისპირების როცა განიხილავს, ბ. ჯორბენაძეს სამსავე კილოს ფორმები აქვს მხედველობაში (ჯორბენაძე 1984); ჩვენ მხოლოდ თხრობითი კილოს ფორმებს განვიხილავთ, რათა შედარებისას პარამეტრების ერთგვარობა მაქსიმალურად იყოს დაცული: არ ვწერ, არ ვწერდი, არ დავწერ, არ დავწერე (I და II სერიები); პარამეტრები მეტად რომ დავუახლოვოთ და სემანტიკური სხვაობაც უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდეს, შესადარებლად აღებულია წარსული დროის წყვეტილისა და I თურმეობითის „არ“ ნაწილაკიანი ფორმები:

- არ დავწერე (II სერია) სემანტიკური თვალსაზრისით ასე შეიძლება გავიგოთ: „არ მინდა და არ დავწერე“, ე. ი. „სურვილი არ მქონდა და ამიტომ არ შევასრულე ეს მოქმედება“ (კატეგორიული უარყოფა).

¹ ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ (FR17-388), ფარგლებში; წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე „გრამატიკული კატეგორიები იბერიულ-კავკასიურ ენებში“, 9-11 ნოემბერი, 2021 წელი. თბილისი, საქართველო.

- **არ დამიწერია** (III სერია) განსხვავებული სემანტიკისაა: „არ გამომვიდა, ვერ შევძელი შემესრულებინა ეს მოქმედება“. ამ შემთხვევაში კატეგორიული უარყოფა ნეიტრალიზებულია; უფრო ზუსტად, სუბიექტის განაცხადი შერბილებულია. მის მიერ მოქმედების შეუსრულებლობა **შესაძლებლობის უქონლობაზე** მიანიშნებს.

წყვეტილისა და I თურმეობითის არ ნაწილაკიან ფორმებს შორის არსებულ სემანტიკურ სხვაობაზე არაერთი მეცნიერი ამახვილებს ყურადღებას; კერძოდ,

ზ. ჭუმბურიძე წყვეტილის არ ნაწილაკიან უკუქცევითი ზმნური ფორმის სემანტიკასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „**სუბიექტს მოქმედება განგებ არ შეუსრულებია**“ (ჭუმბურიძე 1970: 44); კ. ჩხენკელსაც შენიშნული აქვს, რომ არ ნაწილაკიანი წყვეტილის ფორმით გამოხატულ უარყოფას „**სურვილის არქონა... წინააღმდეგობა** და ა. შ. **უდევს საფუძვლად**“ (Tschenkéli 1958); საინტერესოა დ. ფხაკაძის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით: „უარყოფითნაწილაკიანი I თურმეობითის ფორმათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფორმით გადმოიცემა უარყოფის დელიკატური სახე, რომელიც წყვეტილით გადმოცემულ უარყოფას უპირისპირდება. **წყვეტილით გადმოიცემა კატეგორიული უარყოფა, I თურმეობითით კი არაკატეგორიული უარყოფა**“ (ფხაკაძე 1980: 216). აღნიშნულ ფორმებს შორის საპირისპირო სემანტიკური ურთიერთიმართება დ. ფხაკაძეს ახსნილი აქვს თურმეობითის მიერ გრძლობისა და წყვეტილ-ერთჯერადი მოქმედებების გამოხატვის უნარით (ფხაკაძე 1980: 221).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი ნიუანსის აღნიშვნაც: „ამგვარი დაპირისპირება უფრო მოქმედებითი გვარის ზმნებს ახასიათებს“ (ჭუმბურიძე 1970: 44); მაშასადამე, მწკრივების მიხედვით არ ნაწილაკიან ზმნურ ფორმათა სემანტიკურ სხვაობაში იკვეთება **სუბიექტის სტაბილურობა-ლაბილურობის ტენდენცია**; ამ შემთხვევაში სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი შეიძლება აიხსნას პერფექტული მწკრივების ჩამოყალიბების გრამატიკული პროცესების გათვალისწინებით. ცნობილია, რომ პერფექტული ზმნური ფორმები ქართულ ენაში მიღებულია უძველესი ფორმაციის – სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევის ფორმათა რეინტერპრეტაციით (გადააზრიანებით) და ინვერსიით (მელიქიშვილი 1978); III სერიის ფორმათა სემანტიკური ანალიზის დროს მნიშვნელოვანია საკითხის გააზრება კომპლექსურად, რადგან „აქ ხდება რამდენიმე კატეგორიის გადაკვეთა“ (მახაროზლიძე 2015: 299), რაც მორფო-სემანტიკური თვალსაზრისით აისახება კიდევ ამ ფორმებზე. ერთ-ერთი ასეთი კომბინირებული საკითხია „ინვერსიის გზით სუბიექტის სახეცვლილება (თურმეობითის შინაარსიდან გამომდინარე)“ (მახაროზლიძე 2015: 299); კერძოდ, სუბიექტის როლი შესუსტებულია, რადგან თურმეობითობა, იგივე „უნახობა-უნებლიობა“ (მელიქიშვილი 2014: 110) სუბიექტს მიაწერს „გაუცნობიერებელ მოქმედებას“ (თ. მახაროზლიძე). ამ ტიპის სუბიექტს **ინაქტიურ ქვემ-**

დებარეს უწოდებს ი. მელიქიშვილი, როცა განიხილავს მორფოლოგიაში სემანტიკურ მარკირებასა და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიას ქართველურ ენებში (მელიქიშვილი 2011: 325).

არ ნაწილაკიანი ზმნური ფორმების სემანტიკური სხვაობა კატეგორიულობა-შესაძლებლობის მიხედვით კანონზომიერად უკავშირდება **სუბიექტის მარკირების** საკითხსაც; კატეგორიული უარყოფის გამომხატველი სუბიექტი **ვ**-ინის რიგითაა აღნიშნული; როცა კატეგორიული უარყოფა ნეიტრალიზებულია, სუბიექტი **მ**-ანის რიგით გადმოიცემა:

• **არ** და-**ვ**-წერ-ე (წყვეტილი) – **არ** და-**მ**-ი-წერ-ი-ა (I თურმეობითი)

შდრ.: სხვა ისეთ შემთხვევებს, როცა სუბიექტი ინაქტიური პირია და უგამონაკლისოდ მ-ანის რიგის მარკერით აღინიშნება (მელიქიშვილი 2014: 95).

არ ნაწილაკიანი წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნური ფორმები **სინტაქსური ძალითაც** განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: გარდამავალი ზმნების წყვეტილის ფორმები ქმნიან **ერგატიულ კონსტრუქციას**, ხოლო I თურმეობითის ზმნური ფორმები – **დატიურს**; ერგატიული მეტი გამომსახველობითი ძალის მქონეა, ვიდრე დატიური. I თურმეობითის ზმნური ფორმით გადმოცემული მოქმედება „არ არის სამოქმედო ობიექტის მქონე მოაზროვნე სუბიექტის მიერ შესრულებული პირდაპირი აქტი, როგორც ეს მეორე სერიაში გვაქვს. ეს „თურმე“ ჩადენილი ზმნური აქტი კარგავს აორისტისეულ ერგატიულ კატეგორიულობას და ამიტომაც **ერგატივი დატივით ფორმდება**. ამასთან, ასეთი „თურმემიდეგომა“ ქმნის გარკვეულ სემანტიკურ საფუძველს, რომ სუბიექტი ცხადი, თვალხილული მონაწილე არ იყოს ზმნური აქტისა“ (მახარობლიძე 2015: 299).

ამრიგად, ქართულში **არ** ნაწილაკიანი წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი განსაზღვრულია **მორფოლოგიური და სინტაქსური** მახასიათებლებით:

1. *სუბიექტის სტაბილურობა-ლაბილურობით (აქტიურობა-ინაქტიურობით)*

2. *ვ-ინისა და მ-ანის რიგის მორფოლოგიური მარკერებით*

3. *კონსტრუქციის აგების სინტაქსური შესაძლებლობებით (ერგატივი – დატივი).*

რაც შეეხება **სხვა ქართველურ ენებს**, ცნობილია, რომ ინვერსიული თურმეობითები ყველა ქართველურ ენაში დასტურდება; ჩამოყალიბების დინამიკაც ერთნაირად პერფექტული აქვთ (დაწვრილებით იხ. მარგიანი და სხვები 2019: 87-135); შესაბამისად, **მეგრულსა** და **ლაზურში** პრევერბალური ვა, ვარ/ვა ნაწილაკების შეხამება წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნურ ფორმებთან ისევე იძლევა სემანტიკურ დაპირისპირებას კატეგორიულობა-ნაკლებკატეგორიულობის მიხედვით, როგორც ქართულში. სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველიც ქართულის მსგავსია; მაგალითები:

- მეგრული: ვაგ/ვჭარი (წყვეტილი) „არ დაწერე“ – ვამიჭარუნ(ნ) „არ დამიწერია“.
მა, ბალანა-ქ/ERG, ვავჭარი (ერგატიული) – მა, ბალანა-ს/DAT, ვამიჭარუნ(ნ) (დატიური)
„მე, ბავშვ-მა, არ დაწერე“ – მე, ბავშვ-ს, არ დამიწერია“.
- ლაზური: ვაბჭაი (წყვეტილი) „არ დაწერე“ – ვამიჭაუნ „არ დამიწერია“.

შენიშვნა 1: მეგრულსა და ლაზურში S1-ის „ჭ“ და „ბ“ მარკერები ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგია: ვ → კ; ვ → ბ (დაწვრ. იხ. Кипшидзе 1914; დანელია 2006).

შენიშვნა 2: ლაზურში გარდამავალ ზმნათა II და III სერიის ფორმებს შორის ერგატიულობა-დატიურობის მიხედვით დაპირისპირების მოშლა მეორეული პროცესია.

სვანური ენა გამოირჩევა უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით, რომლებიც ერთმანეთისგან არა მხოლოდ დიალექტურად, არამედ ნიუანსობრივად და გარკვეულწილად ფუნქციურადაც განსხვავდება. ქართულად მათი დიდი ნაწილი „არ(ა)“-დ გადმოდის, თუმცა მათი გამოყენების არეალი როგორც კონტექსტუალურად, ასევე მწკრივებთან შეფარდების თვალსაზრისით განსხვავებულია. თუ ქართულში, მეგრულსა და ლაზურში არ და მისი ფარდი ნაწილაკების დისტრიბუცია ზმნასთან მიმართებით ერთგვაროვანია, სვანურში ერთ-ერთი უარყოფითი ნაწილაკი *დემის*, რომელიც ქართულად (ისევე, როგორც დანარჩენები) „არა“-დ განიმარტება, ამ მხრივ შეზღუდულია: **ის გამოკვეთილად კატეგორიულობას გამოხატავს და ვერ ეფარდება მეორე და მესამე სერიების მწკრივებს**, ხოლო ნაწილაკი *მად(ე)*, მართალია, მწკრივთა შეფარდების თვალსაზრისით უფრო თავისუფალია და პერფექტულ ფორმებთანაც გამოიყენება, მაგრამ ის სწორედ სემანტიკური ნიშნით – კატეგორიულობით ქმნის ოპოზიციას ერთსა და იმავე მწკრივში:

მშოთორა „არ დაუწერია“ – *მად(ე)თორა* „პრინციპულად არ დაუწერია“.

თუმცა აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ *მად(ე)* პერფექტული ფორმებიდან მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან გამოიყენება, ანუ შედარებით გვიან ჩამოყალიბებულ ფორმებთან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც უნახაობის სემანტიკა უკვე განვითარებულია ქართველურ ზმნაში და მისი თავდაპირველი ფუნქცია – შედეგობითობა თანდათანობით იჩრდილება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ, დანარჩენი ქართველური ენებისგან განსხვავებით, პრევერბიან თურმეობითს სვანურში უნახაობა-შედეგობითობის მიხედვით ლაბილობა არ ახასიათებს, ისინი ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ „თურმეს“ გაგებისაა.

ასე რომ, სვანურის მონაცემების ამგვარი სხვაობა საანალიზო პრობლემასთან მიმართებით შეიძლება ორი ფაქტორით აიხსნას; კერძოდ, სვანურში:

ა. უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით და ბ. პერფექტულ ფორმათა მრავალწახნაგოვნებით.

ამრიგად, საანალიზო საკითხი გვიჩვენებს როგორც საერთოქართველურ ენობრივ პროცესებს, ასევე ცალკეულ თავისებურებებს.

ლიტერატურა

დანელია 2006 – ვ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა. თბილისი.

მარგიანი და სხვები 2019 – ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე, მ. ლომია, ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში. თბილისი.

მახარობლიძე 2015 – თ. მახარობლიძე, გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმათა შესახებ. – კრ. ტიპოლოგიური მიეზანი, ტ. VII, თბილისი.

მელიქიშვილი 2014 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი. თბილისი.

მელიქიშვილი 1978 – დ. მელიქიშვილი, „მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი. – კრ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №4, 1978, თბილისი.

მელიქიშვილი 2011 – ი. მელიქიშვილი, სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში. თბილისი.

ფხაკაძე 1980 – დ. ფხაკაძე, I თურმეობითის ფუნქციები კითხვითსა და უარყოფით წინადადებაში (I შედეგობითის ფუნქციის განვითარების ისტორიიდან). შესახებ. – კრ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 217, ენათმეცნიერება, 6, თბილისი.

ჭუმბურიძე 1970 – ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი. კრ. – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება, 1970, №2, (17), თბილისი.

ჯორბენაძე 1984 – ბ. ჯორბენაძე, უარყოფის ნაირსახეობისათვის ქართულში. – კრ. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. VI, თბილისი.

ჯორბენაძე და სხვები 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი (მასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის). თბილისი.

Tschenkéli 1958 – K. Tschenkéli, Einführung in die georgische Sprache. Bd, 1. Theoretischer Teil. Zürich: Amirani.

Кипшидзе 1914 – И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. СПб.

MAIA LOMIA, RAMAZ KURDADZE,
KETEVA MARGIANI, NINO CHUMBURIDZE

The Particle *ar* "not" and Its Equivalent Particles with Verb Forms in Kartvelian Languages: The Issue of Semantic Differentiation

S u m m a r y

In Georgian, the particle *ar* "not" is a component of preverbal negation. Its correlate in Megrelian is *va*, and its Laz correlates are particles *va/var*. As for Svan, this language has a multitude of negative particles which differ not only dialectally, but also in their semantic nuances and, to a certain extent, functions as well. A major portion of these particles is translated into Georgian as *ar(a)* "not/no". However, the field of their usage differs with regard to contexts as well as screeves. In Georgian, Megrelian and Laz, the distribution of *ar* and its equivalent particles with reference to the verb is uniform. This means that the above-mentioned particles are adjusted to (found with) all screeve forms, whereas in Svan, one of the particles *demis*, which (like others) is translated into Georgian as *ara* "no", is restricted: **it expresses categorical negation and cannot be used with the screeves of the second and third series.**

It is well known that the main function of the particle *ar* "not" is to express **categorical negation**. However, with the verb forms of Evidential I, the particle *ar* "not" expresses neutral negation i.e. it is closer to the **negation of possibility** rather than categorical negation. The above-mentioned semantic difference is vividly demonstrated during the comparison of indicative mood screeves of I and II series containing the particle *ar* "not" with the screeves of Evidential I. For instance, *ar vçer* "I am not writing" can be semantically perceived as "I don't want to write and that's why I am not writing" i.e. I have no desire to fulfill the given action (categorical negation). The same categorical negation is expressed by other verb forms such as: *ar vçerdi* "I was not writing", *ar davçer* "I won't write", *ar davçere* "I didn't write". A totally different context is given in *ar damiçeria* "I haven't written": "I failed to perform this action". In this case, categorical negation is neutralized, namely, the declaration made by the subject is mild. The failure to perform the action points to the **lack of possibility**.

Whether the particle *ar* "not" expresses categorical negation or lack of possibility – this issue is naturally related to the issue of marking of the subject, namely, whether the subject is expressed by marker *v*- or *m*-.

The issue under analysis is also interesting in a sense that it reveals common Kartvelian linguistic processes as well as individual peculiarities of separate Kartvelian languages

ქეთევან მარგიანი

**ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგი სვანური ლექსემა
ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით**

ძირითად ლექსიკურ ფონდში ნებისმიერი ენისთვის ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთია

ნათესაობის ლექსიკა; ქართველურ ენებში ის განსაკუთრებულად მრავალფეროვანია, რაც პირდაპირ ასახავს ქართულ თუ, საერთოდ, კავკასიურ ცნობიერებას.

ამჯერად განვიხილავთ სვანური ენის ორ ლექსიკურ ერთეულს ნათესაობის ლექსიკიდან: **(3)ასჷიშ** („ასული“), **ნიბწ/წშიწ** („ბადიში“). ერთი შეხედვით ეს სვანური ლექსემები სალიტერატურო ქართულის ან დიალექტების შესაბამისი მონაცემების ზუსტ სემანტიკურ შესატყვისებად შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა ემპირიული მასალის კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული სვანური ლექსემები სინქრონიულ დონეზე ზედმიწევნით არ შეესაბამება ქართულისას.

ცნობილია, რომ სიტყვა *ასული*, რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „ადამიანის შვილი მდედრობითი სქესისა, ქალიშვილი, გოგო“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986: 40) საერთოქართველური მონაცემია, რომელსაც სვანურში ფონეტიკურად შეესატყვისება *(3)ასჷიშ*, მეგრულსა და ლაზურში კი *ოსური*. სპეციალური ლიტერატურისა თუ ლექსიკონების მიხედვით, მონათესავე ენებში ამ ლექსემის მხოლოდ მცირედი სემანტიკური გადაწევაა დაფიქსირებული: მეგრულში *ოსურ-ი* „ქალი, ცოლი“, *ოსურსქუა* „ქალიშვილი“; ლაზურში *ოსურ-ი* „ქალიშვილი“, *ობრასურე* „ცოლისდა; მული“; სვანურში *ასჷშ-/ჰასჷშ* „ქალიშვილი“.

კ. ჰ. შმიდტმა საერთო-ქართველური ფუძეენის დონეზე აღადგინა *ასულ-/ასუშ-, ჰ. ფენრიხის აზრით, უნდა აღვადგინოთ *ასულ¹ არქექტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:87).

ჩვენი აზრით, დღევანდელი სვანური *(3)ასჷიშ* ისტორიულად ხმოვანფუძიანი სახელია, რაზეც მეტყველებს ბალსზემოურ დიალექტში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -წში, რადგან, ვ. თოფურიას მიერ დადგენილი კანონზომიერების მიხედვით, 1. ისტორიულად თანხმოვანფუძიანი სახელების ბოლო მარცვლის ხმოვანი უმლაუტიანია, ყოფილი ხმოვანფუძიანებისა კი – უუმლაუტო;

2. თუ სახელი უმლაუტიანია, მაშინ მას ნათესაობითში -იშ დაბოლოება აქვს, ხოლო უუმლაუტონი იმავე ბრუნვაში -წში ფორმანტს მიიღებენ (თოფურია 2002:12): **ჰაშჷჷჷ < ჰასჷჷჷჷ** „ასულის(ა)“.

ამასთან, აღნიშნული ფუძე უნდა ყოფილიყო -**ე** ბოლოხმოვნისანი; ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ბალსქვემოურ დიალექტში დაცული ბრუნების ის ტიპი, რომლის მიხედვითაც **ე**-ზე დამთავრებულ სახელებს ნათესაობითში მოუდით -**(ე)მ** დაბოლოება (შარამენიძე 1955: 131): **ჰაშუტემ**. ამრიგად, თანამედროვე *ჰასუტი* სიტყვის მიერ განვლილი გზა ამგვარად გვესახება: ***ჰასუშ-ე > ჰასუშ < ჰასუტი**.

ვფიქრობთ, სემანტიკური თვალსაზრისით დეტალური განხილვის საფუძველზე უნდა დაზუსტდეს ამ ლექსემით აღნიშნული ცნების მონათესავე ენების სათანადო მონაცემებთან მიმართება.

როგორც ცნობილია, ლექსემა *ასული* ახალ ქართულში ხმარებიდან თითქმის ამოღებულია და მხოლოდ მამის სახელთან მიმართებით გამოიყენება, როგორც ჩანს, სოციალური ხასიათის ტრანსფორმაციას იგი უფრო ადრეული პერიოდიდან განიცდის: ლიტერატურაში ეს სიტყვა გვხვდება მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენელთან მიმართებით (*მეფის ასული, თავადის ასული...*, მაგრამ *გლეხის ქალი*). ქართული „ასული“ და სვანური **(ჰ)ასუტი**, როგორც აღვნიშნეთ, ფონეტიკურად ერთმანეთის ფარდია, თუმცა სვანურში ამ ლექსემის მნიშვნელობა გაცილებით ფართოა: (*ჰასუტი* არის ქალი თავის ოჯახთან, გვართან, თემთან (შეიძლება სოფელთან ან რეგიონთანაც კი!) და არავითარ შემთხვევაში ერთ კონკრეტულ პირთან (მშობელთან) მიმართებით:

ლუწტილე ზურალ ქორაშ ი გუწრიშ ჰასუტი ლი „გათხოვილი ქალი სახლის და გვარის ასულია“ (თოფურია 2008: 105);

მიშგუა დი ზეწიხენიშ ჰასუტი ლაშ, კუციან, ზაბაში (ჩანტლაძე და სხვები 2009-2010: 550) „დედაჩემი ზეწოს („ზეწოდანის“) ასული იყო, კვიციანი, ზაბაანთ“;

ნიშგე ჰასუტი ცაცას ხორი მეფხაზი თელღრა (იქვე, გვ. 550) „ჩვენს ასულ ცაცას ჰყავს აფხაზი რძალი“;

სხვაგვარად: თუ ქართულად **ასული** შეიძლება იყოს მემკვიდრე კონკრეტული პირისა – მეფისა, თავადისა, დავითისა და ა. შ., მისგან განსხვავებით, სვანურში **(ჰ)ასუტი** არ გამოხატავს ქალის მხოლოდ ერთ პირთან (მშობელთან) ნათესაურ დამოკიდებულებას. ის ყოველთვის გამოხატავს მანდილოსნის მიმართებას სოციუმთან მამის ხაზით, გვართან, კიდევ უფრო ზოგადად კი სამშობლოსა და ეთნოსთან: *მარგიანლე (ჰ)ასუტი* „მარგიანების ასული“, *გიოშ (ჰ)ასუტი* „გიოანთ ასული“, *მელხარე (ჰ)ასუტი* „მულახლების ასული“, *ჟაბრე (ჰ)ასუტი* „ბალსზემოელების ასული“, *გერმანელრე (ჰ)ასუტი* „გერმანელების ასული“ და სხვ. ამრიგად, საანალიზო ლექსემას სვანურში აქვს არა *შვილის*, არამედ **ჩამომავლის** გაგება.

შესაძლოა ეს სემანტიკური გადაწყვეა თუ განზოგადება სვანურში გვიანდელი მოვლენა იყოს, ვინაიდან აღნიშნული ლექსემა სემანტიკურ ცვეთა-დაჩრდილვას ქართულშიც განიცდის და, როგორც ვიცით, დღეს ის ძირითადად მხოლოდ მამის სახელთან ერთად გამოიყენება.

მსგავსი ვითარებაა სვანურ ლექსემა **ნიბჷ/წმინ** ისა და ქართულში მის შესატყვისად მიჩნეული დიალექტური *ბადიშის* მნიშვნელობათა ურთიერთმართების თვალსაზრისით; სამეცნიერო ლიტერატურაში „ბადიში“ ზანიზმად არის მიჩნეული (ჩიქოვაძე 1936: 41). ლაზური *ბადი* „მოხუცებულს, ბებერს“ ნიშნავს. აქედან *ბადიშ*- ნათესაობითის ფორმაა: *ბად-იშ-ი* „მოხუც-ისა“. *ბადი* მეგრულში წარმოდგენილია *ბადიღის* სახით. იგი თხზული სიტყვაა: *ბადი* > *ბაბა დიდი* (ჩიქოვაძე 1936, იქვე; სარჯველაძე 1965:126), რაც დიდ მამას, ბაბუას ნიშნავს, ხოლო *ბადიში* „ბაბუასი“, შდრ. აჭარულში დაფიქსირებული ანალოგიური ფორმა *დიდიში* (ბადიშის ანალოგიით მიღებული ჩანს) „დიდედასი“ (ახვლედიანი 2004: 28).

დიდია ცოტუნება სტრუქტურულად სვანური ლექსემის მასთან დაკავშირებისა, თუმცა ფონეტიკური სირთულის გამო ამ ეტაპზე მხოლოდ სემანტიკური ანალიზით შემოვიფარგლებით;

მსგავსად ზემოთ განხილული ლექსემისა, ქართულ *ბადიშსა* და სვანურ *ნიბჷწმინ* შორისაც მხოლოდ ნაწილობრივია სემანტიკური თანხვედრა აღსანიშნის მიმართ. *ბადიში* როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ასევე დიალექტურ ლექსიკონებში ძირითადად განმარტებულია როგორც *შვილიშვილი*:

ბადიში – კუთხური (გურული, იმერული): შვილიშვილი:

„გაბილაიას ბადიში არ არის [სიმონა]?“ (ე. ნინოშვილი);

[*ლოლენდერა*] მოუთმენლად დაუწყებდა ლოდინს გლახუნას ბადიშის მოსვლას (ე. გვეტაძე);

<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>;

„მედეა ჰელიოსის **ბადიში** იყო და ღვთაებრივ ძალას ფლობდა“ [http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90](http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%90;);

„როგორც კი მედეამ ძირს დახრილი თვალები გაუსწორა კირკეს, მან თვალთა სხივით უმაღლ შეიგნო ჰელიოსის ბადიში, თავისი ძმისშვილი“ <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=6299>;

ასეთივე ვითარებაა ლექსიკონების მიხედვით ქართული ენის დიალექტებში, მხოლოდ გურულ ზეპირმეტყველებაში აღმოჩნდა ოდნავ გაფართოებული მნიშვნელობაც: **ნაგრამი, ნამრავლი** <https://forum.ge/?showtopic=34212233>;

სვანურში საანალიზო ლექსემა უნდა განვიხილოთ ორი მნიშვნელობით: ვიწრო და ფართო. ვიწრო მნიშვნელობითაც კი ის ქართულ *ბადიშზე* ტევადია და ნიშნავს არამართო *შვილიშვილს* ან *შვილიშვილის შვილს*, არამედ *დისწულს*, *ძმისწულს*; სხვაგვარად: სვანურში **ადამიანი შეიძლება იყოს ბადიში (ნიბჷწმინ) ზებია-ზაბუსა, დეიდა-მამიდისა, ზიდისა:**

მუხუბემიმ მრდედ დაჩურა გეზალს (ჰყინტგეზალს ი დონაგეზალს) ნიბჷწმინ ხაუხა. ჯგმლაშ მრდედ უდლან გეზალსი ნიბჷწმინ ხაუხა (თოფურია 2007: 105) – „ძმის (ძმისთვის) ან დის (ძმისთვის) შვილს **ბადიში** ჰქვია. ძმის (დისთვის) ან დის (დისთვის) შვილსაც **ბადიში** ჰქვია“.

ფართო მნიშვნელობით სვანურში **ნიბაშინ** არის „წული ოჯახისთვის, გვარისთვის“ (თოფურია, იქვე, გვ. 104), ასევე თემისთვის და, შესაძლოა, სოფლის, რეგიონის ან ქვეყნისთვისაც (მდრ. ჰასტიმ¹):

ჰასტიმ გეზალ ნიბაშინ ხარ ქორს ი გუარს „ასულის შვილი **ბადიშია** ოჯახისა („სახლისა) და გვარისთვის“ (თოფურია, იქვე: 105);

ამ შემთხვევაში უკვე ეს გრძელი ჩამონათვალი (ოჯახი, გვარი, ქვეყანა, ეთნოსი...) **დედის ფრთას, ჰასტიმს უკავშირდება**, ანუ **ნიბაშინ**² ადამიანი იწოდება მხოლოდ დედულებთან და დედულებთან მიმართებით. მაგალითად, ვინმე პეტრემ ვინმე პავლეზე შეიძლება თქვას *მიზეუ ნიბაშინ* „ჩემი ბადიში“, ვიწრო მნიშვნელობით (იგულისხმოს შვილიშვილი, დისშვილი, ძმისშვილი¹), მაგრამ ვერ იტყვის *ნიმგუჟე ნიბაშინ* („ჩვენი ბადიში“), თუ პავლე მიიხვევს გვარის წარმომადგენელია.

ასევე, გარდა იმისა, რომ *ნიბაშინ* არის პირდაპირი ჩამომავალი უშუალოდ დედის გვარისთვის, სვანურში არსებობს გამოთქმები: *მერმე ნიბაშინ*, *მესმე ნიბაშინ* – ზედმიწევნით: „მეორე ბადიში“, „მესამე ბადიში“, რაც გულისხმობს რიგითობას დედის ხაზით: მიმართებას „მეორე /მესამე დედულების“, ანუ ბებუის და დიდი ბებუის გვარების მიმართ.

შედარებისთვის: როგორც *რძალი (თელღრა)* ყველა ქართველურ ენაში მანდილოსნის სტატუსს მხოლოდ ქმრისიანებთან მიმართებით გულისხმობს, ასე სვანურში (*ჰასტიმ* ქალის მხოლოდ გათხოვებამდელი ოჯახისა და სოციალური გარემოცვისადმი კუთნილებას აღნიშნავს, ხოლო *ნიბაშინ* – ჩამომავალს, შთამომავალს **დედის ხაზით**.

სვანურ ენაში არსებობს კრებითი მნიშვნელობის კომპოზიტი (**ჰასტიმ-ნიბაშინ** „ასულ-ბადიში“, რომელიც მოიაზრებს გვარის/ თემის ყველა გათხოვილ ასულსა და მათგან ამ გვარისთვის/თემისთვის შემატებული „ნაგრამს“:

„ამ დღისთვის მოსვიმნიშუ² ასუქებდა ვაცს, ხდიდა არაყს, პატიჟებდა სოფელს, ასულ-ბადიშს, ნათესაობას. ოჯახის უფროსი დიასახლისი აბგაში ალაგებდა ლემზირებს, ნათხუმს, სალამპრე სოჭის ან არყის ხმელ კონას და ოჯახის უფროსი წინ მიუძღოდა ეკლესიისკენ ვაჟკაცებს, ბადიშებს, ნათესავებს („თქმულება სვიმნიშზე – როგორ გაუმკლავდა ერთი სვანური სოფელი ოსთა ლამქარს“ <http://gza.kvirispalitra.ge/kveqana/5266-tkmuleba-svimnishze-rogor-gaumklavda-erti-svanuri-sopeli-osta-lashkars/>);

ასულ-ბადიშის სადღეგრძელო (ჰასტიმ-ნიბაშინ ლამზგრაღლ) სვანურ სუფრაზე, რომელიც, ცხადია, ქართული სუფრის კულტურის განუყოფელი ნაწილია, ერთ-ერთი სავალდებულო და საპატიო სადღეგრძელოა.

ამრიგად, ლექსემებს (*ჰასტიმ* და *ნიბაშინ* ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გაცილებით მეტი სემანტიკური დატვირთვა აქვთ, ვიდრე მათ შესატყვისებად მიჩნეულ ლექსიკურ ერთეულებს ქართულში. შესაძლოა, ეს

¹ არაა აუცილებელი მკვიდრი და და ძმა, განსაკუთრებით სვანურში, სადაც ბიძაშვილს უმეტესად ძმად ან დად მოიხსენიებენ, მენტალობიდან გამომდინარე: სიტყვა *ბიძაშვილი* თითქოს გარკვეულწილად აენიებს სისხლობორცულ ნათესაობას და უფრო შორებელ ნათესავად გაიაზრება.

² სვიმნიშ – რელიგიური დღესასწაული.

ინოვაციურ მოვლენადაც ჩაითვალოს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ამ კუთხის მენტალიტეტზე, გენდერულ პრობლემასთან დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება სვანური სიტყვა **ლამჟარ** – მამისეული ოჯახი გათხოვილი ქალისთვის (თოფურია, ქალდანი 2000:365); სტრუქტურულად ის წარმოადგენს წარმოქმნილ სახელს, რომლის ფუძე არის *მუ* „მამა“, ხოლო კონფიქსი **ლა-არ** შესატყვისია ქართული **სა-ო** თავსართ-ბოლოსართისა. მაშასადამე, სიტყვასიტყვით, *ლამჟარ* „სამამო“ გამოდის, მაგრამ თუ შევადარებთ იმავე წარმოების **ლადჟარს** (*დი* „დედა“), რაც დედულეთს ნიშნავს, ანალოგიურად **ლამჟარ** „მამულეთი“ გამოდის, რაც სალიტერატურო ქართულში არ დასტურდება; სემანტიკური ფარდი საანალიზო სიტყვისა დადასტურდა მთის დიალექტებში:

მამულნ ქალის მამის საგვარეულო: „ან მიპატრონეთ მამულნო, ან ქალს შემაბით კრმალია“ (თუშური დიალექტის ლექსიკონი, <https://www.ice.ge/liv/liv/tushur.php>);

მამულნი – მამის გვარის ხალხი, ბიძაშვილები (ქალისთვის): „მტრის ფიქრი კი ნურას გაქვის, შენ მამულნი ბევრანია“ (ხევსურული დიალექტის ლექსიკონი, <https://www.ice.ge/liv/liv/xevs.php>);

დაბოლოს: სვანეთში არსებობს დღესასწაული, რომელსაც *ლილაობს* ეძახიან და ამ დღეს გათხოვილი ქალისთვის ძღვენის მირთმევა მამისეული სახლიდან სავალდებულოა (ტრადიცია მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია): „სვანეთში ტრადიციული დღესასწაული „ლილაიობ“ აღდგომის მარხვამდე, ყველიერის კვირაში აღინიშნებოდა. ამ დღეს მამისეულ ოჯახს აუცილებლად უნდა მოეკითხა გათხოვილი ქალი. ძმას, მამას ან რომელიმე ნათესავს ქალთან – „ჰასვიშთან“ მიჰქონდა სურსათ-სანოვავე, ტანსაცმელი და აუცილებლად შალის თბილი წინდა“:

<https://www.radioatinati.ge/multimedia/article/71689--lilaiob-gathkhovili-galis-monakhulebis-mivitsyebuli-tradicia-svanethshi-foto-audio-.html>;

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია: „სვანური ენა ყველაზე ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან. მისი რთული ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით“... „სვანური მდიდარია სიახლეებით, მაგრამ ამავე დროს იგი ინარჩუნებს არქაულ სტრუქტურულ ელფერს, დამახასიათებელს საერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:361). ვფიქრობთ, ამ ენის მონაცემები ასევე მნიშვნელოვანია ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით, ხოლო ნათესაობისა თუ წარმომავლობის მიხედვით ქალის სოციუმთან მიმართების, მისი, როგორც ამ სოციუმის წევრის სტატუსის, ასევე დედის ხაზით ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკის მრავალფეროვნება არქაულობით გამორჩეულ ერთ-ერთ ქართველურ ენაში, ჩვენი აზრით, კარგად ასახავს გენდერულ პრობლემისადმი ტრადიციულ საერთოქართველურ მენტალურ დამოკიდებულებას.

ლიტერატურა

ახვლედიანი 2004 – ნ. ახვლედიანი, რამდენიმე ზანური ლექსიკური ერთეულისათვის შავშურ-იმერხეულში, ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, სახელთა დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში, შრომები, II, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

თოფურია 2008 – ვ. თოფურია, სვანური ენის სახელმძღვანელო, თბილისი.

სარჯველაძე 1965 – ზ. სარჯველაძე, ზანიზმები გურულში, გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1981 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

შარაძენიძე 1955 – თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VII, თბილისი.

ჩანტლაძე, მარგიანი-დადვანი, მარგიანი-სუზარი, საღლიანი, იოსელიანი 2009-2010 – ი. ჩანტლაძე, ქ. მარგიანი-დადვანი, ქ. მარგიანი-სუზარი, მ. საღლიანი, რ. იოსელიანი, „კოდორული ქრონიკები“, თბილისი.

KETEVAN MARGIANI

Some Svan Lexemes Denoting Kinship from a Linguocultural Point of View

S u m m a r y

One of the most interesting sections for any language in the basic lexical fund is the vocabulary related to kinship. Considering the Georgian or Caucasian mentality in general, it is especially diverse in the Kartvelian languages.

Some of these types of Svan language data are interesting in the sense that, despite the structural coincidence with Georgian, the semantics are partially shifted or expanded and reflect the additional nuances of the mental attitudes of the inhabitants of this mountainous part of Georgia towards the issue. That is why the vocabulary of kinship is very rich in Svan. The paper discusses the lexemes that refer to the status of a woman as well as the matriheritage in a society determined by the blood relationship. We think that the diversity of the archaic Svan language, in terms of analytical vocabulary, reflects the role of a woman and, in general, the traditional general Georgian attitude towards the gender problem.

ნანა მაჭავარიანი

**გარდაქცევითობის -ს სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა
აფხაზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ
შესაბამის ოდენობასთან**

აფხაზურში სახელის გარდაქცევითობის კატეგორიის მაწარმოებელი სუფიქსია **-ს**. ეს სუფიქსი დაერთვის ზოგადობის პრეფიქსჩამოშორებულ სიტყვას და გვაძლევს მნიშვნელობას, რომელიც ქართულად თარგმნისას ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: მაგ.: **ახაწა** „კაცი“, **ხაწა-ს** „კაცად“, **აჩგ** „ცხენი“, **ჩგ-ს** „ცხენად“, **აფჰეს** „ქალი“, **ფჰეს-ს** „ქალად“ და სხვ.

მეცნიერთა ნაწილი, აღნიშნულ სუფიქს **-ს**-ს ერგატიული და მიცემითი (პოლიფუნქციური ერგატივის) მაწარმოებელ – **ს** ფორმანტთან აკავშირებს: როგავა, კერაშევა (1966 : 65-66), გ. როგავა (1955 : 13), გ. თოფურია (1995 : 76-78, : 159-160) ვ. შენგელია (2009 : 233)

ერგატიული და მიცემითი ბრუნვების (პოლიფუნქციური ერგატივის) **-ს** ნიშნისა და ჩერქეზული ერგატივის **-შ** სუფიქსის გენეტიკური ერთიანობის შესახებ საკითხს სვამს ვ. შენგელია (შენგელია 2009 : 232)

ასევე ვ. შენგელია გამოთქვამს ვარაუდს ქართველური მიცემითის **-ს**-სა და ჩერქეზული ერგატივის **-შ** // **-ს** -ს აბაზური ენის ვითარებით-გარდაქცევითობის **-შ** // **-შთა** სუფიქსთან კავშირის შესახებ (შენგელია 2009 : 232).

ცნობილია, რომ ენებში სხვადასხვა ფორმაციის ფაქტები გამოიყოფა (ჩიქობავა 1979). ზოგადად, როდესაც ერთი ენის მორფოლოგიურ ინვენტარს მეორე ენისას ვუდარებთ, სასურველია ვიცოდეთ რა დროისაა იგი ენის განვითარების თვალსაზრისით და შესაძარებელი ენების ერთსადაიმავე მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს თუ არა.

აფხაზურში, ბრუნების სისტემა არ გვაქვს. სახელის ესა თუ ის ფორმა სხვა ენაზე გარკვეული ბრუნვის ფორმით შეიძლება ითარგმნოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ (აფხაზურშიც) ბრუნვასთან გვაქვს საქმე.

აფხაზურმა ენამ შემოგვინახა ენის ისეთი მორფოლოგია, რომელსაც შეიძლება „პალეომორფოლოგია“ ვუწოდოთ, რაც ბრუნვების ჩამოყალიბამდე ვითარებას ასახავს. ამ ენაში არ არის საჭიროება ვეძიოთ ის, რაც მას უბრალოდ არ გააჩნია.

როგორც **-ს** ფორმანტის ბრუნვის ნიშანთან დამკავშირებლებს მიაჩნიათ, **ს** უნდა იყოს მიცემითისა და მოთხრობითის შემთავსებელი ბრუნვის ნიშანი.

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც **-ს** – ს ბრუნვის ნიშანთან კავშირებს, აღნიშნავს, რომ მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია არის მოქმედების ადგილისა და დროის გადმოცემაო. შესაძლოა, თავდაპირველად სწორედ ეს ორი ფუნქცია იყო მიცემითი ბრუნვის ამოსავალი მნიშვნელობა და, თავისი ზმნისართული ბუნებიდან გამომდინარე, შემდეგ მან (მიცემითმა ბრუნვამ) ძირითადი ბრუნვის სახე მიიღო იმ ენებში, რომლებშიც ბრუნება გვაქვს და ისე შორს წავიდა, რომ ერგატივის ფუნქციაც შეითავსა.

დამაჯერებლად დაასაბუთა აკად. ქ. ლომთათიძემ, რომ აფხაზურ ზმნას ინკორპორაციული ბუნების გამო ბრუნვები არ გააჩნია და მითუმეტეს გარდაქცევითი ბრუნვა. (ლომთათიძე 1942)

ქ. ლომთათიძე ამ – **ს** ელემენტს ვითარების ზმნისართებში ადასტურებს. მაგ.: **ას** „ასე“, **უს** „ისე“, **ახას** „ასე“ და ა. შ. ეს ელემენტი შესაძლოა აგრეთვე იყოსო ზმნის საგარემოებო შ, „როგორც“ ელემენტთან კავშირში. (ლომთათიძე 1944)

ქ. ლომთათიძე – **ს** აფიქსს ადასტურებს აგრეთვე მიზან-პირობითი კილოს მაწარმოებლად აფხაზურ დიალექტებში.

გარდაქცევითობის – **ს** „თვის“ თანდებულიან ფუძესთანაც გვხვდება აშხარულში **იგარა-ზგ-ს** „წასასვლელად“, **დეიშრ-აზგ-ს** „მოსაკლავად.“

ამ სახეობათა საფუძველზე ქ. ლომთათიძე ფიქრობს, რომ აშხარული და ტაპანთური დიალექტების **ნგ-ს** სუფიქსი ორი ერთნაირი ფუნქციის მქონე ელემენტისაგან შედგება. როგორც **-ნ** ისე **-ს** წარმოადგენს ვითარებით-გარდაქცევით აფიქსებს.

„შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთო, რომ პირაქეთა დიალექტების **-რც** სუფიქსის **ც** ელემენტი (ზზ. **ც**) წარმოადგენს ზემოხსენებული **-ს** სუფიქსის ფონეტიკურ ნაირსახეობას“ (ლომთათიძე 1948)

-ს უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ზმნისართული ელემენტი უნდა იყოს.

ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის შემდეგი გარემოება:

საინტერესოა **-თ-** ელემენტის გამოვლენა ამ ზმნისართში გურულ-იმერულში: **ასთე, ისთე ...**

აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში **-ს-**ს ადგილას **-თა** სუფიქსი გამოიყენება რიგ შემთხვევებში (ლომთათიძე 1944).

შდრ. აგრ.: **ასეთი, ისეთი** ზედსართავებშიც **-ეთ** მაწარმოებლის გამოვლენა.

აბაზურშიც ვითარებით-გარდაქცევითში **ს-**ს ადგილას გამოიყენება **შ** // **შთა, შთა** სუფიქსი, რომელიც იშლება ასე: „ფეხის ადგილი“, ტაპ. **შა** „ფეხი + თა „ადგილი“, აქედან ზმნა **აშთალარა** „გამოდევნება, კვალზე დგომა“ (ლომთათიძე 1944).

ანუ **თ** – ეს არის **ადგილის აღმნიშვნელი ელემენტი** შდრ.: აფხაზური ლოკალური პრევერბი **თა**.

გურულ-იმერულის ასთე ფორმაში (კითხვა როგორ?) თითქოს **თ** უფრო მეტ სიმყარეს სძენს **ასე** ზმნისართს, შემოაქვს „დამაჯერებლობის“, „ადგილზე დამაგრების“, „ლოკატიურობის“ წარმოსახვითი ნიუანსი.

არსებობს სხვა თვალსაზრისებიც:

მ. ჩუხუა:

ს.-ქართვ. ***ა-ს-ე** „ასე“

ქართ. **ა-ს-ე**

ზან. (ლაზ.) **ა-შ-ო/ჰა-შ-ო**, მეგრ. **ა-შ-ი** „ასე“

სვან. **ა-შ-ი-ა-შ** „ასე და ასე“

ქართველური ენები ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ; სხვადასხვა აფიქსებთან ერთად ძირად **-ს-/-შ-** გამოიყოფა, რაზეც ადრევე მიუთითებდნენ [ჩიქობავა 1938 : 226].

ს.-სინდ. ***ა-ს-ჰ** „ასე“

აფხაზ. **ა-ს-გ** „ასე“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძე-ენური წარმომავლობისაა. ამას ქართველური იზოგლოსები თვალნათლივ აჩვენებენ.

წარმოდგენილი აფხაზურ-ქართველური ძირ-ფუძეები ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ შეაპირისპირა [ჭარაია 1912 : 38]. (მერაბ ჩუხუა 2017 : 100)

ქ. ლომთათიძე:

იზიარებს რა არნ. ჩიქობავას მოსაზრებას, სათანადო ადგილას აღნიშნავს, რომ ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის **-ს** ნასესხებია ქართულიდან. (ლომთათიძე 1954 : 61).

ისმის კითხვა:

– ქართულში ტოპონიმების **-ეთ** მაწარმოებლის **თ** ელემენტიც ხომ არ უკავშირდება ამ აღნიშნულ **-თ** სუფიქსს? კახეთი, სპარსეთი, რუსეთი...

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზურ-აბაზურის გარდაქცევითობის **-ს // -შთა // -თა** მაწარმოებელი ზმნისართული წარმოშობისაა, წარმოადგენს საერთო იბერიულ-კავკასიურ ოდენობას და შეუძლებელია მისი ბრუნვის ნიშნად მოაზრება აფხაზურსა და აბაზურში.

თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ზმნისართული ბუნების მქონე აფიქსისაგან ბრუნვათა მქონე ენებში მომავალში ბრუნვის ნიშანი ჩამოყალიბდეს. ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ბრუნვამ შეინარჩუნა ადგილისა და დროის შინაარსის გამოხატვის ფუნქციაც.

ლიტერატურა

გამრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტ-თა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 1995 – Г. Топурия, Морфология склонения в Дагестанских языках, Тбилиси.

იმნაიშვილი 1959 – ი. იმნაიშვილი, სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

ლომთათიძე 1942 – ქ. ლომთათიძე, ბრუნების საკითხი აფხაზურში, ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ლომთათიძე 1944 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი.

ლომთათიძე 1948 – ქ. ლომთათიძე, მიზან-პირობითი კილოს წარმოები-სათვის აფხაზურ დიალექტებში“, იკე, ტ. II, თბილისი.

ლომთათიძე 1954 – ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი.

როგავა 1964 – გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში, იკე, ტ. XIV, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

შენგელია 2009 – ვ. შენგელია, ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. I-III, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXVII, 2009, თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1942 ა – Морфологические встречи Абхазского языка с Картвельскими языками, ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ჩიქობავა 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში (II გამოცემა), თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჰარაია 1912 – П. Чарая, Абъ отношении Абхазского языка къ яфетическимъ, С.-Петербургъ.

NANA MACHAVARIANI

**The Basic Meaning of the Transformation Suffix -s
in Abkhazian and Its Relation to the Corresponding
Elements in Proto Ibero-Caucasian**

S u m m a r y

In Abkhazian, **-s** is a suffix forming the category of transformation of nouns. This suffix is attached to the unprefix word of the generality and gives us the meaning, which is presented in the adverbial case when translated into Georgian, e.g. **axaça** – *ḡaci* “man”, **xaça-s** – *ḡacad*, **ačə** – *cxeni* “horse”, **čə-s** – *cxenad*, **aph^os** – *kali* “woman”, **ph^os-s** – *kalad*, etc. Some scientists associate this suffix with a case marker but as Acad. Ketevan Lomtadze proved, due to the incorporative nature of the Abkhazian verb, it has no cases, especially the transformation case. K. Lomtadze confirms this element in the adverbs of manner, e.g. **as** “this way”, **us** “that way”, **abas** “this way”, etc. This element may also be related to the adverbial element *š* of the verb.

We think that **-s** is an ancient Proto Ibero-Caucasian adverbial element.

Finding the element **-t-** in the following adverb in Gurulian and Imeretian is quite interesting: **aste**, **iste**. We should also mention that in Tapanta the suffix **-ta** is used instead of the suffix **-s** in some cases.

The paper suggests that the Abkhazian-Abaza formatives **-s** // **-šta** // **-ta** of the category of transformation are of adverbial origin and represent a Proto Ibero-Caucasian elements. Thus, it is impossible to consider it to be a case marker in Abkhazian and Abaza.

However, this does not rule out the possibility that this affix having an adverbial nature can turn into a case marker in the languages that have a case system.

მედეა სალიანი

**კვლავ ზანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულების
ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური
ადაპტაციისათვის სვანურში¹**

წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი გაგრძელებაა სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში სხვადასხვა ეპოქაში და სხვადასხვა გზით ზანურიდან (resp. მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული ლექსიკური ერთეულების კვლევისა. წინა ნაშრომში („ზანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციისათვის სვანურში“), რომელიც წაკითხულ იქნა მოხსენებად ტ. ფუტკარაძისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე – „ქუთაისური საუბრები“, XVII და რომელიც ასევე დასაბეჭდად გადავცევით ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ 25-ე ნომერში, საპაექროდ წარმოვადგინეთ რამდენიმე ლექსიკური ერთეულის (ანგეთ/განგეთ (ლხმ.) „განგებ“, გგებ (ზს., ლნტ., ჩოლ.)/გიგებ (ზს.)/გგებ (ლშხ.) „ფიჭვი“, ნაონჯღარ (ჩოლ.) „უჭმელი, მოუვლელი, გამხდარი ბავშვი“, სამშურია (ბქ.) „ერთგვარი სურნელოვანი თეთრყვავილებიანი ბალახი, რომელსაც სანელებლად იყენებენ; რეჰანის ერთ-ერთი სახეობა“, ლი-სირგლ-აჟ-ალ (ბქ.) „თრევა, ხეტიალი“, სისუდ (ბზ.)/სისოდ (ბქ., ლნტ.)/სისრდ (ლშხ., ჩოლ.) 1. „შიში“, 2. ბქ. „სიმყუდროვე, სიმშვიდე, სიჩუმე; გასუსვა“, უოსხირ/ოსხირ (ბქ.) „დირე; საძირკველი, საფუძველი, რომელზედაც იგებოდა სახლის კედლები“, ფურჩა (ბზ.)/ფურჩა (ბქ.) „ფუჩეჩი, სიმინდის ნაქურჩალი“, კობალ-იშ-ერ (ბქ.) „მტოგვარის აღმნიშვნელი სახელი“, ჩხუინდ (ბქ.) „მოღრეცილცხვირიანი ან უშნოცხვირიანი ადამიანი“, ჯამფეზ (ლხმ.) „ჭიაფერა“, ჯინჯ (ლხმ.) „ძირი“ ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტაციებით, გამოვავლინეთ საკუთრივ ზანურში დაკარგული და სვანურში შემონახული არქაული ნასესხობანი და ა. შ., თუმცა აღნიშნული მასალის კვლევა ამით არ ამოწურულა.

ამჯერად სტატიაში წარმოვადგენთ უშუალოდ ზანურიდან შეთვისებული რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ტრანსფორმაციების კვლევას სვანურ სათანადო მასალაზე დაყრდნობით:

¹ ნაშრომი მომზადდა 2019 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სვანური ნასესხები ლექსიკის ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ანალიზი (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

1. **აბანა** (ბქ.), შდრ. ზს., ქს. **აბანო** < ზან. (მეგრ.) აბანა „აბანო; სამკურნალო წყალი“ (შდრ. ბზ., ლშხ. **ლაბრალ**, ბქ. **ლაბრალ**, ლნტ. **ლაბარალ** „დასაბანი“) სიტყვისაგან ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილებების გარეშე.

2. **ატარ** (ბქ.)/**ატარ** (ლხმ.) „ხის თევზი“ < ზან. (მეგრ.) ატარ-ი „ხის ღრმა თევზი, – ჯამი“, „მარცვლეულის საწყაო (ხის ჯამი) XVI-XVII საუკუნეებში ოდიშში (სამეგრელო), დაახლოებით 0,4 ლიტრის ტევადობისა“ ფორმისაგან სახელობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეციტ, რომელმაც გამოიწვია ბალსქვემოურში წინამავალი ხმოვნის გაუმლაუტება, თუმცა ბალსქვემოური დიალექტის ლაბამულურ კილოკავში ფონეტიკურად უცვლელი ფორმა (**ატარ**) დასტურდება.

3. **არდილ** (ბეჩ.)/**არგილ** (ჩოლ., უშგ.), შდრ. ზს., ლნტ. **ადგილ**, ბქ., ლშხ., ჩოლ. **ადგილ** < ზან. (მეგრ.) არდილ-ი/საგან „ადგილი“.

ბეჩოური **არდილ** უნდა მომდინარეობდეს მეგრული **არდილ-ი**საგან ფუძისეულ ხმოვანთა (**ა+ი = ა**) უმლაუტის შედეგად, ხოლო რაც შეეხება ჩოლურულ და უშგულურ **არგილ** ფორმას, აქ აშკარად **დ** ბგერის დაკარგვასთან გვაქვს საქმე, სხვა ფონეტიკური პროცესები, როგორც ჩანს, არ განხორციელებულა. შესადარებლად ზემოთ მოხმობილი **ადგილ** (ზს., ლნტ.), **ადგილ** (ბქ., ლშხ., ჩოლ.) კი < ქართ. ადგილ-ი/საგან

4. **ბრუკ** (ბქ.) „ბერწი, უშვილო, უნაყოფო“ < ზან. (მეგრ.) ბურჭ-ი „ბერწი, ურწანი; უნაყოფო“ (შდრ. ასევე **ბურჭ**-ობ-ა „სიბერწე“) ფორმისაგან მეტათეზისის შედეგად.

როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალებიდან ჩანს, **ბრუკ** სვანური ენის დიალექტებიდან მხოლოდ ბალსქვემოურს უდასტურდება. სხვა დიალექტებში და მათშორის ბალსქვემოურშიც **ბერწ**-ის მნიშვნელობით გვხვდება შემდეგი ფორმები: ბზ. **ნადუმეცი/დომეცი**, ბქ. **დუმეცი**, ქს. **ნადმოცი** (შდრ. იმ. **დომაცი**). საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ ფორმებს, **ბრუკ**-ისაგან განსხვავებით, ადამიანის მიმართ არ გამოიყენებენ.

აღნიშნულ ფუძესთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ჯერ კიდევ 1916 წელს აკად. ნ. მარმა ერთმანეთთან დააკავშირა ქართული **ბერწ**-ი და მეგრული **ბურჭ**-ი და გამოთქვა ვარაუდი **ბერწ**- ძირის ბაცბურიდან ნასესხობის შესახებ (1916:1397). გ. კლიმოვმა ქართულ-ზანური ერთიანობის დონისათვის აღადგინა ***ბარწ**-ი არქეტიპი (ЭСКЯ 1964:49), ხოლო ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის თვალსაზრისით, **ბრუკ** სვანურში მეგრულიდანაა შეთვისებული (2000:98). საანალიზო ძირ-ფუძეებთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მ. ჩუხუას, რომელსაც სვანური **ბრუკ** შედარებული აქვს ქართულ **მროწლ**-ე „ნახირი“, „საქონელი ერთიდან სამ წლამდის“ ფორმასთან და საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღადგენს ***მროწლ**-(ე) „ნახირი, საქონელი“ არქეტიპს (2000-2003: 72). იგი არაფერს ამბობს მეგრული ბურჭ-ის შესახებ.

ჩვენ ვიზიარებთ ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის თვალსაზრისს სვანური **ბრუკ** ფორმის მეგრულიდან ნასესხობის შესახებ და გამოვთქვამთ ჩვენს ფრთხილ ვარაუდს მეგრული **ბურჭ**-ის ქართული, კერძოდ აჭარული **ბურწან**-იდან მომდინარეობის შესახებ (!). აქვე შევნიშნავთ, რომ სვანური **ბრუკ** მეტა-

თეზისირებული სახეობაა მეგრული ბურჭი-სა, სესხებისას კი სხვა ფონეტიკურ პროცესებს, როგორც ჩანს, ადგილი არ ჰქონია.

5. **ბუყუნ** (ბქ.) „საზამთროდ ყველის შესანახი ხის კასრი“ < ზან. (მეგრ.) ბუყუნ-ი/ბუყუნ-ი (შდრ. ასევე ბუყინ-ი/ბუყინ-ი) „ხისგან საგანგებოდ დამზადებული ჭურჭელი, კასრი, რომელსაც იყენებენ რძის ჩასასხმელად, მაწვნის შესადედეზლად; ხშირად მარცვლეულის (სიმინდის), ფქვილის ჩასაყრელად“ სიტყვისაგან სახელობითი ბრუნვის მორფემის დაკარგვითა და აუსლაუტისეული უ ხმოვნის გაუმლაუტებით.¹

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართ. (გურ., ზ.-იმერ.) **ბოყე**-ი „კრამიტის ყალიბი, ჩარჩო, რომელიც კეთდება ხისაგან“, აჭ. „ბოქლომი, კლიტე“ : ზან. (მეგრ.) **ბუყუნ-ი/ბუყუნ-ი/ბუყინ-ი/ბუყინ-ი** „ხის ჭურჭელი მაწვნისათვის“; „რძის ჩასაწური“; „ყველის შესანახი ჭურჭელი“ : სვან. (ზს.) **ბეყუ/ბიყუ**, ლშხ., ლნტ. **ბეყუ**-ილ „ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი ხორბლისათვის“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. ***ბოყუ**- არქეტიპი (იქვე:66). რაც შეეხება ბალსქვემოურში დადასტურებულ **ბუყუნ** ფორმას, იგი აშკარად შეთვისებულია მეგრული **ბუყუნ-ი/ბუყუნ-ი**-საგან აუსლაუტისეული უ ხმოვნის უმლაუტის შედეგად, რაც, როგორც წესი, გამოიწვია სახელობითი ბრუნვის ნიშნის მოკვეცამ².

6. **განთხ** (ბზ.)/**განთხ** (ბქ., ლშხ., ლნტ.)/**განთხ** (ჩოლ.) 1. „უკანა ფეხები (ცხოველისა, ადამიანისა)“, 2. „ადამიანის კანჭის უკანა ნაწილი მყესიანად“, გამოიყ. იდიომ. გამოთქ.: **განთხწ ლიქუეც** (ბზ.)/**განთხიშ ლიქუეც** (ბქ.) „მუხლის მოკვეთა (ზედმიწ. – განთხ-ის წყვეტა)“ < ზან. (მეგრ.) განთხ-ი „ბარძაყ-წვივი; ბაყვი; ფეხის ნაწილი მუხლსა და კოჭს შორის; ფეხების ღონე“ ფორმისაგან როგორც ფონეტიკურად უცვლელი სახით (**განთხ**), ასევე სვანური ენისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკური პროცესების – უმლაუტისა (**განთხ**) და სიგრძის (**განთხ**) მეშვეობით.

შენიშვნა: საინტერესოა, იგივე ძირი ხომ არ ფიქსირდება სვანურ (ზს.) ლი-**გთხ**-გნ-ე „გაჭიმვა, გაწელვა“, ლგ-**გთხ**-გნ-ე „გაჭიმული, გაწელილი“, მგ-**გთხ**-გნ-ე „გამჭიმავი, გამწელავი“, ნა-**გთხ**-გნ „განაჭიმი, განაწელი-ი“, ლგ-**გთხ**-გნ-ად „გაჭიმულად“, გთხ „გაჭიმული“, ჩოლ. **განთხწლი** „მუხლ-მოკვეთი ლასლასი“ და ა. შ. ლექსიკურ ერთეულებში?³ მითუმეტეს, რომ აღნიშნული ფორმები ძირითადად სწორედ სვლა-მომრაობასთან არის დაკავშირებული.

7. **გუგუფ** (ზს., ლნტ.), შდრ. ბზ. **გუფ/ჭ, გუფრა**, ლშხ., ლხმ. **გგგგ** 1. „მკერდი (საქონლისა, ფრინველისა...)“, 2. ლხმ. „ხარის მკერდის თავზე და-გროვილი ქონი“ < ზან. (მეგრ.) გუგუფა „იგივეა, რაც გუგუზა, – საქონლის მკერდი“ ლექსემისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცით.

¹ შესაძლოა, ბალსქვემოური **ბუყუნ**-ილ 1. „პირფართო ჭურჭელი“, 2. „დიდლოყება/ბუთხუზა ბავშვი“ ფორმაც ზან. (მეგრ.) ბუყუნ-ი/ბუყუნ-ი-დან მომდინარეობდეს.

² ეს ის შემთხვევაა, როცა სვანურში ერთი და იგივე სემანტემა წარმოდგენილია კანონზომიერი ბგერათმესატყვისობითაც და გვიანდელი სესხების გზითაც.

³ ზანურში შესატყვის ფორმებს ვერ მივაკვლიეთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძვ. ქართ. **გოდაბ**-ო „გაროდ მწვარი“, გარო „მჟავით მწვარი“ (საბა) : მეგრ. **გაგაბ**-ი „ხორცის ნახარში ქონი, ღომის მოხარშვის, ხარჩოს მომზადების დროს მოყენებული ქონი, ქაფი“ : სვან. (ლხმ.) **გგგვ** „ხარის მკერდის თავზე დაგროვილი ქონი“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე აღდგენილია ს.-ქართვ. ***გოდაბ**- „ქონი, ქაფი“ (ჩუხუა 2000-2003: 88-89; სალიანი 2006: 42; სალიანი 2016: 434), რაც შეეხება ჩოლურულ **გოდბ**¹ „სქელი ცხიმი“ ლექსემას, იგი ჩვენ მიერ მიჩნეული იყო ქართულიდან ნასესხებად, სადაც ხმოვნის სიგრძე მომდევნო ხმოვნის ზეგავლენას მიეწერება (იქვე).

მკერდის მნიშვნელობით დადასტურებული სვანური **გუგუფ** და მისი ფონეტიკური ვარიანტები: **გუფ/გუჭ/გუფრა** უნდა მომდინარეობდეს მეგრული რედუპლიცირებული **გუგუფა** საგან, რომლის თავდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო სავარაუდოდ ***გუფ-გუფა**. შესაძლოა, სვანურმა სწორედ ჩვენ მიერ აღდგენილი რედუპლიცირებული ფორმა შეითვისა მეგრულისაგან, რომელმაც შემდგომ შემდეგი ფონეტიკური ტრანსფორმაცია განიცადა: მეგრ. ***გუფ-გუფა** > ***გუ-გუფა** > ზს., ლნტ. **გუ-გუფ** > ბზ. **გუფ** (> **გუჭ** თანხმოვანთმონაცვლეობით).

8. **გუნგულ** (ბქ.), შდრ. ჩოლ. **გუგულაი** „მარცვალგაცილი ტარო“ < ზან. (მეგრ.) გუნგ-ა (შდრ. ასევე ნა-გუნგ-ა/ნა-გუგ-ა) „ნაჭუჩი, ნაგულა; მარცვალგაცილი ტარო“ ფორმისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით (შდრ. გურ. ნაგულა/ე-ი „სიმინდის ტაროს მარცვალგაცილი გული“²).

ამ შემთხვევაშიც ხელშესახებია ის ფაქტი, რომ საანალიზო ლექსემა მხოლოდ ბალსქვემოურში გვხვდება, სადაც ხშირია მეგრულიდან სიტყვათა შეთვისების შემთხვევები. რაც შეეხება ჩოლურულ **გუგულაი** ფორმას, იგი ქართულიდან, კერძოდ იმერულ-ლეჩხუმური **გუგულა** და „მარცვალი“ ჩანს ნასესხები.

მეგრული ფუძის სავარაუდო ფონეტიკური ტრანსფორმაცია სვანურში შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: ***ნა-გუნ-გულ**-ა (< ქართ. ***ნა-გულ-გულ**-ა სონორთა მონაცვლეობით, შდრ. გურ. ნა-გულ-ა/ე-ი) < ***გუნ-გულ**-ა (ნაპრეფიქსის დაკარგვით) < ბქ. **გუნ-გულ**-ნ (ფუძისეული უ ხმოვნის რედუქციითა და აუსლაუტისეული ხმოვნის უმლაუტით). ქართული **გულ**- ძირისაგან რედუპლიკაციით მიღებული ფორმა ჯერ მეგრულში უნდა შესულიყო, შემდეგ კი მეგრულიდან სვანურს უნდა ესესხა. ვფიქრობთ, სვანურმა სწორედ მეგრულისათვის სავარაუდო თავდაპირველი რედუპლიცირებული სიტყვა შემოინახა, თავად მეგრულმა კი დროთა განმავლობაში ფორმა გაამარტივა.

¹ ჩოლურულ მეტყველებაში ამ ფორმის პარალელურად ველზე მუშაობისას **გუადბ** ფორმაც დადასტურდა.

² ნაგულა/ე-ი ლექსიკური ერთეული ქართული ენის სხვა დიალექტებშიც (ქიზიყურში, ფშაურში, იმერულში, ხევსურულში, მთიულურში, გუდამაყურულში...) დასტურდება, თუმცა სხვა სემანტიკით.

9. **განჩ[ი]-მგნჩ[ი]** (ბქ.) „მსჯელობა, უაზრო საუბარი“ < ზან. (მეგრ.) განჩ-ი „გადაკვრით, ქარაგმულად ლაპარაკი; საყვედურის თქმა“ (შდრ. ასევე მეგრ. განჩ-ა „მყვედრებელი, ბუზღუნა, ყველაფრით უკმაყოფილო“, განჩინ-ი „გადაკრულად თქმა, ყვედრება“...) სიტყვისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით.

სვანურში ჯერჯერობით საანალიზო ძირის შემცველი სხვა ფორმები ვერ გამოვავლინეთ, მეგრულში კი, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, **განჩ-** ძირს სიტყვათმადწარმოებელი ფუნქცია გააჩნია, რაც გვავარაუდებინებს სვანური კომპოზიციური აგებულების სიტყვის პირველი კომპონენტის მეგრულიდან ნასესხობას ხმოვნის რედუქციით (ანუ მეგრულ **ა** ხმოვანთან ანაპტიქსური **ე** ხმოვნის მონაცვლეობით).

შენიშვნა: ბალსქვემოური საანალიზო ლექსიკური ერთეული (**განჩ[ი]-მგნჩ[ი]**) მიღებულია თავკიდურ თანხმოდანთა მონაცვლეობით (შდრ. **ხულდუ-ხულდუ, ყდიუარ-ხდიუარ, ცაქუა-მაქუა, ანტყუა-მუტყუა, ჩადარ-კუდარ/სადარ-კუდარ** და ა. შ. – თოფურია 1979: 290-291).

10. **დგვრ** (ბქ.) „ლაფი, ტალახი“, ლი-**დგვრ**-ე „ატალახიანება“ < ზან. (მეგრ.) ნ-დგორ-ო/ნ-დგორ-ა „დიდი ტალახი, ტლაპო“ (გადატ. „მეტად მსუქანი, უფორმო“, ნ-დგორ-უა „ლაფში გდება“...) ფორმისაგან საწარმოებელი ფორმანტების დაკარგვითა და რედუქციით.

ადვილი შესაძლებელია სვანური საანალიზო ლექსემის მეგრულიდან ნასესხობა ანლაუტისეული თანხმოდანის დაკარგვითა და აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციტ, ასევე მეგრულ **ო** ხმოვანთან ანაპტიქსური **ე** ხმოვნის მონაცვლეობით, თუმცა დაბრკოლებას ქმნის ლაშხურ-ჩოლურული მასდარული ლი-**დინდგვრ**-ე „ტალახში, ჭუჭყში ამოსვრა, ამოგანგვლა“ და მისგან ნაწარმოები მიმღებობური ფორმების: ლე-**დინდგვრ**-ე „ამოსვრილი ტალახში, ჭუჭყში“, *ლე-**დინდგვრ**-ე „ამოსასვრელი ტალახში, ჭუჭყში“, *მე-**დინდგვრ**-ე „ამოსასვრელი ტალახში, ჭუჭყში“¹... არსებობა. ქვემოსვანური ლექსიკური ერთეულები რედუქციაცირებული ფორმების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ძირი აშკარად საკვლევი (!).

11. **დუდაშ ყუალ/დუდაშ ყუალ** (ბქ.)² „დამჟავებული რძე (ზედმიწ. – გუდ-ის ყველ-ი)“ < ზან. (მეგრ.) გუდამ ყვალ-ი/ყვალ-ი „მაწვნის შეჭამანი, რომელიც გუდამი მზადდებოდა“ ლექსიკური ერთეულისაგან, თავად მეგრ. ფორმა კი < ქართ. გუდა „ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავის პარკი, – ტიკი“ და საერთ.-ქართვ. ყველ- სიტყვისაგან.

ჩვენ დაკვირვებით, საანალიზო ლექსიკური ერთეულის ორივე კომპონენტი ნასესხები ჩანს მეგრულიდან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით: პირველი კომპონენტი (**დუდ**-აშ), რომელიც სვანური მორფოლოგიური

¹ ჩვენ მიერ საანალიზოდ მოხმობილი არცერთი სვანური ლექსიკური ერთეული სვანური ენის დღემდე არსებულ ლექსიკონებში არ შესულა.

² პარალელურად **მეტე ლჯა** საც ემახიან, რაც ასევე ამჟავებულ რძეს ნიშნავს.

ინვენტარიტაა (-წმ) გაფორმებული, შეთვისებულია მეგრულიდან ანლაუტი-სეული თანხმოვნის დისიმილაციით, მეორე კომპონენტი (ყვალ-ი/ყვალ-ი) კი პალატალური უმლაუტის საშუალებით. შეფარდება სემანტიკურ დონეზე და მჭავებული რძე-გუდა და ყველი კანონზომიერად ჩაითვლება.

12. **ზაკალ** (ზს.)/**ზზაკალ** (ეცერ.)/**ზზაკალ** (ლზმ.) *ბოტ.* < ზან. (მეგრ.) ბზაკალ-ი/ზაკალ-ი/ზაკა-ი „ბზა“ ფორმებისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით, კერძოდ: ზემოსვანურში (**ზაკალ/ზზაკალ**) შემოსულია ფონეტიკურად სრულიად უცვლელი სახით, ლახამულურში კი სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვამ, როგორც წესი, გამოიწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი.

13. **თანაფ** (ზს., ქს.) „აღდგომა“ (შდრ. ასევე **თანაფ** ძირისაგან ნაწარმოები შემდეგი ფორმები: **თანფა ერ** (ზზ.)/**თამფ**-იერ (ბქ., ლზმ.)/**თანფ**-იერ/**თამფ**-იერ (ბქ.)/**თანაფ**-იერ (ლზტ.) „აღდგომის კვირა (შვიდი დღე)“; **ლე-თანაფ** (ზს., ლზმ., ჩოლ.)/**ლე-თანაფ** (ბქ.)/**ლე-თანაფ** (ლზტ.) „სააღდგომო“; **მგ-თანაფ-ოლ**¹ (ლზტ.) „ჩიტი, რომელიც აღდგომა დღეს ყველა ოჯახში შემოფრინდება და რომლის მოკვლაც აკრძალულია“; **მგ-თანაფ-ოლ**² (ლზტ.) „შელოცვილი ძაფი, რომელსაც აღდგომა დღეს ოჯახის უფროსი ქალი ოჯახის ყველა წევრს მარცხენა მაჯაზე შეაბამს“...) *რელიგ.* < ზან. (მეგრ.-ლაზ.) თანაფა 1. „აღდგომა“, 2. „თენება; განთიადი“ ლექსებისაგან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცით. რაც შეეხება ზემოსვანურსა და ლენტეხურ დიალექტებში გავრცელებულ რელიგიურ სიტყვას **ადგომ**ს „მძიმე მარხვა და უქმე, ნათლისღების წინა დღე“, იგი < მვ. ქართ. აღდგომა/ადგომა „ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაული“ სიტყვისაგან სემანტიკური გადააზრიანებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **თენ- თენ**-ებ-ა; **გან-თენ**-ა „გათენდა“... : ზან. (მეგრ.) **თან- თან**-აფ-ა „თენება; განთიადი; აღდგომა“; **გო-თან**-დ-უ „გათენდა“; **გო-თან**-ელ-ი „გათენებული“... : ლაზ. **თან- თან**-აფ-ა „ნათება, თენება“; **თან-უ-ნ** „ანათებს“; **ქო-დო-ლო-თან**-უ „გაანათა“; **მ-თან-ურ**-ა „ციცინათელა“; **დო-ლო-თან-ერ**-ი „განათებული“; **დო-თან-ურ**-ი „განთიადი“... : სვან. **თენ**-/**თნ**- ლი-**თნ**-ე „დაბადება; გაჩენა“; **ლგ-თნ**-ე „გაჩენილი; შექმნილი“; **ლი-თნ**-ე „გამოჩენა; გაჩენა“; **ლე-თნ**-ე „გამოსაჩენი“... ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეების დონისათვის აღდგენილია ***თენ**- არქეტიპი (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 233), ხოლო მ. ჩუხუას მიერ დამატებითი მასალის მოძიების საფუძველზე ს.-ქართვ. ***თ**- (იხ. 2000-2003: 106). როგორც ვხედავთ, შესატყვისობისათვის გამოყენებული ზანური (მეგრულ-ლაზური) **თან-აფ-ა** სესხების სახითაც დასტურდება სვანურში, რაც ხშირი მოვლენაა.

15. **კაზალ** (ლზმ., უშგ.) „დამარილებული დაჭრილი ყველი“, შდრ., ერთი მხრივ, ზან. (მეგრ.) კაზლა/კაზილა „გადაუხელებელი, დამარილებული ყველი“ და, მეორე მხრივ, ქართ. კაზალა „ნაჭერი ყველი“ (საბა).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ დადასტურებული **კაზალა** ბევრ სხვა სიტყვა-ფორმასთან ერთად მიჩნეულია ზანიზმად და შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. ე. დადიანი, რომელიც ამოსავალ ფორმად მიიჩნევს მეგრ.

კაზ(ი)ლა-ს „დამარილებული ყველის“ მნიშვნელობით, ზანური **კაზილი კაზუა** „კაზმა, კაზმვა“ ზმნისაგან ნაწარმოებ მიმდებარე მიაჩნია, თავად **კაზუა** კი კაზმ-ის შესატყვისად (დადიანი 2009 ა: 69).

ვფიქრობთ, სვანური, კერძოდ ლაშხური და უშგულური **კაზალ** სწორედ ზანურიდან უნდა შეეთვისებინა სვანურს. სვანური ენის სხვა დიალექტ-კილოკავებში აღნიშნული სიტყვაფორმა არ გვხვდება.

16. **კათ** (ზს.) „კრებული (ხალხისა), ხალხი; ნათესავების წრე; მოკეთები“ < ზან. (მეგრ.) **კათ**-ა „ადამიანთა კრებული, – ხალხი, კაცები, ადამიანები“, ლაზ. **კათ**-ა „სამეგობრო“ ფორმათაგან აუსლაუტისეული **ა** ხმოვნის მოკვეცივით.

კათ- ძირი, როგორც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალებით ირკვევა, უამრავი ზმნური ფორმის შემადგენლობაში დასტურდება და მნიშვნელობათა ფართო სპექტრით გამოირჩევა. მაგ.: **კათ**-ან-ს „კრებს“, ი-**კათ**-უნ-ა „იკრიბებიან“, ა-**კათ**-უ „უერთდება“, მა-**კათ**-უ „ეწყება“...; **კათ**- ძირისაგან იწარმოება ასევე მასდარის პარალელური ფორმები: **კათ**-ა/**კათ**-უ-ა/**კათ**-აფ-ა/**კათ**-ინ-ი „შეგროვება, შეკრება, შეერთება, მივარდნა...“, სხვადასხვა გვარის მიმდებარე ფორმები: მა-**კათ**-ალ-ი „შემკრები, შემაერთებელი“, **კათ**-ელ-ი/**კათ**-ილ-ი/**კათ**-აფ-ილ-ი „შეკრებილი, შეერთებული, შერეული...“, ო-**კათ**-ალ-ი „შესაკრები, შესაერთებელი, შესარევი...“. **კათ**- ძირზეა აგრეთვე დამყარებული შემდეგი ფორმები: ო-**კათ**-უ/ო-**კათ**-ურ-ი/ო-**კათ**-ურ-ე „შესაკრები ადგილი“. გარდა ამისა, იგი, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი, არაერთი კომპოზიტის წარმოებაში მონაწილეობს: ჯიმა-**კათ**-ა „სამმაკაცო, მმა-კაცები“, ოსურ-**კათ**-ა „დედაკაცები“, ბოშ-**კათ**-ა „ყმაწვილკაცები“ და მრავ. სხვ. (შენგელია 2012: 77-79).

სპეციალურ ლიტერატურაში მეგრულ-ლაზური **კათ**- ძირი შეპირისპირებულია ქართულ **კეთ**- „კეთება“ ძირთან და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღდგენილია ***კეთ**-არქეტიპი (მარი 1911-14: 398; კლიმოვი 1964: 112; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 267). ვ. შენგელიას აზრით, არ არის გამორიცხული აქ ომონიმურ ძირებთან გვეკონდეს საქმე (იქვე).

18. **კინკ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „უბე“ (შდრ. ასევე სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ბქ., ლნტ., ჩოლ. ლგ-**კინკ** „უბიანი“, **კინკ**-არ „უბეები“) < ზან. (მეგრ.) **კინკ**-ი „ნაკერი; უბე შარვლისა, ნიფხვისა“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

19. **კინკოლ/კინკულ** (ბქ.)/**კირკოლ** (ლშხ.) „კურკლი; წკინტილი“ < ზან. (მეგრ.) კინკორ-ა/კირკოლ-ა „კურკლი (თხისა, ცხვისა და მისთ.)“ ლექსემები-საგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა განხორციელებით (შდრ. ქართ. (ქიზ.) კინკლ-ი „ცხვირში გამხმარი ჟღვინტი“).

ბალსქვემოური **კინკოლ/კინკულ** შეთვისებული ჩანს მეგრულიდან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეცივითა და ბგერათა (თანხმოვანთა და ხმოვანთა) მონაცვლეობით, რაც შეეხება ლაშხურ **კირკოლ** ფორმას, რომელიც გრძელ-ხმოვიან რუს შეიცავს, დაგრძელებულია აუსლაუტისეული ხმოვნის დაკარგვის შედეგად.

20. **კობეშია** (ბქ.)/**კობეშია** (ბერ.), შდრ. ბზ. **კუბანესგ/კუბანეშ[გ]**, ლშზ. **კუბანესუ**, ლნტ. **კუბანეს/კუბანეც** ბოტ. < ზან. (მეგრ.) კობეშია/კობეშია (შდრ., ასევე, კობეშია) „კვახი, გოგრა“ ფორმებისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

მ. ჩუხუას აზრით, ბერძურ კილოკავს დისიმილირებული ფორმის წყალობით მეგრულისათვის სავარაუდო უფრო ძველი სახეობა დაუცავს (ჩუხუა 2017: 238).

21. **კორკოც** (ბქ.) < ზან. (მეგრ.) კორკოც-ე „ყივანახველა (ბატონები); ძლიერი ხველება“ (შდრ. ასევე **კორკოც**-ი „ჩაბჭირება სიცილისაგან, ხველები-საგან“) სიტყვისაგან აუსლაუტისეული **ე** ხმოვნის მოკვეციტ. სვანური ენის დანარჩენ დიალექტებში (ბალსზემოურში, ლაშხურში, ლენტეხურში) და ასევე ჩოლურულ მეტყველებაში ყივანახველას მნიშვნელობით სიტყვა **ყირო** გამოიყენება, ეს კი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ბალსქვემოურში, სვანურის დანარჩენ დიალექტებთან შედარებით, უფრო ხშირია მეგრულიდან ნა-სესხობანი.

რაც შეეხება იმერულსა და გურულ დიალექტებში დადასტურებულ **კარკაც**-ი „გადაჭარბებული სიცილი; ხმამაღალი კასკასი, კისკისი“ ლექსემას, იგი კანონზომიერი შესატყვისია მეგრული **კორკოც**-ის (ქართ. **ა – ა**, ზან. (მეგრ.) **ო – ო**) სემანტიკური სხვაობით და სემანტიკური სხვაობითვე დასტურდება სვანურშიც – ბზ., ჩოლ. ლი-**კარკაც**-ე, ბქ. ლი-**კარკაც**-ე „კაკანი“, გადატ. „კისკისი“ (უარყოფითი კონოტაციით), რომელთა სავარაუდო შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ს.-ქართვ. ფუძეენის დონისათვის აღდგენილია რედუქლიცირებული ***კარკაც**-არქეტიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 264)¹.

22. **კოკობ** (ბქ.) 1. „თიხის პატარა ქოთანი“, 2. „ლამპარი; პატრუქი, ჭრაქი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართ. **კვაწ**-ია „პატარა ქოთანი და ზან. **კოკ**-ობ-ი „ქოთანი ერთგვარი“ ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძეენის დონისათვის აღადგენენ ***კუაწ**- „ერთგვარი მცირე ქოთანი“ არქეტიპს, ხოლო ქართული ენის დიალექტებსა (გურ., ინგ., აჭ.) და ძვ. ქართულში გავრცელებული **კოკობ**-ი/**კოკობ**-ა-**ე/კოკობა/კოკობ** მიჩნეულია არქაულ ნასესხობად ზანურიდან (ჩუხუა 2000-2003: 125). ცხადია, სვანური **კოკობ** სიტყვაც ზანურიდან უნდა იყოს შეთვისებული ფონეტიკურად უცვლელი სახით. საინტერესოდ გვესახება აგრეთვე ქვემო სვანეთში, კერძოდ ლაშხეთში დადასტურებული ამავე ძირის (**კოკობ**-) შემცველი გვარი **კოკობიანი** ერთ-ერთი ხმოვნის რედუქციით.

23. **კობა** (ბქ.) „საწებელი“ < ზან. (მეგრ.) **კობ-ა/კობ-უ** „მკვახე (ყურძენი)“, ლაზ. **კობ-ა** „მკვახე ყურძენი; უმწიფარი ყურძნის წვენი“ ფორმებისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მეგრულ-ლაზური **კობ-ა/კობ-უ** და ქართული მ-**კვახ**-ე ფორმათა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილია ***კუახ**- არქეტიპი (ЭСКЯ 1964:109-110; ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 276) და გამოთქმულია ვარაუდი

¹ ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული აქაც სწორედ კანონზომიერი ფონემათშესატყვისობითა და სესხების სახითაა წარმოდგენილი.

სვანური **კუხ**-^ტ ფორმის მეგრულიდან ნასესხობის შესახებ (ЭСКЯ 1964: 110). ჩვენი აზრით, უფრო მოსალოდნელია სვანური **კუხ/კუხ^ტ** ფორმის ქართული ენის დიალექტებიდან (შდრ. რაჭ. {მ}-**კუხ**-ე და გურ. **კუხ**-ი) სესხება, **კოხა**, კი, როგორც უკვე ითქვა, მეგრულიდან ჩანს შეთვისებული.

24. **კუტიკუ** (ზს., ლნტ.)/**კუტირკუ** (ზს.) „გორგალი (მაფისა); პატარა ნართი“ < ზან. (მეგრ.) რედუპლიცირებული კვიკვი-ი/კვირკვი-ი/კვიკვი-ა „მრგვლად (ბურთივით) დახვეული ძაფი, – ნართი; გორგალი; კოჭი, მორგვი (მაფისა)“ სიტყვებისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით. რაც შეეხება იმავე ძირისა და მსგავსი სემანტიკის მქონე სვანურ (ბქ., ლნტ.) **კუნკუშ^ს** „ნართი, შულო ძაფისა“ ლექსემას, მას შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში (შდრ. ქართ. (მთიულ.) **კვირსლ**-ი „ბეწვი შალისა“ და ზან. (მეგრ.) **კვარკვამ**-ა „ქულა (მატყლისა)“, რომელთა შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძემენის დონეზე აღდგენილია ***კუტირს**-(ლ-) „ქულა (მატყლისა)“ არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003: 130-131). სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ მასალებს ჩვენ მიერ დამატა ჩოლურული **კუკუშ^ს** ფორმაც იმავე სემანტიკით. ასევე, გასათვალისწინებელია ლეჩხუმური რედუპლიცირებული კვირ-კვიტ-ა/ე „გორგალი/ნართი (მაფისა)“ სიტყვაც.

25. **ლჯ** (ბქ.) *ბოტ.* < ზან. (მეგრ.) ლაჯ-ი (შდრ., ასევე, ლანჯ-ი) „იფანი, კოპიტი“ ფორმისაგან სახელობითი ბრუნვის ნიშნის მორფემის მოკვეციტ, რამაც გამოიწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი.

აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ **იფ/იფნა/იფნა**-მ ფორმების პარალელურად მითითებულია **ლჯრა** ფორმაც (1991: 36), რომელიც ბალსქვემოურ დიალექტში სწორედ იფანი/კოპიტი^ს მნიშვნელობით დასტურდება. აღნიშნულ ლექსემამში ძირად სწორედ **ლჯ** გამოიყოფა, **-რა** სუფიქსი კი, როგორც ცნობილია, მცენარეთა და ცხოველთა სახელწოდებებში გავრცელებული სუფიქსია, რომლის მთავარ ფუნქციას *მრავლობითობის, კრებითობის* აღნიშვნა უნდა წარმოადგენდეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზან. (მეგრ.) **ლანჯ**-ი/**ლაჯ**-ი „იფანი/კოპიტი“, სვან. **ნენზ/ნენმ** „სოჭი“ და ქართულისათვის სავარაუდო **[ნენმ-ი]**^ს შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე საერთოქართველური ფუძემენის დონისათვის აღდგენილია ***ნემ**- „სოჭი, კოპიტი“ → ქართ. **[ნემ-ი]** : ზან. **ლაჯ**-ი → || **ლანჯ**-ი : სვან. **ნენზ** || **ნენმ** ← ***ნეჯ**- არქეტიპი (ჩუხუა 2000-2003: 169). საყურადღებო ფაქტია, რომ შესატყვისობისათვის გამოყენებული მეგრული **ლაჯ**-ძირი სესხების სახითაც დასტურდება სვანურში.

26. **ლეყუ** (ბქ.) „ვისისმაგვარი წმინდა წანაზარდი წიწვოვანი ხის ვარჯხე“ < სავარაუდოდ ზან. (მეგრ.) ლეყვი „ძალიან წმინდა (მაგ., ფქვილი)“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით. სემანტიკურად სვანურ და ზანურ ფორმებს აერთიანებს ს ი წ მ ი ნ დ ი ს გაგება.

27. **ნახტაწა** (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ნახვაწა „ლომის (ფაფეულის) გაკეთებისას ქვაბის ფსკერზე წარმოქმნილი ქერქი, – ლომის ქერქი“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით.

შენიშვნა: ზანურიდან შეთვისებული ლექსიკური ერთეული (**ნახტაწა**), როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, სესხების პარალელურად ფონემათშესატყვისობითაც გვევლინება (შდრ. სვან. (ბზ.) **ღანწუიმ**, ბქ. **ღენწუმ** ← ლშხ. **ღენწუ-იმ**, ლნტ. **ღენწუ-იმ**) „სახენელი იარაღი, გუთანი“ : ქართ. **ხეწი**-ი „მოკაკული სათლელი“ (საბა), გურ. **ხეწი**-ი „მოხრილი რკინა“ : ზან. (მეგრ.) **ხეწა-ა** „კოვზის სათლელი დანა“, ნა-**ხეწა-ა** „ლომის ამოღების შემდეგ ფსკერზე წარმოქმნილი ქერქი“, ეტ. „ნაკაწრი“, ჭან. **ხეწი**-ი „რკინის იარაღი კოვზის გულის ამოსათლელად“).¹

28. **ტერჩხ** (ზს., ლნტ.)/ტორჩხ (ლშხ., ჩოლ.) „ქარქაში“² < ზან. (მეგრ.) ორჩხე (შდრ. ლაზ. ოჩხე) „დანის, ხანჯლის ბუდე, – ქარქაში“ ფორმისაგან **ო** ხმოვნის უმლაუტიტა (**ტერჩხ**) და ანლაუტში ბილაბიალური შემართვით (**ტორჩხ**), ასევე ადგილი აქვს აუსლაუტში ხმოვნის მოკვეცას, რაც ნასესხებ სიტყვებში ძალზე ხშირია სვანურში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ზან. (მეგრ.) **ო-რჩხე** „ქარქაში“ შეპირისპირებულია ქართ. **ცხავი**-ი „საცრის მსგავსი ხელსაწყო, რომელსაც ძირი მოწნული აქვს“, „ცხრილი“ და სვან. **ჩხაფ** „მარცვლეულის საწყაო“ ფორმებთან, საერთოქართველური ფუძეების დონისათვის კი ენათმეცნიერთა მიერ აღდგენილია ***ცხაფ**- არქექტიპი (იქვე: 331-332). შესატყვისობისათვის გამოყენებული ზანური **ო-რჩხე**, მსგავსად არაერთი სხვა ფორმისა, სესხების სახითაც გვხვდება სვანურში.

29. **ტეკნახტ** (ბქ.) < ზან. (მეგრ.) ო-ჭინახ-უ/ო-ჭინახ-გ/ო-ჭინახ-უ/ო-ჭინახ-გ/ო-ჭინახ-გ „საწნახელი“ ფორმებისაგან **ო** ხმოვნის უმლაუტიტა და რედუქციის საშუალებით, ხოლო ბალსზემოური **საწნახელ** < ქართ. საწნახელ-ი³ საგან ფონეტიკურად უცვლელი სახით. მიუხედავად ორივე ფორმის ნასესხობისა, პარალელურად ადგილი აქვს კანონზომიერ ფონემათშესატყვისობასაც (მაგ., შდრ. სვან. **წლიხ**- || **წილხ**- || **ხლიწ**-, ბზ. ლგ-**წლიხ**-ე, ბქ., ლშხ. ლგ-**ხლიწ**-ე (← ლგ-**წლიხ**-ე), ლნტ. ლგ-**წილხ**-ე „გაწურული“ : ქართ. **წნებ-წნობ**-, **წნებ**-ს/**წნობ**-ა, სა-**წნებ**-ელ-ი, **წნებ**-ი : ზან. (მეგრ.) **წგლობ**- || **წილობ**-, **წილობ**-უნ-ს „წურავს“, **წგლობ**-ირ-ი „გაწურული“, ო-**ჭენახ**-უ „საწნახელი“, ჭან. ო-**წილობ**-უ „წურვა“, ბ-**წილობ**-უფ „ვწურავ“, ო-**ჭინახ**-უ „წნება; საწნახელი“, ბ-**ჭინახ**-ი „დავწურე“), რის საფუძველზეც საერთოქართველური ფუძეების დონისათვის აღადგენენ ***წან-ებ**-/**წან-ობ** „წურვა, წნება“ არქექტიპს (იქვე:364).

აქვე შევნიშნავთ, რომ ზანურიდან სესხებისას ცვლილება განიცადეს აფიქსებმა, ძირი კი ფონეტიკურად უცვლელი სახით გადმოვიდა. გარდა ამისა, ქართველურ ფუძეთა რეკონსტრუირებისათვის გამოყენებული ზანური სიტყვა, როგორც არაერთგზის ითქვა, სესხების სახითაც უდასტურდება სვანურს.

30. **შინკა** (ლხმ.) < ზან. (მეგრ.) შინკა „ნესვი“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით (შდრ. ლაზ. შუკა „კიტრი“).

¹ ქართულიდან ნასესხები **ხეწი** „ხის ჭურჭლის ამოსათლელი იარაღი“ სვანურშიც დასტურდება (შდრ. სავ. სვან. **ჭირებ/ჭირბ** „სახარატო იარაღი“).

² შდრ. ზს., ლნტ. **ღეტერჩხ**, ლშხ. **ღეტორჩხ** „ბუდიანი, ქარქაშიანი“.

31. ლი-**ჩხტარ**-ე (ზს.) „სიმინდის ტაროების ერთმანეთზე ხახუნით გარჩევა, – გაცეხვა“, ლუ-**ჩხტარ**-ე „გარჩეული, გაცეხილი“, ლე-**ჩხტარ**-ე „გასარჩევი, გასაცეხი“... < ზან. (მეგრ.) **ჩხვარ**-უ-ა/**ჩხვერ**-უ-ა „ცეხვა, ღომის (ან სხვა რამის) ლეწვა“, ჩხვარილი „გაცეხილი“, ლაზ. ო-ნ-**ჩხვარ**-უ „ლეწვა, ცეხვა“, **ჩხვარ**-ელ-ი „დალეწილი, დაცეხილი“ და ა. შ. სიტყვებისაგან.

ჩხტარ- ძირი, რომელიც ფონეტიკურად უცვლელი სახითაა ზანურიდან (მეგრულ-ლაზურიდან) შეთვისებული, მხოლოდ ზემოსვანურ დიალექტებში დასტურდება და გაფორმებულია სვანური მორფოლოგიური ინვენტარით.

32. **ცხამუტია** (ბქ.)/**ცხამიტუ** (ჩზხ.)/**ცხამუიტ** (ლზმ.) „მოუსვენარი, ცელქი; ჩხუბისთავი...“ ერთი შეხედვით თითქოს < ზან. (მეგრ.) ცაცხამუტ-ი „მარჯვე“ (შდრ., ასევე, მეგრ. სი-ცხაცხამუტ-ე „სიმკვირცხლე, სიცქვიტე, სიმარდე; სიმა-მაცე, უშიშრობა“, მეგრ. ცხვანტ-ალ-ი „მოუსვენრობა“, ცხვანტ-ი „მატლი (ლე-შისა); ყველისა და ხორბლისა“...) ფორმისაგან.

ბალსქვემოური ფონეტიკური ვარიანტებიდან ერთ-ერთი (**ცხამუტია**) აშკარად ზანურ -**ია** სუფიქსს დაირთავს, რომელიც სვანურისათვის როგორც სუფიქსი უცხოა, თუმცა ჩვეულებრივია ქართულ-ზანურისათვის. სვანურში სხვადასხვა სახის ფონეტიკურ პროცესებს (*უმლაუტს, მეტათეზისს...*) აქვს ადგილი. ზანური ფორმები სტრუქტურულად რედუპლიცირებული ფორმების შთაბეჭდილებას ტოვებენ, სავარაუდოდ მეგრ. ცაცხამ-უტ-ი < *ცხა-ცხამ-უტ-ი < *ცხამ-ცხამ-უტ-ი, რასაც მხარს უჭერს სი-ცხაცხამუტ-ე ფორმის არსებობაც. სვან. (ლზმ.) **ცხამუიტ** < მეგრ. ცაცხამუტ-ი¹საგან რედუპლიცირებული ფუძის პირველი რედუპლიკანტის დაკარგვითა და სუფიქსისეული უ ხმოვნის უმლა-უტით. ჩზხ. **ცხამიტუ** მეტათეზისირებული სახეობა ჩანს ლზმ. **ცხამუიტ** ფორმისა, რაც შეეხება ბალსქვემოურ **ცხამ-უტ-ია**-ს, იგი, შესაძლოა, ისეთ ზანიზმად მივიჩნიოთ, რომელიც თანამედროვე ზანურში დაკარგულია, თუმცა შემორჩენილია სვანურში. -**ია** სუფიქსი, რომელიც სვანურისთვის არ არის დამახასიათებელი, დროთა განმავლობაში დაიკარგა სვანური ენის ზოგ კილოკავში. ჩუბეხური და ლახამულური ფორმები სწორედ **ცხამუტია** ფორმისაგან უნდა მომდინარეობდნენ სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით.

შენიშვნა: არ არის გამორიცხული, ზანური **ცაცხამუტ**-ი ფორმა ქართულ **სხარტ**- ძირთან იყოს კავშირში (საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს!).

33. **წირღუ** (ზს., ქს.) „წვივის ძვალი“; *გამოიყ. გამოთქმაში: წირღუი თუელი ლიკედ* (ლზმ.) „ჩაციება, ჩაძიება (ზედმიწ. – წვივი[ს] ტვინი[ს] [გამო]ღება)“ < ზან. (მეგრ.) წირღვი-ი „კანჭი; წვივი; არტალა; ბარკალი“ სიტყვისაგან ფონეტიკურად უცვლელი სახით (შდრ. ლაზ. წირღუ „საქონლის ერთგვარი დაავადება“).

34. **წოლ** (ჩზხ., ლზმ.) „ჭვარტლი, მური“ < ზან. (მეგრ.) წოლ-ა/ნ-წოლ-ა „ჭვარტლი, მური კვამლისა“, ლაზ. წოლ-ა/მ-წოლ-ა „ჭვარტლი, მური“ (შდრ. აგრეთვე მეგრ. ნ-წოლ-უ-ა „გაჭვარტლვა“...) ფორმისაგან. რაც შეეხება ჩზხ. და

ლხმ. წოლ-არს „ჭვარტლიანი, მურიანი“, იგი < მეგრ. წოლ-ამ-ი/წოლ-ერ-ი „ჭვარტლიანი, მურიანი“ სიტყვისაგან.

სვანური წოლ, რომელიც ჩუბეხეურსა და ლახამულურ კილოკავებში დასტურდება, შეთვისებული ჩანს მეგრულ-ლაზურიდან აუსლაუტისეული ხმოვნის მოკვეციით.¹

ამრიგად, დიდძალ საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზანურიდან (resp. მეგრულ-ლაზურიდან) სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში შეთვისებული ლექსიკური ერთეულები დასტურდება როგორც ფონეტიკურ-სემანტიკურად უცვლელი სახით (მაგ.: **აბანა, ატარ, განთხ, ზაკალ/ზზაკალ, კინკ, კობეშია/კობეშია, კუტიკუ/კუტიკუტ, შინკა, კოკობ, ნახტაწა...**), ასევე სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებითა (მაგ.: **ატარ, არდგილ/არგილ, ბრუჭ, ზუყტინ, განთხ/განთხ, გუნგულა, დგგრ, დუდშ ყუა/დუდშ ცუა, ზზაკალ, კინკოლ/კინკულ/კირკოლ, უერჩხ/უორჩხ, უეჭნახუ, ცხამუტია/ცხამიტუ/ცხამიტ...**) თუ სემანტიკური ნიუანსებით (სახეცვლილი მონაცემებით, მაგ.: **გნჩ[ი]-მნჩ[ი], დუდშ ყუა/დუდშ ცუა, ლეყტი...**). ნასესხებ ფუძეთა მეტი წილი „გასვანურებულია“, ანუ შეიცავს სვანური ენისათვის დამახასიათებელ მორფონოლოგიურ ინვენტარს: *პალატალურ, ველარულ* თუ *ლაბიალურ უმლაუტს* (მაგ.: **ატარ, არდგილ, ზზაკალ, განთხ, გუნგულა, დუდშ ყუა/დუდშ ცუა, ლაჯ; ზუყტინ, უერჩხ, უეჭნახუ, ცხამიტ...**), გრძელ ხმოვანს (მაგ.: **განთხ, კირკოლ...**), ანაპტიქსურ ელემენტს (მაგ.: **გნჩ[ი]-მნჩ[ი], დგგრ...**) და ა. შ. ამასთანავე, ზანურიდან შეთვისებულ ლექსიკურ ერთეულთა ერთ ნაწილში საკმაოდ ხელშესახებია შემდეგი ფონეტიკური პროცესები: ბგერათმონაცვლეობა (მაგ.: **კინკოლ/კინკულ...**), ბგერათა დაკარგვა (მაგ.: **არგილ...**), რედუქციის პროცესები მსუბუქ და მძიმე ბირთვებში (მაგ.: **გუნ-გულა-ა, გნჩ[ი]-მნჩ[ი], დგგრ, უეჭნახუ...**), მეტათეზისი (მაგ.: **ბრუჭ, ცხამიტუ...**) და სხვ. ხშირია ღია-მარცვლიან სტრუქტურათა დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის გზით აუსლაუტის გამარტივების შემთხვევებიც (მაგ.: **გუგუფ, თანაფ, კაზალ, კათ, კინკოლ/კინკულ, კორკოც, უერჩხ/უორჩხ, წოლ...**), რაც, როგორც ცნობილია, სვანური ენის დამახასიათებელი ტენდენციაა (აკ. შანიძე, ვ. თოფურია, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ს. ჟღენტი, ალ. ონიანი, ი. ჩანტლაძე...).

სწორედ სვანურში მოქმედმა ამ მრავალგვარმა ფონეტიკურმა პროცესებმა, რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე, საგრძნობლად შეცვალა სესხების გზით სვანურში შესული ლექსიკა, რამაც განაპირობა ამ ლექსიკურ ერთეულთა საკუთარ ყალიბში მოქცევა.

¹ საკითხზე მუშაობა გაგრძელდება!

ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

დადიანი 2009 ა – ე. დადიანი, მეგრულ-ჭანური სიტყვაფორმებისათვის სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით, ლინგვისტური ქართელოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. I, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, შრომები, ტ. III, თბილისი.

მარი 1911-14 – Н. Я. Марр, Яфетический элементы в языках Арменим. – Известия АН. I-VIII, Санкт-Петербург.

მარი 1916 – Н. Я. Марр, к истории передвижения Яфетический народов с юга на север Кавказа : ИАН, Санкт-Петербург.

საღლიანი 2005 – მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

საღლიანი 2006 – მ. საღლიანი, ზოგი საერთოქართველური ფუძის შესახებ, XXVI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

საღლიანი 2016 – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.

შენგელია 2012 – ვ. შენგელია, ლექსიკოლოგიური ძიებანი, ეტიმოლოგიური ძიებანი, IX, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ბ) ლექსიკონები

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი.

კლიმოვი 1964 – Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

მაყაშვილი 1991 – ზოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

MEDEA SAGHLIANI

**On the Phonetic-Phonological and Semantic Adaptation
of Zan Lexical Units in Svan Again**

S u m m a r y

The present work is a continuation of the study of phonetic-phonological and semantic transformations of several lexical units that came from Zan (resp. Megrelian-Laz) to the Svan dialects in different epochs and in different ways.

These lexical units, as the observation on the material has shown, are attested in Svan phonetically-semantically unchanged, as well as with different phonetic variants or semantic nuances (modified data). Some borrowed bases are "Svanized", i.e. they contain morphological inventory typical for the Svan language: palatal, velar or labial umlauts, long vowels, anaptyxis elements, etc. In addition, the following phonetic processes are quite apparent in one part of the lexical units borrowed from Zan: sound substitution, reduction processes in light and heavy nuclei, sound loss, metathesis, Auslaut simplification, and so on.

Naturally, the paper also focuses on the material that is lost in Zan, although it is preserved in Svan, mainly in the Lower Balian dialect, which indicates that the material is archaic and the borrowing is ancient. In our opinion, revealing any archaic form will allow Georgian or foreign comparativists to restore a number of archetypes.

თეა ტეტელოშვილი

კვლავ სადაურობის სახელთა წარმოებისათვის¹

ქართულში სადაურობის გამომხატველი სიტყვების საწარმოებლად **-ელ** და **-ურ (>-ულ)** სუფიქსები დაერთვის გეოგრაფიული სახელების სრულ (თუ სახელი უკუმშველი ან უკვეცელია) ან უსრულ (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია) ფუძეებს. მაგ., **ზორჯომ-ი – ზორჯომ-ელ-ი, ზორჯომ-ულ-ი; გონიო – გონიო-ელ-ი, გონიო-ურ-ი; ვაზისუბან-ი – ვაზისუბნ-ელ-ი, ვაზისუბნ-ურ-ი; მცხეთა – მცხეთ-ელ-ი, მცხეთ-ურ-ი**. ეს წესი ზოგადაა, თუმცა გვაქვს ისეთი სიტყვებიც, რომლებიც სადაურობას / წარმომავლობას გამოხატავენ მაწარმოებელთა გარეშე. ასეთებია: **თურქი, რუსი, ბერძენი, ფრანგი, აფხაზი, ოსი, სომეხი** და სხვ. ჩამოთვლილი ერთეულები სემანტიკურად წარმომავლობასთან ერთად ეთნიკურ კუთვნილებასაც აღნიშნავენ.

თანამედროვე ქართულში ზოგი ამ სიტყვისათვის შეინიშნება ტენდენცია წარმომავლობის გამოსახატავად აფიქსიანი ვარიანტების გამოყენებისა. ამგვარად გვაქვს ერთი მხრივ: **თურქი, რუსი, ფრანგი, აფხაზი, ოსი, სომეხი** და სხვ., მეორე მხრივ: **თურქეთელი, რუსეთელი, საფრანგეთელი, აფხაზეთელი, ოსეთელი, სომხეთელი...** ამას გარდა, კორპუსული მასალის ანალიზისას გამოვლინდა **-ურ** აფიქსიანი ისეთი ფორმებიც, როგორებიცაა: **თურქეთული, რუსეთული, აფხაზეთური** და **ოსეთური**. იხ. მაგალითები:²

თურქეთელი

თურქეთელი ბერძნები დადიოდნენ სოფელ-სოფელ.

არიან **თურქეთელი** ქართველები, ირანელი ქართველები.

მელაშვილი **თურქეთელი** ქართველების ილია ჭავჭავაძე იყო.

მაგრამ მაინც უნდა შევნიშნო, **თურქეთელი** ჩვენებურები (გლეხები, მუშები თუ ინტელიგენტ-მოსამსახურეები) საბჭოთა ჩვენებურებს უბრალოდ შინაგანი თავისუფლებით თითქოს შესამჩნევად ჯობნიდნენ.

ფესტივალის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ქართველი და თურქი მეცნიერები **თურქეთელი** ქართველების ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარების გზებზე მსჯელობენ.

¹ წაკითხულია მოხსენებად თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 78-ე სამეცნიერო სესიაზე (2019 წლის 24-26 დეკემბერი).

² მაგალითები დამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (<http://gnc.gov.ge/gnc/concordance>) და მათში დაცულია ავტორთა ენა და სტილი.

თურქეთული

გუშინ **თურქეთული** ვოიაჟით კმაყოფილმა ქალაქის მერმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა... სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს.

ამ სტუმრობას ყოველ ჯერზე საქმიანი ხასიათი ჰქონდა, რამაც კომპანიის წარმატებათა ნუსხას „**თურქეთული** აღიარებაც“ მოუტანა.

რუსეთელი

ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ბრწყინვალე გამარჯვებამ **რუსეთელი** მარატ საფინი წლევეანდელი შედეგების მიხედვით პროფესიონალ ჩოგბურთელ ვაჟთა მსოფლიო რეიტინგის სათავეში მოაქცია.

ამავე პერიოდში **რუსეთელი** ტურისტების რაოდენობა 25 პროცენტით შემცირდა.

... ის 1915 წელს დაიბადა კანადის ქალაქ ლაშენში, **რუსეთელი** ებრაელი იმიგრანტების ოჯახში.

ქალთა შორის კი 78 კილოგრამზე ზევით კატეგორიაში პირველია **რუსეთელი** ქართველი – თეა დონღუზაშვილი.

ეს კაცი, ყოფილი **რუსეთელი** ებრაელი, იყო საქართველოს დიდი პატრიოტი და პატივისმცემელი, ჩვენს ქვეყანაში არაერთხელ ნამყოფი.

რუსეთული

რუსეთული „ლიტერატურნაია გაზეტასა“ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივ პროექტს „მეცნიერული გარემო“ ეწოდება.

გთავაზობთ **რუსეთული** „ტრუდ-ის“ ახალ კორესპონდენციას ამავე თემაზე.

ხელოვნების ფესტივალმა „ბლის ტყემ“ მიწურულში მოაწყო მთელ მსოფლიოში გახმაურებული ოლივერ ჰირშბიგელის გერმანული ფილმის „ბუნკერის“ **რუსეთული** პრემიერა.

თავად გამოიყენეს ეს **რუსეთული** კომპანია საკუთარი ანგარებითი მიზნებისთვის!

რუსეთული სურათები ხსენებული კატეგორიით 13-ჯერ შედიოდნენ ნომინანტთა რიცხვში.

აფხაზეთელი

... ომის დროს თბილისში ბევრი **აფხაზეთელი** ახალგაზრდა იმყოფებოდა, უმთავრესად სტუდენტები.

ბატონმა შოთა მისაბიშვილმა აღფრთოვანება ვერ დამალა... იმ ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენს საქართველოს ხელისუფლება და მეცნიერებათა აკადემია დევნილი **აფხაზეთელი** მეცნიერების მიმართ.

ცნობილი **აფხაზეთელი** მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სერგი საჯაიას მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი „შეგინებულ სარეცელთა ბოდმა“ ორიოდე თვის წინათ მიიღო მკითხველმა.

გულის სიღრმიდან მჯერა, რომ ამ კუთხის ტკივილს ისე ვერავინ გაითავისებს, როგორც **აფხაზეთელი**.

შესაძლოა, სოციალური ქსელის საშუალებით, პირდაპირ ეთერში **აფხაზეთელი** საზოგადოება 12 მაისს გულისფანცქალით ელოდებოდეს.

აფხაზეთური

აქვე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყურადღება მოვუდუნოთ რუსეთის ისეთ ვერაგობას, როგორიცაა **აფხაზეთური** რეჟიმის პირობებში მინგრელცური სეპარატიზმის გაღვივება და მისი გახვევა დემოკრატიის ზეწარში.

ისინი თავის დროზე **აფხაზეთური** „აიდგილარას“ რიგებში თვითმარქვიად ახმოვანებდნენ, ვითომცდა, ბერძნულ თემს.

ოსეთელი

ცხინვალში სურთ, რომ რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტზე სამხრეთ **ოსეთელი** ჩინოვნიკი დანიშნონ.

მოეწესრიგებინა ისე, რომ გარანტირებული ყოფილიყო საქართველოს და აგრეთვე ჩვენი აფხაზი და **ოსეთელი** თანამოქალაქეების მთლიანობა.

საჭიროა არაფორმალური „მრგვალი მაგიდების“ მოწყობა, „გონებრივი შტურმი“ არა მარტო რუსი და ქართველი, არამედ აფხაზი და სამხრეთ **ოსეთელი** ექსპერტების მონაწილეობით.

ომმა დაამახინჯა ბევრი ქართული სოფელი: ჯერ მათზე გადაიარეს რუსეთის ტანკებმა, შემდეგ გადაუარეს სამხრეთ **ოსეთელმა** მაროდიორებმა და გასამხედროებულმა რაზმებმა.

ძალიან გვინდა, რომ ქართველმა მეგობრებმა და პარტნიორებმა ისეთი გადაწყვეტა გამოძებნონ თავის სამხრეთ **ოსეთელ** ძმებთან ერთად, რომ მხარეებს შორის დამაბულობა აღარ წარმოიშვას.

ოსეთური

ვითარება ქართულ-სამხრეთ **ოსეთური** კონფლიქტის ზონაში გასულ კვირას მნიშვნელოვნად გამწვავდა.

რუსეთელი და **ოსეთური** ძალები **რუსეთულ** თვითმფრინავებს თურმე საქართველოსად აღიქვამდნენ.

საფრანგეთელი

მეო, **საფრანგეთელი** ქართველი ვარ, აქ, გაეროში ვმუშაობო.

სომხეთელი

წარმოშობით სალადინი **სომხეთელი** ქურთი იყო.

თუ ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალის მიხედვით დავუკვირდებით სიტყვა **თურქეთელის** გამოყენებას, აღმოჩნდება, რომ **თურქეთელი**

თურქეთის მკვიდრს, ამ ქვეყნიდან წარმოშობილს ნიშნავს, ოღონდ არა ეთნიკურად თურქს. ამ სიტყვის გამოყენებით, თითქოს, მთქმელი ცდილობს ერთმანეთისგან გამიჯნოს ეთნიკურობა და წარმომავლობა. ამ მხრივ საინტერესოა ბოლო მაგალითი, რომელშიც ორივე სიტყვა – **თურქიც** და **თურქეთელიც** – გვხვდება განსხვავებული მნიშვნელობით: ფესტივალის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ქართველი და თურქი მეცნიერები **თურქეთელი** ქართველების ეთნიკური იდენტობის გადარჩენისა და განვითარების გზებზე მსჯელობენ.

მსგავსი მნიშვნელობითაა **რუსეთელი**, **საფრანგეთელი**, **აფხაზეთელი**, **ოსეთელი** და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი სიტყვები უმთავრესად მსაზღვრელებია, განსხვავებით **თურქი**, **რუსი**, **ფრანგი**, **აფხაზი**, **ოსი** და სხვ. სიტყვებისა, რომლებიც არცთუ იშვიათად სუბსტანტივებადაც გვხვდებიან. ამას გარდა, თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითებში სადაურობის მაწარმოებლიან სიტყვებს ეთნიკურობის გამომხატველი ერთეულებით ჩავანაცვლებთ (**თურქეთელი** – **თურქი**, **რუსეთელი** – **რუსი**), სადავო ხდება სემანტიკის შენარჩუნების საკითხი. ზოგ მაგალითში ამგვარი ჩანაცვლება შეუძლებელიც კია იმდენად ირღვევა წინადადების შინაარსი.

მაგალითები:

ცხინვალში სურთ, რომ რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პოსტზე სამხრეთ **ოსეთელი** ჩინოვნიკი დანიშნონ.

ძალიან გვინდა, რომ ქართველმა მეგობრებმა და პარტნიორებმა ისეთი გადაწყვეტა გამოძებნონ თავის სამხრეთ **ოსეთელ** ძმებთან ერთად, რომ მხარეებს შორის დამაბულობა აღარ წარმოიშვას.

მელაშვილი **თურქეთელი** ქართველების ილია ჭავჭავაძე იყო.

ანალოგიური ვითარება იქმნება **-ურ** მაწარმოებლიან სახელებთან. მაგალითად,

გუშინ **თურქეთული** ვოიაჟით კმაყოფილმა ქალაქის მერმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა... სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს.

ვერ ვიტყვით **თურქული** ვოიაჟით, რადგან ვოიაჟი **თურქეთს** უკავშირდება.

ამ სტუმრობას ყოველ ჯერზე საქმიანი ხასიათი ჰქონდა, რამაც კომპანიის წარმატებათა ნუსხას „**თურქეთული** აღიარება“ მოუტანა.

ვერ ვიტყვით **თურქული** აღიარება, რადგან საუბარია **თურქეთში** მიღწეულ წარმატებაზე.

ამგვარი ფორმები სადაურობას ორმაგად გამოხატავენ, პირველად სემანტიკურად, მეორედ – დერივაციით:

თურქი → თურქ-ეთ-ი → თურქ-ეთ-ელ-ი

ოსი → ოს-ეთ-ი → ოს-ეთ-ელ-ი

რუსი → რუს-ეთ-ი → რუს-ეთ-ელ-ი...

წესით, ამგვარი ორმაგი გამოხატვა სემანტიკურ-ნიუანსობრივი განსხვავების არარსებობისას უმართებულოდ უნდა მიიჩნეოდეს. მაგალითად, თანამდროვე ქართულში ერთმანეთის პარალელურად არსებულ სადაურობის გამოხატველ **-ეთ** და **-ის** სუფიქსის შენარჩუნებითა და მათ გარეშე ნაწარმოებ ფორმებს ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა გამოყენების სფერო აქვთ. ასეთებია ენობრივი ტრადიციის გავლენით ჯერ კიდევ მოქმედი: **დუშელი, ბოლნელი, ბოლნური, თიანელი, თიანური, ურბნელი, ურბნული, წავკელი, წავკური...** ისეთი ფორმების გვერდით, როგორებიცაა: **დუშეთელი, ბოლნისელი, ბოლნისური, თიანეთელი, თიანეთური, ურბნისელი, ურბნისული, წავკისელი, წავკისური** და სხვ. ამათგან საეკლესიო ტიტულატურაში ძირითადად **-ეთ** // **-ის** აფიქსის გარეშე მიღებული ფორმები გვხვდება: მროველ-**ურბნელი** მიტროპოლიტი, **მანგლელი** მიტროპოლიტი, **ბოლნელი** მთავარეპისკოპოსი, **ქუთათელი**-გაენათელი მიტროპოლიტი და სხვ.

სხვა მხრივ სადაურობის სახელთა დერივაციისათვის ენობრივი ტრადიცია მხარს უჭერს **-ეთ** და **-ის** აფიქსების შემანარჩუნებელ მოდელს. სწორედ ამ მოდელმა შეუწყო ხელი ჰორიზონტის მხარეების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან სადაურობის სახელთა მიღებისას სრული ვარიანტის გაჩენას და დღეს **სამხრეთელი** და **სამხრეთული** აქამდე ნორმატიულად მიჩნეულ **სამხრელსა** და **სამხრულს** რამდენიმეჯერ აჭარბებს კიდევ გამოყენების სიხშირით. უფრო მეტიც, **სამხრელი** თითქმის არ გვხვდება, ხოლო **სამხრულს** დასამკვიდრებლად, ჩვენი აზრით, მისი ნორმატიულობის გათვალისწინებით ლინგვისტურმა ლიტერატურამ გაუხსნა გზა. ამას გვაფიქრებინებს ინტერნეტში შესრულებული მოძიებები მასალა: **სამხრული** დიალექტი, **სამხრული** კილო, **სამხრული** ჯგუფი (ენებისა), **სამხრული** მეტყველება, **სამხრული** ფერდობი, **სამხრული** ზაფხული...

თუ მივიჩნევთ, რომ სადაურობის გამოხატველ ფორმათაგან აფიქსშენარჩუნებულისა და მის გარეშე მიღებული სიტყვების პარალელურად გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სემანტიკური სხვაობის დროს, დაისმის კითხვა, შეცდომად უნდა ჩაითვალოს თუ არა თანამედროვე ქართულში ახალგაჩენილი ზემოთ დასახელებული ისეთი ფორმები, როგორებიცაა: **თურქეთელი, თურქეთული, ოსეთელი, ოსეთური, რუსეთელი, რუსეთული** და ა. შ., როდესაც მათ სწორედაც რომ მნიშვნელობისმხრივი განსხვავება აქვთ **თურქ, თურქულ, ოს, ოსურ, რუს, რუსულ** ფორმებთან მიმართებით.

წარმოების მხრივ ამგვარი ორმაგი გამოხატვა სადაურობისა ენისათვის უცხო არ უნდა იყოს, ამას ადასტურებს ერთმანეთის გვერდით არსებული კლარჯი, კლარჯელი და კლარჯეთელი; შავში, შავშელი, შავშეთელი... ამათ გვერდით დადგება კახეთელი... რა თქმა უნდა, დღეს სწორ ფორმადაა მიჩნეული **კახელი**, რომელიც შეესაბამება **კახეთს**, როგორც სადაურობის გამოხატველი სიტყვა, თუმცა აღსანიშნავია, რომ გვაქვს გვარი **კახეთელიძე**, სავარაუდოდ **კახეთელიდან** მიღებული.

ზემოთქმულის თანახმად, ისეთი ორმაგი წარმოება, როგორც **თურქეთელი, რუსეთელი** და სხვა ფორმებში გვაქვს, ენისთვის უცხო არაა... ლ. ლეჟავა სადაურობის სახელთა მიღებაზე საუბრისას ამგვარი ფორმების შესახებ შენიშნავს, რომ „XIX საუკუნეში უკვე ასეთი წარმოება (გულისხმობს -ეთ სუფიქსის შენარჩუნებით სადაურობის სახელთა მიღებას) ბატონდება და ეს ტენდენცია ისე გაძლიერდა, რომ -ეთ სუფუქსდართული ფორმები ზოგჯერ გვხვდება იქ, სადაც მოსალოდნელი არ იყო: მაგ., ი. გოგებაშვილი ხმარობს ფორმას **რუსეთელი**, ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში გვხვდება ფორმები: **უცხოეთელი, ჩინეთური...**“ (ბიულეტენი 1-2, 1985: 28). ჩვენი აზრით, ამგვარ ფორმათა გაჩენა ენის შინაგანი პოტენციით შეპირობებული უნდა ყოფილიყო და არის ამჟამად. წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი ყალიბით ახალი სიტყვები დღეს აღარ შეიქმნებოდა.

ამრიგად, წარმოების მოდელი უცხო არაა. ახლა შევხვით მნიშვნელობას.

როდესაც საუბარი ადამიანთა სადაურობას ეხება და წარმომავლობის აღმნიშვნელი პარალელური ფორმებიდან ერთი (ამ შემთხვევაში **თურქი, აფხაზი, ოსი...**) წარმომავლობის გარდა, ეთნიკურობასაც გამოხატავს, ბუნებრივია, ორივე ვარიანტის დასაშვებად მიჩნევის საკითხი ლეგიტიმურობას იძენს, რამდენადაც ამ შემთხვევაში ექსტრალინგვისტური, სოციოლინგვისტური ასპექტები წინა პლანზე გადმოდის და უდიდეს როლს თამაშობს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მსოფლიო მიგრაციულმა პროცესებმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა წარმომავლობის გამოხატვის ისეთი მოდელების თანაარსებობა, როდესაც ერთი ოდენ სადაურობას (წარმომავლობას) აღნიშნავს, მეორე კი ეთნიკურ კუთვნილებასაც უსვამს ხაზს.

როდესაც **-ურ // -ულ** მაწარმოებლიანი ფორმები მიიღება როგორც **-ეთ** ის შენარჩუნებით, ისე მის გარეშე, **-ეთ** აფიქსიანი აუცილებლად ქვეყანას უნდა მიემართებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენების არამართებულობასთან გვექნება საქმე. შდრ:

თურქული მოგზაურობა და **თურქეთელი** მოგზაურობა...

ჩრდილოეთ **ოსეთური** პოლიტიკა და ჩრდილოეთ **ოსური** პოლიტიკა...

და სხვა მრავალი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **თურქეთელი, თურქეთელი, აფხაზეთელი, აფხაზეთური** და მსგავსი ვარიანტები სემანტიკური თავისებურებების გათვალისწინებით უგულებელსაყოფი არ უნდა ჩანდეს.

ლიტერატურა

ბიულეტენი 1985 – თანამედროვე ქართული ენის ნორმები, ბიულეტენი 1-2, თბილისი.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი – <http://gnc.gov.ge/gnc/concordance>

TEA TETELOSHVILI

On the Formation of Words Expressing Origin Again

S u m m a r y

The words expressing origin in Georgian are, as a rule, formed by attaching the suffixes **-el** and **-ur** (>**-ul**) to the bases of geographical names. This rule is general, but we also have words that express parentage/origin even without formatives, e.g. **turki** “Turkish”, **rusi** “Russian”, **berzeni** “Greek”, **prangi** “French”, **apxazi** “Abkhazian”, **osi** “Ossetian”, **somexi** “Armenian”, etc. The listed units semantically indicate ethnicity as well as origin. There is a tendency in modern Georgian to use the suffixed variants to express the origin with such words. Thus we have, on the one hand, **turki**, **rusi**, **prangi**, **apxazi**, **osi**, **somexi**, etc. and on the other hand, **turketeli**, **ruseteli**, **saprangeteli**, **apxazeteli**, **oseteli**, **somxeteli**, etc. In addition, as a result of analyzing the corpus material, we have revealed such forms with the affix **-ur** as **turketuli**, **rusetuli**, **apxazeturi** and **oseturi**.

Studying the material has shown that the affixed and non-affixed units expressing origin differ from each other semantically. For example, **turketeli** means a resident of Turkey, a person having the origin of this country. By using this word, the speaker tries to separate ethnicity and origin. It is very interesting that in the following example both words – **turki** and **turketeli** have different meanings: *peşivalis daçgebamde cnobili gaxda, rom kartveli da turki mecnierebi turketeli kartvelebis etnikuri identობის gadarჩენისა და განვითარების გზებზე მსჯელობენ*. “Before the festival, it became known that Georgian and Turkish scholars are discussing ways to preserve and develop the ethnic identity of Turkish-Georgians”. It is also noteworthy that the global migration processes have made the coexistence of models expressing origin especially relevant, when one indicates to parentage and the other emphasizes ethnicity.

The same can be said about **ruseteli**, **saprangeteli**, **apxazeteli**, **oseteli**. Such forms express origin in two ways, emantically and by derivation: **turki** → **turk-et-i** → **turk-et-el-i**, **osi** → **os-et-i** → **os-et-el-i**, **rusi** → **rus-et-i** → **rus-et-el-i**.

Such a double expression should not be considered incorrect in the presence of a semantic-nuanced difference. For example, in modern Georgian, the forms with or without the suffixes of origin **-et** and **-is** often have different fields of usage. For

example, in the ecclesiastical hierarchy, the forms without the affixes are found, e.g. mrovel-**urbneli** miṭropoliṭi, **mangleli** miṭropoliṭi, **bolneli** mtavarepiṣkoposi, **kutatel-gaenateli** miṭropoliṭi, etc.

In addition, the double formation that we have in **turketelṣi**, **rusetelṣi** and other forms is common for the language (cf., ḳlarṣi, ḳlarṣeli and ḳlarṣeteli; ṣavṣi, ṣavṣeli, ṣavṣeteli).

As for the words with the formatives **-ur** // **-ul** that are formed by adding these formatives to the units affixed with **-et**, they must be related to the country, otherwise we will deal with an incorrect use. Cf., **turkuli** mogzauroba and **turketuli** mogzauroba... ḳrdiloet **oseturi** poliṭiḳa and ḳrdiloet **osuri** poliṭiḳa, etc.

Based on the above-mentioned, **turketeli**, **turketuli**, **apxazeteli**, **apxazeturi** and similar variants should not be ignored considering their semantic features.

როსტომ ფარეულიძე

**მეცხვარეობის ლექსიკა ჩეჩნური ენის
ქისტურ დიალექტში¹**

პირველ პარსვამდე ცხვარი არის ჩუხ/ჩუხის დ „ბატკანი“ (მრ. ჩუხამ// ჩუხამ დ). პარსვის შემდეგ მას შარ ბ „თოხლი“ (მრ. ახარა//რხორა დ) ჰქვია; იტყვიან ხოლმე: ლერგინ შარ „გაპარსულ თოხლსაც“.

ერთი წლის დედალი არის წინ დ (მრ. წინოა დ), მამალი – თუო დ (მრ. თუარჩიამ//თაარჩიამ დ). ორი წლის ასაკის დედალი არის უსთხ//უსთხ ბ (მრ. უსთხამ//უსთხამ//უსთხიმ დ), მამალი – ხამ თუო დ, არაკატორიებული ყოჩი არის ურპ ბ//ურპ თუო დ (მრ. რარპომ, რარპიმ დ//ურპ თუარჩიამ დ).

ცხვრის ასაკს ადგენენ კბილებით. ზოგი კბილი გვიან ამოდის, ზედა ყბის წინა მხარეს ცხვარს კბილები არ ამოსდის, აქვს მხოლოდ საღეჭი კბილები. ექვსი-შვიდი წლის ასაკში კბილები ცვდება.

შემოდგომობით ცხვარს შირვანში (შირჟონ „შირვანი“) ერეკებოდნენ, იქ აზამთრებდნენ, გაზაფხულზე უკან ბრუნდებოდნენ.

ცხვრის ფარას ჰყავს უფროსი, რომელსაც ბრიგადელ ვ „ბრიგადირი“ ჰქვია. ბრიგადირს აბარია მთლიანად ცხვრის ფარა: ჯე მუათთ ბ „ცხვრის ფარა“.

ბინაში ყველის დამზადების საქმე აბარია სარქალს (სარქალ ვ „სარქალი“, მრ. სარქალ-ამ//-იმ ბ). ბინას მეთვალყურეობს უფროსი, დანარჩენები მწყემსები უამ ბ (მხ. უ ვ) არიან: ჯე უ ნიშნავს „ცხვრის მწყემსს“ (< ჯე „ცხვარი“ + უ „მწყემსი“; შდრ., ხეე უ „საქონლის მწყემსი“).

ცხვრის წინამძღოლი არის ზუაგ ი „ვაცი“, ვაცის გარეშე ცხვარი ადგილიდან მნელად იძვრის, ირევთან, იფანტებთან და მათი თავმოყრა ჭირს. ზოგჯერ ცხვარი ერთი ფარიდან მეორეზე გადაჰყავთ, დაფანტვისას აქუჩებენ, სიცხეში თვითონაც ქუჩდებიან, დანაყრებულები დასასვენებლად წვებიან.

მთაში ყოჩები ცალკე დგანან. სასურველია, რომ ბატკანი უფრო ზემოთ იყოს, წყალთან ახლოს, ბალახი მაღალი არ უნდა იყოს. თოხლისთვის ადგილს მნიშვნელობა არა აქვს.

დედაცხვარს ბინა ტყის სიახლოვეს აქვს. ტყეში ბალახობისას ცხვარი მეტ რძეს იძლევა.

¹ მასალა ჩაწერილია პანკისის ხეობის სოფლებში 1978 წელს.

პანკისის მთებში ცხვრის საზაფხულო საძოვრებია: **ჭიქაურჭო** „ჭიქაურ-რი“, **ძჭორაკამ ნაყდარჭო** „ძორახას ნაბინავარი“, **თიამფს-ამ//ემ//ი ნაყდარჭო** „თეფსას ნაბინავარი“, **ნაქიერალჭო** „ნაქერალი“, **განამ ნაყდარჭო** „განას ნაბინავარი“, **ფურთკრალჭო** „ფურთა კალო“, **დიყიენჭო** „დიყიანი“, **ქჭაჩქიდილჭო** „ქოჩადალა“ (< ქვა ჩადალი), ცხვრის საძოვრები არის ალაზნის სათავეებთანაც.

ფარას მოწყვეტილ ცხვარს ჰქვია **ნჭატ ი** „ნოტო“, ნოტოში შეიძლება ათი ან მეტი სული იგულისხმებოდეს. ცხვარს მეთვაცურეობს **ჯე 'უ ვ**. საძოვარზე ცხვრის გარეკვისას მწყემსი ზოგჯერ ბინას – **ნაყდარ(-ჭო) ი** „ბინა“ – სხვაგანაც იღებს ხოლმე. მისი ბინა იქ არის, სადაც ბარგს – **ბარგ ი** „ბარგი“ – ინახავს და ღამით ცხვარს აჩერებს. ბარგს ემახიან ნაბადსაც, თუნდაც მეტი არაფერი ჰქონდეს (**ვერთ ი** „ნაბადი“, მრ. **ვართანჩი ი**).

შემოდგომიდან ცხვარი ღია ცის ქვეშ დგას. ზამთარს შირვანში ატარებენ, იქ თოვლი იშვიათად იცის, დოლის დაწყებისას – **დჭალ დჭოლდეღ** „დოლის დაწყებისას“ – ცხვარს ბაკში ერეკებიან. მწყემსი ღამით თეოზე – **თეო ი** „თეოზე“ – არის: **დჭალ დ** „დოლი“, **დჭოლ დ-ჭოლ-დ-ალ(ა)** „დოლის დაწყება“, **დჭოლდეღ** „დაწყებისას, როცა//რომ [და]იწყება“ (ნამყოს საგარემოებო ფორმა).

დათვლისას ცხვარს აგროვებენ, ვაცებს – **ბოგლომ/ზოგოლი ი** „ვაცები“, მხ. რ. **ბჭაგ/ბჭოგ ი** – ცხვრის წინ გარეკავენ და დამრულ ცხვარს ერთი თვლის, მეორე ყოველ ოცს ჯოხზე დანით ნიშანს, ჰედეს აკეთებს: **ჭედ ი** „ჭდე“, მრ. **ჭედენემ/ჭედენიმ ი**).

შემოდგომაზე ყოჩები ფარაში გადაჰყავთ, ხდება ცხვრის დანერბვა, შეჯვარება – **ფხარ-დ-ა**. ამის შემდეგ ყოჩებს თოხლებში ამყოფებენ ცხვრის მთაში გარეკვამდე.

ცხვარი მაკეობს ცხრამეტი კვირა, თხა – ოცდაერთი, მერე იწყება **დჭალ დ** „დოლი“. დედა ცხვარი არის **ჭსთხ ბ**, ბერწი – **ჰარ ჭსთხ** „ბერწი ცხვარი“. ბერწი ცხვრის ხორცი გემრიელიაო, იტყვიან.

ზოგი ცხვარს ტყეში აზამთრებს, ტყეში აშენებენ სპეციალურ სადგომს, ფარებს (**ფარახ ბ** „ფარეხი“, მრ. **ფარახ-ამ//-იმ დ**). ფარეხი გადახურულია, სხვადასხვა ფართისა. დღისით ცხვარი საბალახოდ გაჰყავთ, ბატკანი ფარეხში რჩება, დედა ცხვარი და ბატკანი მთაში გარეკვამდე ერთადაა.

მთაში მეწველ ცხვარს (**ხათთარ ბ** „მეწველი“, მრ. **დხათთარ-ამ//-იმ დ**), ბინაზე ტოვებენ, ზაფხულის განმავლობაში ბატკანი, როგორც ზემოთაც ითქვა, ბინიდან მოშორებით ცალკე გაჰყავთ. მებატკნის სადგომსაც ბინა – **ნაყდარ ი** – ჰქვია.

ცხვრის მიტოვებულ სადგომს, ბინას, **ჯე ლეთთინაჩ** „ცხვრის ნაბინავარი“ (ზედმიწვევით: ცხვარი სადაც იდგა//ცხვრის ნადგომი) ჰქვია.

ჯე ყიბახქ „ცხვარი ფრთხება“, **ჰჭა დოლ(ჭ)** „ველურდება კიდეც“.

ცხვარს სერს ადებენ (**ჭჭასთ დ** „სერი“, **ჭჭასთ დ-ა** „დასერვა“).

სერი შეძლება იყოს: **ფხერ ჭედ, კოდუნ დუჰა, ტაჰიეჰ ჰაჰნ, ჰალხაშე ჭედ, ში' დუჰა დ'ადეჰკინ, ტაჰიეჰე ჯალ; დოატყონ, ჰალხაშე-ტაჰიეჰე ჭედ...** ამ სიტყვათა ქართული შესატყვისები დასადგენია.

სხვა ფარაში გადაყვანისას, ადვილად გამოსაცნობად, ცხვარს ზურგს უღებავენ – **ხასთარ ჰაჰა** „საღებავის წასმა“, „შედება“.

ცხვარი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის: **კეი** „თეთრი“, **ჯრჯ** „შავი“, **წიე** „წითელი“, **მრაც/მრც** „მუქი“, **ბ'არგ** **ჯრჯ** „თვალშავი“, **ბ'არგ წიე** „თვალწითელი“, **ღერგიშ წიე** „ყურებწითელი“, **კეინ-ჯრჯინ** „თეთრ-შავი“...

ცხვრის დაავადებებია: **ფეხქიშ ზოხქხალარ** „ფილტვების დაღობა“, **ეი-ზოლ** „თურქული“, ზოგჯერ პირზე მეჭეჭები უჩნდებათ და ბალახს ვერ ძოვენ.

გაზაფხულზე ცხვარი თავის დროზე თუ არ გაიპარსა, **ქან ზოლ(ჟ)** „მატყელი სძვრება“, რასაც **ყუთურ ლამარ** „ყუთურ“ (?) დაავადება იწვევს. ეს არის კანის (ტყავის) დაავადება, ცხვარი ბალახს კარგავს. სისხლის მოწოლის შემთხვევაში მის გამოსადენად ცხვარს თვალის ქვემოთ ძარღვს უჭრიან და ყურებს უქაჩავენ.

ნესტიან, ჭაობიან ადგილზე ბალახობისას ცხვარს **პიჰჰალ დ** „პეპელა“ უჩნდება“. პეპელა თუ გაუჯდა, ცხოველი კვდება, მას მკურნალობა შველის.

მთებში, საზაფხულო საზოვრებზე, ფერდობებზე ზოგან აგებენ **კოროხო**-ებს (**კოროხო ე**, მრ. **კოროხოშ ე**). კოროხო ქვისგან ნაშენები მეტრი, მეტრნახევარი სიმაღლის სვეტია, ნისლიან ამინდში კოროხოები შველიან მწყემსებს ბინისკენ გზის გაგნებაში. კოროხო, სავარაუდოდ, ქართულ კორტოხს უნდა უკავშირდებოდეს¹.

ROSTOM PAREULIDZE

Vocabulary Related to Sheep Farming in the Kist Dialect of the Chechen Language

S u m m a r y

Sheep farming played an important role in the existence of the Pankisi Kists, which was mainly related to the agricultural activities of the collective farms or the Soviet farm of that time (all the villages of Pankisi were united in one Soviet farm). Due to the lack of winter pastures for individual herders, sheep farming is not currently practiced in Pankisi.

Most of the terms related to sheep farming in the Kist dialect are common to the Chechen literary language. The difference in vocabulary is mainly related to phonetics or the formation of the plural form.

New lexical units have also been identified that do not appear in the bilingual or dialectal field dictionaries of the Chechen literary language: *çin* “one year old ewe”; *xam two* “one year old ram”; An uncastrated ram of the same age is called *ēr* (cf. the Chechen literary language: *ēr* “hunting dog”).

There are a lot of words borrowed from Georgian or other languages through Georgian, e.g. *sārkal* “a chief of herders”, *dwal* “time to deliver lambs”, *nwaŋ* “the first lamb”.

The work contains a vocabulary of sheep breed, color, diseases, names of summer sheep pastures in Pankisi – toponyms.

მედეა ლლონტი

ძვ.ქართ. „გული გონიერის“ ქართულენობრივი არჩევანი
(რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის)

„სადაც არ არის გონება ან განაზრება,
იქ შეუძლებელია იყოს თავისუფლება“

წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი

„გული, ცნობა და გონება –
ერთმანეთზედა ჰკიდებიან“

შოთა რუსთაველი

❖ საკითხის დასმა:

„და აჰა, ვყავ მსგავსად სიტყვსა შენისა და მიგცე შენ **გული გონიერი** და ბრძენი, და შენებრ წინანდელთაგანი არავინ ყოფილ არს და შემდგომად შენსა არავინ აღდგეს მსგავს შენსა“ (3 მეფეთა 3, 12).

ესოდენ დიდებული პატივი – „**გული გონიერი**“ – გაბაონის წმინდა მთაზე მყოფ ისრაელის მეფედ ახლად ნაკურთხ ჭაბუკ სოლომონ ბრძენს იმ სავედრე-ბელი თხოვნის სანაცვლოდ მიემადლა, რომელიც მან უფალი ღმერთის წინაშე საკვირველი კეთილგონიერებითა და საზრიანობით გამოთქვა: „და მიეც მონასა შენსა **გული გულისხმის-ყოფისა** სმენად და შჯად ერისა შენისა სიმართლი-თა, **გულისხმის-ყოფა** კეთილისა და ბოროტისა“ (იხ.: 3 მეფეთა 3, 1-15).

რწმენისა და ცოდნის გაერთიანების საუკუნოვანი პრინციპის მომარჯვე-ბითა და ეკლესიის წმიდა მამათა კატეხიზისურ, დოგმატურ-ეგზეგეტიკურ თარგმანებაზე დაყრდნობით, სარწმუნოდ წარმოჩნდება ძვ.ქართ. **გული გონიერის** შესიტყვება-ტერმინად ჩამოყალიბების კონკრეტული შემაპირობებელი რო-გორც ფუნქციურ-სემანტიკური, ისე საღვთისმეტყველო მოტივები, კერძოდ:

ა) ძვ.ქართ. შესიტყვება **გული გონიერის** ქართულენობრივი არჩევანი და მის შემადგენელ კომპონენტთა („**გული**“, „**გონიერი**“) ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთმიმართება;

ბ) წმიდა წერილში უაღრესად საგულისხმოდ აღბეჭდილი ძვ.ქართ. ქრისტიანული შესიტყვება-ტერმინ **გული გონიერის** ფუნქციონირების სა-ღვთისმეტყველო წანამძღვრები;

გ) ძვ. ქართ. **გული გონიერის** ქრისტიანულ შესიტყვება-ტერმინად ჩამო-ყალიბების ნიშანდობლივად შემაპირობებელი კონკრეტული ფუნქციურ-სე-მანტიკური მოტივი („ხატი ღვთისა“ ↔ „გონება“, ქრისტიანული არჩევანი და თავისუფლება).

❖ შესიტყვება-ტერმინ **გული გონიერის** შემადგენელთა ფუნქციურ-სემანტიკური ურთიერთმიმართება თვალსაჩინოდ განისაზღვრება ძვ.ქართ. **გონიერის** (= გონის/გონების) ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ლექსიკური მარაგის პოლისემიურობის მაღალი სიხშირე, მაგალითად, ძვ.ქართ.¹:

I.

| სალექსიკონო ერთეული: | სალექსიკონო განმარტება: |
|---------------------------|--|
| გონი | გონების, გონიერების ნაკვეთი; მდაბ. გონება, ჭკუა, განსჯა |
| გონება | გონი; გონება; გონიერება, გაგონება; «მოგონება»; აზრი; აზროვნების უნარი; განმსჯელობა; ზრახვა; ფიქრი; მიჩნევა; გული, გულის-ზრახვა; გულისხმის-ყოფა, გულის-ხმა; ზნე-ჩვეულება; სინდისი; გრძნობა; გრძნობის ორგანო; დასიზმრება |
| მოგონება | შეგნება; აზრი; ცნობა; შეტყობა; განზრახვა; მოფიქრება; გრძნობა |
| გონიერი, გონებიერი | გონებიანი; გონიერი; გულისხმიერი; სრული გონების მქონე; «გონებული»; «ბრძენი»; ჭკუიანი; მეცნიერი; მცოდნე; «გულისხმის-მყოფელი»; ნაფიქრი |
| გონიერად | გონებიანად; «გონებულად»; ჭკუიანად |
| გონიერება | «გონება»; აზრი; სიბრძნე; ჭკუა; «ცნობა» |
| გონიერ-ყოფა | «განზრძნობა» |
| შეგონება | გონებად მოიყვანოს |
| შეგნება | შეტყობასავით |

მეორე მხრივ, შდრ.: **გონიერის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის გარეთ** არსებული ამავე სემანტიკის მქონე ათეულზე მეტი ლექსიკური ერთეული, მაგალითად:

II.

| სალექსიკონო ერთეული | სალექსიკონო განმარტება: |
|-----------------------------|---|
| ბრძენი | ფრიად გონიერი, მეცნიერი; ჭკვიანი; მცოდნე |
| ბრძნობა, ბრძნობილება | მეცნიერება; სიბრძნე; გულ-სიტყვაობა |
| საცნობელი | მისახვედრი; გონება; გრძნობა, გრძნობის ორგანო |
| ფიქრი | საგონებელი, წვლილ-მოგონება, განზრახვა, გულის-ზრახვა, გულის-თქმა |
| ჩენა, ჯერ-ჩინება | დაწესება; ნება; მიჩნევა (საჭიროდ), «გულუვება» |
| ცნობა | გაგება; მიხვედრა; ცოდნა |
| იჭუ | სინდისი; ხედვა; ჭკრეტა; შემეცნება |

¹ ძვ.ქართ. სალექსიკონო მასალა იხ.: სულხან-საბა 1991; სულხან-საბა 1993; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი ნ. 1971; ჩუბინაშვილი ნ. 1973.

წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ნაწილია ძვ.ქართ. **გულის** და **გონიერის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეთა კუთვნილი ლექსიკური მარაგისა, რომელშიც უაღრესად საგულისხმოდ იქცევეს ყურადღებას საანალიზო ძვ.ქართ. შესიტყვება **გული გონიერის** შემადგენელ კომპონენტთა ურთიერთგადამკვეთი, საზიარო სემოერთეულების საკმაოდ მაღალი სიხშირე, შდრ.:

III.

| | | |
|---|---|---|
| <p>ძ ვ . ქ ა რ თ . ლექსემათა:</p> <p>გონი, გონება, გონიერი, გონებერი, გონიერება, გონიერ-ყოფა, მოგონება</p> <p>ს ე მ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ ი :</p> <p style="text-align: center;">↓</p> | <p>ძ ვ . ქ ა რ თ . ლექსემათა:</p> <p>გული, გულის-ხმა, გულის-თქმა, გულის-ზრახვა, გულის-სიტყვა, გულისხმის-ყოფა, გულის-ტანჯვა, გულ-პერობილი, გულისხმიერი, გულისხმის-ყოფელი; გულვება</p> <p>ს ე მ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ ი</p> <p style="text-align: center;">↓</p> | <p>ძ ვ . ქ ა რ თ .</p> <p>გონიერის</p> <p>ბუდისგარე ლექსიკურ ერთეულთა</p> <p>ს ე მ ო ე რ თ ე უ ლ ე ბ ი :</p> <p style="text-align: center;">↓</p> |
| <p>გონი; გონება; სული; გული; გონიერი; გონიერება; სრული გონების მქონე; გონებიანი; შეგნება; გაგონება; აზრი; აზროვნება; შემეცნება; სიბრძნე; ჭკუა, ჭკვიანი; მცოდნე; მეცნიერი; განსჯა; განმსჯელობა; (ნა)ფიქრი; მოფიქრება; ზრახვა; განზრახვა; გულის-ზრახვა; გულის-ხმა; გულისხმიერი; გულისხმის-ყოფა, სინდისი; გრძნობა; გრძნობის ორგანო</p> | <p>გონება; თავი თვისი; სული; გული; გონიერი; გონიერება; სრული გონების მქონე; გონებით ლაპარაკი; გონებით მსიტყუელობა; გაგონება; გაგება; გონება-გა(ნ)უბნეველი; გონებით შეჭირვება; გონებით ნდომა; (გან)ზრახვა; განსჯა; ფიქრი; აზრი; მიხვედრილობა; მიხვედრა; მიება; ხედვა; ჭკუა, ჭკვიანი; მცოდნე; სიბრძნე; განბრძნობა; გრძნობა; გრძნობის ორგანო</p> | <p>ბრძენი, ბრძნობა: ფრიად გონიერი, ჭკვიანი; სიბრძნე; მეცნიერი; მეცნიერება; მცოდნე; გულ-სიტყვაობა</p> <p>საცნობელი: გონება; მისახვედრი; გრძნობა, გრძნობის ორგანო</p> <p>ფიქრი: საგონებელი, წვლილ-მოგონება, გულის-თქმა, გულის-ზრახვა, განზრახვა</p> <p>იჭუ: სინდისი; შეგნება, გაგება; შემეცნება</p> |
| <p>ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი :</p> <p>გული, გულისხმის-ყოფელი; ბრძენი; განბრძნობა, ცნობა, ფიქრი; მიჩნევა</p> | <p>ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი :</p> <p>გონებული; ბრძენი; სიბრძნე; მეცნიერება</p> | |

ძვ.ქართ. **გონიერის** და ძვ.ქართ. **გულის** ბუდობრივ სემოერთეულთა წარმოდგენილი **თანხვედნილობა** წმიდა წერილში არაერთგზის აღიბეჭდება თვალსაჩინოდ, მაგალითად:

ისუ ნავეს წიგნში ჩაწერილი უწყების მიხედვით, მას შემდეგ, რაც ქანაანის ქვეყანაში დამკვიდრებულმა ისრაელიანთა შტოებმა მოსესთვის მიცემული უფლისმიერი ბრძანებისამებრ დაინაწილეს სამკვიდრებელი, ქალებ იეფონის ძე კეზენელი ეახლა ისუ ნავეს და, ისრაელიანთა ქანაანში დამკვიდრებასთან დაკავშირებით, ღვთის მიერ მოსესთვის მიცემული აღთქმა შეახსენა მას: ორმოცი წლის ვიყავი, როდესაც მოსემ ღვთის ნებით გამგზავნა ქანაანის მოსახილავად (დასახვერად); მე უზაკველად ვუერთგულე მას და გულწრფელად ვაუწყე ყოველივე, რაც ვიხილე. მაგრამ ჩემთან მყოფმა თვისტომელებმა, მამინ, ერის (ისრაელის) გონება გარდადრიკესო, შდრ.:

„ორმოცის წლის ვიყავ, რაჟამს მიმავლინა მე მოსე, მონამან უფლისამან, მოხილვად ქუეყანისა [ქანაანისა], და მიუგე მას სიტყუად **გონებით** თვსით. ძმათა ჩემთა, რომელ აღმოვიდეს ჩემდა, გარდაცვალეს **გონება** ერისაჲ, ხოლო მე შევეყავ შემდგომად უფლისა ღმრთისა ჩემისა“ (ისუ ნავესი 14, 7-8).

ამ ამონარიდში ძვ.ქართ. პოლისემანტიკური **გონების** ორგზის მომარჯვება, ცხადია, ქართველი მთარგმნელის არჩევანთან უნდა იყოს დაკავშირებული, შდრ.:

(ა) „და მიუგე მას **სიტყუად გონებით თვსით**“ – სადაც ძვ.ქართ. **გონება** წარმოდგება მნიშვნელობით: „გულწრფელად, უზაკველად; ჩემი სიმართლით“ → „და მე გულწრფელად, უზაკველად (ულალატოდ) ვაუწყეო ყოველივე, რაც ვიხილე“; შდრ. რუსულენოვანი არჩევანი: „и я принес ему в ответ, что было у меня на **сердце**“ (ბიბლია 1979).

(ბ) „ძმათა ჩემთა... **გარდაცვალეს გონება** ერისაჲ“ – სადაც ძვ.ქართ. **გონება**, „**გონების გარდაცვალება**“ ამჯერად წარმოდგება მნიშვნელობით: „გონების შეცვლა, გადადრეკა, გადახრა“, შდრ. ძვ. ქართ. **გარდაცვალება** „შეცვლა, შეცვლილობა; განყენება, განდგომა; განშორება“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001) → „შეცვალეს, გარდადრიკესო ერის გონება“, ანუ: „ერი გონებრივად დასცეს და თვით უფალსაც კი განუდგენო“; შდრ. რუსულენოვანი არჩევანი: „братья мои, которые ходили со мною, привели в робость **сердце** народа, а я в точности следовал Господу, Богу моему“ (ბიბლია 1979).

ისუ ნავეს წიგნიდან მოხმობილი (ბ) ამონარიდის რუსულენოვან მონაცემში „გონება“ (რუს. разум, понимание) ჩანაცვლებულია „გულით“ → „сердце“ (იხ.: ლოპუხინი 1904-1907: 86-88). ამ მხრივ, ისიც საგულისხმოა, რომ მოიპოვება ამავე ამონარიდის ორი ქართულენოვანი რედაქციული ვარიანტი, რომელთაგან ((ბ) ამონარიდში არსებული „**გონება** ერისაჲ“ აღიბეჭდება სულხან-საბასეულ მცხეთის ბიბლიაში (XVII-XVIII სს.): „ძმათა ჩემთა... გარდაცვალეს გონება ერისაჲ **М**“, ხოლო გელათის „კატენებიან“ ბიბლიაში (XI ს.) მას ენაცვლება – „**გული** ერისაჲ“: „ძმათა ჩემთა... განადგინეს გული ერისაჲ **Г**“ (იხ.: აბულაძე 1973, **გონების** ქვეშ).

მაშასადამე, საანალიზო ძველქართულენოვან კონტექსტში აისახება ძვ.ქართ. **გონების** მრჩობლი სემანტიკური ფუნქციონირება:

საანალიზო (ა) ამონარიდში („და მიუგე მას სიტყუად **გონებით** თვსით“) დაწინაურებულია ძვ.ქართ. **გონების** და ძვ.ქართ. **გულის** სემოერთეულთა სინტაქსურ-სემანტიკური (ბუდობრივი, ფუნქციური) თანხვედნილობა: „გონ

ე ბ ი თ ნდომა / გ უ ლ ი თ ნდომა; გ ო ნ ე ბ ი თ ახმა / გ უ ლ თ ა შეღება; გონე-
ბით მსიტყველობა(ა); “ (იხ. ზემოთ, ცხრილი III.)¹.

საანალიზო (ბ) ამონარიდში კი („მმათა ჩემთა... გარდაცვალებს **გონება**
ერისაჲ“), რუსულენოვანი არჩევანისგან განსხვავებით, ძვ.ქართ. **გონება** ფუნ-
ქციონირებს თავისი ამოსავალი სემანტიკური სემოერთეულებით: „გონი, გო-
ნიერი, გონებანი“ (იხ. ზემოთ, ცხრილი III.).

გადაჭარბებული არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ამ კონტექსტის ორენო-
ვანი არჩევანისა და ძველქართული რედაქციული ვარიანტების გათვალისწინე-
ბით, ასევე – ზემოთ წარმოდგენილი ძვ.ქართ. შესიტყვება „**გული გონიერის**“
კომპონენტების ბუდობრივ სემოერთეულთა თანხვედნილობიდან გამომდინა-
რე, თვალსაჩინოდ იკვეთება ძვ.ქართ. **გონების** (resp. **გონიერის**) ის საგანგებო
ფუნქციურ-სემანტიკური მოტივი, რამაც განაპირობა კიდევ საანალიზო
ძვ.ქართ. **გული გონიერის** შესიტყვება-ტერმინად ჩამოყალიბება და დანერგვა.

ამასთან, ნიშანდობლივად იქცევს ყურადღებას ამავე ძვ.ქართ. შესი-
ტყვების პოსტპოზიციური კომპონენტი „**გონიერის**“ (resp. **გონების**), ვითარცა
მსაზღვრელის, კონკრეტული **წარმმართველი** ლექსიკურ-სემანტიკური ფუნ-
ქციონირება კომპონენტ „**გულის**“ – საზღვრულის მიმართ.

ამ თვალსაზრისით, წმიდა წერილში იპოვება სხვა არაერთი სარწმუნო
კონტექსტი ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურიდან (პატრისტიკა, ეგზე-
გეტიკა, ჰომილეტიკა, კატეხიზმო...).

❖ ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინ **გული გონიერის** მადიფერენცირებე-
ლი სემოერთეულები („ხატი ღვთისა“ ↔ „გონება“)

მივუბრუნდეთ ზემოთ მოხმობილ წმიდა წერილისეულ კონტექსტს
(3 მეფეთა 3, 1-15 – იხ. ზემოთ, გვ. 161), რომელშიც საკუთრივ შესიტყვება-
ტერმინ **გული გონიერის** შემცველ საანალიზო კომპონენტთა თანხვედნილ
სემოერთეულთაგან უწინარესად ყურადღებას იქცევს: „გონი“; „გონება“; „სული“;
„გული“; „თავი თვისი“, კერძოდ:

ძვ.ქართ. **გონიერის** ↔ **გონების** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში მაღალი
სიხშირით გამოირჩევა საკუთრივ **გონების**² ამოსავალი სემოერთეულები „გონი“,
„გონიერი“, „გონება“ (შდრ. ზემოთ, ცხრილი I.), რომელთა აქტიური ფუნქციო-
ნირება აისახება შემდეგი ძვ.ქართ. ლექსემების სემანტიკურ ველებში: **გონიე-**

¹ შდრ.: „**გულის-სიტყუა** (+ 22, 15 ლუკა ZA)“ და „**გულის-თქმა** (105, 14 ფსალ. ZA) გონებით
ნდომა, გულით ნდომა, წადილი“; „**გულის-ზრახვა** (10, 19 საქმე ZA) გონებით ლაპარაკი ZABCხ“;
„**გულისხმიერი** (31, 8 ფსალმ; 5,15 მარკ.) სრული გონების მქონე; ჭკუანი; მცოდნე; გონიერი;
„ბრძენი“; „გონებული“; „გულისხმის-მყოფელი“; „**გულისხმის-ყოფა** „გული“; გონიერება, გაგონება;
გონებით ჩაწვდომა; აზროვნება“ (სულხან-საბა 1991; აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სიმფონია-
ლექსიკონი 2009);

შდრ. ასევე, ერთი მხრივ; ძვ.ქართ. **გულის-ხმის** სულხან-საბასეული განმარტება (სულხან-
საბა 1991: 176); „**გულის-ხმა** (+ 14, 10 ოსე ZAA) ესე არს გ ო ნ ე ბ ი თ ა ხ მ ა და გ უ ლ თ ა შე ღ ე ბ ა.
ვიეთთა **გულის-გ მ ა დ** აღუწერიათ; გულსა არა აქუს ჳ მ ა (ა), არამედ ა ხ მ ა და შე ღ ე ბ ა,
რომელ(ი) ითქმის **გულის-ხმად** (+ 2 ეზრა 6, 16)“ და, მეორე მხრივ: „**ახმა/ღება** „უსულოთ ზე ახმა
აღება არს, ხოლო სულიერისა – ა ყ ვ ა ნ ა; ა ღ ე ბ ა არს პირთ ახმა. გინა ვალის აღება, გინა ციხის
გამოხმა“ (სულხან-საბა 1991; იხ.: იმნაიშვილი 1975: 23-29; გიგინეიშვილი 2016: 99).

² ქართ. **გონება** ← საერთო-ქართვ. ***გონ-** / ***გნ-** (ჩიქობავა 1938: 262; იხ.: კლიმოვი 1964: 64;
ფენრიხი-სარჯველაძე 2000: 147; გიგინეიშვილი 2016: 92).

რი, გონიერად, გონება, გონებები, გონიერება, მოგონება, შეგონება, შეგნება და სხვ.¹

ძვ.ქართ. **გონი**, სულხან-საბას განმარტებით, „გონების, გონიერების ნაკვეთია“ (სულხან-საბა 1991), შდრ.: „**გონი** მდაბიურად გონება, ჭკუა, განსჯა“ (ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961) და ახ.ქართ. „**გონითი** (გონითისა) წიგნ. ჭვრეტითი, სააზროვნო. **გონითი ხედვა** ჭვრეტა“ (ქეგლ 2010)².

„სული“, „გული“ და „თავი თვისი“ – ასევე ძვ.ქართ. **გონების** სინტაქსური (ფუნქციური) სემანტიკის გამომხატველი სემოერთეულებია, კერძოდ, **გონების** იმ თავდაპირველი ფუნქციურ-სუბსტანციური სემანტიკისა, რომლითაც გადმოიცემა ყოვლისა და ყოველთას საფუძველთ-საფუძველი, „მიზეზის მიზეზი“ – **ღმერთი, სული**, შდრ., ერთი მხრივ:

(სულხან-საბა 1993): „**ღმერთი** (3, 6 გამოსლ.) ღთი არს ს უ ლ ი ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყო(ვ)ელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყო(ვ)ელთა; ღთი გამოითარგმანების ხ ე დ ვ ა და წ ვ ა (+ კულად ითქმის ღმერთი ყოველთა მიზეზი შემოქმედი და უხილავი)“;

(ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961): „**ღმერთი** არსება პირველ საუკუნო და მხოლოდ მიზეზი არსთა დასაბამიერთა, რომელნიცა არსებენ მის მიერ; დაბად. 1, 1; იოან. 1, 1. Богъ“.

და, მეორე მხრივ, ძვ.ქართ. **სულით** აღბეჭდილი უმთავრესი ბუდობრივი სემოერთეულები: „ღ მ ე რ თ ი; სული (წმიდა); სული (სამშვივნელი); ადამიანი (სულიერი); პირი (პიროვნება); ვინმე; გ ო ნ ე ბ ა; გ უ ლ ი: სიცოცხლე; სუნთქვა; «კაცი», «გუამი», «თავი», «თავისთავი», სიმართლე; სიკეთე; სუნი; ჰაერი; ქარი“ (აბულაძე 1973; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009)³.

¹ შდრ., მაგ.: ახ.ქართ. „**გონება** (გონებისა) 1. ადამიანის აზროვნების უნარი, – ჭკუა, ინტელექტი. 2. ცნობიერება... **ღ გონების თვალი** იგივეა, რაც გ ო ნ ე ბ ა. **ღ გონება უჭრის** გამჭრიახი გონება აქვს, გონიერია, ჭკვიანია. **ღ გონებაში ჩააგდებს** გონზე მოიყვანს, მოაჭკვიანებს. **ღ გონებაში ჩაგარდება** გონიერი გახდება, – გონს მოვა, მოჭკვიანდება. **ღ გონებას მოიკრებს** გონს მოვა. **ღ გონებას დაკარგავს** გ უ ლ ი წაუვა. **ღ დამჯდარი გონება** გონიერება, სადინჯე, სიბრძნე. **ღ ცივი გონება** მშვიდი, აუღელავებელი განსჯა“. „**გონებითი** (გონებითისა) იგივეა, რაც გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი. **ღ გონებითი თვალი** იგივეა, რაც გ ო ნ ე ბ ი ს თ ვ ა ლ ი“;

ახ.ქართ. „**გონიერ**-ი (გონიერისა) განვითარებული გონების მქონე, – ჭკვიანი, მოსაზრებულო. 2. ჭკვიანური, გონიერული“ და „**გონიერება** (გონიერებისა) 1. გონიერის თვისება, – გონების მქონობა, მოსაზრების უნარი, ჭკუა-გონება. 2. ინდ. იგივეა, რაც ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა“ (ქეგლ 2010).

² შდრ. ახ.ქართ. „**გონ**-ი (გონისა) 1. იგივეა, რაც გ ო ნ ე ბ ა“. 2. სპიჯ. ფილოსოფიაში – არამატერიალური საწყისი, დასაბამი, რომელიც წარმოადგენს ბუნების, საგნებისა და მოვლენების მამოძრავებელ ძალას – ს უ ლ ი (მნშვ. 2). **აბსოლუტური გონი** იგივეა, რაც ა ბ ს უ ლ უ ტ ი, ღ მ ე რ თ ი... **ღ გონს (გონზე) მოვა; გონს მოიგება** ცნობიერება დაუბრუნდება; გამოორკვევა. **ღ გონს გადავა (გონს გადასული)** თვითკონტროლს დაკარგავს; გააიჟდება (გააიჟებული). **ღ გონს (გონზე) მოიყვანს** აზრს, ცნობიერებას დაუბრუნებს; მოასულიერებს. **ღ გონს (გონზე) მოსული** ვინც გონს (გონზე) მოვიდა; ვისაც ცნობიერება დაუბრუნდა, მოსულიერებული. **ღ გონს დაკარგავს** ცნობიერებას დაკარგავს“ (ქეგლ 2010).

³ შდრ.: „**სული** დამბადებელი ყოველთა, პირველი ნათელი და მიუწდომელი; ს უ ლ ი – წმიდა, ს უ ლ ი – ანგელოზი, სახიერი; ს უ ლ ი – ეშმაკი; ს უ ლ ი – სულიცა ჩვენი. ოდესმე გ ო ნ ე ბ ა ვ ა ს უ ლ ა დ ითქვას; ს უ ლ ი-სიტყვერი – არსება-გ ო ნ ი ე რ ი; ხ ა ტ ი და მ ს გ ა ვ ს ი ღ თისა“ (სულხან-საბა 1993) და „**სული** არსება უსხეულო, გულისხმიერი, მნებებელი და სიტყვერი (იოან. 4, 24; საქმ. 23, 8), Дух. //მესამე პირი წმიდისა სამებისა, რომელსა დაერთვიან სახელწართაულნი ესე: ს უ ლ ი წმინდა, ს უ ლ ი ღვთისა, ს უ ლ ი ნუგუმინისმცემელი, ცხოველს მყოფელი და სხ. (დაბად. 1, 2; მატ. 3, 11, 16; იოან. 1, 32 და 14, 26). // ს უ ლ ა დ ითქმიან ანგელოზნიცა (ებრაელ. 1, 7, 14). //მაღლი, ანუ ნიჭი ს უ ლ ი ს ა წმინდისა, ზეგარდამო მოვლენილი (ისაი. 11, 2; ეფეს. 1, 17)“ (ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი დ. 1984).

მე.ქართ. **გონების** ზემოხსენებული თავდაპირველი ფუნქციურ-სუბ-სტანციური სემანტიკის სარწმუნო დასტურად იპოვება რამდენიმე უაღრესად საგულსხმიერო ლექსიკოგრაფიული მონაცემი. უწინარესად მოვიხმობთ **გონების** სულხან-საბასეულ განმარტებას (რომელიც, ილია აბულაძის მითითებით, ეფუძნება იოანე პეტრიწის თარგმანებას: წიგნი II, 78, 6):

„**გონება** (+ ისო 5, 1 Ab) არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა. გონება არს ხედვა უჯორცო და დაუშრომელი, [უშრომელად] მომგლელი ყოვლისა. სამ სახედ ითქმის **გონება**: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონება ცაჩვენო. საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელითა. თუ ვრცელად ცნობა გენებოს, 20 კავშირში ჰპოო ZA“ (სულხან-საბა 1991).

ქართველი ლექსიკოგრაფი გვაწვდის მე.ქართ. **გონების** სინტაქსური ფუნქციონირების 3 ნიშანდობლივ მაღისხმევას:

- „**სიტყვიერი**“ – სიტყვით განცხადებული და განმცხადებელი („გონებაცა ჩვენი“, ანუ „გონება კაცობრივი“),
- „**მხედველობითი საცნაურისა**“ – თვალით აღმქმელი და შემმეცნებელი შესამეცნებელისა („გონება ანგელოზი“),
- „**უკვდავისა სულისა**“ – საკუთრივ გონება ღმერთი“.

სულხან-საბას მიერ მომარჯვებული მე-3 შესიტყვება-ტერმინის – **გონება ღმერთის** საღვთისმეტყველო შინაარსის ამოსაცნობად მოვიხმობთ წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელის „სტრომატებში“ აღბეჭდილი შესიტყვება-ტერმინის – **ადამიანური გონების** სახისმეტყველებით თარგმანებას, კერძოდ:

ყოვლადწმიდა სამებაში **მე ღმერთი** ჰიპოსტასურად **მამაღმერთის** ბუნებითი **ხატია**, ადამიანი კი – საკუთრივ **მე ღმერთის** ხატი; აქედან გამომდინარე, „**ადამიანური გონება**“ („გონება კაცობრივი“) არის – **ხატი მამაღმერთის ხატისა** (ანუ მისა და სიტყვისა ღვთისა, უფალი იესო ქრისტესი) (იხ. ორჟონია 2018: 72-73; 81-82)¹.

¹ შდრ.: „კლიმენტი ალექსანდრიელის მიხედვით, ვინაიდან ყოვლადწმინდა სამებაში მე (შდრ. «საღვთო და სამეუფო სიტყვა»), ზემოთქმულისებრ, ხატია მამისა, სწორედ მისი (მე ღმერთის, საღვთო ლოგოსის) ხატის შესაბამისად (ე. ი. ხატისებრ) შეიქმნა ადამიანური გონება (შდრ. „ხატი ხატისა – ადამიანური გონება“). ამიტომაც, პიროვნებას, საკუთარ გონებაში აღბეჭდილი ხატებით ღვთის სიტყვასთან (მის ჰიპოსტასთან) კავშირის მქონეს, ძალუმს, გულწრფელი მიებისა და ცოდნისმიერი, მართებული მსჯელობის გზით, ყოველივე ქვეყნიურს განეკრძალოს და, ზემადღებულმა, საუფლო გამოცხადებით შეიმეცნოს საკუთარი გონების პირველხატი (ე. ი. ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი) და მის მიერ – ერთარსი-სამპიროვანი ღმერთი“, და აქვე იხ.: სქ. 20: „მკითხველის საყურადღებოდ შევნიშნავთ, რომ საეკლესიო სწავლების თანახმად, ღვთის ხატისებრ ადამიანის შექმნაში ორი მოვლენა განიჭვრიტება. კერძოდ, ერთი მხრივ, კაცობრივი ბუნება ყოვლადწმინდა სამების, ე. ი. საღვთო ბუნების ხატად არის არარსებობიდან მყოფობაში შემოყვანილი, მაგრამ, ამასთან, ჰიპოსტასური მნიშვნელობით, ჩვენი პირველმშობლები საკუთრივ მე ღმერთის ხატად იძენენ მყოფობას“ (ორჟონია 2018: 83).

იხ. და შდრ.: „ადამიანი, როგორც მადლისმიერი ხატი (სულიწმინდისეული წმინდამყოფელობის შედეგად), დახატული იყო თავისი პირმშობატისადმი, მხოლოდობილი ძისადმი, მამის უცვალებელი და ბუნებითი ხატისადმი (განკაცების შემდეგ ქრისტედ წოდებულისადმი). ცოდვის შემოსვლით დაბმელებული ხატება და მსგავსება კვლავ აღადგინა განკაცებულმა მე ღმერთმა, იესო ქრისტემ, რომელმაც ხელახლა შთაჰბერა სულიწმინდა მისადმი მორწმუნეებს და დაუწესა კაცობრიობას ნათლისღების საიდუმლო, რაც გვანიჭებს საკუთრივ „მეობლობის სულს“, ანუ სულიწმინდას, რომლის მადლითაც (ისევე როგორც დასაბამში) კვლავ ვიძენთ დასაბამიერ მეობლობას, ანუ კვლავ უკუდავიხატებით მე ღმერთისადმი (განკაცების შემდეგ ქრისტედ წოდებულისადმი)“ (იხ.: ედიშერ ჭელიძე: https://edisherchelidze.blogspot.com/2018/12/blog-post_60.html? m=0

მსგავსად ამისა, სულხან-საბასეული შესიტყვება-ტერმინით **გონება ღმერთი** უკუფენილად ამოიცინობა ერთარსი სამების მეორე ჰიპოსტასი – „მე და სამეუფო სიტყვა ღმერთისა“, ვითარცა **მამაღმერთის ხატი**, რომლის **ხატია** – „**ადამიანური გონება**“ („გონება კაცობრივი“).

ამავე თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას **გონების** ნიკო ჩუბინაშვილისეული სალექსიკონო განმარტება (ჩუბინაშვილი ნ. 1961), სადაც მონიშნულია ძვ.ქართ. **გონების** სემანტიკური ფუნქციონირების კიდევ ერთი სახეობა, დამოწმებული სათანადო წყაროთი წმიდა წერილიდან:

„**გონება** ძ ა ლ ი ს უ ლ ი ს ა თვთოეულ განხილვად მოკიდულებასა საზოგადოთა ქეშმარიტებათასა (ლუკ. 24, 45)“.

მითითებული ახალატქმისეული წყარო გვამცნობს: აღდგომიდან მეორმოცე დღეს იესო ქრისტემ მოციქულებს განუმარტა ძველი აღთქმის წიგნებში აღბეჭდილი წინასწარმეტყველებანი თავისი (მომავალი მესიის) მიწიური მსახურების – განხორციელების, ვნებისა და მესამე დღეს აღდგომის, ამადლებისა და სულთმოფენობის უზენაესი დანიშნულების თაობაზე (იხ. ლუკა 24, 25-52), რის შემდეგაც წმიდა მახარებელი დასძენს:

„მაშინ **განუხუნა გონებანი მათნი** გულისხმის-ყოფად წიგნთა“ (ლუკა 24, 45) → „[მკვდრეთით აღმდგარმა იესო ქრისტემ] ამგვარად გაააცისკროვნა, გაუნათლა [მოციქულებს] გ ო ნ ე ბ ა, რათა მათ წმიდა წერილი წადიერად, გულითადად, მთელი გულისყურით წაეკითხათ და ღირსეულად მიეღოთ“, რითაც წმიდა სახარებაში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება **გონების**, ვითარცა „ძალი სულისას“ (სულიწმიდისეული ძალის) იდუმალ, ამოუცნობ ფუნქციონირებაზე, ანუ მოციქულთა იმ უხილავ **გონებრივ** ძალისხმევაზე, რომელიც მათ „ხატისებრივ“ ებოძათ ქრისტე-მაცხოვრისაგან, და რომელიც საკვირველად გაცხადდა ქრისტეს აღდგომიდან 50-ე დღეს – სულთმოფენობის ჟამს (იხ.: საქმე 2, 1-13).

წმიდა მოციქული პავლე სწორედ სულიწმიდისეული ძალის მოქმედებაზე გვითითებს, როდესაც საკუთარი ლოცვითი და სამგალობლო ღვაწლის გამო ბრძანებს: „...ვილოცვიდე თუ ს უ ლ ი თ ა, ვილოცვიდე გ ო ნ ე ბ ი თ ა ც ა; ვგალობდე თუ ს უ ლ ი თ ა, ვგალობდე გ ო ნ ე ბ ი თ ა ც ა“ (1 კორინთელთა მიმართ 14, 15). უწინარეს ზიარების ერთ-ერთ ლოცვაში კი ზიარების წმიდა საიდუმლოს ძალისხმევით მონიჭებული საკვირველი წყალობის გამო ვკითხულობთ: „ღმერთმოქმედებითისა ს ი ს ხ ლ ი ს ა გ ა ნ შემრწუნდი, კაცო, ჰხედვიდე რად, რამეთუ ნაკურცხალი არს, უღირსთა შემწუველი. ჯ ო რ ც ი ღ მ რ თ ი ს ა ე განმადმრთობს მე და მზრდის: გ ა ნ ა ღ მ რ თ ო ბ ს ს უ ლ ს ა და ზრდის გ ო ნ ე ბ ა ს ა უცხოდ“ (ლოცვანი, 101; სპეკალი 2007, 435, 527-428), სადაც **სულით** – ყოვლადწმიდა ერთარსი სამების სამივე პირის თანამონაწილეობა გამოითქმის. ორივე შემთხვევაში ძვ.ქართ. **სულით** მოგვეწოდება კაცობრივი გ ო ნ ე ბ ი ს „მშობლის“ სემანტიკა – „ღმერთის ხატისებრივი ძალისხმევა“¹.

¹ შდრ.: „წერილი გ უ ლ ა დ უწესს გ ო ნ ე ბ ა ს ა, სადა-იგი მოგონებანი იშვებან“ Ath-12, 336“ (აბულაძე 1973: ათონის ივერიის მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერები – რ. ბლეიკის კატალოგის მიხედვით) → „წმიდა წერილში გ უ ლ ა დ იხსენიება გ ო ნ ე ბ ა, სადაც ფიქრი და აზრი იზადებაო“; შდრ. ასევე: **გუნება** „მდაბიურად გ ო ნ ე ბ ა, ანუ შინაგანი მდგომარეობა ს უ ლ ი ს ა“ (ჩუბინაშვილი ნ. 1961).

წმიდა ანტონი დიდი (III-IV სს.) ამასვე გულისხმობს შეგონებებით:

„ღვთისმოყვარე გონებას ულის გამაბრწყინებელი სინათლეა, ისევე როგორც მზე – სხეულისა“ (წმიდა ანტონი დიდი, [31]);

„სპეტაკი სული, არის რა კეთილი, ღვთისგან ნათდება და ბრწყინდება. ასეთ დროს გონება ც კეთილს საზრობს და ღვთისმოყვარე სიტყვებს შობს“ (იქვე, [52]),

„გონება – სული არ არის, არამედ – საბოძვარი ღვთისა, სული მხსნელი. ღვთისსათნო გონება წინ მიუბრუნებს სულს და მოძღვრავს მას“ (იქვე [94]).

ამ თეზის სარწმუნოობას ასევე ათვალსაჩინოებს, ერთი მხრივ, **ღმერთის და სულის** და, მეორე მხრივ, **გონიერის** (resp. **გონების**) და **გულის** სემოერთეულთა თვალსაჩინოდ თანხვედენილი სინტაქსური ფუნქციონირება, შდრ. ძვ.ქართ.:

ღმერთი „სული ნათელი დაუსაბამო...“ და **სული** „ღმერთი; დამბადებელი ყოველთა; ხატი და მსგავსი გონება; გული“¹,

გონება „სული (ფსიხე); გონება ღმერთი; გონი, აზროვნების უნარი; გული“ და **გული** „სული (ფსიხე); გონება“ (იხ. ზემოთ, გვ.: 162-163; 165-167).

თავის მხრივ, არანაკლებ საგულისხმოა და გასათვალისწინებელიც ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინ **გული გონიერის** კომპენენტ **„გულის“**² არაერთი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდობრივი მონაცემი:

IV.

| სალექსიკონო ერთეული: | სალექსიკონო განმარტება: |
|-------------------------------|---|
| განგულისიტყუა | შინაგან მდებარე სიტყვა |
| გულის-ზრახვა | გონებით ლაპარაკი |
| გულის-თქმა | გონებით ნდომა, გულით ნდომა, წადილი |
| გულის-ხმა ³ | სიბრძნე; მიხვედრილობა |
| გულისხმიერი | გონიერი; სრული გონების მქონე; ჭკუიანი; მცოდნე; ბრძენი |
| გულისხმის-ყოფელი | გონიერი |
| გულისხმის-ყოფელობა | გონიერება |
| გულის-სიტყუა | გონებით მსიტყველობა(ა) |

¹ შდრ.: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ (მათე 22, 37).

² ქართ. **გულ**-ი ← საერთო-ქართვ. ***გულ**- / მეგრ.-ჭან. **გურ**-ი „გული“/ სვან. **გუ**-ი ***გუშ** > სვან. ***გუ** (კლიმოვი 1964: 66-67; გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 82; ფენიხი-სარჯველაძე 2000: 155-156; გიგინეიშვილი 2016: 98-99).

³ შდრ.: ახ.ქართ. **გულისხმა** (გულისხმისა) **1.** მიხვედრა, გაგება; ჭკუა, გონება. „აკაკაჰმა უთხრა ყვავასო, ჩავარდი გულისხმასო“ (**ხალხ**). „როცა ჩავრა ცულმა ქვასა, მაშინ ჩახვდა გულისხმასა“ (**ანდაზა**). „ხშირად მომხდარა, რომ მრავალ საყვედურს და ბევრგვარ სასჯელს კაცი გულისხმაში ვერ ჩაუგდია“ (**თ. სახოგ**. თარგმ.). **ღ** გულისხმას ყოფს მიხვედრება, გაგება. **2.** ძლიერი სურვილი; რასაც გული ეუბნება. „მის მწუხარ ხმებში ჩემს გულისხმას ვცნობ“ (**ილია**) (ქეგლ 2010).

| | |
|-------------------------------|--------------------------------------|
| გულის-ტანჯვა | გონებით შეჭირვება |
| გულ-პყრობილი | გონება-გან[უ]ზნეველი, გულ-დაუზნეველი |
| გულის-ყური¹ | ძალი მიხდომისა და დახსოვნებისა |
| გულ-მაგიწყი | მალ დამვიწყებელი |

ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური და საღვთისმეტყველო მასალა, მთლიანობრივ, თვალსაჩინოდ გვიმოწმებს, რომ ძვ.ქართ. **გონება** (**გონიერი**) ქართულ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიურ სივრცეში საგანგებოდ იმოსება ზემოაღნიშნული თავდაპირველი ფუნქციურ-სუბსტანციური სემანტიკით („ხატი ღვთისა“ ↔ „გონება“), ამასთან, უწინარესად, სწორედ სიტყვათშეერთებით წარმოებულ ცნება-ტერმინთა ფუნქციური სემანტიკით.

ამის სრულქმნილ ნიმუშად გვესახება საანალიზო ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინი **გული გონიერი**, სადაც „**გონიერი**“, თავისი ამოსავალი სუბსტანციური სემანტიკით – „ხატი, ძალი და მადლი ღვთისა“, **წარმმართველი, განმაპირობებელი** სემანტიკური ფუნქციონირებით წარმოჩნდება კომპონენტი „**გულის**“, ვითარცა „გონების საუნჯის“ მიმართ².

❖ „გული გონიერის“ უზენაესი დანიშნულება:

ივანე ჯავახიშვილი გვაწვდის თავის სარწმუნო დაკვირვებას „გონების“ შემცველი ორი ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინის ამოსავალი საღვთისმეტყველო სემანტიკური ფუნქციონირების თაობაზე, კერძოდ:

უძველეს ქართულ მწერლობაში ადამიანის სულიერი მოქმედების ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანი თვისების გამოხატველი იყო ტერმინები – **გონების თვალი** და **გონების ყური**, რომლებითაც გამოითქმოდა აზრი ადამიანის, ვითარცა „გრძნობადისა და გონიერების“ ნიჭთა საკვირველად შემაერთებლის შესახებ. დიდი ქართველი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს ტერმინ-შესიტყვებანი, შესაძლოა, იმ დროს გამოიყენებოდა, როცა ადამიანი საგანს აღიქვამდა „თვალითა და ყურით აღქმის გარეშე“, მაგალითად, როცა მეტყველების ორგანო დუმს და „მხოლოდ გონებით წარმოებს ხოლმე შინაგანი, გონებითი მეტყველება“... სწორედ **გონება** განაგებს ადამიანის მთელ მოქმედებას „ფარულად და უხილავად“... და სიტყვაც იმას „თარგმანებს, რადგა იყოს გონებათა შინა“... ძველს დროს გონების საქებურ თვისებად ითვლებოდა „სიმახვლე გონებისა“. აი ამას უნდა დართოდა ადამიანის „მისწრაფება და გულმოდგინება“ (იხ.: ჯავახიშვილი 1956; შდრ.: ჯორბენაძე 1984: 229-230).

¹ ძვ.ქართ. „**გულის-ყური** მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიჯდომა და ქმნა ZA“ (სულხან-საბა 1991); ახ.ქართ. „**გულის-ყურ**-ი (გულის-ყურისა) ყურადღება; ინტერესი, გულისხმიერება. „ისე ყოველიფერში მოხერხებული და ნიჭიერიაო და გულის-ყური-კი დახშული აქჳსო!“ (აკაკი). „მე ძალიან მოვწონდი იმ დალოცვილსა; მიქება ხოლმე გულის-ყურს და მიხვედრასა“ (ილია)“; „ამას მარტო **თვალი გულისა-და** თუ ხედავდა და **ყური გულისა-და** თუ ისმენდა, თორემ ხორციელი ხედვა ამისთვის უღონო იყო (ილია)“ (ქველ 2010).

² კომპონენტ „**გონების**“ იგივე სემანტიკურ-ფუნქციური დანიშნულება ამოიცივება ზემოგანხილულ ძვ.ქართ. შესიტყვება-ტერმინებში: **გონება ღმერთი** და **ადამიანური გონება**. მსგავს ძველქართულ შესიტყვება-ტერმინთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ „სულის“ და „ხატი ღმრთისას“ გამოხატველი ძვ. ქართ. შესიტყვება-ტერმინები: წმიდა გრიგოლი ღვთისმეტყველისეული **სული გონიერი** (წმიდა ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი) და წმიდა გრიგოლი ნაზიანზელისეული „**სული ღმრთისა**“ (ეფრემ მცირის თარგმანი) (იხ.: ორჟონია 2018: 72-73 [სქ.1]; 82-83).

ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ სულხან-საბას ლექსიკონში არ აისახება შესიტყვება-ტერმინები **გონების ყურ[ნ]ი** და **გონების თვალ[ნ]ი**. ამასთანავე, დღეისათვის, არ ფუნქციონირებს შესიტყვება **გონების ყური**, მაგრამ იპოვება ზემოთ უკვე დამოწმებული შესიტყვება-ტერმინი **გულის-ყური** („მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიჭდომა და ქმნა“), რომელიც დღეს, **გონების თვალის** დარად, აქტიურად ფუნქციონირებს.

ისიც საგულისხმოა, რომ წმიდა წერილსა და საეკლესიო ლიტერატურაში დასტურდება შესიტყვება-ტერმინი **თუალნი გულისანი**: „ღმერთმან და მამამან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესმან მოგცეს თქუენ სული სიბრძნისა და გამოცხადებისა მეცნიერებითა მისითა, და განანათლნეს **თუალნი გულისა თქუენისანი**“ (ეფესელთა მიმართ 1, 17-18)¹.

გავიხსენოთ იოვანე საბანისძის მიერ საუკუნეთა მიღმა აღვლენილი ვედრება ქართველთა მიმართ: „აწ გლოცავ თქუენ ქრისტეს მიმართ, სურვიელითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროდსდა საცნობელნი ეგე **ყური გულისა და გონებისა თქუენისანი** განჰმარტენით სმენად და მასპინძელ-ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა...“ (იოვანე საბანისძე 2011: 130).

საკლესიო ლიტერატურაში იპოვება **გონებისმიერი** და **გულისმიერი** ძალისხმევების სინერგიის გამომხატველი არაერთი დასტური, მაგალითად:

„შეგიშალოს გ ო ნ ე ბ ა ე გ უ ლ ი ს ა შალვითა“ (აბულაძე 1973)² → „გულის შფოთითა და ამღვრევით – გონებაც აგემღვრევაო“. წმიდა მამანი შეგვაგონებენ: როდესაც ადამიანის „შინაგან გონებაში“ ირღვევა ღვთივდადგენილი „გონებისმიერ-გულისმიერი“ ურთიერთდაქვემდებარება, როგორც წესი, გააქტიურებული „გულისმიერობა“ თრგუნავს და აბრკოლებს „გონებისმიერობის“ კეთილმოქმედებას, და, შედეგად – ადამიანი იოლად იდრიკება ცოდვათქმედებისკენ.

უკუფენილად ამასვე უნდა გულისხმობდეს და გვაფრთხილებდეს ანდაზად თქმული ქართული ხალხური სიბრძნე: „თუ კაცი გ ო ნ ი ე რ ი ა, სოფელი ღონიერიაო“, რომლის უზადლო მხატვრულ-პოეტურ „თარგმანებად“ გვესახება დიდი შოთა რუსთველის აფორიზმი: „გ უ ლ ი, ცნობა და გ ო ნ ე ბ ა – ერთმანეთზედა ჰკიდიან“ – აქ **ცნობით** გამოიხატება „გააზრება-გაცნობიერება“ **გონების** და **გულის** ამოუცნობი თანა-მოქმედებისა, მათი სანატრელი ხმაშეწყობილი ერთობისა³.

¹ შდრ. ლოცვითი ტექსტი „კონდაკიდან“: „და გ ო ნ ე ბ ი ს ა ჩუენისა თ უ ა ლ ნ ი განახუენ, განცდად სახარებისა შენისა ქადაგებათა, და დასდევ ჩუენ ზედა ნეტართა მათ მცნებათა შენთა შიში, რამათა ყოველივე კორციელი გულის-თქუმა დაავთრგუნოთ და სულიერი მოქალაქობა მოვიგოთ და ყოველსავე სათნოდ შენდა ვზრახვიდეთ და ვიქმოდეთ“ (კონდაკი 1899: 242).

„დასასრული მცნებისა არს სიყუარული გ უ ლ ი ს ა გ ა ნ წმიდისა და გ ო ნ ე ბ ი ს ა [გან] კეთილისა“ (1 ტიმოთეს მიმართ 1,5).

² „მამათა სწავლანი“, X-XI ს.-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1955: 159.16).

³ შდრ.: „იყო გ უ ლ ი და გ ო ნ ე ბ ა ე რ თ“ (საქმე, 4, 32) – წმიდა ლუკა მახარებელი სულიწმიდით აღვსილ მართლმორწმუნეთა ერთსულოვნებისა და ურთიერთშეწყენის თაობაზე გვაუწყებს: ადრეულ ქრისტიან მორწმუნეთა სიმრავლეს ერთი გული და ერთი სული (გონება) ჰქონდა, და არავინ მიიჩნევდა საკუთარ ქონებას ოდენ თავისად, არამედ ყოველივე საერთო იყო.

თუმცა, ამ მხრივ უადრესად საგულისხმოა წმიდა იოანე ოქროპირისეული ვრცელი სახისმეტყველებითი განმარტება (იოანე ოქროპირი 2014: 326-330) უფლისმიერი შეგონებისა: „**სადაც არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. სათელი გუამისა არს თუალი**“ (მათე 6, 21-22). წმიდა მამის თქმით, ამ შეგონებაში „საუნჯით“ კაცის გონებითი, გონებრივი ცხოვრების წესი იგულისხმება:

„რაჟამს ზეცას იყოს საუნჯე შენი... ზეცისასა ჰზრახვიდე და ზეცისასა ჰზრუნვიდე, რამეთუ სადა-იგი საუნჯე შენი წარავლინე, საცნაურ არს, ვითარმედ გონებადცა შენი მუნ იქცევის“ (იქვე: 329).

და თუკი ამ იგავურ შეგონებას ვერ ერწმუნებო, – განაგრძობს წმიდა მამა იოანე, – ჩვენთვის მზრუნველი უფალი კიდევ ერთი ხორციელი ორგანოს, **თვალის** სახისმეტყველებას გაწვდის, რათა გულისხმაყო, თუ კაცისთვის რაოდენ დიდი ვნებისა და ბოროტების მომტანია ოდენ „**წარმავალი საუნჯით**“, ანუ **საწუთისოფლო გულისთქმითა და ნდომა-სურვილით** მიღებული არჩევანი: „რამეთუ რა-იგი თუალნი ჯორცთათჳს არიან, ეგრეთ არს გონებად სულისათჳს... და უკუეთუ გონებად დაბნელებულ და წარწყმედილ იყოს, არაა სარგებელ ეყოს კაცსა სიმდიდრე ჯორციელი და საუნჯენი წარმავალნი... და ვერარას კეთილსა ჯელ-გეწიფების გულისხმის-ყოფად“ (იქვე: 330).

მამასადამე, „საუნჯის“, ანუ „გონების“, „გულის“ და „თუალის“ სახისმეტყველებით უფალი გვაწვდის **კაცის მიერ ღვთისათნო ცხოვრების წესის არჩევანის** დიდებულ ფორმულირებას, რომელშიც განმსაზღვრელი ფუნქცია მიეკუთვნება **ღმრთისმოყვარე გონებას** – მასთან ღმრთივგანწმენდილი **გულის** კეთილისმყოფელი თანამონაწილეობით¹.

დასასრულ, მოვიხილო წმიდა მაქსიმე აღმსარებლის უადრესად საგულისხმო განმარტებას **გონების** ღვთივგამორჩეული დანიშნულების თაობაზე. წმიდა მამის რწმუნებით, ღვთის ქმნილებათა გვირგვინს – ადამიანს (resp. ძვ.ქართ. **კაცს**) უზუნაესმა შემოქმედმა „შთაბერა“ **გონება**, ვითარცა მოაზროვნებისა და სიტყვიერების „შშობელი“, და მას ადამიანური ბუნების დანარჩენ ნაწილთა მთავარი მაკონტროლებელისა და გამაერთიანებლის ფუნქცია დააკისრა:

„და რაკი გონება იღებს გადაწყვეტილებებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა კეთილსა და ბოროტს შორის არჩევანის მიღებისას: „როცა გონება თავს უდრეკს ღმერთს, ხორციც მაშინ ემორჩილება“, – ბრძანებს წმიდა მამა მაქსიმე აღმსარებელი, და იქვე გვაწვდის **გონების** მრავლისმეტყველ სახისმეტყველებით განსაზღვრებას: „ადამიანის არამატერიალური

¹ შდრ. წმიდა ილია მართლისეული შეგონება-გარმარტება: „შესაძლოა, ხორცი დაბერდეს, დაუძღურდეს, სული და გული კი ისევ ჰყვაოდეს, ზეგარდმო მადლით შუქმოვნილი და მრავალფერად გადამლილი, თუკი ადამიანი საკადრისად უპატრონებს, ადამიანურად მოუვლის, ხორცის მზრმანებლად გახდის და ხორცს არ გაალახვიანებს... მე ვსთქვი – ეგ ნიჭია-მეთქი, და ნიჭს ზრდა, წვრთა, გახსნა და გაშლა უნდა. ყოველი, ცოტად თუ ბევრად, სხვაზედ აღმატებული კაცი არ შეიძლება ამ აზრს ასცდენოდეს, და ამიტომაც მოხდება, რომ ხორციით დაბერებულს, სული და გული ჭაბუკისა შერჩება ხოლმე საფლავის კარამდინა. უკეთესნი და უდიდესნი კაცნი ქვეყნიერობაზედ ამისთანანი ყოფილან“ (წმიდა ილია მართალი 1886: 2).

ს უ ლ ი ს გრძნობადი ტაძარია, რომლის მღვდელმთავრად (არქიელად) ღმერთმა გ ო ნ ე ბ ა დაადგინა“ (კუზნეცოვი 2017: 43)¹.

მე.ქართ. შესიტყვება-ტერმინი **გული გონიერი** საკვირველი სიზუსტითა და სიღრმით გადმოგვცემს ღვთის ქმნილებათა გვირგვინის – ადამიანის გონე-ბისმიერ-გულისმიერი მოქმედების იმ იერარქიულ წეს-რიგს, უფრო ზუსტად – **არჩევანისა** და **თავისუფლების** განხორციელების ქრისტიანულ წესს, რაშიც ღვთისმოყვარე ადამიანის **გონებისთვალი** და **გულისყური** ამგვარი თანმიმ-დევრობით თანამონაწილეობს:

გულში შობილ „მინდას“, სურვილს (გულის-თქუმას) კეთილად მე-თვალყურეობს **გონება**, რომელსაც გულმა ყური უნდა მიაპყროს², გულისყურით ისმინოს; და თუკი გონებას დაუგდებს ყურს და შეისმენს – მაშინ იხელ-თებს კეთილ, ღვთივსათნო **არჩევანს**.

მაშასადამე, **გული** საკუთარი გულის-თქუმის განხორციელებას მას შემ-დეგ უნდა შეუდგეს, როცა ინებებს³ და, თავისი სურვილის ასრულებამდე, **გო-ნიერად**, მთელი გონებით დაემორჩილება **გონებას** (ღვთივბომბეზულ ხატსა და მსგავსებას), ანუ **თავის გონიერულ ნებას – შეაგებებს ღვთის ნებას**.

ასე რომ, **გული გონიერი** ღვთივბომბეზული **ხატისა და მსგავსების** იდუ-მალი მოქმედების გამოძახატველი შესიტყვება-ტერმინია, რომელიც ასევე იდუმალ გვითითებს ჭეშმარიტი თავისუფლების მოხვეჭაზე, და ცხონების ღირსყოფისაკენ მიმავალ გზასა და მიზანზეც დაგვაფიქრებს.

ამას ყოველივეს წმიდა ანტონი დიდი საკვირველი ლაკონიურობითა და სიღრმით წარმოგვიჩენს:

„ცოდვა არის არა ბუნებითად ნამოქმედარი, არამედ – **არჩევანისეული** უკეთურება“;

„როდესაც ღვთისმოყვარე **გონება** და **სული** თანხმობაშია, მაშინ მშვი-დობა აქვს მთელ **სხეულს**“;

„**სული** იმყოფება ხორცში, **სულში** – არის **გონება**, ხოლო **გონებაში** – **სიტყვა**, რომელთა მიერ შემეცნებული და განდიდებული ღმერთი უკვდავ-ყოფს **სულს**!“

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ლია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასა-ლები), თბილისი.

ბიბლია 1979 – Библия: Книги Священного Писания Ветхого и Нового Завета. Издание Московской Патриархии. Москва.

¹ შდრ.: „ჯერ-არს დამორჩილება გ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ს ც ა ი კ ვ ს ა“ (რომაელთა მიმართ 13,5); „რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გ ო ნ ე ბ ა ნ ი გ ო ნ ი ე რ ს ა!“ (რუსთაველი); „ამას მარტო თ ვ ა ლ ი გ უ ლ ი ს ა-და თუ ხედავდა და ყ უ რ ი გ უ ლ ი ს ა-და თუ ისმენდა, თორემ ხორციელი ხედავ ამისთვის უღონო იყო“ (წმიდა ილია მართალი).

² მე.ქართ. **გულგდებულის** „გულ-მიპყრობილი“ (სულხან-საბა 1991).

³ „**ნება** არს აღრჩევა ერთისა რასამე მრავალთა მათგან მოგონებათა კეთილისა, გინა ბორო-ტისა“ (სულხან-საბა 1991).

ბიბლია 2015 – ბიბლია, გამომცემლობა „ალილო“, გამომცემლობა „ქრონიკონი“, თბილისი.

გიგინეიშვილი 2016 – ბაქარ გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ). თბილისი.

ეკალაძე 2018 – ზურაბ ეკალაძე, მეცნიერება და რელიგია, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №18, 2018, გვ. 44-52. თბილისი.

დამასკელი 2000 – წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

წმიდა **ილია მართალი 1886** – საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია, 1886, №1, იანვარი 1, ოთხშაბათი, გვ. 2.

იმნაიშვილი 1975 – ივანე იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

იოვანე სახანისძე 2011 – წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტისა ჰაზომისი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, მეორე გამოცემა, თბილისი, გვ. 127-160; <http://www.allgeo.org/index.php/ka/838-2019-04-13-12-10-14>.

კლიმოვი 1964 – Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков. М., 306 с.

კონდაკი 1899 – კონდაკი. ექვთიმე ხელაძის სტამბა, თბილისი.

კუზნეცოვი 2017 – Священник Максим Кузнецов, Природа человека в богословии и преподавании Максима Исповедника, Московский Патриархат Русская Православная Церковь Пензенская Митрополия Пензенская духовная семинария Научно-богословский журнал, Выпуск 3 (1), Пенза, გვ. 39-44.

ლოპუხინი 1904-1907 – Толковая Библия, А. П. Лопухина, I, Бытие – Прити Соломона. Петербургъ.

ლოპუხინი 1911-1913 – Толковая Библия, А. П. Лопухина, III, Новый Завет. Петербургъ.

ლოცვანი 2013 – ლოცვანი მრჩობლნი – „ლოცვაჲ ნათელი არს სულისა“. გამომცემლობა დედაენა“, დაიბეჭდა „ალილოს“ მონაწილეობით, თბილისი.

ორჟონია 2018 – ირაკლი ორჟონია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმომართების შესახებ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „გული გონიერი“, №18, 2018, გვ. 72-92. თბილისი.

სამოციქულის განმარტება 2006 – სამოციქულის განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებუდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. თბილისი.

სამოციქულის განმარტება 2000 – სამოციქულის განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებუდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა. თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სიმფონია-ლექსიკონი 2009 – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, თსუ გამ-ბა, თბილისი.

სინური მრავალთავი 1959 – სინური მრავალთავი 864 წლისა, სინური მრავალთავი 864 წლისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5; სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ახლავს 11 ტაბულა. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სპეკალი 2007 – სპეკალი მარლმადიდებლობისა. კრებულში შემავალი ძეგლები ყველა არსებული ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. გამომცემლობა „ალილო“, თბილისი.

სულხან-საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

სულხან-საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ფენრიხი-სარჯველაძე 2000 – ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ქეგლ 1962 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VII, თბილისი.

ქეგლ 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტომი ტომი II, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნოლდ ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1971 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1973 – ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი II, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჯავახიშვილი 1956 – ივანე ჯავახიშვილი, „ადამიანის პიროვნება და მისი მნიშვნელობა ძველ ქართულ საისტორიო-საფილოსოფიო მწერლობასა და ცხოვრებაში“, კრებულში: ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, გვ. 130-155.

ჯორბენაძე 1984 – სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

წმიდა ანტონი დიდი – იხ.: https://www.orthodoxy.ge/mamebi/antoni_stsavlani3.htm

მღვდ. კონსტანტინე ლეკიშვილი, „ღვთისმოშიშება გულიდან მომდინარე სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს“. ჟ-ლი „კარიბჭე“, 22.01.2009, იხ.: <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/rogor-vickhovroth/3792-guli-gonieri.html>

MEDEA GHLONTI

**The Georgian Choice of Old Georgian "Heart Wise"
(For the Principle of Unification of Faith and Knowledge)**

S u m m a r y

By using of the centuries-old principle of the unification of faith and knowledge and based on the catechistic, dogmatic-exegetical translation by the Holy Fathers of the Church, the specific functional-semantic and theological motives for the establishment of the Old Georgian syntagm “heart wise” (3 Kings 3, 12) as a term seems conclusive, namely:

A) the high frequency of the polysemy of lexical-semantic groups of “heart” and “wise” and the Old Georgian lexical units with the same semantics outside these groups will be determined;

B) The Georgian choice of the Old Georgian syntagm “heart wise” and the lexical-semantic interrelation of its components ("heart", "wise") will be determined revealing the semantic functioning of the second component of this syntagm – "wise" towards "heart";

C) The theological precepts of the functioning of the Old Georgian Christian syntagm-term “heart wise” imprinted in the Holy Scriptures will be presented;

D) A specific notable functional-semantic motive for the formation of “heart wise” as an Old Georgian Christian syntagm-term will be identified ("the image of God" ↔ "mind", Christian choice and freedom).

ნატო შავრეშიანი

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადება სვანურში

სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები მთავარ წინადადებასთან მიმართების თვალსაზრისით, შეიძლება გამოხატავდეს ვითარებას, შედეგს, ჯერობას (მოქმედების განმეორებას) და შედარებას. მაგ.:

ეჩჟონ ლგჷმაშუდ ლგმარდ, ერე მესმე ნწთნ დემ ოთცჷრრა (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 85) „ისეთი შეძლებული ყოფილა (ზედმიწ. – ისზე ძლიერად ნამყოფა), რომ მესამე წილიც ვერ დაუტოვებია“

ლგც ერეხენისკა ლამშაჷხენ მუგჷდად ანღტრი, ეჯჟი ხეკჷეს გტიქჷან (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967, 73) „გალმა წყლიდან თითქოს სამუშაოდან მოვდივარ, ისე უნდა გვეთქვა“

ჩჷრბჷჩი ეჯი კუპტარალ ეჯჟი, ერე დარს ხანმეხ (ჩოლ.) „ისე გამოილევა ხოლმე ის კუბდარები (ზედმიწ. – გაქრება ის **კუბდ**-არ-ებ-ი ისზე), რომ არავის აჰმევენ“

ტომელდ დადა ლამზერთე ღღრდა, ერშელდგნ ქორ ქა ლგჯელჷე ხეხოლიდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 67) „რამდენჯერაც ბებია სალოცავად წავიდოდა, იმდენჯერ სახლი გამოხვეტილი ხვდებოდა“

მულქჷათე ერჟი ცქუიტდ ედრტჷნ, ერე დოლაბ-შირა ერ ედგურნი (ლშხ.) „დადმართში ისე ცქვიტად ჩაირბინა (ზედმიწ. – ისზე **ცქვიტ**-ად გაიქცა), როგორც წისქვილის ქვა დაგორდება“...

განსახილველ ქვეწყობილ წინადადებათა მთავარ წინადადებებში კორელატებად წარმოდგენილია ვითარების, ზომა-ოდენობისა და ჯერობის ზმნი-ზედები: **ეჯჟი/ეჯჟინ/ერჟა/ერჟინ/ეჯჟინენ/ეიჟი** „ისე“; **აშ** „ისე“; **ამჟი/ამჟინ** „ასე“; **ეკჷაბდ/ეკჷალიბდ** „ისეთნაირად“; **ამკალიბდ/ამკალიბდ** „ამნაირად“; **ეჯ-ზუმჷშ** „იმდენად“; **ერშელდინ** „იმდენჯერ“; **ეჯგჷნარ/ეჯგჷნ/ეჯგჷნად** „იმგვარად“; **ამგჷნარდ/ამგჷნ/ამგჷნად** „ამგვარად“...

აღმარ ეჩჟონ მალტარ ჩუ ლგმარხ, ერე მეფცხბრე მამგჷემ მოშ ლგმფგცხბრჷინ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 59) „ესენი ისეთი მოსიყვარულები [ქე] ყოფილან, რომ ვერავინ ამორებდა ერთმანეთს (ზედმიწ. – რომ დამცილებელი არა საქმე ვერ დანაშორება)“

ალე ეჯჟინენ ლოხგახ სგა, ერე ჟიქნჩუ ესგურუნა ჟადა (ჩოლ.) „ეს ისე შეუდგამთ, რომ ზემოდან დასჯდომია ზვავი“

ლტედარ ამ ოხთელგრე, ერე ჩუ ღოთ აქტიც (ლშხ., სვან. ქრესტ., 1979, 289) „ღვედები ისე მოუჭირა, რომ კინაღამ გაჭრა“

ეჯზუმტუმ წმინდ ხეკტეს ლეს ოჯახ, ერე სკამარსრ ამყტდუდახ (ჩოლ.) „იმდენად წმინდა უნდა იყოს ოჯახი, რომ სკამებსაც რეცხავდნენ“

ტომელდინ ადბარის ტშტისა, ეშმელდინ ლიც ქა ხეკტეს აგომის (ლნტ.) „რამდენჯერაც დაიბანენ ტაშტში, იმდენჯერ წყალი უნდა გადაასხან“

ეჯგუზრ ხაჯიდ ფაუ, ერე კან ჩ'უადაგან (ბქ., სვან. ლექს., 2000, 244) „ისე („იმ-გვარ-ი“) დაარტყა ჯოხი, რომ ხარი მოკვდა“

ეჯკალიბდ დემგუაშ ხაყლე, ერე ამნემ მადშ ანაჯგრჯის ლექტის (ლნტ.) „იმნაირად ვერაფერს ეტყვის, რომ ამან ვერ მოახერხოს სათქმელი“

ხოშალ ერ ხეშტაბდახ ჯტინელდ, ათხეჲ ამგუარდ ხტემარნლდ ზომხას (ჩოლ.) „როგორც წინაპრები ემზადებოდნენ ძველად (ზედმიწ. – უფროსები რომ მუშაობდნენ ძველად), ახლაც ისე ვემზადებით საახალწლოდ (ზედმიწ. – ახლაც ამ-გვარ-ად ვემზადებით ახალ წელს)“...

ზემოთ წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალისაგან განსხვავებით, ქვემოსვანურ მეტყველებაში (ზემოსვანურ დიალექტებში ნაკლებად) არის შემთხვევები, როცა მთავარ წინადადებაში **ეჯი** „ისე“ მისათითებელი სიტყვა არ გვხვდება, თუმცა ივარაუდება და აღდგენა შესაძლებელია. მაგ.:

ჭკუერიანდ ჟახოზნე დტუი დედეს [ეჯი], იმადჟი დტუდ ასომახალე (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 326) „ჭკვიანურამ მოუარა დევის დედას [ისე], როგორც დევმა დაუბარა“

ალ ფაყუ აწოლს ილეჩე უჩხახენქა [ეჯი], იმადჟი ლეყარ (ლნტ., სვან. ქრესტ., 297) „ეს ქუდი ზვინს იცავს წვიმისგან [ისე], როგორც სახურავი“

ხალ ლეზობურ მარას მრ ხაყა, [ეჯი] ასტამურ მეზგას მნ ხაყა (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 46) „როგორც საჭმლის გარეშე არ ვარგა ადამიანი, [ისე] ასტამის გარეშე ოჯახი („მოსახლეს“) არ ვარგა“

ხალ ისგუაშ დორს ხოუდა ეჩეჩუნენ ნამშაუ, დერა, [ეჯი] ეჯმარემდრ დესმა ხოუდახ (ჩოლ.) „როგორც შენთვის არავის მოუცია იქ ნამუშევარი, ხომ, [ისე] იმათთვისაც არაფერი მიუციათ“

ეჯის ქა ხეჭრის იშგენ ზურლალ [ეჯი], იმადჟი ლტაყარ ლგებ (ჩოლ.) „იმას გაჰყვებიან ხოლმე სხვა ქალები [ისე], როგორც კაცები დგანან“ და ა. შ.

ვითარების გარემოებითდამოკიდებულიან წინადადებაში შეიძლება გამეორდეს მისათითებელი ზმნიზედა ან მთავარი წინადადების შემასმენელი, რაც ექსპრესიის გაძლიერებით უნდა აიხსნას. მაგ.:

ალ დიდარ ეჩინ ჟი იფუნჩი, ეყინ, ერე კამინტს ღეთ სგანჩუნ ჯურტარს იყინე (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 140) „ეს პური ისე ამოფუცდება ხოლმე, ისე, რომ მტკაველამდე ხვრელებს იკეთებს შიგნით“

ეჯგუზრ ხაცუნი, ეჯგუზრ, ერე ლაცუნალჟი ჩ'უბაჰკუტ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 19) „ისე („იმ-გვარ-ი“) ეცინება, ისე („იმ-გვარ-ი“), რომ სიცილისას გასკდა“

მეში ლი ედჟი, ედჟი, ერე ჭიშხი სახ მნ თერგნ (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 262) „გასიებულია ისე, ისე, რომ ფეხის ნასახი არ ჩანდა“

ალე ჩჷჷ ეჯჷი ოზრზნანეხ, ეჯჷი, ერე დეცჷა იპუნალ (ჩოლ.) „ამ ცხენს ისე მოუარეს, ისე, რომ ცაზე დაფრინავს“

ესხრიხ, ესხრიხ, უშხუარ დარ ხარგადიხ, ეჯჷი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 60) „მიდიან, მიდიან, ერთმანეთს არავინ ელაპარაკებიან, ისე“...

განსახილველ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში, მთავარი წინადადების მისათითებელი ზმნიზედა შეიძლება მიეკედლოს დამოკიდებული წინადადების მაქვემდებარებელ კავშირს და მიიღება რთული კავშირი **ეჯჷი ერე** „ისე რომ“. აღნიშნული შემთხვევები მაშინ ხდება, როცა მთავარში მისათითებელი სიტყვა დამოკიდებულის კავშირის მომიჯნავედაა წარმოდგენილი. მაგ.:

მაროლი ლემთუეფოლნელიხ, ეჯჷი ერე მამაგუემ ლემმეკროლინ (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 10) „კაცები იკარგებოდნენ თურმე, ისე რომ არაფერი ხდებოდა ცნობილი“

ეჩეისა ლოქ შუშპარს იხოხ, ეჯჷი ერე ფხულეს ლოქ დემ ჰდშიხნეხ (ლნტ., სვან. ქრესტ. 1978, 320) „იმაში იცეკვებენო („ცეკვას იზამენ“), ისე რომ თითს არ დაიწვავენო“

ხმალ ქახიქა ესდე, ეჯჷი ერე ამირან დოშ ხეძლდეს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 129) „ხმალი განზე დადო, ისე რომ ამირანი ვერ მიწვდენოდა“

ამასობადა ჩუენრეე ეჯი ეჩაუნუნ, ეჯჷი ერე ჯეე ჟი ლეხიდა „ამასობაში ჩამოწია ის იქამდე, ისე რომ თვითონაც მისწვდა“...

აღნიშნულ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში დამოკიდებული წინადადება მთავარს უკავშირდება წევრ-კავშირებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით, რომელთა რაოდენობა და ფონეტიკური ვარიანტები სვანურის დიალექტთა გათვალისწინებით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს: **იმჷრ/იმჷიჷრჷ** (ლშხ., ჩოლ.)/**იმჷინრ** (ლშხ.)/**იმჷჷჷი** (ბზ.)/**იმჷაჷი/იმჷჷი** (ლნტ.) „როგორც“; **ჷომჷჷაღინ** (ბზ.)/**ჷომჷელღინ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჷომჷელდ** (ბქ.) „რამდენჯერაც“; **ხალ** (ლნტ.)/**ხალ** (ჩოლ.)/**ჰალ** (ბზ) „როგორც“; **ხემა** (ბქ., ჩოლ.)/**ჰჷმჷჷაღ/ხამჷჷაღ** (ბზ.)/**ხემოლჷაღ** (ლნტ.) „როგორც“; **ხონ** (ზ.-სვ.) **ხონრ** „თითქოს“; **მუგჷდა/მუგჷდაღ** (ბქ.)/**მუგჷდაღ** (ბზ., ლნტ.)/**მუგჷდაღ** (ლშხ., ჩოლ.) „თითქოს“; **ერე/ერ/ე** (სვან.) „რომ“; **ელო** (ჩოლ.)/**აღჷე** (ლნტ.) „თუ“...

საილუსტრაციო მასალა:

იმჷჷი ხოშა ხჷაღ ღერჩალ აშედენი, ეჯჷი ხოჩილ ლი (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967, 62) „რაც („როგორც“) მეტი ნაკვერჩხალი დაიყრება, ისე უკეთესია“

ჷომჷჷაღინ ჰნგუემა, ეჩმელღინ ჷერცხლდ ესსიპდა (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 163) „რამდენჯერაც აავსო, იმდენჯერ ვერცხლად გადაიქცა“

ჩჷმ ადკარე მლდ ჰარჷ, ჰალ მოშ ხემღეღან (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., 1939, 364) „გაალო მელამ ხახა, როგორც შეეძლო“

ხალ მოშ დრსკ ლეხეროლ, ეჯჷი ხოჩილდ სედნოლ ნამშაღ (ჩოლ.) „რაც უფრო ადრე შეუდგებოდი საქმეს („როგორც ადრე შეუდგებოდი“), მით უფრო კარგი გამოდიოდა ნათესები („ისე უკეთესად რჩებოდა ნამუშევარი““

ხემოლუქა ალ მაკედა ახოჯერჯახ, ეჯჷი ლოქ ადღერის იშკენ ლად (ლნტ.) „როგორც ეს გადასახადი მოუხერხებიათ, ისე მოიცილონ სხვაც (ზედმიწ. – ისზეო მოიცილონ სხვა, აგრეთვე)“

მუგუდად დოსმა ხოხლდა, ეჯჷი ედჷმან (ლშხ., სვან. ლექს., 2000, 574) „თითქოს არაფერი იცოდა, ისე გაჩუმდა“

სორთმანს ეჯჷათუშგდენა, ერე სამ ლეთ-ლადედ ლაყურახენჷი მად ოლგენელი (ბქ., სვან., პროზ. ტექსტ., 1957, 13) „სორთმანს ისე უთაკილებია, რომ სამი დღე და დამე საწოლიდან არ ამდგარა“

მად ხეფასი ეჯჷი აშხუმდ ლირდე, აღჷე მად ახათემინნე მადხუქამს (ლნტ.) „არ გამოვა ისე ერთად ყოფნა, თუ არ მოითმენ ცოტაოდენს“...

მოცემულ მასალაში საკავშირებელი საშუალებები (წევრ-კავშირები და მაქვემდებარებელი კავშირები) წარმოდგენილია, თუმცა იშვიათად გვაქვს შემთხვევები, როცა მაქვემდებარებელი კავშირი აკლია და იგულისხმება. იშვიათად უკავშირო დამოკიდებულს შეიძლება ახლდეს უკორელაციო მთავარი წინადადებაც, თუმცა მათი აღდგენა ადვილად შეიძლება. მაგ.:

ქახიქა ხოდისგხ ჩუ, სგა [ერ] დემ ხეთლენიხ, ეჯჷი (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 180) „მომორებით დაუდგამენ ხოლომე („დაუდებენ“), ახლოს არ ეკარებიან (ზედმიწ. – [რომ] არ შეეხებიან, ისე“

ეჯი სოფელ [ერ] ანაყრან, ეჯჷი დემსკი სოფელ ლგაყრელი (ჩოლ.) „ის სოფელი [რომ] დაიცალა („ა-ი-ყარ-ა“), ისე არცერთი სოფელი არ დაცლილა („ა-ყრ-ილ-ა““

ეჯჷი ლიყულის იხნა, [ერე] მანაგას ლახუარს ხასწგდა (ჩოლ.) „ისეთ ყვირილს იწყებდა, [რომ] ექოს მთებს გადასცემდა“

მწიღლს [ეჯჷი] ხაჩა, [ერე] ჯადი კან მწ ლეხსად ლწტნწლს (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 84) „მელიას [ისე] ეცინება, [რომ] მუცლის კანი არ შერჩა სიცილისგან („სიცილს“)“...

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ შეიძლება კავშირი არ იყოს წარმოდგენილი, ლაშხურსა და ჩოლურულში ორმაგკავშირიანი წინადადებებიც დასტურდება, როცა მიმართებით ზმნიზედებთან ერთად მაქვემდებარებელი კავშირიც მონაწილეობს. ასეთ შემთხვევებში კავშირის ფუნქციას ამკარად წევრ-კავშირი უნდა ასრულებდეს, ვინაიდან მისი ჩამომორების შემდეგ მაქვემდებარებელი კავშირი წინადადების სხვა წევრთა პოზიციის გათვალისწინებით ამ ადგილზე ვერ დარჩება, ხოლო მიმართებითი ზმნიზედისთვის (მაქვემდებარებელი კავშირის ჩამომორებით) ეს პოზიცია ბუნებრივია:

ქანს ათხეჲ ეჷი ალწმიხ, **იმჷი ერე** ჯჷინელდ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 53) „კანაფს ახლაც ისე თესავენ, როგორც რომ ადრე“

ხწლ ერე მეთხუიარა ოთხ ნათხუიარას მეთხუიარი შელდჷი, ეჷოთი ხილ სანხუბისა მგწათი მუხუბჷმი შელდჷი (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 44) „როგორც რომ მონადირეები ინაწილებენ ნანადირევს მონადირეთა რაოდენობის მიხედვით („რაოდენობაზე“), ისე იყოფა ხილიც სამომში მოწილე ძმათა რაოდენობაზე“

ხონი ერე მაკედ ნამშაუ ახკედენხ, ედჟი ხაბჟახ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 53) „თითქოს რომ მოსავალი მოეწიათ („ნამუშევარიმოსვლოდათ“), ისე მიაჩნიათ“

ეჯჟი იშტაბდა, **მუგუტადა ერე** დოსა ახლელდა ეჩა ლიწურლწლს (ჩოლ.) „ისე ჩხუბობდა, თითქოს რომ არ ელოდა მის გათხოვებას“

ჩუაჭმხგდახ ეჯჟი, **ერე იმეიუტა** ლი ფაყუ თხუმიჟი (ჩოლ.) „ფორმას მისცემდნენ ისე, რომ როგორც არის თავზე ქუდი“

გაცხად ეჯჟი ხუაჭიმდ ნად, **იმეიუტა ერე** ეჩე, შუანს (ჩოლ.) „ნამდვილად („ცხად-ად“) ისე მივყვებით ჩვენ, როგორც რომ იქ, სვანეთში“...

ვითარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში მაქვემდებარებელ კავშირთაგან **ერე/ერ** „რომ“ კავშირი სვანურის ყველა დიალექტში გვხვდება, მათ შორის ჩოლურულშიც, თუმცა **აღუე/ეუე/ელა** „თუ“ მხოლოდ ლენტეხურისა და ჩოლურულის მასალაში დასტურდება (ისევე როგორც პირობითდამოკიდებულის წინადადებებში). მაგ.:

ეუე მიჩა სკუტებინ ძერბი მეტრი ნამაშწირიჟი ქადასკინოლ, ეჯჟი დემ ხაჩეშნა ღუაშ (ლწტ.) „თუ თავის წინ ორი მეტრის სიფართეზე გადახტებოდა, ისე ვერ გაასწრებდა ჯიხვი“

აღუე დემ ათუაქუთნოლ, ეჯჟი დემ მატყაწცდა ტორწლს (ლწტ.) „თუ არ გავინძრეოდი, ისე არ მირტყამდა ტორებს“

ამშა მუფუშტანს ეჯჟი დემ ლენწირდ, **ელა** ალე ისარს დემ ალყუთიფედ (ჩოლ.) „ამის მსროლელს ისე ვერ მოვერევი, თუ ამ ისარს ვერ ამოვამრობთ“

ეჯჟი დემლა მეცაწდრლ, **ელა** დრმ ოთბაცნას ესამ (ჩოლ.) „ისე არაფრით მეგზავნებოდა, თუ არ შევპირდებოდი რამეს“...

ასევე საინტერესოა ჩოლურულში დადასტურებული ისეთი მასალა, სადაც დამოკიდებული მთავარს უკავშირდება არა მიმართებითი ზმნიზედით, არამედ მიმართებითი ნაცვალსახელით **იმრ** „რასაც“ და მთავარში **ეჯჟი** „ისე“ მისათითებელი სიტყვა გვხვდება. მაგ.:

იმრ ტუღდახ სოფელისა, ზუსტად ეჯჟი ლას (ჩოლ.) „რასაც ამბობდნენ სოფელში, ზუსტად ისე იყო“

დუემტი მინარს იმრ ესუადნა, ეჯჟი ხესკეთრლ მაგ (ჩოლ.) „ორშაბათ დილას რასაც ინატრებდა, ისე უსრულდებოდა ყველაფერი“

ეჯი იმრ ლექუტნა ი ლახთერნა, ეჯჟი ხეფსრლ ჩიგარ (ჩოლ.) „ის რასაც იტყოდა და შეატყობდა, ისე ხდებოდა ყველაფერი“...

რაც შეეხება მიმართებით ზმნიზედებს, ხშირად **-უწა/-უწა/-რ** „-ცა“ ნაწილაკისა და **-ჟი** „ზე“ თანდებულის (რომელიც შეიძლება ორჯერ დაერთოს, ჯერ კითხვით სიტყვას, შემდეგ კი მიმართებით ზმნიზედას) დართვით იწარმოება, ხოლო რიგ დიალექტებში პარალელურად უნაწილაკო (და უთანდებულო) მიმართებითი სიტყვებიც გვხვდება და ასეთ შემთხვევაში ფორმოზრივი დამთხვევაა კითხვით სიტყვებთან. მაგ.:

მგ ქრხგმბაჲე მიჩა ხეხუდ, **იმუწაჲი** ლსუ მჩა ლსქმათე მეჩდანლო (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 163) „ყველაფერი უამბო მისმა ცოლმა, როგორც იყო მისი საშოვარზე წასვლის შემდეგ“

ქწნრექუწნ ეჯჷი, **იმეგუწაჲი** მეხმგრნლს ხეკუთნიუ (ბზ., აბესაძე, 1960, 124) „ჩაიცვა ისე, როგორც მეღორეს შეეფერებოდა („ეკუთვნოდა“)

იმწი სკამ ლოქ ლი ლუკურთხან, ეჯჷი ლოქ იკურთხანი ნადირ (ლნტ., სვან. პროზ., ტექსტ., 1967, 71) „როგორც სკამიაო შებოჭილი, ისე შეიბოჭებოა ნადირიც“

მელქტერიწმ ნალჷჷურს ქა ხწქტე, **იმეი** ტურად ოხუმბაჲე, ეჯჷი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 59) „მეწისქვილის ვაჟს უთხრა, როგორც ტურამ უამბო, ისე“

იმეი ლოქ მეკუტიდი, ეჯჷი ლოქ მაყა ეჯ ხალხ (ლნტ., სვან. ქრესტ., 1978, 91) „როგორც მენდომებოა, ისე მყავსო ის ხალხი“

იმეიუწა მიმგუტი ბებია-ბაბუას ხნდა ეჯი უოჯახ, ეჯჷი ხნდახ სამსონს ი მიჩა აეხუტს (ჩოლ.) „როგორც ჩემს ბებია-ბაბუას ეკუთვნოდა ის ოჯახი, ისე ეკუთვნოდათ სამსონს და მის ცოლს“

ეაჲი ჩომინ, იმუწა მიჩა აეხუტ ხათრნე (ლშხ., სვან. ქრესტ., 1978, 280) „ისე გააკეთა („ქნა“), როგორც თავისმა ცოლმა დაარიგა („აჩვენა/ასწავლა“)

იმერ ეჩქად აგაწყობლდა ლეზობ-ლეთრას, ეჯჷი ასყი ამ ლეთრ (ჩოლ.) „როგორც მანამდე აწყობდა საჭმელ-სასმელს, ისე აკეთებს ამ ღამესაც“...

განსახილველ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში, დამოკიდებული წინადადება, რომელიც საკავშირებელ საშუალებად **ერე** „რომ“ მაქვემდებარებელ კავშირს იყენებს, უმეტესწილად მთავარი წინადადების მომდევნო პოზიციასზეა, განსხვავებით **ელა** „თუ“ მაქვემდებარებელი კავშირისა (რომელიც პრეპოზიციასია უფრო ხშირად). მიმართებითი ზმნიზედების შემცველი დამოკიდებული კი სამივე პოზიციასში თანაბარი სიხშირით დასტურდება. მაგ.:

ჰარწყ ი რწნგ იმუწაჲი აწს ხეკუწად, ეჩჷრნ ხულუწანდა ჩი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 46) „არაყი და რანგი ვისაც როგორც უნდოდა, ისე ჰქონდა ყველას“

მელქტერიწმ გეზალ ხემწა შომწა, ამჷი ადსიპდა (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 61) „მეწისქვილის შვილი როგორც ყოველთვის („როდესაც“), ასე გადაიქცა“

მუგდწა დენას დესა ხოწუწან, ეჯჷი ლახოქაბე (ლნტ., სვან. ლექს., 2000, 574) „თითქოს გოგოს არ ენახოს, ისე აუარა გვერდი“

ჩიდა ლასენტყუადუწ ამსედები, ჰწლ ჩუ მესდე ხი, ამჷი (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 57) „ყველას სატირლად დარჩენილიყავი, როგორც ხარ დარჩენილი, ასე“

მუჭდურას ხოკედხ გუტჷს, კაპრწ სგა ხაყა, ეჯჷი (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 1957, 71) „მკერდეულს უღებენ გოჭს, ნიკაპი {რომ} შერჩენილი აქვს, ისე“

ქწპარ ქორ ღოშკინქა, იმერ მიჩა მუხუბე, ეჯჷი (ჩოლ.) „გავარდა („გაფრინდა“) სახლის უკან, როგორც თავისი ძმა, ისე“

ყწრ ლეტპბე ლი ეჯკალიბდ, ერე ამხუხან შრმი ლაგუტიდირ ხწრ (ბზ., სვან. ქრესტ., 1978, 34) „ყავარი გათლილია ისე („იმ-ყალიბ-ად“), რომ ერთი მხრიდან ხელის მოსაკიდი აქვს“

ეძჳრუ ლოქ ადბიზე, ერე ნებოზს ლოქ ერ მადლობას ხაყღდეხ (ლშხ., სვან. პროზ. ტექსტ., 1979, 106) „ისე გაადღეთო, რომ საღამოს მადლობას გეუბნებოდნენო“

აუე, ქა ლოქ ეჯჳი ანსკიდნი, იმჳაჳი ლოქ ხეშკედოლნი (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 1967, 94) „აბა, ისე გამოიხედავსო, როგორც ეკადრებაო“

ეჯჳი ხნრაზ ლესყი ემზ, იმჳიჳჳა სარას ხრჳჳა (ჩოლ.) „ისე ჰქონიათ მაინც გასაკეთებელი, როგორც სარას უთქვამს“...

საანალიზო მასალამ აჩვენა, რომ ვითარების გარემოებითი დამოკიდებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციები მრავლად გვხვდება სვანურის ყველა დიალექტში და მათ შორის არსებითი სხვაობა არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით გარკვეული საკავშირებელი საშუალებების გამოყენების სიხშირესა და თავისებურებებს, რაც დამოკიდებული წინადადების პოზიციაცხეც აისახება.

ლიტერატურა

აბესაძე 1960 – ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები სვანურში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, თბილისი.

წყაროები

სვან. ენის. ქრესტ. 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ, მ. ქალდანმა და ზ. ჭუმბურიძემ, თბილისი.

სვან. ლექს. 2000 – სვანური ლექსიკონი, შეადგინეს ვარლამ თოფურიამ და მაქსიმე ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1939 – სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსქვემოური კილო, ტექსტები შეკრიბეს ა. დავითიანმა, ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1967 – სვანური პროზაული ტექსტები, III, ლენტეხური კილო, ტექსტები შეკრიბეს და რედაქცია გაუკეთეს ვ. თოფურიამ და მ. ქალდანმა, თბილისი.

სვან. პროზ. ტექსტ. 1979 – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, ტექსტები შეკრიბეს არ. ონიანმა, მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა. რედაქცია გაუკეთეს მ. ქალდანმა და ალ. ონიანმა, გამომც. მეცნიერება, თბილისი.

მთქმელები

გარდაფხაძე ცისანა (ლეუშერი, 65 წლისა); **გვიდიანი დარეჯანი** (საყდარი, 57 წლისა); **ბენდელიანი გულთამზე** (საყდარი, 49 წლისა); **კვასტიანი ციცანა** (ჭველფი, 61 წლისა); **ლიპარტელიანი გრიშა** (ჭველიერი, 75 წლისა); **ნემსაძე მერი** (ჩიხარეში, 72 წლისა); **რატანი ზურიკო** (ლეუშერი, 69 წლისა); **ქურდიანი ნათელა** (ლეუშერი, 69 წლისა); **შავრეშიანი ზორისი** (ფანაგა, 75 წლისა); **შავრეშიანი ვიტალი** (ლეუშერი, 56 წლისა); **ხაბულიანი ვიტალი** (მუწდი, 81 წლისა); **ხვისტანი ბუთული** (ლეუშერი, 76 წლისა); **ჯამბურძე გურჯანი** (ფანაგა, 50 წლისა); **ჯანხოთელი ონისე** (ჩიხარეში, 42 წლისა).

NATO SHAVRESHIANI

An Adverbial Clause of Manner in Svan

S u m m a r y

Adverbial hypotactic constructions of manner are abundantly found in all the dialects of Svan, including the Cholur speech. A certain difference between dialects is created by the frequency and peculiarities of the use of connecting means, which is also reflected on the position of the subordinate clause. The subordinate clause that uses the subordinate conjunction **ere** “that” as a connector mostly follows the main clause unlike the connector **eyo** “if” that is in the preposition in most cases. As for the relative clause, it can be found in all three positions at the same frequency.

In the discussed complex sentences, connectors (member-connectors and subordinate conjunctions) are mostly present, although we rarely have cases where the subordinate conjunction is missing but implied. Rarely a subordinate clause without a connector may be accompanied by a main clause without a correlative although they can be easily restored.

ვაჟა შენგელია

ჩერქეზულ ენათა შესწავლის ისტორიიდან. I

ჩერქეზული (ადიღური) ენები – ადიღური და ყაბარდოული (ყაბარდოულ-ჩერქეზული) – იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის ადიღურ (ჩერქეზულ) ქვეჯგუფს ქმნის. ამ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები ცხოვრობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ძირითადად სამ რესპუბლიკაში – ადიღეში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, აგრეთვე, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეთა რამდენიმე რაიონში, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში. ამჟამად ჩერქეზთა საერთო რაოდენობა კავკასიაში დაახლოებით ერთი მილიონი უნდა იყოს (2002 წლის მონაცემებით იყო 700 ათასზე მეტი). გაცილებით მეტი ჩერქეზი ცხოვრობს უცხოეთში, კერძოდ – XIX საუკუნეში იძულებით გადასახლებულთა (მუჰაჯირთა) შთამომავლები. მათი რაოდენობა განსაკუთრებით დიდია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (ზოგიერთი მონაცემით მათი რაოდენობა თურქეთში 3 მილიონზე მეტია). ჩერქეზები ცხოვრობენ, აგრეთვე, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში მცხოვრები ჩერქეზები ოფიციალურად სამი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებად მიიჩნევიან, ისინი თავს ერთ ხალხად აღიქვამენ და თავისი ეროვნების აღსანიშნავად ყველა მათგანი ერთ გამაერთიანებელ სახელს – **ადღლ’ზ**-ს უწოდებს, თავიანთ ენას კი – **ადღლ’აზზ** (ადიღ.) || **ადღლ’აზზ** (ყაბ.)-ს.

ადიღური და ყაბარდოული ახალი დამწერლობის მქონე ენებია. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ანბანის შექმნის არაერთი მცდელობა იყო, მაგრამ მათი გამოყენება თავად კონკრეტული ავტორების პუბლიკაციების ფარგლებს არ გასცდენია. XX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა ანბანები, რომელთა გამოყენებაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაიწყო. 1918 წელს შეადგინეს ადიღური ანბანი არაბული გრაფიკის საფუძველზე, 1927 წლიდან ადიღური ანბანი დაემყარა ლათინურ ანბანს; 1938 წლიდან ადიღური დამწერლობა ეფუძნება რუსულ გრაფიკას (კირილიცას). ყაბარდოული ანბანი 1923 წლიდან ლათინურ გრაფიკას დაემყარა, 1935 წლიდან – რუსულ გრაფიკას.

ჩერქეზულ ენათა შესწავლის ისტორიას, ჩვეულებრივ, იმ ლექსიკური მასალით იწყებენ, რომელიც წარმოდგენილია ძველი ევროპელი ავტორების ჩანაწერებში. ისინი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მიზნით სწვევიან კავკასიას და, აქ მოსახლე ხალხთა ყოფისა და კულტურის აღწერასთან ერთად, სათანადო ენობრივ მონაცემებსაც გვთავაზობენ. აღნიშნული ჩანაწერები გამოქვეყ-

ნებულია 1974 წელს ნალჩიკში გამოცემულ კრებულში „ადიდები, ბალყარელები და ყარაჩაელები XIII-XIX საუკუნეების ავტორთა უწყებებში“ (იხ. ადიდები 1974). ამ ჩანაწერებში დაფიქსირებულია არაერთი ჩერქეზული ლექსიკური ერთეული, ძირითადად – ონომასტიკური ლექსიკა (ტოპონიმები, ანთროპონიმები, ეთნონიმები). ჩანაწერებს სიზუსტე აკლია, რადგან მათი ავტორები, ბუნებრივია, სათანადოდ ვერ აღიქვამდნენ ევროპული ენებისათვის უცხო ბგერებს, ამასთან, ჩანაწერები კეთდებოდა ლათინური ანბანის გამოყენებით, რომელშიც არ არის წარმოდგენილი სპეციფიკური ჩერქეზული ბგერებისათვის შესაფერისი ასო-ნიშნები.

ცნობილ თურქ გეოგრაფს, მოგზაურსა და დიპლომატს ევლია ჩელების, მოგზაურობის 10-ტომიანი წიგნის ავტორს, რომელიც XVI საუკუნის 40-იან და 60-იან წლებში სწვევია კავკასიას, უმოგზაურია საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ე. ჩელები აღწერს კავკასიის ხალხთა ყოფას და გვთავაზობს ენობრივ მასალას. როგორც „მოგზაურობის წიგნის“ მეორე ნაწილის ქართულად მთარგმნელი, კომენტარებისა და გამოკვლევის ავტორი გ. ფუთურიძე აღნიშნავს, არაბული ანბანით, რომელსაც ე. ჩელები იყენებდა, შეუძლებელი იყო კავკასიური ბგერების სრულად და ზუსტად გადმოცემა, თანაც, იგი ზოგ შემთხვევაში სწორად ვერ აღიქვამდა სპეციფიკურ ბგერებს, რაც განაპირობებდა შეცდომებს (ჩელები 1971: 107). ონომასტიკურ მასალასთან ერთად, რომელშიც ჩერქეზული ტოპონიმები და ანთროპონიმებიც გვხვდება. ყურადღებას იქცევს ავტორის მიერ ჩაწერილი ლექსიკა (არსებითი სახელები, რიცხვითი სახელები) და ცალკეული ფრაზები აფხაზურ და უბიხურ (სადი) ენებზე, მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტზე (ჩელები 1971: 107-108, 333). ზოგი მკვლევარი უბიხურ მასალას ჩერქეზულად მიიჩნევს.

ყაზარდოული ენის პირველი სისტემური ხასიათის ჩანაწერები ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრს ი. გიულდენშტედტს, რომელსაც 1771 წელს უმოგზაურია ყაზარდოში და 300-მდე ყაზარდოული სიტყვა ჩაუწერია, კერძოდ, წინასწარ შედგენილი გერმანული სიტყვანი უთარგმნინებია ყაზარდოულად. აქამდე ამ რაოდენობის ყაზარდოული სიტყვა არავის დაუფიქსირებია. ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის წიგნის II ტომში (იხ. გიულდენშტედტი 1964), რომელიც გერმანულიდან ქართულად თარგმნა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ყაზარდოული სიტყვები ლათინური ანბანის საშუალებით არის გადმოცემული (დამატებითი ნიშნების გარეშე), რაც არ იძლეოდა საშუალებას ეს სიტყვები ფონეტიკური თვალსაზრისით ზუსტად ყოფილიყო დაფიქსირებული; გვხვდება შეცდომები თარგმანებში. მაგრამ, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „გასაკვირი ასეთი შეხდომები კი არ არის, არამედ ის, რომ მეტი უზუსტობა არ დასტურდება: ეს უთუოდ ი. გიულდენშტედტის, როგორც მეცნიერის დაკვირვების საფუძვლიანობას მოწმობს... გვილდენშტედტის ლექსიკური ჩანაწერები მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში დიდი შემეცნებითი ღირებულების დოკუმენტაციას წარმოადგენს“ (ჩიქობავა 1965: 111). გარდა ამისა, ი. გი-

ულდენშტედტს ეკუთვნის პირველი გაბმული ტექსტების ჩანაწერები კერძოდ, 50-მდე ფრაზა ყაზარდოულ ენაზე, რომელიც წყაროზე მიუთითებლად გამოსცა ი. კლაპროთმა (ჩიქობავა 1965: 113-115).

გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ ი. კლაპროთმა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1807-1808 წლებში იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში. ყაზარდოში ყოფნისას ჩაუწერია რამდენიმე ათეული სიტყვა და ფრაზა. ეს მასალა (სამწუხაროდ, სიზუსტეს მოკლებული) ჩაუწერია ძირითადად მდ. ყუბანის პირას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ კლაპროთი პლაგიატორია და იბერიულ-კავკასიურ ენათა მასალა (მათ შორის – ყაზარდოულიც) სხვის მიერ ჩაწერილის გამოვრება (წყაროზე მიუთითებლად). მცირე გრამატიკულ შენიშვნებს ყაზარდოული ენის შესახებ სულ ოთხი გვერდი ეთმობა. ზოგი შენიშვნა სწორია: ჩერქეზული ევროპელისათვის ძნელი გამოსათქმელია, სახელი სქესებს არ განარჩევს, **არ** ნაწევრის როლს ასრულებსო... გვაქვს უზუსტობები: ი. კლაპროთი ყაზარდოულში ყველა იმ ბრუნვას გამოყოფს, რომლებიც ლათინური ენისათვის არის დამახასიათებელი, მსჯელობს არარსებული ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩება ზმნის ცვალება როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მიხედვით; იგი უარყოფს ჩერქეზულისა და აფხაზურის ნათესაობას (ჩიქობავა 1965: 126).

1825 წელს ჩერქეზმა განმანათლებელმა შორა ნოლმამ შეადგინა ყაზარდოული ანბანი არაბული გრაფიკის საფუძველზე, ხოლო 1930 წელს – რუსული გრაფიკის საფუძველზე. მასვე ეკუთვნის პირველი გრამატიკა, რომელიც მისი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ გამოაქვეყნა გ. ტურჩანინოვმა (ნოლმა 1959). ნაშრომში განხილულია ყაზარდოული ენის გრამატიკული სტრუქტურის ყველა ძირითადი საკითხი. შ. ნოლმას გრამატიკა ნ. გრეჩის გრამატიკის გავლენით არის შედგენილი, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ნ. გრეჩის „რუსული ენის პრაქტიკული გრამატიკა“ (1827 წ.). სხვა ენის გრამატიკის სქემის გამოყენებამ ხელი შეუშალა შ. ნოლმას ყაზარდოული ენის გრამატიკული თავისებურებანი სათანადოდ წარმოეჩინა (მაგ., სპეციფიკურ ბრუნვათა არსებობა). ამასთან, გვაქვს ზოგი სხვა რიგის უზუსტობაც, მაგალითად, ყაზარდოული **არ** განხლულია ჯერ როგორც III პირის ნაცვალსახელი, შემდეგ – როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი; არ არის გარჩეული პირის ნაცვალსახელები და პირის ნიშნები ზმნაში; დინამიკურობის ნიშანი პირის ნიშანთან ერთად (გაუთიშავად) არის წარმოდგენილი... (ნოლმა 1959: 68-69).

შ. ნოლმას „ყაზარდოულ-რუსული ლექსიკონი“ რამდენიმე ათას სიტყვას შეიცავს. ავტორს ლექსიკონი თემატური პრინციპით ჰქონია დალაგებული, მის გამომცემელ გ. ტურჩანინოვს კი სიტყვები ანბანთრიგზე დაულაგებია; მასვე მოუშადადებია აღნიშნული სიტყვათა თანამედროვე ფორმების ლექსიკონი. შ. ნოლმას მის მიერ შედგენილი ანბანით ჩაუწერია ისტორიული ხასიათის სიმღერები და თქმულებები (ნოლმა 1956), რომლებსაც ემყარება მისი „ადილე ხალხის ისტორია“. შ. ნოლმას მემკვიდრეობა მეტად ფასეულია ადილე ხალხის ისტორიისა და ადილური ფილოლოგიისათვის (კუმახოვი 2006: 12).

ფრანგმა მოხელემ ლ. ლულიემ, რომელიც რუსეთში, კერძოდ – კავკასიაში მსახურობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, შეადგინა და 1846 წელს ოდესაში გამოსცა წიგნი „რუსულ-ჩერქეზული ანუ ადიღური ლექსიკონი ამ უკანასკნელის მოკლე გრამატიკით“. წიგნის შესავალში ავტორი ჩამოთვლის ჩერქეზ ტომებს (მათ შორის: დიდ და მცირე ყაზარდოში მცხოვრებ ყაზარდოელებს, ბესლენეელებს, მახოშელებს, ჭუმგუელებს, ჟანაელებს, ზუედულებს, ნატუხაელებს, აბძახებს, შაფსულებს...), აგრეთვე, იმ ხალხებს, რომლებიც, მშობლიურ ენასთან ერთად, ფლობენ ჩერქეზულ ენას (მათ შორის დასახელებულია აფხაზები, უბიხები, ნოღაელები, ყარაჩაელები, ბალყარელები...). ამასთან, ლ. ლულიეს მიაჩნია, რომ ჩერქეზული ენა გენეტიკურად არ უკავშირდება არათუ არცერთ მისთვის ცნობილ ენას, არამედ კავკასიაში მცხოვრები არცერთი ხალხის ენას (ლულიე 1846: III-IV). ყაზარდოელების დამოკიდებულება სხვა ჩერქეზულ დიალექტებთან ისეთივეა, როგორც „მალოროსიულის“ დამოკიდებულება „ველიკორუსულთან“; საინტერესოა ავტორის მიერ წარმოჩენილი ბგერათმესატყვისობები ადიღურსა და ყაზარდოულს შორის (სათანადო ტერმინოლოგიის გარეშე); საკვლევი, რომელში გვაქვს ამოსავალი ვითარებაო (ლულიე 1846: V-VI).

ჩერქეზულმა, რომელიც სხვა ძირისაა აფხაზურთან შედარებით, ამ უკანასკნელს „გადასცა“ მრავალი თავისი სიტყვა ისე, როგორც მეგრულმა. თავად ჩერქეზულმა კი მრავალი არაბული და თურქული სიტყვა შეიძინა ყირიმის სახანოსა და თურქეთის გავლენით (ლულიე 1846: VIII).

ლ. ლულიეს რუსულ-ჩერქეზულ ლექსიკონში რუსული სიტყვები თარგმნილია ჩერქეზულად და, ამავე დროს, მითითებულია ფრანგული შესატყვისები როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ლექსიკონში წარმოდგენილია ძირითადად ადიღური ენის შაფსულური დიალექტის ლექსიკა (კერაშევა 1957: 14-18). ჩერქეზული სიტყვები გადმოცემულია რუსული გრაფიკის გამოყენებით და ფონეტიკური თვალსაზრისით საკმაოდ უზუსტოდ.

მოკლე გრამატიკულ ნარკვევში (26 გვ.) ჩერქეზული ენის ფონეტიკა დახასიათებულია რუსული ენის ფონეტიკასთან შედარებით. გამოყოფილია შვიდი ბრუნვა, ევროპულ ენებისათვის დამახასიათებელი; სპეციფიკური, ერგატიული ბრუნვა არ შეუმჩნევეია; ცალ-ცალკეა წარმოდგენილი არსებითი და ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელების ბრუნების პარადიგმა; გამოყოფილია ზმნის უღვლილების ხუთი ტიპი (პრინციპი გაურკვეველია); ლაპარაკია არაარსებულ წინდებულებზე; გვთავაზობს ზმნისართების, კავშირებისა და შორისდებულების მცირე და უზუსტო ჩანაწერებს (ლულიე 1846: 1-26).

ზემოთ განხილული წიგნის გარდა, ლ. ლულიეს ეკუთვნის საყურადღებო წერილები ჩერქეზთა ეთნოლოგიური სინამდვილის შესახებ. ამ წერილებს მაღალ შეფასებას აძლევენ სპეციალისტები.

გერმანელ ირანისტა და თურქოლოგს გ. როზენს ჰუმბოლდტის რჩევით მონაწილეობა მიუღია ექსპედიციაში, რომელიც 1843 წელს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოეწყო კავკასიაში. ამ ექსპედიციაში მოპოვებული მასალის საფუძველზე მან შექმნა პირველი მეცნიერული გამო-

კვლევები მეგრულ-ლაზურის, სვანურისა და აფხაზურის შესახებ. ჩერქეზული მას სპეციალურად არ უკვლევია, მაგრამ ნარკვევში აფხაზურის შესახებ აღნიშნა აფხაზური და ჩერქეზული ნაცვალსახელების დიდი სიახლოვე (აფხაზურისა და ჩერქეზულის ნათესაობა განსაკუთრებით კარგად ნაცვალსახელებში ჩანს); მრავლობითის მაწარმოებლად აფხაზურში. **-ქა(-ქა)** გვაქვს, ჩერქეზული **-ხე** (-ხ'წ)-ს შესატყვისი (მახვილი მასზეა დაფიქსირებული); აფხაზურის მსგავსად, ჩერქეზულში მსაზღვრელი საზღვრულის მომდევნოდ იხმარება; ჩამოთვლის ჩერქეზულ პირის ნაცვალსახელებს (ჩვენებით ნაცვალსახელს III პირის ნაცვალსახელად მიიჩნევს); აფხაზურის მსგავსად, ჩერქეზულშიც საზღვრულის მომდევნოდ იხმარება (როზენი 1845: 430-434).

1862 წელს გამოჩენილმა რუსმა მკვლევარმა პ. უსლარმა (ცნობილ ჩერქეზ განმანათლებელთან უ. ბერსეისთან ერთად) შექმნა ყაზარდოული ანბანი და იქვე მიუთითა ამ ენის ბგერათა წარმოთქმის თავისებურებებზე.

პ. უსლარს ეკუთვნის მოკლე შენიშვნები ჩერქეზული (ადიღეური) ენის შესახებ, რომელიც შემდეგ დაერთო 1887 წელს ბეჰდურად გამოყენებულ მის მონოგრაფიას „აფხაზური ენა“. ავტორი იზიარებს ი. კლაპროთის თვალსაზრისს, რომ ჩერქეზული ენა წარმოთქმის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე რთულია მსოფლიოში; მისი მოსაზრება, რომ თანხმოვნები ჩერქეზულში შეიძლება წარმოითქვას ხმოვნის თანხლების გარეშე (პოტენტოტების ენის მსგავსად) არ არის ზუსტი (თანხმოვნის ცალკე წარმოთქმისას მის მომდევნოდ ისმის სუსტი **g** ხმოვანი); ხმოვნები და დიფთონგები მათ მიერ დაკავებული ადგილის შესაბამისად და მეზობელი თანხმოვნების გავლენით სხვადასხვაგვარად წარმოითქმისო (ეგვევ თვალსაზრისი შემდგომში გაიმეორა ნ. ტრუბეცკოვი); პ. უსლარი მიუთითებს აბრუპტივების მოწყვეტით წარმოთქმაზე (отрывистое произношение). ჩერქეზულ ბგერებს ახასიათებს სხვა ენებთან (ქართულთან, სომხურთან, რუსულთან, ფრანგულთან, არაბულთან...) შედარებით; პ. უსლარის აზრით, ჩერქეზულში მახვილი ძირითადად ბოლოსწინა მარცვალზეა;¹ საინტერესოა სისინ-შიშინა თანხმოვანთა დახასიათება და ავტორის მიერ მოყვანილი ის მაგალითები, რომლებიც აღნიშნული თანხმოვნების ფონემურობას ადასტურებს (უსლარი 1987: 25-28).

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩერქეზულ ენათა შესწავლის საქმეში ლევ ლოპატინსკიმ. მისი სამეცნიერო ნაშრომები და მოპოვებული ენობრივი მასალა გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემაში „მასალათა კრებული კავკასიის მხარეთა და ხალხთა აღსაწერად“ (СМОЛКИ), რომელსაც თავად რედაქტორობდა 22 წლის განმავლობაში. ლ. ლოპატინსკის ძირითადი ნაშრომებია: „მოკლე ყაზარდოული გრამატიკა“ (ლოპატინსკი 1891) და „რუსულ-ყაზარდოული ლექსიკონი“ (ლოპატინსკი 1891ა). გრამატიკა მოკლეა (46 გვ.), მაგრამ მასში განხილულია ყაზარდოული ენის სტრუქტურის ყველა არსებითი საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ზოგი შეცდომისა, ეს გრამატიკა ყველაზე სერიოზული ნაშრომია XIX საუკუნეში ადიღურ ენათა შესახებ შექმნილ გამოკვლევათა შორის. რაც შეეხება ლექსიკონს, მასში 7 ათასზე მეტი ყაზარდოული

¹ ეს მოსაზრება არ არის ზუსტი; როგორც გ. როგავა აღნიშნავს, ადიღურ სიტყვათა უმრავლესობაში მახვილი ბოლო მარცვალზეა (როგავა, კერაშევა: 25-28).

სიტყვაა წარმოდგენილი. ზოგი სიტყვა ლექსიკონში ფონეტიკურად უზუსტოდ არის დაფიქსირებული, თარგმანშიც გვაქვს შეცდომები. მაინც აღნიშნული ლექსიკონი ადიღური ლექსიკოგრაფიის მნიშვნელოვანი შენამენია.

ამას გარდა, ლ. ლოპატინსკის ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები ადიღურ ენათა კილოებისა და კილოკავების შესახებ, ჩერქეზული ტექსტების პუბლიკაცია.

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ ჩერქეზულ ენათა შესწავლის არა გამოწვლილვითი ანალიზი, არამედ – ზოგადი სურათი XIX საუკუნის ბოლომდე. ივარაუდება ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.

ლიტერატურა

ადიღები 1974 – Адыги, Балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX в.в., Нальчик.

გიულდენშტედტი 1964 – ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბილისი.

კერაშევა 1957 – З. И. Керашева, Особенности шапсугского диалекта адыгейского языка, Майкоп.

კლაპროთი 1814 – J. Klaproth, Reise in den Kaukasus und nach Georgien, B. II. Kaukasische Sprachen, Halle und Berlin, 1814.

კუმახოვი 2006 – М. А. Кумахов, Из истории кабардино-черкесской письменности. – Кабардино-черкесский язык, т. I, Нальчик.

ლოპატინსკი 1891 – Л. Г. Лопатинский, Краткая кабардинская грамматика. – СМОМПК, вып. 12, Тифлис.

ლოპატინსკი 1891 – Л. Г. Лопатинский, Русско-кабардинский словарь с указателем. – СМОМПК, вып. 12, Тифлис.

ლულიე 1846 – Л. Я. Люлье, Словарь русско-черкесский или адыгский с краткою грамматикою сего последнего языка, 1846.

ნოდმა 1956 – Ш. Б. Ногмов, Филологические труды, т. I, Нальчик.

ნოდმა 1959 – Ш. Б. Ногмов, Филологические труды, т. II, Нальчик.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

როზენი 1845 – G. Rosen, Über das Mingrenlische, Suanische und Abchasische, Berlin (ცალკე ამონაბეჭდი).

უსლარი 1887 – П. К. Услар, Черновые заметки. – Этнография Кавказа. Языкознание. I. Абхазский язык, Тифлис.

ჩელები 1971 – ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, თბილისი.

ჩიქობავა 1965 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

VAZHA SHENGELIA

**From the History of the Study of the Circassian
Languages. I**

S u m m a r y

The Circassian languages - Adyghe and Kabardian (Kabardian-Circassian) – are languages with a new script but studying them still has a fairly long history.

The vocabulary of the Circassian languages (mainly – toponyms, anthroponyms, ethnonyms) is presented in the records of European travelers of the XIII-XVIII centuries. Systemic lexical material is presented in I. Guldenstedt and I. Claproth's travel books.

Circassian educator Sh. Nogma created the first grammar of the Kabardian language and compiled a Kabardian-Russian dictionary containing several thousand words.

The French official L. Lulie, who served in the Caucasus, published a Russian-Circassian dictionary with a short grammar in Odessa in 1846. P. Uslar wrote a few notes on the Adyghe language.

It is important to mention L. Lopatinsky's contribution to the study of the phonetic system and grammatical structure of the Circassian languages and dialects.

This is the general and schematic picture of the study of the Circassian languages until the end of the 19th century.

იზა ჩანტლაძე, რუსუდან იოსელიანი

**ბეელ სვანურ ხალხურ სიმღერათა ტექსტების
უცხოენოვანი თარგმანები XIX საუკუნეში**

(წინასწარი დაკვირვებანი)

რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრთა **ადოლფ ბერჟესა** და **გუსტავ რადეს** (წარმოშობით ფრანგისა და გერმანელის) ნაშრომები დღემდე დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, მათ შორის ჩვენი საანალიზო წიგნებიც [„Краткий обзор горских племён на Кавказе“ – Тифлисъ, 1858 და „Reisen im Mingrnelischen Hochgebirge und in seinen drei Längenhohtälern (Rion, Ts'chenis-ts'chali und Ingur)“ – Tiflis 1866]. ეს უკანასკნელი მაშინვე ითარგმნა რუსულ ენაზე, ოღონდ გარკვეული კორექტივით – **Hochgebirge** („**მაღალმთიანეთი**“)-ს ნაცვლად სათაურშიც და სხვაგანაც გვაქვს „**ალპები**“ [„Путешествіе въ Мингрельскихъ **Альпах** и въ трехъ ихъ верхнихъ продолжныхъ долинахъ (Ріонъ, Цхенисъ - цкали и Ингуръ)]. საგულისხმოა, რომ ბატონი გუსტავის წიგნის რუსული თარგმანის პირველივე თავის სქოლიოში (გვ. 8) საგანგებოდ შენიშნავენ მთარგმნელები: „**Hochgebirge** переводится: альпы, альпійская область, высокогорье“. სხვა უფრო სერიოზული განსხვავებაცაა გ. რადეს გამოკვლევის გერმანულ დედანსა და რუსულ თარგმანს შორის. საგანგებოდ უნდა გავხაზოთ, რომ მასში წარმოდგენილი მცირე ლექსიკა (გვ. 85-91) მსოფლიო ლინგვისტურ ლიტერატურაში გახლავთ **პირველი ცდა გერმანულ-სვანური ლექსიკონის შედგენისა** [იოჰან გიულდენშტედტის წიგნში „Reisen durch Rußland und im Caucasischen Gebürge“ (St.-Petersburg, 1787-1791) უამრავი შეცდომაა!], მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაწილი თითქმის გამოტოვებულია თარგმანში, სადაც მხოლოდ ანთროპონიმები, ჰიდრონიმები, ტოპონიმები და ფლორისტული სახელებია (უხვად!) გადატანილი. გარდა ამისა, რაკი ზემოხსენებულ ნაშრომთა ავტორები არ იყვნენ ენათმეცნიერები, ყველაფერი რიგზე ვერ არის ტრანსკრიფციის (მკვეთრი ფონემები, უმლაუტი, ხმოვანთა კვანტიტატიური დაპირისპირება, ანაპტიქსური გრაფემა და ა. შ.) თვალსაზრისით (რაც კარგად ჩანს სათაურებიდანვე), მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრები შესანიშნავად იცნობდნენ როგორც აკადემიკოს **პეტრე უსლარს**, ისე მის „Лушну анбан (Сванетская азбука)“-ს, რომელიც სწორედ მაშინ გამოქვეყნდა თბილისში, როცა იქმნებოდა ა. ბერჟესა და გ. რადეს კავკასიოლოგიური ნაშრომები. თვალში საცემია, რომ გერმანულენოვან გამოცემაში უმლაუტიანი ფორმები, ძირითადად, სწორადაა გადმოცემული (ეს არცაა გასაკვირი!), სხვაგან კი შეცდომებია.

ჩვენს საანალიზო წიგნებში საკმაოდ სერიოზული ადგილი უკავია სვანეთის რელიეფის, მცენარეთა თუ ცხოველთა სამყაროს, სვანი მოსახლეობის ადათ-წესების, ეკლესია-მონასტრებისა და, ნაწილობრივ, სვანური ენის კვლევას. უპირველეს ყოვლისა, მათ ავტორებს აინტერესებდათ საქართველოს ამ თვალწარმტაცი, თუმცა ძალზე მიუვალი თუ ჩაკეტილი რეგიონის შესწავლა ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ მიაქციეს ყურადღება ადგილობრივ საკრავებს (ჩანგს, ჭიანურს) და ძველ სვანურ ხალხურ სიმღერათა მუსიკალურ თუ ტექსტუალურ მხარეებს.

გ. რადეს ნაშრომში დაბეჭდილია ცხრა სიმღერის ტექსტი, რომელთაგან სამი (მიძღვნილი ფუთა, ისლამ და ციოყ დადემქელიანებისადმი – მათი და ყველა უცხოელი მკვლევრის ტრანსკრიფციით *Дадихкилиანъ*) ჩაწერილია ა. ბერჟეს მიერ, დანარჩენი კი თავად ბატონი გუსტავისაგან უშგულსა (ქიბიანსა) და ფარში, ანუ ბალსზემო თუ ბალსქვემო დიალექტთა გავრცელების არეალში, თუმცა, ცნობილია, რომ ხალხურ სიმღერათა ტექსტებში დიალექტურ-კილოკაური თავისებურებანი მაინცადამაინც არ აისახება.

მოგვიანებით ამ მეცნიერთა კავკასიოლოგიური მასალები და მოსაზრებანი არაერთხელ გამოიყენა დიდი ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა **დუგლას ფრეშფილდმა** (რ ვ ა ჯ ე რ რ ო მ ი მ ო გ ზ ა უ რ ა ს ვ ა ნ ე თ შ ი სამეცნიერო-ალპინისტური ექსპედიციითურთ!) თავისი წიგნის „The Exploration of the Caucasus“ (London, 1896) ორივე ტომში, მათ შორის სვანეთის სახელგანთქმული მონადირის – ბეთქილისადმი მიძღვნილი ხალხური სიმღერაც. რაკი ჩვენამდე ვერ მოაღწია უცხოელ მკვლევართა მიერ ფიქსირებული მასალების სვანურენოვანმა ვარიანტებმა (დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი არსებობდნენ და იქნებ მივაკვლიოთ კიდევ შესაბამის სამეცნიერო ბიბლიოთეკათა კავკასიოლოგიურ არქივებში ჩვენში თუ საზღვარგარეთ!), ისღა დაგვრჩენია, მათ შესახებ ვიმსჯელოთ ინგლისურ-გერმანულ-ფრანგულ-რუსული თარგმანების მიხედვით.

თავის დროზე **ივანე ბართოლომეს** მცდელობის შესახებ კავკასიურ ენათა ურთიერთობა შეესწავლა ნათარგმნი ლექსიკის მეშვეობით (Бартоломей 1855) საგანგებოდ მიუთითა **არნოლდ ჩიქობავამ** (1957: 69-76 და 1965: 398). ეს ფაქტი უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რადგანაც გუსტავ რადე გარკვეულ დარგობრივ ბუდეებად წარმოდგენილ თავის ლექსიკურ მასალებს უდარებს ივანე ბართოლომეს მიერ 1853 წელს სვანეთში შექმნილ 500 სიტყვიან ლექსიკონს (სახელები, ზმნები ბრუნება-უღვლილები პარადიგმებითა და „მამაო ჩვენო“-ს სვანური ტექსტით „*Му нишгве!*“), რის საფუძველზეც გამოაქვს ლინგვისტებისთვის სასარგებლო დასკვნები და არც თავისი წინამორბედი აკადემიკოსის ზოგიერთ მცდარ აზრს იმეორებს (მაგალითად: სვანებს სიტყვები თითქმის არ უსესხებიან არც აფხაზებისაგან – მისი ტერმინოლოგიით, წებელდელებისაგან – და არც ყარაჩაელ-ბალყარელებისაგან, მიუხედავად მათთან ხშირი ურთიერთობისა; ამ მცირე ლექსიკონში მხოლოდ მესამედი ნაწილი მოდის ქართული წყაროებიდან (Бартоломей 1855: 77-78).

ბეთქილი (/მეთგი/მეთქი) და მისი შემამკობელი ჰიმნები დღემდე ძალზე პოპულარულია, ამიტომაც არსებობს ამ სიმღერის ნაირ-ნაირი ვარიანტები როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. მათი ნაწილი გამოქვეყნებულია **ეგნატე გაბლიანის**, **აკაკი შანიძისა** და **ვარლამ თოფურის** მიერ, ნაწილი კი დღემდე მხოლოდ ხელნაწერის სახით არსებობს – ესაა ბესარიონ ნიჟარაძის მიერ 1878-1884 წლებში უშგულში ჩაწერილი სვანურენოვანი ტექსტები, რომელთაც დღემდე ვერა და ვერ ეღირსათ გამომცემელი!

ამ სიმღერის ყველა ვარიანტში, რომელზედაც ჩვენ ხელი მიგვიწვდება, ბეთქილს – თანასოფლელებთან ფერხულში (ან კალობაზე) ჩაბმულს, მუხლებს შორის გაურბენს შავი ეშმაკი (**მაზგარ**), ჯიხვი (**ღუშა**), ან თეთრი შუნი (**კუიგრა**), უცხოელ მკვლევართა ტექსტებში კი შავი ან თეთრი კურდღელი გვხვდება (ინგლ. white hare – 1896: 219; გერმ. schwarzen Hase – 1866: 97, რუს. чёрный заяц – 1866: 130). სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ისეთი ვაჟკაცისთვის, როგორიც ბეთქილი იყო, კურდღელთან შებმა ნამდვილად შეურაცხყოფელია.

სახელგანთქმული მონადირის საგალობელთა ჩვენთვის ცნობილ ვარიანტებში ბეთქილი არსად გამოთქვამს საყვედურს ვენერას (ინგლ. Venus, გერმ. Morgenstern) მიმართ. „ვარსკვლავი ამობრწყინდა და დღე ღამედ მექცაო“ – ამბობს იგი ინგლისურად თარგმნილი ტექსტის დასასრულს. ბესარიონ ნიჟარაძის მიერ ფიქსირებულ უშგულურ ვარიანტში (1878 წ.) „ცისკრის ვარსკვლავის“ აღმნიშვნელად გვხვდება **მერჰილ**, რომელსაც ჩამწერი „გამთენია ვარსკვლავად“ თარგმნის. ბატონი გუსტავის სვანურ ტექსტშიც (თუ საერთოდ ჰქონდა მას ასეთი მასალა!), ალბათ, **მერჰილ** (<*,**მო-რიჟ-რაჟ-ე**“) იყო და შემთხვევითი არაა, რომ მას რომაული მითოლოგიიდან ცნობილი სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის სეხნია კაშკაშა ვარსკვლავი გაახსენდა იმ უიღბლო ვაჟკაცის საოცარი განცდების გადმოსაცემად, ვინც ნადირობის ქალღმერთის – დალის ფარულ სიყვარულს შეეწირა მსხვერპლად.

აღსასრულის პირას მისული ბეთქილი, მისდამი მიძღვნილი ხალხური სიმღერის მიხედვით, მამამისს შეუთვლის: ჩემი სულის მოსახსენებლად რანგი და ღვინო ბლომად მიკურთხეო (**რანგი ღვინო ფარსანდ მიჯგრის** – სვ. პოეზ., 1939: 287), ინგლისურ, გერმანულ და რუსულ თარგმანებში კი შემდეგი ვითარებაა:

Wine with honey – „ღვინო თაფლით“ (Freshfield 1896, V. I: 219);

Wein mit Honig – „ღვინო თაფლთან ერთად“ (Radde 1866: 98);

Вино и медь – „ღვინო და თაფლი“ (Радде 1866: 130).

სპარსული წარმომავლობის (ანდრონიკაშვილი 1966: 106; ბართაია 2010: 80) ლექსემა რანტი საკმაოდ ხშირად იხმარება სვანეთსა და სამეგრელოში, თუმცა შესაბამის ლექსიკონებში მისი განმარტებისას მთლად ყველაფერი რიგზე ვერ არის:

ჩოლურელ ასლან ლიპარტელიანს **რანგ** „შ ა რ ბ ა თ ი“ (შაქრითა და ხილის წვენიტ დამზადებული ტკბილი სასმელი) ჰგონია, ვუკოლ ბერიძესა და ოთარ ქაჯაიას – „თ ა ფ ლ უ ჭ ი“ (თაფლისგან დამზადებული სასმელი, შ დ რ. თაფლისგან მომზადებული მათრობელი სასმელი – ქეგლი). რაჭულ დიალექტში **რანგ-ი** „თ ა ფ ლ ი ს დ ვ ი ნ ო“ (ბერიძე 1912: 48) ან „ს ა ხ ა რ ჯ ო დ ვ ი ნ ო ა, რ ო მ ე ლ ს ა ც თ ა ფ ლ ს უ მ ა ტ ე ბ ე ნ“ (კობახიძე 1987: 88). რაც შეეხება სვანური ენის ლაშხურ კილოს, კარპეზ დონდუას მიხედვით, **რანგ** არის „თ ა ფ ლ ი ს ს ა ს მ ე ლ ი“ – мёд (напиток, 2001: 256).

ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ერთი ბალსქვემოელი მოხუცის აზრი: ჯუინალდ **ყუნხლიმ რანგს** ლემჩომნელის (სვ. პროზ. ტ., II, 1957: 282) – ძველად თურმე ყ ყ რ მ ნ ი ს რ ა ნ გ ს აკეთებდნენ.

ძველ ქართულში თ ა ფ ლ / რ - უ ჭ - ი არის „ი ყ ი“ (დამათრობელი), რომელიც „სათრობელა არაყია“. საგულისხმოა, რომ „კიმენის“ პირველ ტომში **ღვნიმ და იყი** ერთად გამოიყენება კერპთა შესაწირავად (1918, 136: 4). იგივე სიტუაციაა აკაკი შანიძის მიერ სოფელ თავარარში (ბქ.) 1923 წელს ჩაწერილ სიმღერაშიც „მეთგი“ (სვ. პოეზ., 287: 35).

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ შემდეგი ვითარებაა: თ ა ფ ლ უ ჭ ი – „რადე სამთვრალო შეიმზადების“, ხოლო იყი არის „არაყი“.

ლექსემა **რანგ-ი** ძველ ქართულში არ გვხვდება, ის არც ახალ (სალიტერატურო) ქართულშია; არქაულ სვანურ ხალხურ სიმღერებშიც მხოლოდ ორჯერაა დადასტურებული (სვ. პოეზ. 126: 43 – ბზ. და 286: 35 – ბქ.) „თ ა ფ ლ ნ ა რ ე ვ ი წ ყ ლ ი ს“ მნიშვნელობით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს სპარსული სიტყვა ქართველურ ენებში შედარებით გვიანაა შემოსული.

ლეგენდის მიხედვით, ბეთქილი ბალსხემოელი (მულახის თემის სოფელ ჟაბეშიდან) იყო; გ. რადემ სვანური სიმღერები, ძირითადად, ჟიბიანსა (ბზ.) და ფარში (ბქ.) ჩაიწერა, მაგრამ დღემდე იმდენად პოპულარულია სახელგანთქმული მონადირის ტრაგიკული სასიყვარულო თავგადასავალი, რომ ზემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელი პრეტენზიას აცხადებს მის წარმომავლობაზე. ალბათ, ამის შედეგია ის, რომ ბატონმა გუსტავმა მ ე თ გ ი ფ ა რ ე ლ ა დ მ ი ი ჩ ნ ი ა – ეს შეცდომა მოგვიანებით დუგლას ფრეშფილდმაც გაიმეორა, მაგრამ, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას თქმისა არ იყოს, „ გ ა ს ა კ ვ ი რ ი შე ც დ ო მ ე ბ ი კ ი არ არ ის, არ ამ ე დ ის, რომ მე ტ ი უ ზ უ ს ტ ო ბ ა არ და ს ტ უ რ დ ე ბ ა“ (1965: 111) ევროპელ მკვლევრებთან, რომელთა უმრავლესობამ არც ერთი კავკასიური ენა არ იცოდა.

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან გვიან მოგვიდეთ ხელი საქართველოში მოღვაწე ძველ დიპლომატ-მკვლევართა და კავკასიაში მოგზაურ უცხოელ მეცნიერთა ნაღვაწის შესწავლას, რადგანაც ადრე შესაბამისი პირობები არ გვქონდა; ახლაც საკმაოდ გვიჭირს სათანადო ლიტერატურის მოძიება, რასაც როგორღაც მაინც ვახერხებთ საქართველოს თუ ჩვენი მეგობარი ქვეყნების აღიარებულ სამეცნიერო ბიბლიოთეკათა უძვირფასესი ფონდების საშუალებით.

უკვე გამოვაქვეყნეთ ნაშრომები ოლივერ და მარჯორი უორდროპების სვანური ტექსტების თარგმანთა ინგლისურენოვანი ხელნაწერების კვლევისა თუ დუგლას ფრეშვილდისა და გუსტავ რადეს სვანეთში არაერთჯერადი სამეცნიერო ექსპედიციის მასალების შესწავლის საფუძველზე, ახლა კი ვმუშაობთ ფრანგი **რაფაელ ბერნოვილისა** („La Souanétie libre, Paris, 1875) და უნგრელი **მორის დეჩის** („Reisen und Forschungen im kaukasischen Hochgebirge“, Berlin, 1905) მონოგრაფიებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ბატონი მორისის წიგნის წინასიტყვაობაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ნარევი ერებისა და ენების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მაშინ კი არადა, დღესაც მხოლოდ ნაწილობრივ შესწავლილ ჩოლურის თემსა და „თავისუფალ“ თუ „სადადეშქელიანო სვანეთზე“ (თავი XI). ეს უკანასკნელი საკითხი ვრცლადაა წარმოდგენილი **ივანე ბართოლომეს** ნაშრომშიც, რომელსაც დიდებულმა ქართველოლოგმა **მარი ბროსემ** „ანტიკვარის მარშრუტი“ უწოდა, ხოლო **ადოლფ ბერჟემ** – „ჩინებული სტატია“.

ვთხოვთ ყველა კავკასიოლოგს, თავ-თავიანთი ეთნოლინგვისტური პროფილის მიხედვით შეისწავლონ ჩვენს სტატიაში განხილული გამოკვლევები ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, რადგანაც **ჯერო-ბით ეს საქმე არ დგას სათანადო დონეზე** – ზოგი ნაშრომის ავტორის სახელი და გვარიც კი არ გაუგონიათ დღეს ჩვენში, თუმცა თავის დროზე ისინი სწორედ ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ოჯახებში ცხოვრობდნენ სამეცნიერო მივლინებებისა თუ ალპინისტური ლაშქრობების დროს. ორი საუკუნის წინ ჩვენი პრობლემებით დაინტერესებულ უცხოელთა ხსოვნის წინაშე ძალზე უხერხულია ამგვარი სიტუაციის არსებობა...

ლიტერატურა

ივანე ბართოლომე 1855 – Иван Бартоломей, Поездка в вольную Сванетию, "Записки Кавказского Отдела Русского Географического Общества", III, Тифлис.

ადოლფ ბერჟე 1858 – Адольф Берже, Краткий обзор горских племён на Кавказе, Тифлис.

მორის დეჩი 1905 – Moriz Déchy, Kaukasus (Reisen und Forschungen im kaukasischen Hochgebirge), v. I, Berlin.

გუსტავ რადე 1866 – Gustav Radde, Reisen im Mingrelischen Hochgebirge und in seinen drei längenhochtälern (Rion, Ts'chenis-ts'chali und Ingur), Tiflis.

სვანური პოეზია 1939 – სვანური პოეზია, ტ. I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს: **აკაკი შანიძემ, ვარლამ თოფურიათ, მერი გუჯეჯიანმა**, თბილისი.

პეტრე უსლარი 1864 – Пётр Услар, Лушну анбан (Сванетская азбука), Тифлис.

დუგლას ფრეშფილდი 1896 – The Exploration of the Caucasus, v. I, London and New York.

არნოლდ ჩიქობავა 1965 – არნოლდ ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბილისი.

არნოლდ ჩიქობავა 1957 – Арнольд Чикобава, Сравнительный словарь и родство языков (Страничка из истории изучения иберийско-кавказских языков), Учёные записки Адыгейского НИИ языка, литературы и истории, т. I, Майкоп.

IZA CHANTLADZE, RUSUDAN IOSELIANI

Foreign Language Translations of the Texts of Old Svan Folk Songs in the XIX Century

S u m m a r y

Unfortunately, the linguistic-cultural works of foreign diplomats and researchers, non-linguist travelers and scientists working in the Caucasus (namely in Georgia) in the previous centuries have not been properly studied. Moreover, some of their names have already been forgotten.

The aim of the authors of this paper is to present the importance of the monographs (in some cases two or three volumes) by academics: Adolf Berge (French), Ivan Bartholomew, Gustav Rade (German), professors: Douglas Freshfield (English) and Maurice Dech (Hungarian) in studying Svaneti ethnolinguistically (in general), and specifically their attitude towards the old Svan folk songs (texts, history of creation or music).

ორინე ჩაჩანიძე

**ნიკოლაას ვიტსენის „ქართული ანუ
იბერიული ენის სიტყვარი“
(Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek)**

იმ ევროპელ ავტორთა შორის, რომლებიც მე-17 საუკუნეში საქართველოს შესახებ წერდნენ, თვალსაჩინო ადგილზეა ჰოლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე, კარტოგრაფი და ენათმეცნიერი ნიკოლაას ვიტსენი (1641–1717). ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია მისი ერთ-ერთი ნაშრომი „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი თათრეთი“ (Noord en Oost Tartarye – 1705).

ნიკოლაას ვიტსენის თხზულებაში სათანადო ადგილი ეთმობა საქართველოსა და ქართველებს, რომელთაც ავტორმა თავის წიგნში საგანგებო თავები მიუძღვნა შემდეგი სათაურებით: „საქართველო ანუ იბერია“ (Georgia of Iberia) და „სამეგრელო“ (Mengrelia). რუსეთის ემიგრაციაში მყოფმა არჩილ მეორემ ურთიერთობა დაამყარა ვიტსენთან, რომელმაც ქართველ მეფეს ქართული შრიფტის შექმნაში დახმარება აღმოუჩინა.

სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღწერასთან ერთად, თხზულებაში ვხვდებით საინტერესო და საგულისხმო ცნობებს საქართველოს ხალხის ადათ-წესების, რელიგიის, ენების, ეთნოგრაფიული ყოფის, ბუნების და სხვათა შესახებ. თხზულებაში ჩართულია ვრცელი ისტორიული ექსკურსები, სადაც მოგზაური უხვად იყენებს მის წინამორბედ და თანამედროვე ინფორმანტთა ცნობებს საქართველოს შესახებ.

ნაშრომის ზემოაღნიშნულ თავში ავტორი საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქართული ანბანისა და ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონის საკითხებს სათაურით „ქართული ანუ იბერიული ენის სიტყვარი“ (Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek), რაც, რასაკვირველია, უაღრესად ფასეულ ინფორმაციას წარმოადგენს (ჩაჩანიძე 2016: 28).

ეს ვრცელი, სოლიდური ნაშრომი არის ვიტსენის მრავალწლიანი კვლევის შედეგი და ძირითადად ემყარება ავტორის მიერ რუსეთიდან მიღებულ მასალებს, სადაც ის თავად სტუმრობდა და რომელთანაც ინარჩუნებდა მუდმივ კავშირებს. სხვა დასავლეთევროპული ნაშრომებისაგან განსხვავებით,

რომლებშიც ცნობები ენების შესახებ კომპილაციური ხასიათისაა და ნასესხებია სხვადასხვა წყაროდან, ვიტსენის ნაშრომში გამოქვეყნებულია ახალი, ორიგინალური მასალები ქართული ენის შესახებ, რომლებიც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია. მათ შორისაა ქართული ანბანი, ქართველი მეფისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ მეორის წერილის ფაქსიმილე ქართულად და ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი. ეს მასალები მით უფრო იპყრობს ჩვენს ყურადღებას, რადგან ვიტსენს კავშირები ჰქონდა მოსკოვის ქართულ საზოგადოებასთან და მისი ცნობები არ იყო ნასესხები, რომელიც ერთი ენიდან მეორე ენაზე განმეორებით გადაიცემოდა. იგი ქართული კულტურის წარმომადგენლებთან უფრო უშუალო კონტაქტების შედეგს წარმოადგენდა.

ვიტსენის ნაშრომის პირველ გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა 1692 წელს, წარმოდგენილია ანბანი და არჩილის ქართული ფაქსიმილე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მე-17 საუკუნის ბოლოს ევროპაში გამოქვეყნებული ორიგინალური ქართული ტექსტის საინტერესო მაგალითს (ვიტსენი 1705: 507).

რაც შეეხება ანბანს, ის შეიცავს მხედრული გრაფიკული სახეობის ყველა ნიშანს. ასოთა მოხაზულობის მიხედვით, იგი არ იმეორებს „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ გამოცემულ ქართულ ანბანს და დაკავშირებული არ არის წინა გამოცემებთან (ვათეიშვილი 1982: 70).

მწელი წარმოსადგენია, რომ ანბანი, რომელიც წიგნშია წარმოდგენილი, ვიტსენისთვის შესრულებული ყოფილიყო რომელიმე ქართველის მიერ, რადგან იგი შეიცავს გადახრებს ქართულ ანბანურ რიგში. მასში ზოგიერთი ნიშანი არასწორადაა დასახელებული ან გამოსახული. დიდი ალბათობით, ეს იყო უცხოელის მიერ ქართული ნიმუშებიდან ხელით გადმოწერილი. მაგალითად, 37-ე ასო „ტ“ არ არის განთავსებული თავის ადგილას და მიწერილია ანბანის ბოლოს. ასევე ავტორის მიერ ანბანის რიგის მიხედვით არაზუსტადაა განთავსებული და დასახელებული შემდეგი გრაფემები: ც (ჰე), ჰ, მ (ჰოე). ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ასო მკაფიოდ არის დაწერილი, ზოგს კი ინდივიდუალური გადახრები აქვს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი შედგენილია ისეთი პიროვნების მიერ, რომელიც თავად არ იცნობდა ამ გრაფემებს. მაგალითად, მე-17 ასო „ჟ“ განთავსებულია ლიგატურის სახით, რომელიც თითქოს შემდეგ ნიშანთან უნდა იყოს დაკავშირებული. ანბანის ზოგიერთი სიმბოლო იმეორებს არჩილის ხელნაწერს და შესაძლებელია, რომ ისინი გადაწერილი იყოს მისი წერილიდან. მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი უზუსტობებისა, ვიტსენის ანბანი წარმოადგენს ნათლად შედგენილ ქართული დამწერლობის საინტერესო მაგალითს და მოწმობს იმ კულტურულ კავშირებზე, რომელიც ავტორმა შეინარჩუნა ქართველ მოღვაწეებთან ურთიერთობის დროს.

*Grufins a.b.c.
of Georgiaans.*

| | | |
|-----------|------------|-------------|
| 1 ა an. | 13 მ man. | 29 იუ /hin. |
| 2 ბ ban. | 14 თ nar. | 26 ჩ tin. |
| 3 ც kan. | 15 ნ an. | 27 ც tan. |
| 4 დ do. | 16 ვ par. | 28 შ diil. |
| 5 ე an. | 17 ჰ nar. | 29 წ til. |
| 6 ვ nar. | 18 ქ nar. | 30 ტ nar. |
| 7 ჯ nin. | 19 რ nar. | 31 ზ chan. |
| 8 წ nar. | 20 ს nar. | 32 ჟ khar. |
| 9 თ nar. | 21 ც nar. | 33 ძ nar. |
| 10 ი in. | 22 ჟ khar. | 34 ტ nar. |
| 11 კ kan. | 23 გ nar. | 35 ო an. |
| 12 მ nar. | 24 წ nar. | 36 ლ lan. |
| | | 37 ლ nar. |

ნიკოლაას ვიტსენის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი სათაურით „ქართული ანუ იბერიული ენის სიტყვარი“ (Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek), რომელიც ავტორმა არჩილ მეორეს ვაჟთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად შეადგინა (ვიტსენი 1705: 506-515).

1697-1698 წლებში ალექსანდრე ბატონიშვილი ოფიციალური წევრის სტატუსით მონაწილეობდა ევროპაში პეტრე პირველის „დიდი ელჩობაში“ და მეფის დავალებით სწავლობდა საარტილერიო საქმეს ჰააგაში. პარალელურად მას შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ნიკოლაას ვიტსენტან. ამ თანამ-

შრომლობას ადასტურებს მისი ცნობილი წიგნის „ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ თათრეთის“ მეორე გამოცემაში (1705) ცალკე თავი საქართველოს შესახებ. სწორედ ამ გამოცემაშია მოთავსებული ნ. ვიტსენისა და ა. ბატონიშვილის ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი.

არჩილ მეფემ საჭიროდ ჩათვალა სპეციალურად დაწერილ მადლიერების წერილში მადლობა გადაეხადა ამსტერდამის ბურგომისტრისთვის მისი შვილისადმი ყურადღებისათვის (ვიტსენი 1705: 524). ვიტსენი წიგნში რამდენჯერმე ახსენებს ალექსანდრეს და პირდაპირ მიუთითებს, რომ მან მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ (ვიტსენი 1705: 533).

მიიღო თუ არა ვიტსენმა ბატონიშვილისგან საქართველოს შესახებ მხოლოდ ისტორიული ხასიათის ცნობები თუ გამოიყენა ეს შეხვედრა თავისი ენობრივი მასალების შესავსებად? ეს უკანასკნელი ვარაუდი სავსებით შესაძლებელია. ცნობილია, რომ ვიტსენი დაინტერესებული იყო და აგროვებდა მასალებს აღმოსავლური ენების შესახებ. ამ მხრივ, მან პროდუქტიულად გამოიყენა ჰოლანდიაში „დიდი ელჩობის“ ყოფნა და ჩაწერა ტექსტის ნიმუშები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ენებზე, რომლებიც საელჩოსთან ერთად ჩამოვიდნენ რუსეთიდან. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მასალების შეგროვების მიზნით, ვიტსენს შეეძლო ალექსანდრე ბაგრატიონთან შეხვედრით ესარგებლა ქართული ენის თაობაზე.

ვიტსენის ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაშრომს, რომელიც არ არის დაკავშირებული პაოლინის ლექსიკონთან (დლონტი 1983: 21). იგი ერთადერთი ლექსიკოგრაფიული ნაშრომია ქართული ენის შესახებ, რომელიც არსებობდა იმდროინდელ დასავლეთში. ვიტსენის წიგნში ლექსიკური ერთეულები საკმაოდ უხვია და მოიცავს 904 სიტყვასა და გამოთქმას. მასალა დალაგებულია ორ სვეტად: მარცხნივ ჰოლანდიური სიტყვებია, მარჯვნივ – მათი ქართული შესატყვისები. სალექსიკონო მასალისათვის გამოყენებულია ლათინური ტრანსკრიფცია.

ლექსიკონის ძირითად ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასალის მოწოდებისას არ არის დაცული ანბანური რიგი და ტრანსლიტერაციის ელემენტარული წესები. ამის გამო ხშირად ერთი და იგივე ლათინური ასო გამოყენებულია ქართულის რამდენიმე ასოს გადმოსაცემად და, პირიქით, ერთი და იმავე ქართული ასოთი გადმოცემულია რამდენიმე ლათინური ასო. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სიტყვათა და გამოთქმათა თანმიმდევრობაში შეინიშნება გარკვეული სემანტიკური კავშირი. მაგალითად, Tzori „სწორი“, Kavatzorep „გავასწორებ“, Satzori „სასწორი“, Antzon „აწონე“, Tzchorepa „ცხოვრება“, Tzoschali „ცოცხალი“ და ა.შ.

ღირსსაცნობია, რომ ვიტსენის ლექსიკონში წარმოდგენილია თითქმის ყველა მეყველების ნაწილი: არსებითი სახელი: Katzi (კაცი), Kitri (კიტრი), Che (ხე); ზედსართავი სახელი: Usarkepelo (უსარგებლო), Usamartlo (უსამართლო), Ampertuani (ამპარტავანი); ნაცვალსახელი: Me (მე), Tzeme (ჩემი), Iseni (ისენი); ზმნიზედა: Karet (გარეთ), Zeita (ზევით), Tzumat (ჩუმად); ზმნა წარმოდგენი-

ლია საწყისი, პირიანი და ბრძანებითი ფორმებით: Tzema (ცემა), Gasesche (გა-სესხე), Tatzumti (გაჩუმდი).

ლექსიკონის ბოლოს წარმოდგენილია რიცხვითი სახელები ერთიდან ათასამდე: 1 – დან 20 – მდე ყველა სახელი (Erti – ერთი, Orti – ორი, Euxi – ექ-ვისი), შემდეგ კი ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი სახელები (Tsameti – ცამეტი, Texumet – თექვსმეტი, Otzi – ოცი, Samasi – სამასი, Chotasi – ხუთასი, Atasi – ათასი). ლექსიკონი მთავრდება თვეების სახელწოდებათა ჩამონათვა-ლით: Marti (მარტი), Aprili (აპრილი), Maisi (მაისი), Unisi (ივნისი), Tepervar (თებერვალი).

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში ლექსიკონი არ ავლენს რაიმე ანბანურ, მორფოლოგიურ ან თემატურ სისტემას სიტყვების განლაგებაში. ჰოლანდიური სიტყვები, რომელთათვისაც მოცემულია ქართული თარგმანი, არ არის ანბანური წესის მიხედვით განლაგებული. მეტყველების ყველა ნაწილი გადახლართულია სპეციალური შერჩევის გარეშე, ნაცვალსახელებიც კი არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია სხვადასხვა ადგილას.

სიტყვარის ლექსიკური შემადგენლობის კვლევა აჩვენებს, რომ იგი ძირითადად მოიცავს ყოველდღიურ-სასაუბრო სიტყვებს. მათ შორის არის მოძველებული სიტყვები, რომლებიც გამოიყენებოდა ლექსიკონის შედგენის დროს. მაგალითად, een ster – maskula – მასკულავი (ვარსკვლავის ნაცვლად), geld – tetri – თეთრი (ფულის ნაცვლად), oost – agmosavali – აღმოსავალი (აღმოსავლეთის ნაცვლად) და ა. შ. მასალის განლაგებაში არ შეიმჩნევა თემატური შერჩევა: მსოფლიოს ქვეყნების, ბუნებრივი მოვლენების, სხეულის ნაწილების, ტანსაცმლის, საყოფაცხოვრებო ნივთების და აბსტრაქტული ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები ლექსიკონის სხვადასხვა ადგილას არის მიმოფანტული. უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონში გვხვდება ერთი და იგივე სიტყვების გამეორება, რომელსაც ზოგჯერ ერთი და იგივე თარგმანი მიეკუთვნება და ზოგჯერ განსხვავებულიც. ეს ალბათ, აიხსნება იმით, თუ რომელი კონტექსტიდანაა ისინი აღებული. გადავწყვიტეთ, რომ შევადაროთ ქართულ სიტყვებს, რადგან ლათინურ ტრანსკრიფციაში ზოგიერთი სიტყვა არ არის იოლი გასაგები. მაგალითად, სიტყვა ორჯერ ითარგმნება ერთნაირად: zwaer-mzimi (მძიმე); სხვადასხვა თარგმანი აქვს შემდეგ სიტყვებს: groot – titat (დიდად); groot – titi (დიდი); gisteren – kusenatzil, casin (გუშინწინ, გუშინ); gisteren – kusin (გუშინ). შეიძლება დავასკვნათ, რომ მორფოლოგიური თვალსაზრისით, მეორე ვარიანტი უფრო ზუსტია, ვიდრე პირველი.

ლექსიკონის ჰოლანდიური ნაწილი არ არის შედგენილი სპეციალური ლიტერატურის მიხედვით. ავტორს შეეძლო ამოეწერა შერჩეული და ანბანური რიგის მიხედვით დალაგებული სიტყვები, რომელსაც მათი ქართული ეკვივალენტები მიეკუთვნებოდა. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლექსიკური ჩანაწერები არ იყო სპეციალური კაბინეტური მუშაობის შედეგი, არამედ შედგენილი იყო უშუალო შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლის დროსაც ავტორმა თარგმნა ყოველგვარი სისტემისა და მეთოდოლოგიის გარეშე

და, შესაბამისად, მოსალოდნელი იყო ცალკეული გამეორებების დაშვება. ამავე დროს, ჰოლანდიური სიტყვები ყოველთვის არ უნდა ყოფილიყო თარგმანის ამოსავალი წერტილი. მაგალითად, ქართული სიტყვებიდან წარმოდგენილია tzeremi (ჭერამი), რომელსაც ჰოლანდიურ ენაზე არ აქვს შესაბამისი თარგმანი და განმარტებულია როგორც ერთგვარი ხილი (Dit is de naem van zekere vrucht). საყურადღებოა, რომ ავტორი სიფრთხილეს იჩენს და არ უთითებს ზუსტ ჰოლანდიურ სახელწოდებას, ცხადია, მისი მნიშვნელობის სათანადოდ გააზრების გარეშე.

ვიტსენის წიგნში ქართული სიტყვები ლათინური ასოებით არის დაწერილი, ამიტომ არ არის საჭირო ენის თავისებურებების გადმოცემის სიზუსტის ძებნა, მით უმეტეს, რომ ეს ჩანაწერები, რა თქმა უნდა, მოსმენის შედეგადაა შესრულებული. ქართული აფრიკატების – „წ“, „ც“, „ჭ“, „ჩ“, „ჯ“, „ძ“ – ის სპეციფიკა, რომლებიც ერთნაირად არის ჩაწერილი „tz“ -ს სახით, მათში მთლიანად იკარგება: tzminda (წმინდა), tsesi (წესი), tzodva (ცოდვა), tzica (ჭიქა), tza (ჭა), tzumat (ჩუმად), tzochi (ჯოხი), rtzuli (რჯული), tzma (ძმა). სხვა შემთხვევებში „ძ“ გამოიხატება „z“ ნიშნით, ისევე როგორც ბგერა „ზ“: zagli (ძალი), mzimi (მძიმე), mze (მზე), sgua (ზღვა).

ნაშრომში ქართული „ღ“ გამოისახება „გ“ ნიშნით: sagamos (საღამოს), gory (ღორი), gvino (ღვინო). მიუხედავად იმისა, რომ ეს შესაბამისობა მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ საკმაოდ წარმატებულია, რადგან ცნობილია, რომ ჰოლანდიური „გ“ გამოითქმის როგორც ველარული ნაპრალოვანი [ŷ]. მაგრამ სრულიად გაუმართლებელია, როდესაც იგივე ნიშანი აღნიშნავს ქართულ ფარინგალურ „ყ“ -ს. ცხადია, ეს ბგერა განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის ავტორს, ვინაიდან ბევრი სიტყვა, რომლის შემადგენლობაშიც ის შედის, უკიდურესად დამახინჯებულია. მაგალითად, govili (ყვავილი), pangangi (ბაყაყი). ლექსიკონში ქართული სიტყვების მართლწერა ემყარება ჰოლანდიური ენის ფონეტიკურ წესებს და ვინაიდან ჰოლანდიური „გ“ არ გამოითქმის როგორც მჟღერი უკანაენისმიერი თანხმოვანი, ქართული „გ“ მათში გამოხატულია ასოთი „კ“: kuli (გული), kasintze (გასინჯე).

რაც შეეხება ქართულ „შ“ -ს, იგი ვიტსენის მიერ წარმოდგენილია „s“ ასოთი, მაგრამ ამ აღნიშვნით განსხვავება ქართულ „შ“ და „ს“ ბგერებს შორის ლექსიკონში იკარგება: musa (მუშა), sasmeli (სასმელი), sulī (სული).

ავტორის მიერ ქართული სიტყვების ჩაწერა ხასიათდება მჟღერი თანხმოვნების ყრუ ბგერების ჩანაცვლებით. მჟღერი თანხმოვნები ლექსიკონში იშვიათად გვხვდება, მაგალითად, mezobeli (მეზობელი), მაგრამ უმეტეს შემთხვევაში „ბ“, „დ“ გადმოცემულია „p“, „t“ ნიშნებით: petzeti (ბეჭედი), kepa (ქება), ta (და), tetacatzi (დედაკაცი).

ვიტსენის ლექსიკონში „ხ“, „ჰ“, „ტ“, „თ“, „პ“, „ფ“, „კ“, „ქ“ გამოსახულია ნიშნებით „ch“, „t“, „p“, „k“ (ან „c“). მხოლოდ გამონაკლისის სახით შეიძლება შევნიშნოთ ცალკეული ბგერების წარმოთქმის თავისებურება, მაგალითად, tditdi (თითი), kcheri (ქერი). სიტყვაში ppuri (პური) ხდება თანხმოვნის გაორმა-

გება სიტყვის დასაწყისში, რაც უჩვეულოა ჰოლანდიური ენისთვის. ეს შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ქართული „პ“ -ს სპეციფიკური გამოთქმის (გლოტალიზაციის) ხაზგასმის მცდელობა.

სიტყვარის ქართული ნაწილის ჩამონათვალში შეიმჩნევა შეცდომები, რომელიც უკავშირდება ზეპირი მეტყველების დროს მოსმენილი სიტყვების ჩაწერას. მაგალითად: *tzuma* (წვიმა), *macs* (ეს), *matchoari* (მათხოვარი), *zareuli* (მზარეული), *tziskuli* (წისქვილი), *chemptzipe* (ხელმწიფე), *zgua* (ზღვა).

ლექსიკონში მოხერხებულად გამოთქმის მიზნით, ზედიზედ რამდენიმე თანხმოვანთან ერთად, ავტორს ზოგჯერ ჩასმული აქვს ხმოვნები: *tzcoviany* (ჭკვიანი), *kotzeli* (კოჭლი). ლექსიკონს ასევე ახასიათებს გამოტოვება, დაბოლოებების შეცვლა და სხვადასხვა სიტყვების უწყვეტი აღნიშვნა, მაგალითად: *tzsmaret* (ჭემარიტი), *gami* (ღამე), *girsaar* (ღირსია), *utzchokatzi* (უცხო კაცი), *gonimaks* (ღონე მაქვს).

რაც შეეხება თარგმანებს, ისინი ძირითადად სწორად არის წარმოდგენილი. ლექსიკონში იშვიათია ჰოლანდიურ და ქართულ სიტყვებს შორის სრული შეუსაბამობის შემთხვევები. უფრო ხშირად შეგვიძლია ვიპოვოთ ახლო მნიშვნელობის მაგალითები, მაგრამ არაზუსტი შესატყვისები. ასე რომ, *manlijk* (ვაჟკაცი), ქართულად ითარგმნება როგორც *kamartzpuli* (გამარჯვებული), ხოლო *scherp* (ცხარე) როგორც *kalesuli* (გალესილი).

თარგმანში აცდენა ძირითადად გამომდინარეობს მორფოლოგიური ფორმების შეუსაბამობიდან, რომლებშიც წარმოდგენილია ჰოლანდიური და ქართული სიტყვები. შესაძლებელია ცალკეული შემთხვევების აღნიშვნა, როდესაც თარგმანში არსებით სახელთან დგას ზმნის ან ზმნიზედის პირის ფორმა: *helper-misole* – მიშველე, *avond-sagamos* – საღამოს, ხოლო ზედსართავი სახელი თარგმნილია ზმნიზედით: *bedekt, geheim- tzumat* – ჩუმად; *groot – titat* – დიდად.

ლექსიკონში კიდევ უფრო მეტი შეუსაბამობა შეიძლება აღმოჩნდეს ზმნების თარგმანში. ამ მხრივ, ლექსიკონი არ ავლენს ერთიან სისტემას და ჰოლანდიურ ნაწილშიც კი ზმნები წარმოდგენილია არა რომელიმე განსაზღვრული, არამედ სხვადასხვა ფორმით. ყველაზე წარმატებით შერჩეულია თარგმანები ახლანდელი დროის პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ზოგიერთი ზმნისათვის. მაგალითად, *ik verstaē – mesmes* (მესმის). მაგრამ სხვა შემთხვევებში თარგმნისას, არსებობს ზმნების შეუსაბამობა დროსა და უღვლეებაში.

მასალა, რომელიც ნაშრომში დაუმუშავებელი და სისტემაში მოყვანილი არ არის, ბუნებრივია, ასეთი უზუსტობები სავსებით მისაღებად უნდა მივიჩნიოთ. უფრო მეტიც, საკვირველია, რომ სხვა ენაზე აღქმული სიტყვების უმეტესი ნაწილი შეძლებისდაგვარად სწორად არის გადმოცემული. ლექსიკონიდან შეგვიძლია მოვიხმოთ წარმატებულად გამოყენებული ქართული კონსტრუქციები, როგორებიცაა *mschonia* (მრცხვენია), *medznelepa* (მემნელება), *msia* (მშია). ქართული ზმნების პოლიპერსონალიზმი სწორად არის გადმოცემული მთელ რიგ თარგმანებში, მაგალითად: *toont my – manachune* (მანახვინე); *geeft my – mome* (მომე) და ა.შ.

ვიტსენის წიგნში ლექსიკური ჩანაწერების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ შედგენაში მონაწილეობდა ადამიანი, რომელმაც იცოდა ენა, ლექსემები არ თარგმნა სიტყვასიტყვით და ლექსიკონში შემოიტანა წმინდა ქართული ფორმები. მაგრამ აღნიშნული მასალა მოსმენით ჩაიწერა და სიტყვარში შეიტანა ლათინური ასოებით, რამაც ვერ გადმოგვცა ქართული ბგერების ორიგინალობა და თავისებურება. სწორედ აქედან მომდინარეობს ის უზუსტობები, რომელიც დაშვებულია ნაშრომში. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვიტსენის ნაშრომს შეეძლო ზუსტი წარმოდგენის შექმნა ქართული ენის შესახებ, მაგრამ თავის დროზე არსებული მასალების სიმცირის გათვალისწინებით, იგი მაინც გამოირჩევა უპირობო ღირებულებით.

ვიტსენის ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონიდან ქვემოთ მოგვყავს ფრაგმენტი და მასზე დაკვირვების გასაადვილებლად თანამედროვე ქართულ ეკვივალენტებს ვუთითებთ:

| ჰოლანდიური | ქართული |
|--------------------|----------------------------|
| Een Mensch | Katzi (კაცი) |
| De Liefde | Sigvaruli (სიყვარული) |
| Heilige | Tzminta (წმინდა) |
| Onwetent | Utzkou (უჭკუო) |
| Broeder | Tzma (ძმა) |
| Zuster | Ta (და) |
| Een Konkommer | Kitri (კიტრი) |
| Zonder onderscheid | Usarkepelo (უსარგებლო) |
| Onrechtvaerdig | Usamartlo (უსამართლო) |
| Kostelijk | Tzviri (ძვირი) |
| Zout | Marili (მარილი) |
| Meel | Pkuli (ფქვილი) |
| Onteert | Upiso (უფასო) |
| Onbevrest | Arasinia (არ ეშინია) |
| Quaed | Tzuti (ცუდი) |
| Koningin | Tetopal (დედოფალი) |
| Koninksken | Patoniculi (ბატონიშვილი) |
| Zeeker | Tzesmarit (ჭემმარტი) |
| Waerom | Ratome (რატომ?) |
| Ik | Me of Chma (მე) |
| Myne | Tzeme (ჩემი) |
| Een Dochter | Tzimikali (ჩემი ქალიშვილი) |
| Een Wierookvat | Sicmeveli (საკმეველი) |

| | |
|-------------------|-------------------------|
| Lampen | Sanieli (სანთელი) |
| Een vreemt Mensch | Utzchokatzi (უცხო კაცი) |
| Een Oog | Tvali (თვალი) |
| De Tanden | Kpicheti (კბილები) |
| Zegent | Acurtche (აკურთხე) |
| Schoon | Lamazi (ლამაზი) |
| Ik heb gevonden | Ucpone (ვიპოვე) |
| Levendig | Tzoschali (ცოცხალი) |

ნიკოლაას ვიტსენი თავის ნაშრომში არ აყენებს რაიმე განსაკუთრებულ ლინგვისტურ პრობლემას; წიგნში წარმოდგენილი მასალები არ არის სისტემატიზებული; ავტორი არ აკეთებს დასკვნებს და საერთოდ არ ახსენებს ამ საკითხზე უკვე არსებულ წყაროებს. თუმცა, ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი, მასში შემავალი ყველა დაუმუშავებელი მასალით, სრულიად შეესაბამება ლექსიკურ მონაცემთა შეგროვების მიხედვით იმ მუშაობას, რომელიც ევროპაში XVII-XVIII საუკუნეებში განხორციელდა. შესაბამისად, ავტორის ქართული მასალები ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც იმ დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო და როგორც ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან ევროპელი მეცნიერის უშუალო კავშირების მაგალითი.

დამოწმებული წყარო

ვიტსენი 1702 – Nicolaas Witsen, Noord en Oost Tartarye. François Halma, Amsterdam 1705 (2de druk).

ლიტერატურა

ვათეიშვილი 1982 – ჯ. ვათეიშვილი, ნიკიფორე ირიბახი – ავტორი პირველი ქართული ნაბეჭდი თარგმანისა, საბჭოთა ხელოვნება №9, თბილისი.

ღლონტი 1983 – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი.

ჩაჩანიძე 2016 – ი. ჩაჩანიძე, ნიკოლაას ვიტსენის ქართველოლოგიური კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმში საქართველო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში, თბილისი.

IRINE CHACHANIDZE

“Vocabulary of the Georgian or Iberian Language”
(Een Woord-list van de Georgiaensche of Iberische Spraek)
by Nikolaas Witsen

S u m m a r y

The interest of Western European scientists and scholars towards studying the Kartvelian languages has become very intense since the 18th century. Authenticated information about the Kartvelian languages in Western European scientific sources of that time give the opportunity to have an idea about the historical vocabulary of the Kartvelian languages.

Among the works by the European authors, who wrote about Georgia, the outstanding one is “Noord en Oost Tartarye” (1705) written by the Dutch linguist Nicolaas Witsen (1641-1717). The information of linguistic character is especially valuable for us. In the work, the author devotes significant attention to studying the alphabet and lexicographic issues of the Georgian language titled: “Vocabulary of the Georgian or Iberian Language”. The work consists more than nine hundred entries.

მანანა ჩაჩანიძე

**„მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ –
წვიმის ლექსიკოგრაფიული პორტრეტი
მუხრანის პოეზიაში¹**

პოეტური ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია ლინგვოპოეტიკის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო უბანს წარმოადგენს. მხატვრული ლიტერატურის, და მით უფრო პოეზიის, ენა საყოველთაო ენის გამდიდრების ძირითადი წყაროა: ლექსიკური ერთეულები – ახლადშექმნილი, თუ უკვე არსებული, ახლებური ელფერით, უჩვეულო კონტექსტები, ნიუანსთა და კონოტაციათა გამკვეთრება თუ დაჩრდილვა, მეტაფორები, ე. წ. „შეუძლებელი სემანტიკური შეხამებანი“ და მისთ. მხატვრული ენის ის ძირითადი ინსტრუმენტებია, რომელთა მეშვეობითაც იქმნება მხატვრული სამყარო. რჩეულ ხელოვანთაგან აღქმული, განცდილი და წერილობით გაცხადებული მხატვრული სამყარო გამორჩეულად საინტერესოა უპირველესად იმიტომ, რომ მრავლისა და ბევრის მთქმელია. მხატვრული ლიტერატურის, და კონკრეტულად პოეზიის, ენა ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავ ნიმუშებს გვთავაზობს.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ჩვენი დაკვირვება დიდი ქართველი პოეტის – მუხრან მაჭავარიანის პოეტურ სამყაროში დახატულ ისეთ ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენაზე, როგორცაა **წვიმა**. სიტყვის ძალა და, საერთოდ, ქართული სიტყვის ფენომენი მუხრანის პოეზიაში ნაირგვარი კვლევა-ძიების გზებს სახავს და სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ თვალწინ გაჩენილ ახალ სამეცნიერო მიმართულებას – მუხრანოლოგიას წინ დიდი და შთამბეჭდავი სამეცნიერო სამუშაოები და მონაპოვარი ელის. მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილ ერთ წერილში მუხრანი წერს: „მე მყავს ჩემი საყვარელი სიტყვები“ (ტ. III, გვ. 242). ვფიქრობთ, წვიმა პოეტის ერთ-ერთი ასეთი საყვარელი სიტყვაა. ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა მუხრანის სიტყვა წვიმაზე ან, უკეთ რომ ვთქვათ, **მუხრანის წვიმა** (თუმცა აქვე დავძენთ, რომ ამ აღწერას სისრულის პრეტენზია არა აქვს, სისრულე მომავლის საქმეა). ჩვენი დაკვირვების კვალდაკვალ შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვებს:

წვიმა – რატომ? წვიმა – როგორ? წვიმა – რისთვის?

¹ წაკითხულია მოხსენებად კონფერენციაზე „ენა და კულტურა“ (მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის საერთაშორისო ფესტივალი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, თბილისი, 2019.

მუხრანის პოეზიის უბრალოდ მოყვარული თუ დაკვირვებული თვალ-ყურის მქონე მკითხველი (ცხადია, პროფესიონალი, მით უფრო) უსათუოდ შენიშნავს, რომ წვიმა მის პოეზიაში გამორჩეული სიტყვა და მოვლენაა და ეს, უპირველესად, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ „მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა“ და არც მხოლოდ იმის გამო, რომ „არგვეთის წვიმა“ მისთვის საკუთარ სხეულზე მეტად სისხლხორცეულია. არა, წვიმა პოეტისთვის სამყაროს ისეთივე ნიშანია, როგორც ანბანში რომელიმე ასო, როგორც ბგერის გრაფიკული ნიშანი. სწორედ ამიტომაც მასთან ბევრი წვიმა (თუმცა – არა უსასრულო), უკეთ „წვიმები“ და მათით, ისევე როგორც ასო-ნიშნებით, შენდება და მშვენივრდება ტექსტები, იქმნება პოეტური ჰარმონია. პოეტი წვიმის ნაირგვარობას საბასეული რუდუნებით ანივთებს თავის ლექსებში და ამის შემგრძობს და შემცნობს თითქოს ჩაგესმის კიდეც მისი მართალი სიტყვები: „უბნობს საბა და მე საბას ვუსმენ“ (ტ. II, გვ. 280). ამის გამგებს კი კიდეც ერთხელ გარწმუნებს, რომ ნაცნობი წვიმების გარდა რამდენი უცნობი წვიმა არსებულა და აქ ისევ სულ-კურთხეულის სიტყვები გიხმინანდება:

„მეც ვაჩნევ ჩემსას
დედაენას რამეთუ ორნატს, –
ჩემი ჩემამდე
ქართველთათვის უცნობი სუნთქვით“ (ტ. II, გვ. 19).

მაინც როგორია ლინგვისტურად სახელური თუ ზმნური ფორმებით გამოხატული პოეტური წვიმა, მუხრანის „ყალბით ნახატი“ წვიმა? კონტექსტთა ანალიზის თანახმად, **წვიმა** წარმოდგენილია როგორც:

I. ჩვეულებრივი წვიმა – ბუნებრივი მოვლენა ანუ სემანტიკური და სტილისტიკური თვალსაზრისით ის ამ შემთხვევაში ნეიტრალური ლექსიკური ერთეულია. ამ რიგის ნიმუშები სტატისტიკურად ყველაზე მრავალრიცხოვანია, საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე მათგანს: „შუალამისას დაწყებული გრძელდება წვიმა“ (ტ. I, გვ. 171); „აი, მთვარე. აი, წვიმა“ (ტ. I, გვ. 195); „ვიყავი მარტო. / წვიმდა... / წვიმდა... / მუდამდღე წვიმდა“ (ტ. I, გვ. 273). ნეიტრალური მნიშვნელობით, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული ლექსის სათაურადაც აქვს გამოტანილი ის პოეტს „წვიმს...“ (ტ. I, გვ. 241); ის ამგვარივე მნიშვნელობით რამდენიმე ლექსის სათაურის ფრაზაშიც გვხვდება, ასე მაგალითად: „ფიქრი, – ღამეული წვიმის თქარუნში, – სოფლად, – აივანზე“ (ტ. II, გვ. 269); „ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა“ (ტ. I, გვ. 89); „დილოგები წვიმაში“ (ტ. I, გვ. 268). საგანგებოდ აღსანიშნავია ლექსები: „დიღმის წვიმა“ და „არგვეთის წვიმა“, სადაც სათაურში თითქოსდა ნეიტრალური წვიმა უკვე ლექსში თავისუფლდება ნეიტრალობის არტახებიდან და სრულიად ახალ სააზროვნო სივრცეს, ახალ ხატს ქმნის, დამოუკიდებელ მოვლენას, ერთგნებიან კომპოზიტს (ამაზე ვრცლად ქვემოთ).

II. ნაცნობი წვიმა – ეს პოეტის ნაცნობი წვიმაა, რომელსაც, მართალია, მკითხველიც იცნობს, მაგრამ პოეტის ფრაზაში ამის მოსმენა მაინც ახარებს ისევე, როგორც სასიამოვნო ნაცნობის ნახვა: „ხანდახან მოდის ნაცნობი წვიმა“ (ტ. II, გვ. 202); „ვითარცა ნაცნობს წარმოადგენს / ზღვათათვის წვიმა“ (ტ. I, გვ.

149) და ეს ნაცნობი წვიმა პოეტის ფრაზაშიც ცოცხლდება: წვეთებად ცვივა, ცრის, ესხურება, თქარუნებს, თქარათქური გაუდის, უეცრად დასცხებს, ხმაურობს – „გარედან წვიმის ისმოდა თქაშუნი“ (ტ. I, გვ. 303). ზოგჯერ ეს ნაცნობი სულაც არ ჩანს, მაგრამ ძალუმად იგრძნობა: „ჩამობრძანდა ფეხად ზეცა, / გაილუმპა შრიალეთი“ (ტ. III, გვ. 50).

III. „...**აქვს სახელი ცხრა**“ – წვიმის ცხრასახელიანობა მის მრავალგვარობას აღნიშნავს და გვხვდება კიდევაც მრავალგზის პოეტის ფრაზაში: თქეში, ლეშხი, დელგმა, ლელმა, ჟინჟლი, ცვარი, ნამი, ცვარ-ნამი, ღვარი, ლემტერი, ღვართქაფი, ნიაღვარი, კოკისპირული. და, აი, ამგვარი – ჩვეულებრივი, ნაცნობი და ცხრასახელიანი – წვიმის გარდა პოეტთან სხვაგვარი წვიმებიცაა; პირობითად, ასეც ვუწოდეთ კიდევ ამ პუნქტს:

სხვაგვარი წვიმები

დიღმის წვიმა – ამავე სათაურითაა ლექსიც (ტ. II, გვ. 7-8). „აღორძინება ქართლისა – მძლავრი, იწყება / დიღმის წვიმით“. ეს ეპოქალური წვიმა პოეტისათვის, აკი ამბობს კიდევ:

„ოცდასამი საუკუნის წვიმა
ვერ დაწონის
ვერც ცხადში,
ვერც ძილად, –
ოცდასამი საუკუნის წინათ
მოსულ დიღმის წვიმას“.

ამავე აზრს სხვაგვარი შთამბეჭდაობით ახმიანებს ლექსშიც „ფარნავაზი“:

„ფარნავაზ, – დასტურ მაღალთა სწორი,
შერთული უკვე დღეს სულთა სირას,
ისეა სულ სხვა, – მეფეთა შორის, –
წვიმებში, – დიღმის რომაა წვიმა“ (ტ. II, გვ. 17).

საკუთარი სისხლის ხმიანობას მიყურადებელი პოეტისათვის (აკი საკუთარ სისხლს კითხულობდა!) ამგვარი წვიმების შემჩნევა, ალბათ, ჩვეულებრივი რამ იყო, მისთვის ჩვეულებრივი. ამბობს კიდევაც: „წვიმა მასველებს მეჩვიდმეტე საუკუნისა“ (ტ. I, გვ. 103). ამგვარი ხედვისა და ხილვების გამოძახილია ფრაზაც: „წითლად გაწვიმდა ანაზდად“; თუმცა მასთანაც, როგორც საერთოდ ქართულ პოეზიაში, **სისხლის წვიმა** ჩვეულებრივი ამბავია (ანვი როგორ იქნებოდა სხვაგვარად „შენ, სისხლო ჩემოო“, რომ ამოიქუხა?!), იმდენად ჩვეულებრივი, რომ საბას განცდას ასე გადმოსცემს:

„მამული სისხლით გააჯერეს იმდენად მტრებმა, –
წვიმას ვერ იტანს“ (ტ. I, გვ. 106).

გახსოვთ „საბა“? „– წვიმა არ არი! – / საბას კაბა დაუსველა რამ?! / ... საქართველოა / მისთვის: / წვიმაც, / თოვლიც და ყინვაც!...“ (ტ. I, გვ. 33). დიახ, ასეა, ისტორიის განაჩენს „ცრემლისა საქმეს ვერ შველის წვიმა“ (ტ. III, გვ. 34).

ლირიკული წვიმა – ასე ვუწოდეთ პირობითად პოეტის სატრფიალო ლირიკაში დავანებულ წვიმას, რომელიც ნაირფერია, კერძოდ:

ხათრიანია:

„იყო ერთ-ერთი ტურფა დილა ჩემი ცხოვრების...“

ბათუმო, გახსოვს?! –

ხათრიანად იმ დილით წვიმდა!“ (ტ. I, გვ. 68);

გულმოდგინეა:

„სამი დღეა გულმოდგინედ წვიმს“ (ტ. I, გვ. 253);

ხან – ვიქრი და ნატვრაა, ხან – მომაბეზრებელია:

„უშენოს წვიმამ მომაბეზრა თავიც და ტანიც...“

ახლა რომ წვიმდეს, –

ორთავეს გვინდა, –

და წვიმა ახლა აღარ მოდის მაინცდამაინც“ (ტ. I, გვ. 273);

საიდუმლოს შემნახვია, იმ საიდუმლოსი, მარტო პოეტმა რომ იცის, თუმცა განა მარტო მან?

„კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,

ცამ და პოეტმა იციან მარტო:

ქალი წვიმაში რომ ილუმპება, –

რატომ იცინის უმისამართოდ“ (ტ. I, გვ. 361).

ბოლოს და ბოლოს – დიდებული მეტაფორით წვიმა თვითაა ქალი:

„წვიმა ქალია...“

ყველაფერი ქალივით მიყვარს“ (ტ. I, გვ. 91).

სწორედ ამგვარი სიყვარული ათქმევინებს პოეტს:

„ამქვეყნად ერთად ვიმყოფებით მე და შენ ვიდრე –

მზე თუგინდ სულ არ გამოვიდეს! –

თუგინდ – სულ წვიმდეს!“ (ტ. I, გვ. 171).

არგვეთის წვიმა – ეს მუხრანის ადგილის დედის ძახილია, ფუძის, კერიის წვიმაა, სრულიად განსაკუთრებული წვიმა; მერე რა, რომ ასე მხოლოდ ერთი ლექსია დასათაურებული, განა ეს წვიმა, უფრო სწორად, ამ წვიმის მადლი არ იგრძნობა სრულიად მის პოეზიაში? განა ამ წვიმას არ უსმენდა იგი „შუალამისას, – / ოდეს საფლავს აწვიმს მამისას“ (ტ. I, გვ. 214); განა ეს წვიმა არ ანადვლიანებდა? „წვიმს... / ვღონდები წვიმის გამო“ (ტ. I, გვ. 241); განა ამ წვიმამ არ გააცნო და შეაყვარა მას ერთი ქალიშვილი? განა ამ წვიმაზე არ ამბობს: „როგორც აღვნიშნეთ, – / წვიმს... / ღვინო კი, / მოგეხსენებათ, / კარგია, / როცა წვიმს“ (ტ. I, გვ. 271); განა ამ წვიმამ არ უთხრა, რომ: „საყურეებად გაუყრიათ სამყურებს ცვარი“ (ტ. I, გვ. 157); „იბანენ თქემით ხეები ხელ-პირს“ (ტ. III, გვ. 10); განა ამ წვიმის ხმიანობასა და ფერებში უკეთ არ იგრძნობა მის პოეზიაში მიმობნეული იმერიზმების სურნელი? განა ამ წვიმამ არ უთხრა დიდმის წვიმაზე? საბას ცრემლზე? განა ამ წვიმამ არ გაანდო, რომ ნიჭიერებაც, დიადი ლექსიც „თავისით უნდა წამოვიდეს, / რაც, / როგორც წვიმა!“ (ტ. III, გვ. 97); განა ამ წვიმაზე არ ამბობს პოეტი, როცა ლაშურას ეფერება:

„დღეს კი...
 პატარა უკვე აღარ ვარ.
 ვარ დიდი.
 ალბათ, – გამზარდა წვიმამ!“ (ტ. I, გვ. 123).

სწორედ ამიტომ და ასეთია **მუხრანის წვიმა**, რომელიც ჩვენც დაგვანახა და შეგვაყვარა.

ამგვარად, კონტექსტთა ანალიზის გზით, ჩვენ შევეცადეთ აღგვეწერა **წვიმის ლექსიკოგრაფიული პორტრეტი** მუხრანის პოეზიაში. პოეტური სემანტიკის შესაძლებლობებისა და კონტექსტთა ანალიზის თანახმად, დავასკვნით, რომ სემანტიკური გრადაცია ჩვეულებრივი ფორმიდან (მაგ., „ქალი წვიმაში რომ ილუმპეზა“) სრულ მეტაფორულობამდე (მაგ., „წვიმა ქალია“, „დიღმის წვიმა“) განსაკუთრებულ პოეტურ ელფერს სძენს მუხრანის დიდებულ პოეზიას.

წყარო

მუხრან მაჭავარიანი, სამტომეული, თბილისი, 2013.

MANANA CHACHANIDZE

"Only Rain Has Nine Names" – The Lexicographical Portrait of Rain in Mukhrani's Poetry

S u m m a r y

Poetic lexicology and lexicography are one of the most noteworthy areas of linguo-poetics. The language of fiction and specifically, of poetry demonstrates the most impressive models in this regard.

The paper presents our observation on natural phenomenon such as **rain** that is depicted in the poetic world of the great Georgian poet Mukhran Machavariani. All contexts are analyzed in terms of poetic semantics and thus the lexicographical portrait of **rain** is described in Mukhrani's poetry. Based on the analysis of contexts, we make conclusion that the semantic gradation from the ordinary form (e.g. "a woman is getting drenched in the rain") to metaphor (e.g. a woman is rain, morning – woman, evening – woman ...) gives a special poetic tone to Mukhrani's glorious poetry.

ნინო ციხიშვილი

**ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის წარმოება
ქვემო ქედში ემიგრირებულ ფშაველთა მეტყველებაში**

თანამდევრობა ქართული ზმნის უღლების ერთ-ერთი კატეგორიაა. „ორი მოქმედება შეიძლება იყოს ისეთი, რომ ერთი უსწრებდეს, მეორე კი მოსდევდეს. ქართულს უწინარესი მოქმედება შეუძლია გამოხატოს მხოლოდ წარსულში. საამისოდ მას მოეპოვება მწკრივი, რომელიც II თურმეობითის სახელითაა ცნობილი“ (შანიძე 1976: 68).

ძველ ქართულში 2-პირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითი საყრდენად საწყისს იყენებდა, რომელსაც ერთვოდა -**ოდ** სავრცობი და -**ე** მწკრივის ნიშანი; ეს უკანასკნელი ამოღებული იყო III სუბიექტური პირის ორივე რიცხვში -**ა** და -**ეს** სუფიქსების გავლენით:

და-ვ-ჰ-შთომ-**ოდ-ე**

და-ვ-ჰ-შთომ-**ოდ-ე-თ**

და- ჰ-შთომ-**ოდ-ე**

და- ჰ-შთომ-**ოდ-ე-თ**

და- ჰ-შთომ-**ოდ-ა**

და- ჰ-შთომ-**ოდ-ეს**

„რომელთა-იგი არცაღა ერთი სასოებად დაჰშთომოდა ვინაჲ კერძოვე განლტოლვისაჲ (ხრონ. 287, 20)“ (ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996: 259). ახალ ქართულში აღნიშნული ზმნების წარმოებამ გარკვეული ცვლილება განიცადა: „აღმოსავლურ კილოებსა და რამდენადმე სალიტ. ენაშიც მეშველი ზმნის ხმარება იქნა შემოღებული... ენის განვითარების პროცესში მეშველი ზმნა ორ-პირიანებსაც გაუჩნდა ყველა მწკრივში, რაც ერთ-პირიანთა უღლების გავლენას უნდა მიეწეროს. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ორ-პირიან ზმნებში სალიტერატურო ენისთვის უდაო უპირატესობა **ოდ**იან ფორმებს აქვს, რომლებიც ისტორიულად უფრო ძველიცაა“ (შანიძე 1980: 457-458). ამგვარად, თანაარსებობდა პარალელური ფორმები:

მოვჰსწრებოდი // მოვჰსწრებიყავი

მოვჰსწრებოდით // მოვჰსწრებიყავით

მოჰსწრებოდი // მოჰსწრებიყავი

მოჰსწრებოდით // მოჰსწრებიყავით

მოჰსწრებოდა // მოჰსწრებიყო

მოჰსწრებოდნენ // მოჰსწრებიყვნენ

ამჟამად სალიტერატურო ქართულში მხოლოდ -**ოდ**-სავრცობიანი წარმოებაა ნორმატიული (თან. ნორმ. 1970).

ფშავურ დიალექტში ორპირიანი გარდაუვალი ზმნები II თურმეობითის იწარმოებენ -**იყო** მეშველი ზმნით, „-**ოდა** სუფიქსიანი წარმოება ფშავურისათვის უცხოა“ (ცოცანიძე 1978: 78). XIX საუკუნეში ფშავურში ჩვეულებრივია მეშველზმნიანი წარმოება. ეს კარგად ჩანს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, ერთი

მხრივ, პოემებსა და ლირიკულ ლექსებში და, მეორე მხრივ, პროზაულ ტექსტებში (მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებში). მართლაც, საინტერესო ვითარება ჩნდება ვაჟას შემოქმედებაში, **-იყო**-მეშველზომნიანი და **-ოდ**-სავრცობიანი ფორმების განაწილების თვალსაზრისით. სხვა ვითარებაა მხატვრულ პროზაში, პუბლიცისტურ წერილებსა და კორესპონდენციებში და სხვა დასკვნის გამოტანის საუბრებს გვაძლევს ლირიკული ლექსები და პოემები. მოთხრობებში, სადაც არ მოჩანს ფშაური დიალექტური გარემო და არ მოქმედებენ ფშაველი პერსონაჟები, ან მოქმედი გმირები ცხოველები, ფრინველები, უსულო საგნები არიან, როგორც ავტორის, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა („პატარა მწყემსის ფიქრები“, „მოგონება“, „ცრუპენტელა აღმზრდელი“), ორპირიანი გარდაუვალი ზნის II თურმეობითის გადმოსაცემად თითქმის მთლიანად **-ოდ**-სავრცობიანი ფორმებია გამოყენებული. ხოლო იმ მოთხრობებში, სადაც გარემოც ფშაურია და პერსონაჟებიც ამ გარემოს შვილები არიან, ავტორისეულ თხრობაში თუ ძირითადად **-ოდ**-სავრცობიანი ზმნები გვხვდება, პერსონაჟებს ფშაური დიალექტისათვის ბუნებრივი ფორმებით ამეტყველებს მწერალი. „ვაჟას პროზა იმ კლასიკურ წესებს ექვემდებარება დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით, რომელიც XIX საუკუნის პროზაშია დამკვიდრებული...მკვეთრად იმიჯნება ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება“ (გოგოლაშვილი 2020: 137). იგივე ითქმის მის კორესპონდენციებსა და პუბლიცისტურ წერილებზე: ავტორის თხრობაში სალიტერატურო ქართულისეული ფორმებია ძირითადი, ხოლო, თუ სადმე ფშაველთა საუბარი შემოერია, მეშველზომნიანი ფორმებს იმარჯვებს მწერალი. კიდევ უფრო საგულისხმოა პოემების ენა. ვაჟას პოეტურ ენაზე მსჯელობისას გ. გოგოლაშვილი შენიშნავს: „გარემოს კარნახის პრინციპი, უმთავრესი მგონია ვაჟა-ფშაველას პოემებზე საუბრისას“ (გოგოლაშვილი 2020: 150). ამ დაკვირვებას ჩვენი კონკრეტული საკითხიც უბამს მხარს. ერთი მხრივ, როცა პოემის სიუჟეტი ვითარდება არა ფშავეში, არამედ სადმე სხვაგან, ჩერქეზეთში („სისხლის ძიება“), ქისტეთში („სტუმარ-მასპინძელი“), ან უბრალოდ ეს სიუჟეტი ზღაპრულია („ეთერი“), თავისი გმირების მსგავსად ვაჟა სალიტერატურო ქართულის **-ოდ**-სავრცობიან ფორმებს მიმართავს:

„ეკრიბა კაბის კალთაში

თუ რამ ცეცხლს ფერფლი რჩენოდა,

ეძებდა შვილის ნიშანსა

ეგებ რამ გამოსჩენოდა.“; (ავტორი)

„პასუხს ელოდა ცოლისგან,

დასჩერებოდა თავზეო.

ქალი ვერაფერს ამბობდა

გაჰმტკნარებოდა სახეო.“ (ავტორი)

„ძლიერ შემბრადა ბეჩავი,

რომ უცხოეთში კვდებოდა,

არც ნათესავი, არც მოძმე,

რომ ვისმე შეჰბრალებოდა.“ (ალაზა)

„დილა ადრიან სპასპეტიც
დაუბარებლად **ჰხლებოდა**.“ (ავტორი)
„ტყეს ჰპოვა, წამოიყვანა,
მოსწონებოდა ძლიერა.“ (სპასპეტი)

მეორე მხრივ, სწორედ, გარემო უკარნახებს პოეტს, სანათა, კვირია, ფშაველთა ლამქარი, წიწოლას დედა „ბახტრიონში“ მშობლიური დიალექტური ფორმებით აამეტყველოს:

„ვაჟკაცის წესი **სგოდნიყო**, არა ჰგავ ჯუბიანასა.“; (სანათა)
„გონი **წამსვლიყო**...გონთ მოვედ.“; (კვირია)
„არა ყოფილა გაზდილი,
მომცრო **სდგომიყო** ტანია.“; (ფშაველთა ლამქარი)
„ნეტავ არც შვილი **მყოლიყო**,
არც **გავგზენიავ** დედასა.“ (წიწოლას დედა)

და თავის გმირებთან ერთად, როგორც ამ გარემოს ნაწილმა, თვითონაც ამგვარი ფორმებით გვიამბოს თუში ზეზვასა და ფშაველი ლუხუმის მეგობრობაზე:

„ერთმანეთისა სურვილი
ორსავ **ჰქონიყო** წყლულადა.“ (ავტორი)

იმას, რომ ფშაურ დიალექტში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითი მხოლოდ **-იყო** მეშველი ზმნით იწარმოება, XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში ჩაწერილი დიალექტოლოგიური მასალაც უჭერს მხარს (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961; ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი, 1978):

„გამჰქვევია ტყედატყე და, რო დაღალულა, უფიქრებავის, რო დამდგარი-ყო-დ' **შამბრალეზიყო** ლეკსა“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961, 132);

„მენ არ ვიცოდი, რომენი იყო ჩემ ქმარი, და გინდა **მგოდნიყო**, არ მი-ნდოდა გათხუება“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961: 136);

„შამკდარიყო მაღლა მთაზედ და იქ თენების ხანა **მაისვლიყო**, ... და ბიჭუა იყო ჯოშართი, ისიც **გამაძევევიყო**. ი მწყემსა კიდე, რომელიც წინამ-ძღვარი ყოფილიყო ქისტებისა, ბელადი, ის **გადმაისტევევიყო**. რო დეეკვილა, ის არა გამოქცეულიყო, რუსის თოფი **იქონიყო** ... მივარდნილიყო, იმისადა, ჯა-ლიან გულა **იკიდებიყო** ზურგზედა, ი გულაც ეეგლიჯა“ (ცოცანიძე 1978: 137);

„**გაუჯავრდომიყო**, როგორ თუ იქ მიხვალა“ (ცოცანიძე 1978: 145);

„ანგელოზ იყო თუ ეშმაკ იყო, ის მაყვებოდა, ის ეჩვენებოდა თავის დე-დადა, იმას რო დედად არა **იჩვენებიყო**, ... ან გულ გაუსკდებოდა ბაღლსა, ... ან ნადირს შადვარდებოდა“ (ცოცანიძე 1978: 149).

ძირითადად **-იყო**-მეშველზმნიანი წარმოებაა ქვემო ქედში ემიგრირებული ფშავლების მეტყველებაში დღესაც. ქვემო ქედი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულიდან არაგვის ხეობიდან ჩამოსული ფშავლებით რომ დასახლდა. როგორც ცნობილია, მიგრანტთა ერთმა ნაწილმა მაშინდელ სიღნაღის მაზრაში შემავალი შავმიწანიადაგიანი შირაქი (ახლანდელი დედოფლისწყაროს რაიონი) შეარჩია სამოსახლოდ. ახალი საცხოვრისის

უხვმოსავლიანობით აღფრთოვანებულმა მობინადრეებმა „პურის ბელელიც“ კი უწოდეს მას. მანამდე შირაქის ველები მხოლოდ თუმ-ფშაველ მეცხვართა ზამთრის იალაღებად იყო ქცეული. სოლომონ ყუბანეიშვილის გადმოცემით, 1889 წელს მეფის რუსეთის მთავრობას აქ რუსების დასახლება განუზრახავს. „ეს რომ მეცხვარე თუშებმა და ფშავლებმა გაიგეს, ფეხზედ დადგნენ...გადაწყვიტეს, შირაქის ველები უმალ დაეკავათ. ამ მიზნით 1900 წლიდან, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თანდათანობით იწყეს შირაქის ყველაზე კარგ ჩრდილო ნაწილში... დასახლება, სადაც გაუშენებიათ სამი სოფელი: „ზემო და ქვემო ქედი“, და ბოლოს მათ შორის მდებარე „არხილო“. ამ საქმეს მეთაურობდა ვაჟა-ფშაველა, რომელიც თუმ-ფშავლების რწმუნებულად ითვლებოდა“ (ყუბანეიშვილი 1937: 370-371). მთიელთა შირაქში ჩასახლების საქმეში დიდია ვაჟას წვლილი. აქ მხოლოდ ვახსენებთ თვით ვაჟას კორესპონდენციებს, რომელიც შირაქელი ახალმოსახლეების საჭირობოროტო საკითხებზე დაუწერია ავტორს. ესენია: 1906 წლით დათარიღებული „წერილი რედაქციის მიმართ“, 1913 წლით დათარიღებული „ქართველთა ახალშენი შირაქში“ და 1914 წელს ისევ რედაქციისათვის მიწერილი წერილი „შირაქის ამბები“. თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, ქედში პირველი მოსახლეები გაცილებით ადრე, XIX საუკუნის 90-იან წლებში თავისი ინიციატივით, ძირითადად, სახნავ-სათესი მიწების გამო მოსულან. მიგრაციის პროცესმა რამდენიმე ათეული წელი გასტანა. ფშავლებით (თუმცა, დღეს აქ ხევსურების, მთიულების, ბერძნების რამდენიმე ოჯახიც ცხოვრობს) დასახლებული ქვემო ქედი ცხოვრების დონითა და მოსახლეობის რაოდენობით ძლიერ სოფლად იქცა. მთიულებთან, ხევსურებთან, ბერძნებთან (იმავე ურუმებთან) და მეზობელ აზორიგენ ქიზიყელებთან საუკუნეზე მეტი ხნის თანაცხოვრებამ ფშაველთა ყოფა-ცხოვრებასა და მეტყველებას, ცხადია, თავისი კვალი დაამჩნია. საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ დიალექტმა, რომელზეც ეს ადამიანები საუბრობდნენ, სახე იცვალა. ზოგი რამ შეინახა და ზოგიც დაკარგა. რაღაც შეიძინა და რაღაც შეცვალა. დიალექტი (ისევე როგორც ენა) ხომ ცოცხალი ორგანიზმია. „დიალექტებში ყოველთვის შეხამებულია არქაიზმები და ნეოლოგიზმები, ოღონდ ხან ერთია უფრო ჭარბად წარმოდგენილი, ხან კი მეორის ხვედრი წონაა თვალსაჩინოდ მეტი. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია ისეთი დიალექტი, რომელშიაც სალიტერატურო ენასთან შედარებით ყველაფერი ახალი იყოს ანდა ყველაფერი ძველი... ენობრივი სისტემის ყოველი რგოლი იცვლება ადამიანთა საწარმოო ურთიერთობის ცვლასთან დაკავშირებით და ამ ცვლის ნიადაგზე, მაგრამ არა ერთდროულად ყველა“ (ჩიქობავა 2010: 240).

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისას რესპონდენტები ასაკის მიხედვით შევარჩიეთ და კიდევ იმის გათვალისწინებით, მოუწიათ თუ არა გარკვეული პერიოდით სოფლიდან შორს (მაგ. დედაქალაქში) სხვადასხვა მიზნით ცხოვრება. ჩვენი მოლოდინით, ფშაური გარემოდან იზოლაცია თავისებურად უნდა ასახულიყო, ზოგადად, დიალექტზე და, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო ფორმების წარმოება-წარმოთქმაზე, როგორც ეს ხოლმეობითის შე-

მთხვევაში მოხდა. თუმცა, ამჯერად ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის მეშველზმნიანმა წარმოებამ ქვემოქედელი ფშავლების მეტყველებაში უფრო მეტი „სიმტკიცე გამოავლინა“ და ხელი შეუშალა -ოდ-სავრცობიანი ფორმების შემოსვლასა და დამკვიდრებას. ჩვენი რესპონდენტებიდან მხოლოდ ერთია ფშავში დაბადებული. სხვები სოფელ ქვემო ქედში დაიბადნენ. ზოგი მათგანი მშობლიურ სოფელს არ მოსცილებია, დანარჩენებს სხვადასხვა დროით მოუხდათ არაფშავურ დიალექტურ გარემოში ცხოვრება. მათ უწევდა ურთიერთობა (სამსახურებრივი, ოჯახური) ადამიანებთან, რომლებიც სხვა დიალექტური არეალიდან მოდიოდნენ იქ, ქვემო ქედში. მიუხედავად ზემოთ დასახელებული გარემოებებისა, ჩვენი რესპონდენტების მეტყველებაში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

სწორედ ფშავში, ისტორიულ სოფელ ხოშარაშია დაბადებული ჩვენი უხუცესი რესპონდენტი, ბაბაღე ტეტიაშვილი. 1952 წელს, 19 წლის რომ იყო, მისი ოჯახი საცხოვრებლად ქვემო ქედში ჩამოსულა. სიცოცხლის ბოლომდე ამ სოფელში იცხოვრა. საათ-ნახევარზე მეტ ხანს იხსენებდა მთისას და ბარისას. ემოციით ჰყვებოდა. ახლაც ყურში მიდგას ფშავურისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, მხოლოდ ფშავში 80-იან წლებში, ხატობისას რომ მომისმენია, ლაშარსა და ხოშარაში. ფშავურ რიტუალებსა და ფშაველთა ყოფა-ცხოვრებაზე საუბრისას თუ ხმით ნატირალის გახსენებისას რესპონდენტი მეშველზმნიან ფორმებს იყენებს. მხოლოდ მეშველზმნიანი ფორმები ჩნდება მონაყოლშიც, სადაც ქისტების მიერ სოფელ უკანა ფშავის აკლების ამბავია გადმოცემული:

„დაჯდებოდენ, დადსხამდენ ი პატარძალსა და ი მეფესა. ი მეჯვარე იყო, ი ქალის მდადი იყო, გვერძე უნდა ჰყოლიყო.“ (ბ.ტ.)

„ნეტავი, შენ ოთიუროო, იმდენ გაგ ზდიყო გოგიაიო. იქამც მეეკლა, თეფაზედაო, მე ყარაულაად დავეყენეო.“ (ბ.ტ.)

„ვაცები იყო წინ გაყრილები, ისეებ მიუდიოდა ი ქისტებსა წინა, როცხვარი გამჰყოლიყო და წაეყვანა.“ (ბ.ტ.)

„იმან იმის გულისთვინა, რო იქნება მოგვეშველოსო, მილიცია მოგვეშველოსო, მილიციისთვინაც გაგ ზავნილი გაიქცა კაცი, რო შეეტყობინებინა, რო მილიცია დაიშველებიყო.“ (ბ.ტ.)

„და ი ქისტებს კიდე ი სოფლის ხალხი, ვინც იყო იქ მაცხოვრებელი, ისენი მოკრიფეს და შაყარეს ერთ სახშია, ყარაულები დაუყენეს, დაუდგნენ იქ ყარაულადა, რო არ გამოსულიყვნენ და არცა წასულიყვნენ, არ გამმელაგენიბიყო იმათ ის ამბავი.“ (ბ.ტ.)

„სუყველას უნდა ჰქონიყო, ქალსა, ან გათხოილსა, ან გასათხოარსა, სამზითვოდა თუ მზითვადა, წინდები მაყრებისთვინა, ერთი ოცი-ოცდახუთი მაინც უნდა ჰქონიყო, შიბაჟან წინდები, და ხურჯინი, ფარდაგები.“ (ბ.ტ.)

შემდეგი რესპონდენტის წინაპრებმა უფრო ადრე დატოვეს მთა, სოფელი ცაბაურთა. თვითონ კორდელია ჩიტომვილი კი 1944 წელს დაიბადა ქვემო ქედში. თუ არ ჩავთვლით სასწავლებლის გამო 3-4 წლით სხვა დიალექტურ

გარემოში გატარებულ დროს, მას მშობლიური სოფელი არ დაუტოვებია. იქვე გათხოვდა და დღემდე ქვემო ქედში ცხოვრობს. მასთან ინტერვიუში ვერ შევნიშნეთ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის ვერცერთი **ოდ**-სა-ვრცობიანი ზმნა:

„მამაჩემი ალაზნიდან **გამოჰყოლიყო** მანქანას.“ (კ.ჩ.)

„პავლე თურმე ისე გაჯავრდა, აღარ **გაიხსენებო**, რო ის კაცი, ვისაცა ლანძღავდა, მამაჩემის შვილი იყო.“ (კ.ჩ.)

„ივანე მეკამეჩეობის ბრიგადელი იყო და კამეჩები **გადაიხვლიყო** მეზობელი კოლმეურნეობის სიმინდში. **მიიხვლიყვნენ** საჩივრელადა, რო შენ კამეჩებმა გაგვიფუჭეს სიმინდიო.“ (კ.ჩ.)

„მამაჩემს ის გაფუჭებული სასწორი გეეკრასკა, რაზეც ის კაცი ჯდებოდა. იმის გულისთვი კი გაკრასკა, რო ის კაცი ზედ **დაჰკვრიყო** და როგორმე მეეშორა იქიდანა.“ (კ.ჩ.)

„არავინ არ იყო იმის მომხრე, რო ბერძენს **გაჰყოლიყო** ჩვენი ქალი, ან ბერძენი მოეყვანა ცოლად.“ (კ.ჩ.)

„დედაჩემის დედამ იცოდა ლოცვა თვალისა. იტყოდენ თვალი ვიღაცას უვნავო და შეულოცავდა ნახშირითა, დანითა, რო იმას ის ბალღი ავად აღარ **გაიხდიყო**.“ (კ.ჩ.)

ქვემო ქედშივეა დაბადებული 1950 წელს ციური ბერიაშვილი. მისი ოჯახი აქ 1936 წელს გადმოსახლებულა შუაფხოდან. სკოლა აქვე დაამთავრა და მალევე ფშავლების რძალი გახდა. გასკვირიც არ არის, რომ ჩვენთან საუბარში მხოლოდ მეშველზმნიან ფორმებს მიმართავს იგი ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითის შინაარსის გადმოსაცემად:

„დევებთან ბრძოლაში იახსარს ძალა **გამაიღვეიყო**.“ (ც.ბ.)

„ოთხეურა ცხვარი **დაიხმარებო** იახსარსა.“ (ც.ბ.)

„ი ჩემ ბიძასა არა **აიყვარებო** არავინა და შერთეს ჯალაფთ თავის მოწონებულო.“ (ც.ბ.)

„დედაჩემი დეესვათ ბუხართან ახლოს... იმას კიდე **აივარდნიყო** ტუსის სუნი. მამას კიდე მეეტანა ფიცარი და ჩეეყუდა ბუხრისა და დედაჩემის შუა.“ (ც.ბ.)

„არხილოში ვიღაცას **აისევიყო** ავთო, შენ რადა გქვიან იმ კარგი ქალის სახელიო.“ (ც.ბ.)

„მამაჩემს ლაწანი ეეღინა იმისთვი და იმის მერე **დასტკობო** ქმარსა.“ (ც.ბ.)

„იმას უნდოდა ისეთ კაცზე გეეთხოვა, რო სახლში **ჰყოლიყო**.“ (ც.ბ.)

გ. ჯ. - მ (დაბადებულმა 1958 წელს) სკოლა ამ სოფელში დაამთავრა. მერე საუნივერსიტეტო განათლება თბილისში მიიღო. მას შემდეგ სოფელში ცხოვრობს. ის ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან მხოლოდ **-იყო**-მეშველზმნიან წარმოებას არჩევს:

„წასაყვანად რო **მისდგომიყვნენ** პალტორკითა, თურმე შამაიბრუნებს თავსა, – მაირამს რა ეშველებაო (უნდა ეთქვა, მარიამსაო. – ნ.ც.). ქართულიც არა **სცოდნიყო** კარგა, ფილიპე ხო ახალჩამოსახლებული ბერძენი იყო ქედში.“ (გ.ჯ.)

„ფილიპეს თითიც არ **გაიჰკაწვრიყო** ომში.“ (გ.ჯ.)

მართალია, მურთაზ ხუცურაული (დაბადებული 1966 წელს სოფელ ქვემო ქედში) 13 წლიდან ჯერ თბილისში, სპორტულ სკოლაში სწავლობდა, სტუდენტობაც დედაქალაქში გაატარა და მოგვიანებით სამსახურის გამო აბორიგენ ქიზიყელებთანაც ხშირად უწევდა ურთიერთობა, მასთან საუბარში მაინც ვერ დავადასტურეთ II თურმეობითის **-ოდ**-სავრცობიანი ფორმები:

„იმ წვერა პაპასა და ჩემ ძმას გაღმა (აზერბაიჯანში – ნ. ც.) **გამოჰკიდებოყენ** თათრები“ (მ. ხ.);

„და ჩემ ძმას კიდე **შეამინებოყო**, რო მართლა არ დაეხოცა ეს მღვერები, თათრები. წვერა პაპა სამამულო ომის სამეზის დიდების ორდენის კავალერი იყო და ტყვიას ტყვიაში სვამდა.“ (მ. ხ.);

„პაპაჩემს რო უთხრეს, ქორწილში ხარ დაპატიჟებულიო, **გაჰკვირვებოყო**, მაგის ქორწილში ხო უკვე ვიყავიო.“ (მ. ხ.);

„ბებოჩემი **გასჯავრებოყო** პაპაჩემსა, სიძე აქ გეჯდა და სხვის სიძეს კიდე შანატროდიო.“ (მ. ხ.).

ლილე მამუკაშვილიც ფშაველია, თბილისში 1973 წელს დაბადებული. ხუთი წლიდან კი ქვემო ქედში გაიზარდა, იქვე გათხოვდა. ფშაველების რძალია. სწორედ, მისი დიდი პაპის, თანდილა ხარხელაურის, ოჯახს სტუმრობდა ხოლმე ქვემო ქედში არაერთხელ ჩასული ვაჟა-ფშაველა. მოგვიანებით, როცა თანდილა ბოლშევიკებმა გააკულაკეს და ერთ დროს მდიდარი ოჯახიდან უკანასკნელი ოთხფეხი გაიყვანეს, მისმა არაკეთილისმოსურნეებმა ყალბი ისტორიების შექმნა დაიწყეს. ვინაიდან თანდილა ხარხელაური მამაჩემის პაპაც (დედის მამა) იყო და ეს ისტორიები ბებიაჩემისგან მეც მსმენოდა, კიდევ უფრო დავინტერესდი, როცა ლილემ ამ ამბის გახსენება გადაწყვიტა. ამ საუბარში ახსენებს ჩემი რესპონდენტი ოთხ მეშველზმნიან ფორმას:

„იმ ბიჭს **სცოდნიყო**, სად რას ინახავდნენ.“ (ლ. მ.)

„თითქოს თანდილას **სდომებოყო** სოფლისთვის დაერქმია თანდილაანი. მაგრამ ვითომ მერე ვაჟა-ფშაველა **შესდავებოყო**, რო რატომ დავარქვათ თანდილაანი, როცა არსებობს ზემო ქედი, ამ სოფელს დავარქვათ ქვემო ქედო და ჩამოახსნევინა აბრა, სადაც ეწერა „თანდილაანიო“. (ლ. მ.)

„შემთხვევით გაეგო ამ ძმასა, რო ვიზეც იყო დანიშნული, იმ ქალს თავზე თმა არა **ჰქონიყო** და ნიშნობამდე წასულიყო სოფლიდან.“ (ლ. მ.)

როგორც ვნახეთ, ქვემო ქედში ემიგრირებული ფშაველების მეტყველებაში ძირითადად **-იყო**-მეშველზმნიანი წარმოებაა დღესაც. თუმცა, აქ ზოგი რამ, რაც ფშაურისათვის იყო ნიშანდობლივი, დაიკარგა (მაგალითად, ხოლმეობითების თავისებური წარმოება, რაც სპორადულადაა შემორჩენილია ქედელ ფშაველთა მეტყველებაში). მეშველზმნიანი წარმოების შენარჩუნებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმასაც, რომ აბორიგენი ქიზიყელების მეტყველებაში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების II თურმეობითებთან **-ოდა**-სუფიქსიანი წარმოების გვერდით დასტურდება **-იყო**-მეშველზმნიანი პარალელური წარმოებაც.

ლიტერატურა

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი.

გოგოლაშვილი 2020 – გ. გოგოლაშვილი, „ერი დედაა ენისა“ (ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე), თბილისი.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, I, თბილისი, 1961.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, II, თბილისი, 1961.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, III, თბილისი, 1961.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, IV, თბილისი, 1961.

ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, V, თბილისი, 1961.

თან. ნორმ., 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1970.

ივ. იმნაიშვილი, ი. იმნაიშვილი 1996 – ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ძველი ქართული ენა, I, მაინის ფრანკფურტი.

ყუბანეიშვილი 1937 – ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბილისი.

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი.

ჩიქობავა 2010 – არნ. ჩიქობავა, შრომები, II, თბილისი.

ცოცანიძე 1978 – გ. ცოცანიძე, ფშაურის დიალექტი, თბილისი.

NINO TSIKHISHVILI

Forms of the Resultative II of Bipersonal Intransitive Verbs in Pshavian

S u m m a r y

In Old Georgian the Resultative II of bipersonal intransitive verbs used the forms with the suffix **-od**, e.g. *dahštomoda*, *dahštomodes*. In New Georgian the formation of the above-mentioned verbs has undergone some changes: along with the forms suffixed with **-od**, the verbal forms with auxiliaries have appeared, e.g. *mohsčreboda*//*mohsčrebiqo*, *mohsčrebodnen*//*mohsčrebiqvnen*. Currently, in literary

Georgian only -od-suffixed formation is normative. In the Pshavian dialect the mentioned verbs form the Resultative II with the auxiliary verb **-igo** since -oda-suffixed formation is uncommon to it. In the XIX century in Pshavian, the formation with the auxiliary verb is common. This is well seen in Vazha-Pshavela's works. In Dedoplistskaro district, in the village of Kvemo Kedi, in the language of the emigrated Pshavians even today the formation with the auxiliary verb **-igo** is apparent.

More than a century of coexistence with the Mtiuletiens, Khevsurians, Greeks (Urums) and neighboring Aboriginal Kiziks has clearly left its mark on the life and speech of the Pshavians. However, this time, the auxiliary formation of the Resultative II of the bipersonal intransitive verbs "showed firmness" in the speech of the Kvemo Kedi Pshavians and prevented the entry and establishment of od-suffixed forms. Maintaining the auxiliary formation could have been supported by the fact that in the speech of the aboriginal Kiziks along with the oda-suffixed formation of the Resultative II of the bipersonal intransitive verbs, the parallel formation with the auxiliary verb **-igo** is attested.

ცირა ჯანჯღავა

**დანაწევრებითი და დაახლოებითი რიცხვითი
სახელებისათვის მეგრულში**

სამეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად სამი ჯგუფის რიცხვით სახელებზეა მსჯელობა; ესენია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები (იხ. მაგ., შანიძე 1953: 40-41). ამ ძირითადი ჯგუფების გვერდით შეიძლება გამოიყოს დანაწევრებითი და დაახლოებითი რიცხვითი სახელები.

დანაწევრებითი რიცხვითი სახელები

დანაწევრებითს უწოდებენ რიცხვით სახელს, რომელიც საგანთა თანაბარ ნაწილებად დაყოფას აღნიშნავს; დანაწევრებითის სინონიმური ტერმინებია დაყოფითი და განაწილებითი (ლომთათიძე 1981: 78-83; არაბული 2011: 158; სანიკიძე 1977: 50).

ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ დაყოფითი რიცხვითი სახელები მეგრულში იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელების გამეორებით, და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი; საყურადღებოა მის მიერ დადასტურებულ პარალელური ფორმები: **ამშვ – ამშვი || ამშვ – აშვი** (ყიფშიძე 1914: 039). ვ. თოფურია მეგრულ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა შორის, რომლებშიც **დო** კავშირი ივარაუდება, ასახელებს ორ რიცხვით სახელს: **სუმ-სუმი** „სამ-სამი“ და **ოშ-ოში** „ას-ასი“ (თოფურია 1959: 296). ლ. სანიკიძე რიცხვითი სახელის გაორკეცებას მეგრულში უწოდებს სახელის განმეორებას განაწილებითი ფუნქციით (სანიკიძე 1977: 49-50).

დანაწევრებითი რიცხვითი სახელი მეგრულ-ლაზურ ენაში იმავე პრინციპით იწარმოება, როგორც სხვა ქართველურ ენებში – რაოდენობითი რიცხვითი სახელის რედუპლიკაციის საშუალებით. ამ შემთხვევაში მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში რედუპლიკაციის სხვადასხვა სახეობასთან გვაქვს საქმე:

1. ფუძეუცვლელი გაორკეცება, რომელიც მარტივ რიცხვით სახელთაგან ექვსშია გამოყენებული (**ოთხ-ოთხი** „ოთხ-ოთხი“, **ამშვ-ამშვი** „ექვს-ექვსი“ (**ხ**)**რუო-(ხ)რუო** „რვა-რვა“, **ჩხორო-ჩხორო** „ცხრა-ცხრა“, **ეჩ-ეჩი** „ოც-ოცი“, **ოშ-ოში** „ას-ასი“).

2. რედუპლიკაციის შედეგად მიღებული დანაწევრებითი რიცხვითი სახელის პირველ კომპონენტში ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი შეიძლება მოიკვეცოს (**ჟირ-ჟირი** || **ჟი-ჟირი** „ორ-ორი“, **სუმ-სუმი** || **სუ-სუმი** „სამ-სამი“).

3. რედუპლიცირებულ რიცხვით სახელში დაკარგულია მეორე კომპონენტის თავკიდური თანხმოვანი/თანხმოვნები **ხუთ-უთი** „ხუთ-ხუთი“, **შქვით-ითი** „შვიდ-შვიდი“, **ვით-ითი** „ათ-ათი“). შეკვეცილი ფორმების გვერდით შეიძლება შეგვხვდეს სრული ფორმებიც (**ხუთ-ხუთი**, **შქვით-შქვითი**, **ვით-ვითი**...).

რაც შეეხება რთულ რიცხვით სახელებს, მათი რედუპლიკაციით დანაწევრებითი რიცხვითი სახელების მიღება, როგორც წესი, ფუძეუცვლელად ხდება (**ვითოჟირ-ვითოჟირი** „თორმეტ-თორმეტი“, **ვითოხუთ-ვითოხუთი** „თხუთმეც-თხუთმეტი“, **ჟარნეჟ-ჟარნეჟი** „ორმოც-ორმოცი“, **სუმოშ-სუმოში** „სამას-სამასი“...), მაგრამ არ არის გამორიცხული მეორე კომპონენტად გამოყენებული ფუძე გამარტივებული სახით წარმოგვიდგეს; ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ხუბუას მიერ დადასტურებული **ენდოხუთ-ხუთი** „ოცდახუთ-ოცდახუთი“, ზედმიწ. „ოცდახუთ-ხუთი“ (სანიკიძე 1977: 50).

საგულისხმოა, რომ მეგრულში რიცხვითი სახელისაგან **ართი** „ერთი“ რედუპლიკაციით დანაწევრებითი რიცხვითი სახელი არ მიიღება (**ართ-ართი** „ერთ-ერთს“ ნიშნავს), **თითო** კი ქართულიდან არის შესული (შდრ. ლაზური, რომელშიც **თითო**-ს პარალელურად გვხვდება **არ-არი**).

დაახლოებითი რიცხვითი სახელები

შინაარსის გათვალისწინებით ორი ჯგუფის რაოდენობით რიცხვით სახელებს გამოყოფენ – გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს (ერთი, ორი, სამი, ათი, ასი...) და გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელ სახელებს (ბევრი, მრავალი, ცოტა...). სემანტიკურად ამ მეორე ჯგუფთან ახლოსაა რიცხვითი სახელები, რომლებიც დაახლოებით, სავარაუდო რაოდენობას აღნიშნავენ.

მეგრულ-ლაზური ენის მეგრულ დიალექტში დაახლოებითი რიცხვითი სახელების წარმოება ქართულისებურია. აგებულების თვალსაზრისით ისინი კომპოზიტებია, რომელთა შემადგენლობაში შეიძლება გვექნოდეს თვლისას ერთმანეთის მომდევნო რიცხვითი სახელები: **ჟირ-სუმი** ორი-სამი“, **ხუთ-ამ-შვი** „ხუთი-ექვსი“, **შქვით-ზრუო** „შვიდი-რვა“, **ჩხორო-ვითი** „ცხრა-ათი“... ამ შინაარსის კომპოზიტებში შემავალი რიცხვითი სახელები შესაძლებელია ერთმანეთის მომდევნო არ იყოს: **ვით-ვითოჟირი** „ათი-თორმეტი“, **ოშ(ი)-ოშეჩი** „ასი-ასოცი“, **ჟიროშ-ჟიროშჟარნეჟოვითი** „ორასი-ორასორმოცდაათი“, **ანთას-ანთასხუთოში** „ათასი-ათასხუთასი“...

ხუთ(ი)-ამშვი კოჩი მიშ შარას „ხუთი-ექვსი კაცი მიდიოდა გზაზე“.

ე საქმემ კეთებას **შქვით-ზრუო** დღა ვაუბად „ამ საქმის გაკეთებას შვიდი-რვა დღე არ ეყოფა“.

ვით-ვითოჟირ შურ საქონელქ მეუდინ ჰყიშის „ათი-თორმეტი სული საქონელი დაეკარგა მწყემსს“ (შდრ. „არსენას ლექსიდან“: „ათი-თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა“).

ჟიროშ-ჟიროშჟარნეკდოვითი კოჩი ორდ მულირი „ორასი-ორასორმოცდაათი კაცი იყო მოსული“.

ანთას-ანთასხუთოშ კოჩქ დიშყარ „ათასი-ათასხუთასი კაცი შეგროვდა“.

ართი „ერთი“ და **ჟირო** „ორი“ რიცხვითი სახელების შეერთებით აღინიშნება არა მიახლოებითი რიცხვითი სახელი, არამედ სათანადო საგანთა მცირე რაოდენობა: **ართ-ჟირო** კოჩიშ ნარაგადუს ვაუჩა გური „ერთი-ორი კაცის ნათქვამს ყურს ნუ უგდებ“.

მეგრულში დაახლოებითი რიცხვითი სახელის პირველი კომპონენტები, ჩვეულებრივ, ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ: **ჟირო-სუმი** „ორი-სამი“ **ოთხ-ხუთი** „ოთხი-ხუთი“, **ვით-ვითოხუთი** „ათი-თხუთმეტი“, **ეჩ-ეჩდოხუთი** „ოცი-ოცდახუთი“... **ჟირო-სუმქ** „ორმა-სამმა“, ზედმიწ. „ორ-სამმა“, **ოთხ-ხუთიქ** „ოთხმა-ხუთმა“, ზედმიწ. „ოთხ-ხუთმა“, **ვით-ვითოხუთიქ** „ათმა-თხუთმეტმა“, ზედმიწ. „ათ-თხუთმეტმა“, **ეჩ-ეჩდოხუთიქ** „ოცმა-ოცდახუთმა“, ზედმიწ. „ოცი-ოცდახუთმა“...

დაახლოებით რიცხვით სახელებს წინ შეიძლება დაერთოს „ერთის“ აღმნიშვნელი სიტყვა და იგივე, დაახლოებითი შინაარსის შესიტყვება მივიღოთ: **ართ(ი) სუმ-ოთხი** „ერთი სამი-ოთხი“, **ართ(ი) ხუთ-ამშვი** „ერთი ხუთი-ექვსი“ **ართ(ი) ჩხორო-ვითი** „ერთი ცხრა-ათი“...

ლიტერატურა

არაბული 2011 – ა. არაბული, რიცხვითი სახელი. – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა, თბილისი.

თოფურია 1959 – ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. VI. კომპოზიტი. – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბილისი.

კარტოზია 2010 – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის გრამატიკული ანალიზი, თბილისი.

ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე, დანაწევრებითი რიცხვითი სახელის თავისებური გამოხატვა აბაზურსა და ქართულში. – იკეწ, ტ. VIII, თბილისი.

ჟღენტა 1960 – ს. ჟღენტა, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა. I. მარცვლის აგებულების პრობლემა, თბილისი.

სანიკიძე 1977 – ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში. – იკეწ, ტ. IV, თბილისი.

ქირია... 2015 – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, თბილისი.

ყიფშიძე 1914 – И. Кипшидзе, Граммтика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი.

TSIRA JANJGHAVA

On the Segmental and Approximate Numerals in Megrelian

S u m m a r y

Megrelian has segmental and approximate numerals along with the three main groups (cardinal, ordinal, fractional numbers). The segmental numeral that denotes dividing objects into equal parts is produced by reduplication of a cardinal number, e.g. **čxoro-čxoro** “9-9”. During reduplication, the numeral may lose initial of final consonant of the base, e.g. **vit-it-i** < ***vit-vit-i** “10-10”, **su-sum-i** < ***sum-sum-i** “3-3”.

The approximate numeral indicates not the exact number of objects, but the estimated one; It is a compound and is produced by combining both consecutive and non-consecutive numbers, e.g. **škvit-bruo** “7-8”, **vit-vitožiri** “10-12”. The first component of the approximate numeral does not usually take a case marker, e.g. **otx-xutik** “4-5”, **eč-ečdoxutik** “20-25”.



გუჩა კვარაცხელია

გამოჩენილი მეცნიერი და გამორჩეული შემოქმედი

ქართულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – 23 ივნისს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და მრავალმხრივი შემოქმედი – პოეტი, დრამატურგი და მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **გუჩა კვარაცხელია**.

დაიბადა 1940 წლის 2 ოქტომბერს თბილისში. 1958 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, 1963 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილება, 1966 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა.

1967 წელს გ. კვარაცხელიამ მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებაში; სხვადასხვა დროს იყო ამ განყოფილების უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, წლების განმავლობაში – განყოფილების ხელმძღვანელი.

1970 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: იყო ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, მისი პროექტით შექმნილი არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების სამეცნიერო-პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1993-2006 წლებში გ. კვარაცხელია მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს. იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, განათლების სამინისტროს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და სხვა არაერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი.

ფრიად ნაყოფიერი იყო გ. კვარაცხელიას 60-წლიანი მოღვაწეობა სამეცნიერო ასპარეზზე. 1968 წელს მის მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაცია „მეტყველების სტილის სტატისტიკური ანალიზი (ქართული ენის მასალაზე)“ შეფასდა როგორც **ნოვატორული ნაშრომი**, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი დისერტაცია მათემატიკური ლინგვისტიკის დარგში.

1986 წელს გ. კვარაცხელიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფუნქციური სისტემები“. ეს იყო უხვ ემპირიულ მასალაზე დამყარებული პირველი ფუნქციური სტილების შესახებ. ნაშრომი გამოირჩევა ორიგინალური თეორიული დებულებებით, რომლებიც, ერთი მხრივ, ქართული ენის კვლევის **ახალ ასპექტებს წარმოაჩენენ**, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია **ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით**.

აკად. გ. კვარაცხელიას ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი, რომლებშიც ქართული ენის აგებულების, სალიტერატურო ენის თეორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების მრავალი საკვანძო საკითხია განხილული.

ლინგვისტური კვლევის ძირითადი სფერო, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა აკად. გ. კვარაცხელია, არსებითად შეიძლება დახასიათდეს როგორც **ლინგვისტილისტიკა** ამ სიტყვის ყოვლისმომცველი მნიშვნელობით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მეცნიერის ორი ფუნქციური მონოგრაფია – „ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა“ და „მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები“.

პირველი მათგანი **პიონერული ნაშრომია** ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში; მასში მდიდარი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ფართოდ და საფუძვლიანადაა გაშუქებული სხვადასხვა ფუნქციური სტილი,

წარმოდგენილია მათი სისტემური შეპირისპირებითი კვლევის შედეგები ინტერპერსონალური და მასობრივი სამეტყველო კომუნიკაციების მიხედვით. განსაზღვრულია თითოეული ამ სტილის ფუნქციონირების სფერო და ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლი სტილებრივ დიფერენციაციაში. წმინდა თეორიულ-შემეცნებითი ღირებულების გარდა, მონოგრაფიას აქვს უდავო პრაგმატული მნიშვნელობაც, რამდენადაც ითვალისწინებს არა მარტო ენის სპეციალისტებისა და სტუდენტთა ინტერესებს, არამედ პრესის მუშაკთა პროფესიულ ინტერესებსაც.

მეორე მონოგრაფიაც, პირველის მსგავსად, პრობლემის **განზოგადებული გააზრების თვალსაზრისით**, შეიძლება ითქვას, **უპრეცედენტო მოვლენაა** ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში. ნაშრომში პირველადაა მოცემული მხატვრული ენის მეცნიერულად შემსწავლელ დისციპლინათა შემეცნებითი ხერხებისა და საშუალებების კრიტიკული ანალიზი. ავტორი განსაზღვრავს პოეტური მეტყველების სხვადასხვა კონცეფციის ლინგვისტიკაზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიურ მიმართულებებს. მხატვრული ტექსტის თვისებრივ მახასიათებლებთან ერთად წარმოდგენილია კვლევის რაოდენობითი, სტატისტიკური მახასიათებლებიც. ნაჩვენებია ალბათურ-სტატისტიკური მეთოდებით მხატვრული მეტყველების კვლევის თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა ფილოლოგიური მეცნიერებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ აკად. გ. კვარაცხელია ახალი სამეცნიერო მიმართულების – **ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკის ფაქტობრივი ფუძემდებელია**.

აკად. გ. კვარაცხელია ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო, რომელიც ავტორია ფრიად საყურადღებო ნაშრომებისა ენათმეცნიერების თეორიასა და ისტორიაში, მათემატიკურ ლინგვისტიკასა და ენის სტატისტიკური მეთოდებით კვლევის სფეროში. მან შეისწავლა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ადამიანისა და ენის, ენისა და აზროვნების, ბუნებრივი ენისა და ფორმალური სისტემის ურთიერთმიმართება, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და ფუნქციონირების თეორიული საკითხები, კომუნიკაციის თეორიისა და სხვა მეცნიერულად აქტუალური ზოგადლინგვისტური პრობლემები.

აღსანიშნავია აკად. გ. კვარაცხელიას სტატიათა ციკლი, რომელიც ეძღვნება შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის შემოქმედებას. ეს გამოკვლევები ინტერდისციპლინური ხასიათისაა. ისინი ბევრი სიახლის შემცველია როგორც მეთოდის, ისე შედეგთა თვალსაზრისით.

აკად. გ. კვარაცხელია იყო დიდი დამფასებელი ქართული მეცნიერების კლასიკოსთა შემოქმედებისა. ამის ნიმუშად გამოდგება მისი დამოკიდებულება აკად. არნ. ჩიქობავას მიმართ, რომლის შემოქმედების ღრმა ანალიზი წარმოადგინა მის მიერ მომზადებულ წიგნსა და არაერთ სტატიაში.

აკად. გ. კვარაცხელია სამეცნიერო კადრების აღზრდის აქტიური მონაწილე იყო. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია იყო დაცული.

აკად. გ. კვარაცხელიას შემოქმედება მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებით არ შემოიფარგლება. ქართველი მკითხველისათვის ის ცნობილია როგორც პოეტი და დრამატურგი, მრავალი საინტერესო პოეტური და დრამატული კრებულის ავტორი. მან, როგორც მხატვარმა, სპეციალისტებისა და ხელოვნების მოყვარულთა დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ცალკე უნდა აღინიშნოს გ. კვარაცხელია როგორც მოქალაქე და კეთილგანწყობილი ადამიანი, საზოგადოებრივ საკითხებში პრინციპულობით გამორჩეული პიროვნება, ის შეუპოვრობა, რასაც ის მეცნიერების ინტერესების დაცვისას იჩენდა. ამავე დროს, ის იყო სამაგალითო მეუღლე და დედა, ხუთი საუცხოო შვილის აღმზრდელი, ერთგული, უდალატო მეგობარი.

წავიდა ჩვენგან დიდებული ქალბატონი – აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია, მაგრამ მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერა როგორც ქართული მეცნიერების ისტორიაში, ისე ქართული საზოგადოების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ტექნიკური რედაქტორი **ლ. ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **თ. გაბროშვილი**